


მეათეობი



3-4

1995

გნათობი



წელიწადი 71-ე

№ 3-4

1995 წ.

საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანო

შ ი ნ ა ა რ ს ი

გიგლია, ქველი აღთქმა. გვგრძელუბა 3

პროზა, პოეზია

ჯანსუღ ნაჩქვიანი — ლექსები	34
რევაზ ჯაფარიძე — მემორალი უფლისა, რომანი. გვგრძელუბა	39
მეზარ კვიციანი — ლექსები	94
ჯანო ჯანელიძე — ლექსები	100
ილია ჩუკუა — თეზი. ნოველა	105
გივი სულაბერი — საბრალსო ჩივილია. პესა	109

კრიტიკა კულტურისტიკა

გრიგოლ გიორგაძე — მიხეილ წიკითელი და ასირიოლოგია	120
დავით კოჭორიძე — საზნა-ჯავახეთის ისტორიის ზომიერი სანიტის განმარტებისათვის	131
გიორგი მარკვილაძე — ანტიკრისტიანული — ანტიკომუნული	145
ბასილ მელიქიშვილის ეპისტოლარული მიმკვიდრობიდან კულტიკაცია მიხეილ დანიშაშვილის	160

მთავარი რედაქტორი არჩილ სულაკაური

სარედაქციო კოლეგია:

რეზო ავაშუკელი, მერაბ გერკენიშვილი, გურამ
გვერდსითელი, აღუესანდრე გოშიაშვილი, გურამ
დონანაშვილი, ვანო კალანდია, გურამ ლეგანიძე,
ელგუჯა მაღრაძე, ლადო მრეღაშვილი, გიორგი
ნატროშვილი, რამაზ კატარიძე, ჯანსუღ ჩარკვიანი,
პაპა ჩორდელი (პ/მგ მდივანი), ნოდარ ფულგინიძე,
ოთარ ჭილაძე, ბესიკ სარანაული (მთავარი რედაქტორის
მოადგილე), რევაზ ჯავახიძე.

ბიბლია, კვილი აღიქმა

ი. რ. ც. ნ. უ. ჯ. წიგნისწარმეტყველი

თავი ოცდამეცხრე

1. ეს არის სიტყვები წერილისა, რომელიც იერუსალიმიდან გაუგზავნა იერემია წინასწარმეტყველმა გადასახლებაში მყოფი უბუცესობის დანარჩომს, მღვდლებს, წინასწარმეტყველებს და ყველას, ვინც ნაბუქოდონოსორმა გადაასახლა იერუსალიმიდან ბაბილონში 2. (ეს მას მერე მოხდა, რაც მეფე იეჰონია, დედოფალი, კარისკაცები, იუდასა და იერუსალიმის მთარეები, ხეროები და მკედლები წავიდნენ იერუსალიმიდან), 3. და გაუგზავნა ელყასა შაფანის ძის და გამარია ზილკას ძის ხელით, რომელიც მიავლინა იუდას მეფემ ციციამ ნაბუქოდონოსორთან, ბაბილონის მეფესთან, ბაბილონში. 4. ასე ეუბნება ცაბაოთ უფალი, ისრაელის ღმერთი, ყველა გადასახლებულს, ვინც იერუსალიმიდან ბაბილონში გადავასახლე: 5. აშენეთ სახლები და დასახლდით, გააშენეთ ბაღები და ჭამეთ მათი ნაყოფები; 6. ითხოვეთ ცოლები და გააჩინეთ ვაჟები და ასულები; უთხოვეთ ცოლები ვაჟიშვილებს და გაათხოვეთ ასულები; გააჩინონ შვილები ვაჟებმაც და ასულებმაც. გამარავლდით მანდ და არ შემციარდეთ! 7. იბრუნეთ იმ ქალაქის კეთილდღეობისათვის, სა-

დაც გადავასახლეთ; უფალს შეავედრეთ იგი, რადგან მისი კეთილდღეობით თქვენც კეთილდღეობაში იქნებით. 8. რადგან ასე ამბობს ცაბაოთ უფალი, ისრაელის ღმერთი: არ შეგაცდინონ თქვენს შორის მყოფმა წინასწარმეტყველებმა ან თქვენმა მისნებმა, არ დაუჭიროთ თქვენს სიზმრებს, რომლებიც გესიზმრებათ; 9. რადგან სიკრუტაა, რასაც ისინი გიკადაგებენ ჩემი სახელით; მე არ მომივლენია ისინი, ამბობს უფალი. 10. რადგან ასე ამბობს უფალი: როგორც კი შეუსრულდება ბაბილონს სამოცდაათი წელი, მოგზავდეთ და აგისრულებთ ჩემს სასიკეთო სიტყვას, ამ ადგილზე დაგაბრუნებთ-მეთქი. 11. რადგან მე ვიცი ჩემი განზრახვები, რაც თქვენთვის განმიზრახავს, ამბობს უფალი, საკეთილდღეო განზრახვები და არა საზიანო, რათა მოგცეთ მომავალი და იმედი. 12. მომიხმობთ, მოხვალთ, შემევედრებით და მე მოგისმენთ თქვენ 13. დამიწყებთ ძებნას და მიპოვით, თუ მთელი გულით მეძებეთ. 14. მოვიძებნებ თქვენთვის, ამბობს უფალი, და დაგაბრუნებთ წარტაცებულს, შემოგკრებთ ყველა ხალხისგან და ყველა ადგილიდან, სადაც კი გაგდებულნი მყავხართ, ამბობს უფალი, და დაგაბრუნებთ იმ ადგილას, საიდანაც

გადაგასახლეთ. 15. რომ ამბობთ, წინასწარმეტყველნი აღგვიდგინაო უფალმა ბაბილონში, 16. ასე ამბობს უფალი მეფეზე, დავითის მოსაყდრეზე და მთელს ერზე, ამ ქალაქის მკვიდრზე, თქვენს ძმებზე, რომელნიც არ წამოსულან თქვენთან ერთად გადასახლებაში; 17. ასე ამბობს ცაბაოთ უფალი: აჰა, მოეუტევენ მათ მახვილს, შიმშილს და შავ კირს, გავხდი მათ დამპალი ლეღვივით, საკმელად რომ არ ვარგა; 18. მახვილით, შიმშილით და შავი კირით დაუწყებ დევნას, გავხდი საფრთხობელად ყველა სამეფოსთვის დედამიწის ზურგზე, შესაჩვენებლად, შესაზარად, სამასხროდ და სასირცხოდ ყველა ხალხში, სადაც გაგდებული მყოფებიან. 19. იმის სანაცვლოდ, რომ არ ესმოდათ ჩემი სიტყვა, ამბობს უფალი. გიგზავნიდით ჩემს მსახურთ—წინასწარმეტყველებს, გამუდმებით გიგზავნიდით და არ უსმენდით, ამბობს უფალი. 20. თქვენ მაინც გაიგონეთ უფლის სიტყვა, გადასახლებულნო, რომლებიც იერუსალიმიდან ბაბილონში მყოფხართ გიგზავნილი. 21. ასე ამბობს ცაბაოთ უფალი: ისრაელის ღმერთი, ახაბ კოლაიას ძეზე, და ციდიკა მათსიას ძეზე, რომლებიც სიცრუეს გიქადაგებენ ჩემი სახელით. აჰა, ნაბუქოდონოსორის, ბაბილონის მეფის, ზელში ჩავაგდებ მათ და ის დახოცავა მათ თქვენს თვალწინ. 22. წყველის იგავად შეიქნებიან ისინი ბაბილონში გადასახლებული იუდაელებისათვის, რომლებიც იტყვიან: გავხადოს უფალმა ციდიკისავით და ახაბივით, რომლებიც ცეცხლში შეწვა ბაბილონის მეფემ, 23. იმის გულისათვის, რომ სისაძაგლე ჩაიდინეს ისრაელში, რყენიდნენ მეზობლის ცოლებს და სიცრუეს ქადაგებდნენ ჩემი სახელით, რაც არ დამივალვებია მათთვის. მე ვიცი და მოწმე ვარ, ამბობს უფალი. 24. შემაყია ნეხელამიელს უთხარი: 25. ასე ამბობს-თქო ცაბაოთ უფალი, ისრაელის ღმე-

რთი: რაკი შენი სახელით წერილები დაუგზავნე იერუსალიმში მყოფ ხალხს, და მღვდელ სოფონიას მსმენელს, და ყველა მღვდელს, რომელნიცა დაგადგინა მღვდლად იერუსალიმის მღვდლის ნაცვლად, რათა ყური გაგდო უფლის სახლში ყოველ ბნედიანისთვის, წინასწარმეტყველად რომ მოაქვს თავი, ზუნდებში ჩაგესვა და დილეგში ჩაგეგდო, 27. ახლა რატომ არ ამხილებდი იერემია ყანათონელს, წინასწარმეტყველად რომ გაგიხდათ. 28. რადგან ჩვენც გვითვლიდა ბაბილონში: ხანგრძლივიო ეს ამბავი! აშენეთ სახლები და დასახლდით, გააშენეთ ბალები და კამეთ ნაყოფიო. 29. ხმამაღლა წაუტოხა სოფონია მღვდელმა ეს წერილი იერემია წინასწარმეტყველს. 30. მაშინ იყო უფლის სიტყვა იერემიას მიმართ ნათქვამი: 31. შეუთვალე გადასახლებულებს: ასე ამბობს-თქო უფალი შემაყია ნეხელამელზე: რაკი გიქადაგებთ შემაყია, რომელიც მე არ მომივლენია, და ტყუილად გაიმედებთ, 32. ამიტომ, ასე ამბობს უფალი: აჰა, დავსჯი შემაყია ნეხელამელს და მის მოდგმას; კაციშვილი არ დარჩება მისგან ამ ერში, ვერ იხილავს სიკეთეს, რასაც ჩემს ერს გავუტეთებ, ამბობს უფალი, რადგან უფლისაგან განღვრმას ქადაგებდა.

თავი ოცდამათე

1. სიტყვა, რომელიც იყო იერემიას მიმართ უფლისაგან ნათქვამი: 2. ასე ამბობს უფალი, ისრაელის ღმერთი: ჩაიწერე წიგნში ყოველი სიტყვა, რაც ვითხარი. 3. რადგან, აჰა, დგება ქამი, ამბობს უფალი, როცა დავაბრუნებ ჩემი ერისგან—ისრაელისგან და იუდასგან წარტაცებულს, ამბობს უფალი, დავაბრუნებ მათ იმ ქვეყანაში, რომელიც მივეცი მათ მამა-პაპას, და დაიმკვიდრებენ შას. 4. ეს სიტყვებია, რომელიც ილაპარაკა უფალმა ისრა-

ელზე და იუდაზე. 5. სწორედ ასე თქვა უფალმა: შიშის ხმა გვესმის, თავზარისა, არა მშვიდობისა. 6. იცი-თხეთ, მიიხედ-მოიხედეთ, თუ შობს მამაკაცი? რატომღა ვხედავ, რომ წელზე უჭირავს ხელები ყოველ ვაჟიას მშობიარე ქალივით? და ყველას მწვანე ფერი დასდებია სახეზე? 7. ვაი, რა დიდაა ეს დღე! არ ყოფილა მისი მსგავსი. განაჭირის ეამია იგი იაკობისთვის და მისგანვეა მისი ხსნა. 8. იმ დღეს იქნება, ამბობს ცაბაით უფალი, რომ დაველწავ მის უღელს შენს ქედზე და დავწყვეტ შენს მოსართავებს. ველარ დაიმორჩილებს მას უცხო ხალხი. 9. დავმორჩილებიან უფალს, თავიანთ ღმერთს და დავითს, თავიანთ მეფეს, რომელსაც მე აღვეუდგენ. 10. შენ ნუ გეშინია, ჩემო მსახურო იაკობ, ამბობს უფალი; ნუ ფრთხი, ისრაელ, რადგან ამა, დავიხსნი შენ თავს შორეთიდან და შენს მოდგმას მისი ტყვეობის ქვეყნიდან. დაბრუნდება იაკობი, იცოცხლებს მშვიდად და მყუდროდ და აღარ იქნება დამაფრთხობელი. 11. რადგან შენთანა ვარ, ამბობს უფალი, რომ გიხსნა; რადგან ბოლოს მოვუღებ ყველა ხალხს, რომელთა შორისაც მყავხარ გაფანტული; შენ კი არ მოგიღებ ბოლოს, ოღონდ დავსჯი სამართლიანად, დაუსჯელს არ დაგტოვებ. 12. რადგან, ასე ამბობს უფალი: უკურნებელია შენი ჭირი, სამემკვიდრეოა შენი ჭრილობა. 13. არავინ გეყოლება განმკითხველი, არავინ მოგივა ჭრილობის შესახვევად. 14. ყველა მეგობარმა დაგვიფრია და არ კითხულობენ შენს ამბავს, რადგან მტერივით მყავხარ ნაგვემი და სასტიკად დასჯილი დიდი დანაშაულის გამო. გამიმრავლდა ცოდვები. 15. რატომ გაკვნესებს შენი ჭრილობა, უკურნებელი სატყვიარი? შენი დიდი დანაშაულის გამო, ცოდვები რომ გავიმრავლდა, გიყავი ეს ყველაფერი. 16. და მაინც შეიკმებიან შენი შემკმელები, შენი მტრები, ტყვეობაში წავლენ

ყველანი. აოხრდებიან შენი ამოხრებლები, გავაძარცვინებ შენს მსახურელებს. 17. ჭრილობებს შეგნებებს და განგიკურნავ სატყვიარს, ამბობს უფალი, რადგან მოკვეთილი გიწოდეს: ეს არის სიონი, რომლის ამბავსაც არ კითხულობენ. 18. ასე ამბობს უფალი: ამა, დავაბრუნებ იაკობის კარებისგან წარტაცებულს და შევიწყალებ მის დაბებს. და აშენდება ქალაქი თავის მიწაყრილზე და სასახლე თავის ადგილზე დაფუძნდება. 19. გამოვა მათგან სამადლობელი და ხმა სიცილისა; გავამრავლებ მათ და აღარ შემციორდებიან; განვადიდებ და არ დამციორდებიან. 20. იქნებიან მისი შვილები ძველებურად და მისი კრებული მტკიცედ იდგება ჩემს წინაშე და დავსჯი მის დამრთველებს. 21. მისგანვე იქნება მისი მთავარი და მისივე წიაღიდან გამოვა მისი განმგებელი. მოვიახლოვებ მას და ისიც ახლოს მოვა, რადგან ვინ გაბედავს ჩემთან მოსვლას? ამბობს უფალი. 22. იქნებით ჩემი ერი და მეც თქვენი ღმერთი ვიქნები. 23. 23. ამა, უფლის ქარიშხალი — რისხვა აღიძრა, ქარბოზოლა დაატყდება თავს ბოროტეულთ. 24. არ განელდება უფლის ცეცხლოვანი რისხვა, ვიდრე არ აღასრულებს, არ აახდენს განზრახულს. უკანასკნელ დღეებში მიხედებით ამას. 25. იმხანად, ამბობს უფალი, ისრაელის ყველა ტომის ღმერთი ვიქნები და ჩემი ერი იქნებიან ისინი.

თავი ოცდამეთერთმეტი

1. ასე ამბობს უფალი: უდაბნოში კოვა მადლი მახელს გადარჩენილმა ხალხმა. წავალ, შევება რომ მოვეტანო მას, ისრაელს. 2. შორიდან მომევილინა უფალი: სამარადისო სიყვარულით შეგიყვარე, ამიტომაც მადლი შეგინახე. 3. კვლავ ავაშენებ და აშენებელი იქნები, ისრაელის ქალწულო. კვლავ შეამკობ შენს დაირებს და მზიარულ-

ად იროკებ. 4. კვლავ გააშენებ ვენახებს სამარიის მთებზე; ვინც გააშენებს, ის მოისთვლის. 5. რადგან დადგება დღე და გამოაცხადებენ ებგურები ეფრემის მთაზე: ადექით, აუღდეთ სიონზე უფალთან, ჩვენს ღმერთთან. 6. რადგან ასე ამბობს უფალი: უწყემეთ სიხარული იაკობს, იყიენეთ ხალხთა შორის უპირველესისათვის; გამოაცხადეთ, ადიდეთ და იძახდეთ: შენ ისენი, უფალო, შენი ერი, ისრაელის ნატამალი! 7. აჰა, წამოვიყვან მათ ჩრდილო ქვეყნიდან და თავს მოვუყრი ქვეყნის კიდეებიდან. მათთან იქნებიან ბრმა და კოჭლი, ფეხშიშე და მშობიარე, დიდი კრებული დაბრუნდება აქეთ. 8. ტირილით წამოვლენ და მეც ნუგეშისცემით წამოვუძღვები; წყლის პირებზე ვატარებ სწორი გზებით, არ წაიფორხილებენ. რადგან ისრაელის მამა ვარ მე და ეფრემი ჩემი პირშოა. 9. ისმინეთ, უფლის სიტყვა, ხალხებო! გამოუცხადეთ შორეულ კუნძულებს და უთხარით: ვინც გაფანტა ისრაელი, იგივე შეკრებს, მწყემსოვით დაიფარავს თავის ფარას. 10. რადგან გამოისყიდა უფალმა იაკობი, გამოიხსნა მასზე ძლიერის ხელიდან. 11. მოვლენ და ზეიშს გამართავენ სიონის მალღობზე; გაეშურებიან უფლის დოვლათისკენ — ხორბლისკენ, ღვინისკენ, ზეთისკენ და ცხვარძროხისკენ. თავად მორწყულ ბაღს დაემსგავსებიან და არ დაკნებიან არასოდეს. 12. მაშინ გაიხარებს ქალწული ფერხულში, გაიხარებენ კაბუკები და ბერეკაციები. გლოვას სიხარულად შევეუცვლი, ვანუგეშებ და ნუგეშარებას გავუქარებ. 13. დავყურსაც მღვდლებს პოხიერი მსხვერპლით და ჩემი ერი გაძლება ჩემი დოვლათით, ამბობს უფალი. 14. ასე ამბობს უფალი: ხმა ისმის რამათში, მოთქმა და მწარე ტირილი: რახილი და სტირის თავის შეილებს, არ სურს ნუგეში თავის შეილებზე, რადგან აღარ არიან ისინი. 15. ასე ამბობს

უფალი: თავი შეიკავე, ტირილისაგან და ნულარ დაღვრი ცრემლებს. რადგან არის შენი შტამი, ნუგეშაქნი, ამბობს უფალი: დაბრუნდებიან მტრის ქვეყნიდან. 16. არის იმედი შენი მოშავლისა, ამბობს უფალი: დაუბრუნდებიან შენი შეილები თავის საზღვრებს. 17. ცხადად მოიმესმა, რომ წუხს ეფრემი: მსჯი და დასჯილი ვარ შენგან, როგორც გაუხედნელი მოზვერი. მომაქციე და მოვიქციევი, რადგან შენ ხარ უფალი, ჩემი ღმერთი. 18. რადგან მოქცევის შემდეგ მოვიანაიებ და დასჯის შემდეგ თემობზე ხელებს დავიცემ; შერცხვენილი ვარ და გაწილებული, რადგან ჩემი სიყმაწვილის სირცხვილს ვატარებ. 19. ვანა ჩემი ძვირფასი შეილი არ არის ეფრემი? ჩემი ნებიერი ბავშვი არ არის? რამდენჯერ ვახსენებ, იმდენჯერ თვალწინ მიდგას. ამიტომაც შეგანი მეწყვის მის გამო, უნდა შევიბრალო, ამბობს უფალი. 20. აღმართე ნიშნები, ჩააყუდე სამანები და დაუკვირდი გზას, სადაც მიდიხარ. დაბრუნდი ისრაელის ქალწულს! დაუბრუნდი ამ შენს ქალაქებს! 21. როდემდის უნდა იწანწალო, განდგომილი ასულს? სიახლე მოიტანა უფალმა ქვეყანაზე: დიაცი იფარავს ვაჟაკს. 22. ასე ამბობს ცხაობთ უფალი, ისრაელის ღმერთი: ამას იტყვიან იუდას ქვეყანაში და მის ქალაქებში, როცა დაეაბრუნებ მათ წარტაცებულს: გაკურთხოს უფალმა, სიმაართლის სადგურო, მთავრმინდაე! 23. დასახლდება იქ იუდა თავის ქალაქებთან ერთად, მიწისმუშაენი და ჭოგებთან მოარულნი. 24. რადგან სულს მოვათქმევიებ დაღლილ-დაქანცულს და ყოველ ღონემიხდილს. 25. ამაზე გამეღვიძა და დავინახე, რომ მეამა ძილი. 26. აჰა, ღვება ვამი, ამბობს უფალი, და დავთესავ ისრაელის სახლში და იუდას სახლში ადამის თესლს და პირტყვის თესლს. 27. როგორც ვუთვალთვალებდი მათ აღმოსაფხვრელად და გა-

სანადგურებლად, დასამზობად და მოსახლობად, და ვასაუბედურებლად, ასევე კვლავც ვუთვალთვალე, რომ ვაშენებდე და ვრგავდე, ამბობს უფალი. 28. იმხანად აღარ იტყვიან: მამებმა კამეს მკვახე ყურძენი და შვილებს მოეკეთათო კბილები. 29. რადგან ყველა თავისი დანაშაულის გამო მოკვდება: ვინც მკვახე ყურძენს შექვამს, კბილებიც იმას მოეკეთება. 30. აჰა დადგება ქაში, ამბობს უფალი, და ახალ აღთქმას დაეუღებ ისრაელის სახლს და იუდას სახლს, 31. არა ისეთ აღქმას, რომელიც დაეუღევი მათ მამა-პაპას, როცა ხელჩაყიდებული გამოიყვანდა ისინი ეგვიპტის ქვეყნიდან. დაარღვიეს ის ჩემი აღთქმა, თუმცა მე მათი პატრონი ვიყავი, ამბობს უფალი. 32. რადგან ეს არის ის აღთქმა, რომელიც უნდა დაეუღო ისრაელის სახლს იმ დროის შემდეგ, ამბობს უფალი. წილში ჩავუღებ მათ ჩემს რჯულს და გულზე დაეაწერ. და მათი ღმერთი ვიქნები მე და ისინი ჩემი ერი იქნებიან. 33. აღარ დაუწყებენ სწავლებას ერთმანეთს, მეზობელი მეზობელს და ძმა ძმას: შეიცანი უფალიო! რადგან ყველას შეცნობილი ვეყოლები დიდიდან პატარამდე, ამბობს უფალი, რადგან ყველას ვაპატიებ დანაშაულს და აღარ გავუხსენებ ცოდვებს. 34. ასე ამბობს უფალი, რომელიც გვაძლევს მზეს დღის გასანათებლად, მთვარისა და ვარსკვლავთა წესებს ღამის გასანათებლად, რომელიც აღძრავს ზღვას და აბობოქრებს მის ტალღებს და რომლის სახელიცააბოთ უფალია. 35. თუ ეს წესები მომეშალა, ამბობს უფალი, მაშინ ისრაელის მოდგმაც შეწყვეტს სამუდამოდ ჩემს წინაშე ერთად ყოფნას. 36. ასე ამბობს უფალი: თუ შალა ცა გაიზომება და დაბლა მიწის საფუძვლები გამოიკვლევა, მაშინ მეც მოვიძღლებ ისრაელის მთელს მოდგმას ვეღლაფრისთვის, რაც კი ჩაუდენია, ამბობს უფალი. 37. აჰა, დგება ქაში,

ამბობს უფალი, და აუშენდება ქალაქი უფალს ხანანიელის გოდფიდან კუთხის კარიბჭემდე, და იქნება წყდება გამზომი თოჯი უარების მთას და გოყათს შემოუვლის. 38. მთელი ხეობა გვამებისა და ნაცრისა, ყველა ნახანძრალი ადგილი კიდრონის ხევამდე და ცხენთა კარიბჭის კუთხემდე აღმოსავლეთით — უფლის წმინდა იქნება. არ აღმოიფხვრის, არ განადგურდების უკუნიით უკუნისამდე.

თავი ოცდამეთორმეტი

1. სიტყვა, რომელიც იყო იერემიას მიმართ უფლისაგან იუდას მეფის, ციციას მეთე წელს. ეს წელი იყო ნაბუქოდონოსორის მეთვრამეტე წელი. 2. მაშინ გარს ადგა ბაბილონის მეფის ჯარი იერუსალიმს, ხოლო იერემია წინასწარმეტყველი საპატიმროში იყო გამოიწყვდეული, იუდას მეფის სასახლეში, სადაც დაამწყვდია იგი იუდას მეფემ, ციციამ ამ სიტყვებით: რატომ ქადაგებ, ასე ამბობსო უფალი, აჰა, ხელში ჩავუგდებო ამ ქალაქს ბაბილონის მეფეს და დაიპყრობსო? 3. ვერ წაუთა იუდას მეფე ციციკა ხელიდან ქალდეველებს, რადგან ხელში ჩაუვარდებო ბაბილონის მეფეს; პირისპირ ექნება ლაბარაკი და საკუთარი თვალით შეხედავენო ერთმანეთს? 4. ბაბილონში წაიყვანს ციციკას და იქ იქნება, ვიდრე მე არ მოვიკითხავ მას, ამბობსო უფალი? თუ შეებრძოლებით ქალდეველებს, არ გაგიმარჯვდებათ? 5. თქვა იერემიამ: იყო უფლის სიტყვა ჩემს მომართ ნათქვამი: 7. აჰა, ხანამიელ შალუმის ძე, შენი ბიძაშვილი, მოდის შენთან, რომ გითხრას: იყიდე ჩემი ყანა, ყანათოთში რომ მაქვს, რადგან შენ გევალება მისი ყიდვა სანათესაო წესის თანახმად. 8. მოვიდა ჩემთან ხანამიელი, ჩემი ბიძაშვილი, უფლის სიტყვისა-

მებრ, საპატიმროში და მითხრა: იყიდე ყანა, ყანათოთში რომ მაქვს, ბენიაშინის მხარეში, რადგან შენ გვეყვონის მემკვიდროებით და შენია გამოსყიდვის უფლება, იყიდე. და მივხვდი, რომ ეს უფლის სიტყვა იყო. **9.** ვიყიდე ყანა ხანამიელისგან, ჩემი ბიძაშვილისაგან, ყანათოთში, და მივეწონე ჩვიდმეტი შეკელი ვერცხლი. **10.** დაეწერე წიგნი, დაებეჭდე, დაეუძახე მოწმეებს და სასწორზე ავწონე ვერცხლი. **11.** ავიღე ნასყიდობის წიგნი, წესისა და კანონის მიხედვით დაბეჭდილი, და მისი ღია ასლი, **12.** და მივეცი ნასყიდობის წიგნი ბარუქ ნერიას ძეს, მახსიას ძეს, ხანმიელის, ჩემი ბიძაშვილის თვალწინ, მოწმეების თვალწინ, რომელთაც ხელი მოაწერეს ნასყიდობის წიგნს, და ყველა იუდაელის თვალწინ, რომელნიც საპატიმროში ისხდნენ. **13.** და დავავალე მათ თვალწინ ბარუქს და ვუთხარი: **14.** ასე ამბობს უფალი, ისრაელის ღმერთი: აიღე ეს დაწერილები — ეს ნასყიდობის წიგნი, როგორც დაბეჭდილი, ისე ღია, და ჩადევი თიხის კურკელში, რომ დიდხანს ინახებოდეს. **15.** რადგან ასე ამბობს ცაბაოთ უფალი, ისრაელის ღმერთი: კვლავაც იქნება ყიდვა-გაყიდვა სახლებისა, ყანებისა და ვენახებისა ამ ქვეყანაში. **16.** გადავეცი ნასყიდობის წიგნი ბარუქ ნერიას ძეს და ასე ვილოცე უფლისადმი: **17.** ეჰა, უფალო ღმერთო! შენი შექმნილია ცა და მიწა დიდი ძალითა და მოღერებული მკლავით. არაფერია შენთვის შეუძლებელი. **18.** წყალობას მოაფენ ათასებზე და შეილებს მოკითხვებ მამების დანაშაულს მათ შემდეგ, დიდო ღმერთო, ძლიერო, რომლის სახელი ცაბაოთ უფალია. **19.** დიდგანმზრახველო და მრავლისმოქმედო, რომელსაც ღია გაქვს თვლები ადამის ძეთა საქციელის მიმართ, რათა მიაგო თითოეულს თავისი საქციელისა და თავისი ნამოქმედარის მიხედვით; **20.** რომელ-

მაც მოახდინე ნიშნები და სასწაულები ეგვიპტის ქვეყნებში. დაეწერე და დაეუძახე ისრაელში და ადამის მიმართ და მოიხვეკე სახელი, როგორც დღესა გაქვს. **21.** შენ გამოიყვანე შენი ერთი ისრაელი ეგვიპტის ქვეყნიდან ნიშებითა და სასწაულებით, მაგარი ხელითა და მოღერებული მკლავით, დიდი შიშისხარის მეოხებით. **22.** მიეცი მათ ეს ქვეყანა, რომელიც მათთვის გქონდა აღთქმული მისაცემად — ქვეყანა, რაითა და თაფლით მდინარი. **23.** მოვიდნენ და დაიმკვიდრეს იგი, მაგრამ არ გაიგონეს შენი ხმა, არ იარეს შენს რჯულზე, არ შეასრულეს შენი ნაბრძანები და შენ შეამთხვიე მათ ყველა ეს უბედურება. **24.** აჰა, მიწაყრილები შემოადგა ქალაქს მის დასაპყრობად: მახვილს, შიშოლსა და შავ კირს მიცემული ქალაქი უვარდება ხელში ქალდეველებს, რომლებიც უტყვენ მას. უკვე ახდა შენი ნათქვამი, თავადაც ხედავ. **25.** და მაინც შეუბნები, უფალო ღმერთო: იყიდე ყანა ვერცხლით და მოწმეებს დაუძახეო. მაშინ როცა ქალაქი ქალდეველებს ჩაუვარდა ხელში. **26.** იყო უფლის სიტყვა იერემიას მიმართ ნათქვამი: **27.** აჰა, მე ვარ უფალი, ყოველი, ზორციელის ღმერთი! განა არის რაიმე შეუძლებელი ჩემთვის? **28.** ამიტომ ამბობს უფალი: აჰა, ხელში ჩაუვუდებ ამ ქალაქს ქალდეველებს და ნაბუქოდონოსორას, ბაბილონის მეფეს, რომელიც დაიპყრობს მას. **29.** მოვლენ ქალდეველები, რომლებიც უტყვენ ამ ქალაქს, ციხელში დასწავენ ამ ქალაქს, გადაბუფავენ სახლებიანად, რომლის ბანებზე ბაალს უმევენდენ და უცხო ღმერთებს უღვრიდნენ საღვრელს ჩემს გასაჭაგრებლად; **30.** რადგან მხოლოდ ბოროტებას-სჩადიდონდენ ჩემს თვალში ისრაელიანები და იუდაელები სიყმაწვილიდანვე; რადგან მხოლოდ მჭაფვრებდნენ ისრაელიანები თავიანთი ხელის ნამოქმედართ, ამბობს უფალი. **31.** რადგან ჩემს



რისხვად და წყრომად მყავს ეს ქალაქი მიიღ აშენებიდან დღემდე, რომ თავიდან მოვიშორო იგი 32. ისრაელიანთა და იუდეველთა ყველა ბოროტების გამო, რასაც ჩემს გასაჯარებლად სწადიოდნენ თავად ისინი, მათი მეფეები, მათი მთაერები, მათი მღვდლები და მათი წინასწარმეტყველები, ყოველი იუდაელი და იერუსალიმის მცხოვრები. 33. ზურგი მიმამტკიცეს, არა სახე; ვაწაველოდი მათ, გამუდმებით ვასწავლოდი, მაგრამ არაფერ იყო გამგონე, რომ ქვეა ესწავლებინათ. 34. დგამდნენ თავიანთ სისამაგლეებს სახლში, რომელიც ჩემი სახელით იწოდებოდა, რათა შეებლათ იგი. 35. აშენებდნენ ბაალის გორაკებს ბენ-ჰინომის ველზე, რომ საკეთარი ვაყები და ასულები შეეწირათ მოლოქისთვის, რაც არ მიბრძანებია მათთვის; ფიქრადაც არ მომხვლია, თუ ასეთი სიბილწის ჩადენა შეიძლებოდა იუდას შესაცდენად. 36. ახლაკი, ამიტომ ასე ამბობს უფალი, ისრაელის ღმერთი ამ ქალაქზე, რომელზეც თქვენ ამბობთ: მახვილს, შიმშილს და შავი ჭირის წყალობით ჩაუვარდაო ხელში ბაბილონის მეფეს. 37. აჰა, თავს მოუყური მათ ყოველი ქვეყნიდან, სადაც გავრეკე ისინი ჩემი მძვინვარე რისხვითა და დიდი წყრომით; დაეაბრუნებ ამ ადგილზე და საიმედოდ დაეასახლებ. 38. ჩემი ერი იქნებიან ისინი და მე მათი ღმერთი ვიქნები. 39. ჩაუდგამ მათ ერთ გულს და მიუცემ ერთ გზას, რომ მუდამ ეშინოდეთ ჩემი თავიანთ სასიკეთოდ და თავიანთი შეილები სასიკეთოდ მათ შემდგომ. 40. დაედებ მათთან სამარადისო ალთქმას, რომ აღარ მივატოვებ მათ და სიკეთეს არ მოვაცლებ, ჩემს შიშს ჩავენერგავ გულში, რომ არ განმიდგნენ. 41. გავიხარებ მათით, რომ შემეძლება სიკეთე ვუყო; მტკიცედ დავენერგავ მათ ამ ქვეყანაში მთელი ჩემი გულითა და მთელი ჩემი სულით. 42. რადგან ასე ამბობს უფალი: როგორც

მოვეუვლინე ამ ხალხს ყველა ეს დიდი უბედურება, ასევე მოვეუვლინე ყველა სიკეთეს, რაც აღმეცხვება იყიდიან ყანებს ამ ქვეყანაში, რომელზეც თქვენ ამბობთ, გაუდაბურდა, ადამიანის და პირუტყვის ქაჭანება არ არის, ქალდეველებს ჩაუვარდათ ხელში. 44. ვერცხლით იყიდიან ყანებს, ჩაწერენ წიგნში და დაბეჭდავენ, დაუახებენ მოწმეებს ბენიამინის მხარეში. იერუსალიმის შემოგარენში, იუდას ქალაქებში, მთისა და ბარის ქალაქებში, და სამხრეთის ქალაქებში; რადგან დაეაბრუნებ მათ წარტაცებულს, ამბობს უფალი.

თავი ოცდამეცამეა

1. იყო უფლის სიტყვა იერემიას მიმართ მეორე გზის, როცა ჭერ კიდევ საპურობილეში იყო დამწყვედეული. 2. ასე ამბობს უფალი, რომელმაც შექმნა მიწა, და უფალი, რომელმაც გამოსახა იგი, რათა დაეფუძნებინა. უფალია მისი სახელი. 3. მიხმე და პასუხს გაგცემ და გამოგიცხადებ დიდსა და მოუწვდომელ რასმე, რაც აქამდე არ იცოდით. 4. რადგან ასე ამბობს უფალი, ისრაელის ღმერთი, ამ ქალაქის სახლებზე და იუდას მეფის სახლებზე, რომლებიც ალყამ და მახვილმა დაანგრია. 5. როცა მოვიდნენ ქალდეველებთან საბრძოლველად და მათ ასაცხებად ადამიანთა გვამებით, რომელნიც მე გავწყვიტე რისხვითა და წყრომით, რადგან მათი ბოროტების გამო პირი შევაქციე ამ ქალაქს. 6. აჰა, შეეუბორებ მას ჭრილობას და განგუჯრნავ, მოვარჩენ მათ და გამოვუჩენ მათ უზომო მშვიდობასა და კეშმარტებას; 7. დაეაბრუნებ იუდას და ისრაელის წარტაცებულს და წინანდებურად ავაშენებ მათ. 8. გავწმენდ მათ ყოველგვარი დანაშაულისგან, რითაც შემცოდეს, და ვაპატიებ ყოველგვარ დანაშაულს, რითაც შემცოდეს

და განმიდგენ. 9. სიხარულის წყაროდ იქცევა ჩემთვის იერუსალიმი და საქება-სადიდებლად — ქვეყნის ხალხებისათვის, რომლებიც გაიგებენ ყველა სიკეთეს, რასაც გავუეტებ მას. შეშინდებიან და თავზარი დაეცემათ ყველა იმ სიკეთისა და კეთილდღეობის გამო, რასაც მას მოუფტან. 10. ასე ამბობს უფალი: კვლავ გაიხშება ამ ადგილის, რომლის გამოც ამბობთ, გაუდებურდა, არც კაცი, არც პირუტყვი არ ჰკვანებსო, — იუდას ქალაქებში და იერუსალიმის ქუჩებში, აწ უკაცრიელში, სადაც არც კაცი, არც პირუტყვი არ ჰკვანებს, 11. ხმა სიხარულითა, ხმა შევებისა, ხმა სიძისა და პატარაძისა, ხმა, რომელიც იტყვის: მადლი მოახსენეთ ცაბათ უფალს, რადგან კეთილია უფალი და მადლი მისი სამარადისო! და მიიტანენ სამადლობელ მსხვერპლს უფლის სახლში, რადგან დავაბრუნებ ქვეყნიდან წარტყვენილებს, როგორც თავიდანვე იყვნენ, ამბობს უფალი. 12. ამბობს ცაბათ უფალი: ამ გაუდებურებულ ადგილზე და მის ქალაქებში, სადაც არ ჰკვანებს არც კაცი, არც პირუტყვი, კვლავ გაჩნდება მწყემსთა ბინები, მათი ჯოგის სადგომები. 13. მთისა და ბარის ქალაქებში, სამხრეთის ქალაქებში, ბენიამინის მხარეში, იერუსალიმის შემოგარენში და იუდას ქალაქებში კვლავ გაივლის ცხვარი მისი დამთვლელის ხელში, ამბობს უფალი. 14. აჰა, დგება ქამი, ამბობს უფალი, როცა უნდა ავახდინო სასიკეთო სიტყვა, რაც ისრაელის სახლზე და იუდას სახლზე წარმოვთქვი. 15. იმ დღეებში და იმჟამად აღმოვეუცენებ დავითს ჰეშმარიტ მორჩილს და გავაჩენ სამართალს და სიმართლეს ქვეყანაში. 16. იმ ხანებში თავს დაიხსნის იუდა და საიმედოდ დამკვიდრდება იერუსალიმი და ეს იქნება მისი სახელი: უფალი ხსნა ჩვენი. 17. რადგან ასე ამბობს უფალი: არ მოაკლდება მემკვიდრე დავითს, ისრაელის სახლის

ტახტზე მჯდომარე. 18. არ მოაკლდებათ ლევიანთა მღვდლები, მემკვიდრე ჩემს წინაშე აღსაულებლად მემკვიდრე ძღვენის მემკვიდრე და საკლავის მიმართანი სამარადისოდ. 19. იყო უფლის სიტყვა იერემიას მიმართ ნათქვამი: 20. ასე ამბობს უფალი: თუ შეგვკლებათ წაარღვიოთ ჩემი აღთქმა დღის მიმართ და ჩემი აღთქმა ღამის მიმართ, რომ თავის დროზე არ ენაცვლებოდეს ერთმანეს დღე და ღამე, 21. მაშინ დაირღვევა ჩემი აღთქმაც დავითთან — ჩემს მსახურთან, რომ აღარ ეყოლოს ძე მის ტახტზე გასამეფებელი, და ლევიან მღვდლებთან — ჩემს მსახურებთან. 22. როგორც ცის მხედრობაა აღურაცხელი და ზღვის ქვიშაა განუხსლვრელი, ასე გაემარავლებ შენი მსახურის — დავითის თესლს, და ლევიანებს, რომლებიც მემსახურებიან მე. 23. იყო უფლის სიტყვა იერემიას მიმართ ნათქვამი: 24. ხომ დაინახე, რას ამბობს ეს ხალხი: მოიშორაო უფალმა თავისი რჩეული ორი ტომი? ისე შეიძულეს ჩემი ერი, რომ ხალხდაც აღარ მიაჩნიათ. 25. ასე თქვა უფალმა: რომ არ დამედო ჩემი აღთქმა დღის მიმართ და ღამის მიმართ, და წესი ცისა და მიწისთვის, 26. მაშინ იაკობისა და დავითის — ჩემი მსახურის მოდგმასაც მოვიძულებდი და არ ავიყვანდი მისი თესლიდან ხელმწიფეებს. იბრაამის, ისაკისა და იაკობის თესლისთვის, რადგან ვაპირებ დავაბრუნო მათი წარტყვენილნი და შევიწყალო ისინი.

თავი ოცდამეთერთმეტე

1. სიტყვა, რომელიც იყო იერემიას მიმართ უფლისაგან ნათქვამი, როცა ნაბუქოდონოსორი, ბაბილონის მეფე, მთელი თავისი ლაშქრითურთ, მისი ხელქვეითი სამეფოები და ხალხები უტევდნენ იერუსალიმს და მის დაბებს. 2. ასე ამბობს უფალი, ისრაელ-

ლის ღმერთი: წადი და უთხარი იუდას მეფეს, ციციას, უთხარი მას, ასე ამბობს-თქო უფალი: ამა, ხელში ჩაუვლებ ამ ქალაქს ბაბილონის მეფეს, რომელიც ცეცხლში დასწავს მას.

3. თავად შენ ვერ დაუსხლტები ხელში ჩაუვარდები. შენი თვალით იხილავ ბაბილონის მეფეს და მისი ბაგე ილაპარაკებს შენს ბაგესთან. და ბაბილონში წახვალ. 4. მაინც ისინი უფლის სიტყვა, ციციკა, იუდას მეფე! ასე ამბობს უფალი შენზე: მახვილით სიკვდილი არ გიწერია. 5. მშვიდად მოკვდები და, როგორც შენს მამა-პაპს, შენს წინამორბედ მეფეებს, უკვედნენ საკმევლს, ასევე შენც დაგიკმევენ და, ვაი, ბატონოო, დაგოტორებენ. ნამდვილად ახდება ჩემი ნათქვამი, ამბობს უფალი. 6. უამბო იერემია წინასწარმეტყველმა ციციას, იუდას მეფეს, ყოველი ეს სიტყვა იერუსალიმში. 7. ხოლო ბაბილონის მეფის ლაშქარი შემომდგარი იყო იერუსალიმს და იუდას დანაჩენ ქალაქებს — ლაქიშს და ყაზეკს, რადგან ესენი იყვნენ იუდას ქალაქებს შორის გამაგრებულნი. 8. სიტყვა, რომელიც იყო იერემიას მიმართ უფლისგან ნათქვამი მას შემდეგ, რაც მეფე ციციამ აღთქმა დაადებინა მთელს ხალხს, ვინც კი იერუსალიმში იყო, რომ აზატობა გამოეცხადებინათ, 9. რომ ყველას გაეთავისუფლებინათ თავისი ყმა და მხევალი, ებრაელი კაცი და ქალი, რათა აღარავის ჰყოლოდა ყმად თავისი მოძმე ებრაელი. 10. დამორჩილდნენ მთავრები და მთელი ხალხი, ვისაც კი აღთქმა ჰქონდათ დადებული, რომ გაათავისუფლებდნენ თავ-თავის ყმებსა და მხეველებს და აღარ ეყოლებოდათ ყმა. დამორჩილდნენ და გაათავისუფლეს. 11. მაგრამ ამის შემდეგ გამოეცხადათ გუნება დაიბრუნეს ყმები და მხეველები, რომლებიც გაათავისუფლებული ჰყავდათ, და აიძულეს კვლავ ყმები და მხეველები

ბი გამხდარიყვნენ. 12. იყო უფლის სიტყვა იერემიას მიმართ უფლისგან ნათქვამი: 13. ასე ამბობს უფალი: რაელის ღმერთი: მე დავედვი აღთქმა თქვენს მამა-პაპასთან, როცა ეგვიპტის ქვეყნიდან, მონობის სახლიდან, გამოწყავლა ისინი, ვუთხარი: 14. ყოველ მეშვიდე წელს გაუშეით თითოეულმა მოძმე ებრაელი, რომელიც მოგვეყიდათ და ექვს წელიწადს გამსახურებოდათ; თავისუფლად გაუშეით-მეთქი შენგან. მაგრამ არ გამიგონათ თქვენმა მამა-პაპამ და ყური არ მათხოვა. 15. თქვენ მოინანიეთ და სწორად მოიქცით ჩემს თვალში, რომ თითოეულმა თავისუფლება გამოეცხადა თავის მოძმეს და ჩემს წინაშე აღთქმა დადო ამ სახლში, რომელიც ჩემი სახელით იწოდება. 16. მერე გუნება გეცხადათ და შელაბეთ ჩემი სახელი, დაიბრუნეთ თითოეულმა ყმა და მხევალი, რომლებიც გაშვებული ჰყავდათ მათ ნებაზე, და აიძულეთ ისინი კვლავ ყმებად და მხეველებად გაგხდომოდნენ. 17. ამიტომ ასე ამბობს უფალი: რაკი არ დაემორჩილეთ და არ გაუშეით თითოეულმა თავისი მოძმე და თითოეულმა თავის მახლობელი, ამა მე გამოეფუშებ, ამბობს უფალი, მახვილს, შავ ქირსას და შიმშილს თქვენზე და გაგხდით სააბუჩოდ ქვეყნის ყველა სამეფოსათვის. 18. ჩავადგებ ჩემი აღთქმის დამრღვევებს, ვინც არ შეასრულა აღთქმის სიტყვები, ჩემს წინაშე რომ დადეს, როცა ორად გახლიჩეს ხბო და მის ნაწილებს შორის გაიარეს. 19. იუდას მთავრებს და იერუსალიმის მთავრებს, კარისკაცებს და მღვდლებს, ქვეყნის მთელს ხალხს, რომლებმაც გაიარეს ხბოს ნაწილებს შორის, 20. ჩავადგებ მათ მათი მტრებისა და მათი მესისხლეების ხელში და მათი გვამები კის ფრინველთა და მიწის მხეტთა საჩიჯგნი გახდება. 21. ხოლო ციციას, იუდას მეფეს, და მის მთავრებს ჩავადგებ მათი მტრებისა და მესისხლეების ხელში, ბაბილონის

მეფის ლაშქრის ხელში, რომელმაც ახლა დაგანებათ თავი და მოხსნა ალყა. 22. ამა, ვბრძანებ, ამბობს უფალი, და მოეპარუნებ მათ ამ ქალაქისკენ, შეუტყვენ და აიღებენ მას ცეცხლში დასწვავენ. და უდაბნოდ ვაქციე იუდას ქალაქებს და გავაუკაცურებ.

თავი ოცდამეთხუთმეტი

1. სიტყვა, რომელიც იყო იერემიას მიმართ უფლისგან იუდას მეფის იეჰოაკიმ იოშის ძის დროს: 2. წადი რეჰაბიანთა თემში, ელაბარაკე დამოიყვანე ისინი უფლის სახლში, ერთ-ერთ სენაკში და ღვინო შეასვი. 3. და წამოვიყვანე იაზანია, იერემიასი, ძისა ხაბაციონისი, მისი ძმები, მისი შვილები და რეჰაბიანთა მთელი თემი. 4. და მივიყვანე ისინი უფლის სახლში, ლეთისკაცის ხანან ივდალიას ძის სენაკში, რომელიც მთავართა სენაკის გვერდით იყო, მაყასეთა შალუმის ძის, ზღურბლის მცველის, სენაკის ზემოთ. 5. წინ დაეუდგი რეჰაბიანთა თემის შვილებს ღვინით სავსე თასები და ფიალები და ვუთხარი მათ: შესვით ღვინო. 6. თქვეს: ღვინოს არა ვსვამთ, რადგან იონადაბ რეჰაბის ძემ, ჩვენმა წინაპარმა, გვიანდერძა: ღვინოს ნუ შესვამთ ნურასოდეს, ნურც თქვენ და ნურც თქვენი შვილებიო. 7. სახლებს ნუ ააშენებთ, თესლს ნუ დათესავთ, ვენახს ნუ გააშენებთ, ნურაფერს იქონიებთ; მხოლოდ კარვებში იცხოვრეთ მთელი სიცოცხლე, რათა დიდხანს იცოცხოთ დედამიწის ზურგზე, სადაც მდგმურებად ხართ მოსულიო. 8. ჩვენ ვემორჩილებით იონადაბ რეჰაბის ძეს, ჩვენს წინაპარს, ყველაფერში, რაც გვიანდერძა: არ დავლიოთ ღვინო მთელი ჩვენი ციციობა, არც ჩვენ, არც ჩვენმა ცოლებმა, არც ჩვენმა ვაჟებმა და არც ჩვენმა ასულებმა, 9. არ ვაშენოთ სახლები საცხოვრებლად. არა გვაქვს არც ვენახი, არც ყა-

ნა, არც ნათესები, 10. და ვცხოვრობთ კარვებში და ვცხოვრობთ იონადაბს, ჩვენს წინაპარს, და ვცხოვრობთ ისე ვაკეთებთ, როგორც გვიანდერძა. 11. როცა ნაბუქოდონოსორი, ბაბილონის მეფე, მოადგა ქვეყანას, ჩვენ ვთქვიით: წამო, წავიდეთ იერუსალიმში, გავეცალოთ ქალღვეულთა და არამელთა ლაშქარს. და ვცხოვრობთ იერუსალიმში. 12. იყო უფლის სიტყვა იერემიას მიმართ ნათქვამი: 13. ასე ამბობს ცაბაოთ უფალი, ისრაელის ღმერთი: წადი, უთხარი იუდას ხალხს და იერუსალიმის მცხოვრებთ: ნუთუ აღარ ისწავლით ჳკუას და არ გაიგონებთ ჩემს ნათქვამს? ამბობს უფალი. 14. სრულდება იონადაბ რეჰაბის ძის ნაანდერძევი სიტყვები თავისი შთამომავლებისადმი, რომ არ დალიონ ღვინო, და დღემდე არ სვამენ, რადგან ემორჩილებიან თავიანთი წინაპრის ანდერძს. მე კი გამუდმებით გელაპარაკებით, მაგრამ ჩემი გაგონებაც არ გინდოდათ. 15. გამუდმებით გაბარებდი თქვენთან ჩემს მსახურთ — წინასწარმეტყველებს: მოიქეცით ბოროტი გზიდან, გამოასწორეთ საქციელი, ნუ მისდევთ სხვა ღმერთებს თაყვანაყცემად და დარჩებით ამ მიწაზე, რომელიც თქვენთვის და თქვენი მამა-პაპისთვის მომიცია-მეთქი. მაგრამ თქვენ ყური არ მითხოვეთ და არ გამოიგონეთ. 16. ასეა, ასრულებენ იონადაბ რეჰაბის შთამომავლები თავიანთი წინაპრის ნაანდერძეს. ამ ხალხს კი ჩემი გაგონება არ უნდა 17. ამიტომ ასე ამბობს უფალი, ცაბაოთ ღმერთი, ისრაელის ღმერთი: ამა, მოვევლენ იუდას და იერუსალიმის მცხოვრებთ ყველა ბოროტებას, რითაც დავემუქრე მათ იმის გამო, რომ ველაპარაკებოდი და არ მიგონებდნენ, ვტხმობდი და ხმა არ მცემდნენ. 18. რეჰაბიანთა თემს უთხრა იერემიამ: ასე ამბობს ცაბაოთ უფალი, ისრაელის ღმერთი: რაკი დაემორჩილეთ თქვენი წინაპრის იონადაბის ნაანდე-

რძევს, იცავთ მის ყოველ ნაანდერ-
ძევს, და ყველაფერს ისე აკეთებთ,
როგორც მან გიანდერძათ, 19. ამიტო-
მაც, ასე ამბობს ცაბაოთ უფალი, ის-
რაელის ღმერთი: არასოდეს მოაკლ-
დეს იონადაბ რეკაბის ძეს ჩემს წინა-
შე მდგომი კაცი.

თავი ოცდამეთექვსმეტი

1. იუდას მეფის, იეპოაკიმ იოშას
ძის მეოთხე წელს იყო უფლისგან ეს
სიტყვა იერემიას მიმართ ნათქვამი: 2.
აიღე საწერი გრაგნილი და დაწერე
ზედ ყოველი სიტყვა, რაც მოთქვამს
შენთვის ისრაელზე, იუდაზე და ყვე-
ლა ხალხზე იმ დღიდან, რაც ლაპარა-
კი დაგიწყე, იოშას გამეფებიდან
დღემდე. 3. იქნებ შეაფიქრიანოს იუ-
დას სახლი ყველა უბედურებამ, რის
ქმნასაც ვუპირებ მათ, იქნებ მიატო-
ვონ თავიანთი ბოროტი გზა და ვაპა-
ტოო დანაშაული და შეცოდება. 4.
უბმო იერემიამ ბარუქ ნერიას ძეს და
დაწერა ბარუქმა გრაგნილზე იერემიას
კარნახით უფლის ყოველი სიტყვა,
რაც ნათქვამი ჰქონდა იერემიასთვის
უფალს. 5. დაავალა იერემიამ ბარუქს:
მე დამწყვდევული ვარ, არ შემოდლია
უფლის სახლში მისვლა. 6. შენ თვი-
თონ წადი უფლის სახლში და, მარხვის
დღეს, ხალხის გასაგონად წაიკითხე
ეს გრაგნილი, რომელზეც ჩემი კარ-
ნახით გაქვს უფლის სიტყვები დაწე-
რილი; მთელი იუდას ხალხის და მისი
ქალაქებიდან მოსულთა გასაგონად
წაიკითხე. 7. იქნებ მისწყვედეს მათი
მუდარა უფალს და მოიქცნენ თავიან-
თი ბოროტი გზიდან, რადგან დიდია
რისხვა და წყრომა, რითაც დააშინა
უფალმა ეს ხალხი. 8. ყველაფერი ისე
გააკეთა ბარუქ ნერიას ძემ, როგორც
დაავალა მას იერემია წინასწარმეტყ-
ველმა, რომ წაიკითხა წიგნიდან უფ-
ლის სიტყვები უფლის სახლში. 9.
იუდას მეფის, იეპოაკიმ იოშას ძის,


მეხუთე წელს, მეცხრე თვეს, გამო-
უცხადეს მარხვა უფლისწულწინაშე: რე-
რუსალიმის მთელს ხალხს დაწვედნას,
ვინც კი იუდას ქალაქებიდან იერუსა-
ლიმში იყო მოსული. 10. წაიკითხა
ბარუქმა წიგნიდან მთელი ხალხის გა-
საგონად იერემიას სიტყვები უფლის
სახლში, გემარიას, შაფან მწერლის
ძის ოთახში, რომელიც მდებარეობდა
ზემო ეზოში, უფლის სახლის კარიბ-
კის შესასვლელთან. 11. გაიგონა მი-
ქაიამ, შაფანის ძემ, გემარიას ძემ,
უფლის სიტყვები, წიგნიდან წაიკითხე-
ლი, 12. და ჩავიდა მეფის სახლში, მე-
ფის მწერლის ოთახში, სადაც იჭდა
ყველა მთავარი: ელიშამაყ მწერალი,
დალაია შემაყიას ძე, ელნათან ყაბზო-
რის ძე, გემარია შაფანის ძე, ციდეია
ხანანიას ძე და ყველა მთავარი. 13.
მოახსენა მათ მიქაიამ ყოველი სიტყვა,
რაც გაიგონა, როცა ბარუქი წიგნიდან
კითხულობდა ხალხის გასაგონად. 14.
მაშინ გაგზავნეს მთავრებმა ბარუქთან
იეჰუდი, ძე ნეთანიასი, ძისა შელამია-
სი, ძისა ქუშისა, და შეუთვალეს: აი-
ღე ხელში გრაგნილი, რომელსაც ხა-
ლხის გასაგონად კითხულობდი, და
მოდი. და აიღო ბარუქ ნერიას ძემ ხე-
ლში გრაგნილი და მივიდა მათთან.
15. უთხრეს: დაჭექი და წაიკითხე
ჩვენს გასაგონად, და წაიკითხა ბარუ-
ქმაც მათ გასაგონად. 16. როცა მოის-
მინეს ყოველი სიტყვა, შეეშინდათ
ერთმანეთს და უთხრეს ბარუქს: უე-
ჭველად მოგახსენებთ მეფეს ყოველ
სიტყვას. 17. კითხეს ბარუქს: გავითხ-
არი, რატომ ჩაიწერე მისი კარნახით
ეს სიტყვები? 18. უთხრა მათ ბარუ-
ქმა: თავად მკარნახობდა ამ სიტყვებს
და მეც ვიწერდი წიგნიშვი მელნით. 19.
უთხრეს მთავრებმა ბარუქს: წადით
და დაიმაღეთ შენ და იერემია, რომ
კაციშვილმა არ გაიგოს თქვენი სამ-
ყოფელი! 20. და ეახლნენ კარზე მე-
ფეს (გრაგნილი კი ელიშამაყ მწერ-
ლის ოთახში შეინახეს) და მოახსენეს
მეფეს ყოველი სიტყვა. 21. და გაგზა-

ენა მეფემ იეჰუდი გრაგნილის მოხატანად და მოიტანა იეჰუდიმ იგი ელი-შამაყ მწერლის ოთახიდან, და წაიკითხა მეფისა და ყველა მთავრის გასაგონად, ვინც მეფესთან იდგა. **22.** ხოლო მეფე სახამთრო სასახლეში იჯდა, რადგან მეცბრე თვე იყო, და მის წინ მაყალი ენთო. **23.** წაიკითხავდა თუ არა იეჰუდი სამ-ოთხ სვეტს, მოჰკრიდა მეფე მწერლის დანით და ჩააგდებდა ცეცხლში, მაყალში რომ ენთო, ვიდრე მთელი გრაგნილი მთლიანად არ დაიწვა მაყალს ცეცხლში. **24.** არ შეშინებულან, არც საშოსელი შემოვლელეთათ მეფეს და მის მსახურთ, როცა ეს სიტყვა მოისმინეს. **25.** კიდევ ევედრნენ მეფეს ელნათანი, დელია და გემარია, არ დაეწვა გრაგნილი, მაგრამ არ გაუგონა მათ. **26.** უბრძანა მეფემ უფლისწულ იერახმეილს, სერაია ყაზრიელის ძეს და შელემია ყაბდიელის ძეს, მოეყვანათ მწერალი ბარუქი და წინასწარმეტყველი იერემია. მაგრამ უფალმა დაიფარა ისინი. **27.** იყო უფლის სიტყვა იერემიას მიმართ ნათქვამი მას შემდეგ, რაც მეფემ დაწვა გრაგნილი და ყოველი სიტყვა, რომელიც დაწერილი ჰქონდა ბარუქს იემიას კარნახით: **28.** აიღე სხვა გრაგნილი და დაწერე მასზე ყოველი სიტყვა, რაც იმ პირველ გრაგნილზე ეწერა, რომელიც იუდას მეფემ, იეჰოაკიმმა დაწვა. **29.** თქვი იეჰოაკიმზე, იუდას მეფეზე: ასე ამბობს-თქო უფალი: შენ დაწვი ეს გრაგნილი და ამბობდი: რატომ დაწერე, რომ უეჭველად მოვა ბაბილონის მეფე, ამოაგდებს ამ ქვეყანას, ამოაგდებს ადამიანისა და პირუტყვის სახსენებელსო? **30.** ამიტომ ასე ამბობს უფალი იეჰოაკიმ იუდას მეფეზე: არ ეყოლება მთა შთამომავალი, დავითის მოსაყდრე, ეგდება მისი გვამი დღის ხვატში და ღამის ყინვაში. **31.** დავსჯი მას, მის მოდგმას და მის მსახურთ მათი დანაშაულის გამო; მოვფლენ მათ — იერუსალიმის ყველა მცხოვრებს და იუდას ხალხს ყვე-

ლა უბედურებას, რითაც ვეშქვრებოდი, მაგრამ არ ესმოდნენ მისი ხელი იერემიამ მეორე გრაგნილი წამსცა იგი ბარუქ ნერიას ძეს, მწერალს, და მანაც დაწერა მასზე იერემიას კარნახით ყოველი სიტყვა იმ წიგნისა, რომელიც დაწვა ცეცხლში იეჰოაკიმმა, იუდას მეფემ. მას კიდევ დაემატა სხვა ბევრი სიტყვა.

მთავი ოცდაჩვიდმეტი

1. გამეფდა ქონია იეჰოაკიმის ძის ნაცულად ციციკა იოშის ძე, რომელიც ნაბუქოდონოსორმა, ბაბილონის მეფემ, გამეფა იუდას ქვეყანაში. **2.** არ ესმოდათ არც მას, არც მის მსახურთ, არც მდაბიო ხალხს უფლის სიტყვები, რომელსაც იერემია წინასწარმეტყველას ხელით აცხადებდა იგი. **3.** მიუგზავნა მეფე ციციკამ იეჰუქალ შელემიას ძე და სოფონია მაყასუას ძე, მღვდელი, იერემია წინასწარმეტყველს, შეუთვალა: შევედრე ჩვენთვის უფალს, ჩვენს ღმერთს. **4.** მაშინ თავისუფლად მიდი-მოდიოდა იერემია, ჭერ კიდევ არ დაემწყვდიათ საპყრობილეში. **5.** ამასობაში გამოვიდა ფარაონის ლაშქარი ეგვიპტიდან და გაიგეს ეს ამბავი იერუსალიმზე მიმდგარმა ქალღვევლებმა და მოხსნეს ალყა. **6.** იყო უფლის სიტყვა იერემია წინასწარმეტყველის მიმართ ნათქვამი: **7.** ასე ამბობს უფალი, ისრაელის ღმერთი: ასე უთხარით იუდას მეფეს, რომელმაც ჩემთან გამოგზავნათ შესაკითხად: აჰა, თავის ქვეყანაში, ეგვიპტეში, დაბრუნდება ფარაონის ლაშქარი, თქვენს დასახმარებლად რომ გამოვიდა. **8.** მობრუნდებიან ქალღვევლები, შეუბრუნენ ამ ქალაქს, აიღებენ და ცეცხლში დაწვანენ. **9.** ასე ამბობს უფალი: თავს ნუ მოიტყუებთ, უეჭველად გავცეცლებიანო ქალღვევლები, რადგან არ გავცეცლებიან. **10.** კიდევ რომ დაამარცხოთ ქალღვევ-



თა მთელი ლაშქარი, თქვენ რომ გიტყვით, და მხოლოდ დაპირებები-ღა დარჩნენ მათთან თავ-თავის კარგებში, ისინი მაინც წამოდგებიან და გადაწვევენ ამ ქალაქს. 11. როცა ქალდეველთა ლაშქარი ფარაონის ლაშქრის შიშით იერუსალიმს გაეცალა, 12. დააპირა იერემიამ იერუსალიმიდან გასვლა, რომ წასულიყო ბენიაშინის მხარეში და იქ ხალხში დამალულიყო. 13. ბენიაშინის კარიბჭესთან რომ მივიდა, იქ დახვდა საყარაულოს უფროსი, სახელად ირია ძე შელეშიასი, ძისა ხანანიასი, და მან შეიპყრო იერემია წინასწარმეტყველი და უთხრა: ქალდეველებთან გადადიხარო! 14. მიუგო იერემიამ: ტყუილია. არ გადავდივართ ქალდეველებთან. მაგრამ არ დაუჭერა ირიამ იერემიას, შეიპყრო იგი და შთაერებთან მიიყვანა. 15. გაურისხდნენ მთავრები იერემიას, სცემეს და ჩააგდეს საპატიმროში, იონათან მწერლის სახლში, რადგან სატუსალო სახლად ჰქონდათ იგი. 16. როცა იერემია ჩავიდა დილეგში და კარგა ხანი დაჰყო იქ, 17. გაგზავნა მეფე ციციამ კაცი, მოაყვანიდა იგი და შეეკითხა თავის სახლში საიდუმლოდ: არის სიტყვა უფლისაგან? მიუგო იერემიამ არის. ბაბილონის მეფის ხელში ჩავარდები. 18. უთხრა იერემიამ მეფე ციციას: რა დაგიშავე ან შენ ან შენს მსახურთ, ან ამ ხალხს, სატუსალოში რომ ჩამაგდეთ? 19. სად არიან თქვენი წინასწარმეტყველნი, რომ გიწინასწარმეტყველებდნენ: არ დაგეცმათ თქვენ და ამ ქვეყანას ბაბილონის მეფეი? 20. ახლა ისმინე, მეფე-ბატონო, მოგწვდეს ჩემი მუდარა: ნუ დამაბრუნებ იონათან მწერლის სახლში მოსაკვდავად. 21. ბრძანა მეფე ციციამ და ჩააბარეს იერემია საყარაულო ეზოში, და აძლეოდნენ ყოველდღიურად ერთ პურის კოკორს ხაბაზთა რიგიდან, ვიდრე არ გათავდა პურის მაკრავი ქალაქში. და ასე იჯდა იერემია საყარაულო ეზოში.

თავი ოცდამეთვრამედი

იერემიას


1. გაიგონეს შეფატაფატი ქვემო, გედალია ფაშურის ძემ, იუქალ შელეშიას ძემ და ფაშურ მალქიას ძემ სიტყვები, რომელსაც იერემია ეუბნებოდა ხალხს. 2. ასე ამბობს უფალი: ვინც დარჩება ამ ქალაქში, მახელით ან შიმშილით ან შავი კირით მოკვდება, ხოლო ვინც გადავა ქალდეველებთან, გადაარჩება. ნადევლად საკუთარი სიცოცხლე ექნება და იცოცხლებს. 3. ასე ამბობს უფალი: ბაბილონის მეფის ლაშქარს ჩაუეარდება ხელში ეს ქალაქი და დაიპყრობს მას ბაბილონის მეფე. 4. უთხრეს მთავრებმა მეფეს: სიკვდილით უნდა დაისაჯოს ეს კაცი იმის გამო, რომ იმედს უკარგავს ამ ქალაქში დარჩენილ მეომრებს და მთელს ხალხს ამგვარი ლაპარაკით. რადგან მშვიდობას კი არ ეძებს ეს კაცი ამ ხალხისთვის, არამედ უბედურებას. 5. თქვა მეფე ციციამ: აჰა, თქვენს ხელშია იგი. არაფერი შეუძლია თქვენს წინააღმდეგ. 6. აიყვანეს იერემია და ჩააგდეს უფლისწულ მალქიას ჭაში, საყარაულო ეზოში რომ იყო. მაგრებით ჩაუშვეს შიგ იერემია. წყალი არ იდგა ჭაში, მხოლოდ შლამი იყო და ჩაეფლო იერემია შლამში. 7. გაიგო ყებედ-მელექმა, ეთიოპელმა საკურისმა, რომელიც მეფის სასახლეში იყო, რომ ჭაში ჩააგდეს იერემია. მეფე კი ბენიაშინის კარიბჭეში იჯდა. 8. გამოვიდა ყებედ-მელექი მეფის სასახლიდან და ასე უთხრა მეფეს: 9. მეფე-ბატონო! დააშავეს ამ კაცებმა, ასე რომ მოექცნენ იერემია წინასწარმეტყველს, ჭაში რომ ჩააგდეს. ხომ მოკვდა შიმშილით, რადგან პური აღარ არის ქალაქში. 10. ასე უბრძანა მეფემ ყებედ-მელექს, ეთიოპიელს: წაიყვანე აქედან ოცდაათი კაცი და ამოიყვანე იერემია წინასწარმეტყველი ჭიდან, ვიდრე არ მომკვდარა. 11. წაიყვანა ყებედ-მელექმა კაცები და წა-

ვიდა მეფის სასახლეში, საგანძურს ქვეშ აიღო იქიდან ძონძები და ძველმანნი სამოსელი, თოკები და ჩაუგზავნა ჭაში იერემიას. 12. უთხრა ყებუდ-მელექმა, ეთიოპიელმა, იერემის: იღლების ქვეშ ამოიფინე ეს ძონძები და ძველმანები თოკებად. ასეც მოიქცა იერემია. 13. ამოათრიეს იერემია თოკებით და ამოიყვანეს კიდან. და დარჩა იერემია საყარაულო ეზოში. 14. გაგზავნა კაცი მეფე ციდიკამ და მოაყვანიდა იერემია წინასწარმეტყველი თავისთან, უფლის სახლის მესამე შესასვლელთან, და უთხრა მეფემ იერემიას: ერთ რამეს შეგვეკითხო, არაფერი დამიშალო. 15. უთხრა იერემიამ ციდიკას: თუ გაგიმხილე, ხომ სიკვდილით დამსჯი? და თუ გირჩიე რამე, მაინც არ გამოგონებ. 16. საიდუმლოდ დაუფიქრა იერემიას მეფე ციდიკამ და უთხრა: უფალს გეფიცები, რომელმაც ეს სული შეგვექმნა, თუ სიკვდილით დაგსაჯო ან თუ იმათ ხელში ჩაგადგო, შენი სიკვდილი რომ სწადიათ. 17. უთხრა იერემიამ ციდიკას: ასე ამბობს უფალი, ცაბათ ღმერთი, ისრაელის ღმერთი: თუ ჩაბარდები ბაბილონის მეფის ხარდლებს, სიცოცხლეს იხსნი და ეს ქალაქი არ დაიწვება ცეცხელში. შენც გადარჩები და შენი სახლიც. 18. თუ არ ჩაბარდები ბაბილონის მეფეს, ქალდეველთა ხელში ჩაგვარდება ეს ქალაქი და ცეცხელში დაწვავენ. ვერც შენ წაუხვალ მათ ხელიდან. 19. უთხრა მეფე ციდიკამ იერემიას: იუდაელებისა მეშინია, ქალდეველთა მხარეზე რომ არიან გადასული. მათ ხელთ არ მიმცენ და არ შეურაცხმყონ. 20. უთხრა იერემიამ: არ მიგეცემენ. ოღონდ უფრო დაუგდე უფლის ხმას, რასაც მე გელაპარაკები, და კარგად წავივა საქმე, თავს გადაირჩენ. 21. თუ არ ისურვებ დანებებას ამა, ეს სიტყვა, რომელიც გამომიცხადა უფალმა: 22. ამა, ყველა ქალს, ვინც იუდას მეფის სასახლეში დარჩა, ბაბილონის მეფის სარდლებს მიჰგ-

ვრიან. და, ამა, იტყვიან ქალები: მოგატყუეს და გძლიეს. შენს ნეტოქის-მყოფელებმა, ლიამ ჩაგუფლეს. უნდა, მათ კი მოგატოვებს და წაგიდნენ. 23. ყველა შენს ცოლს და შვილს ქალდეველებს მიჰგვრიან; ვერც შენ გაექცევი მათ, რადგან ბაბილონის მეფის ხელში ჩაგვარდები და ეს ქალაქი ცეცხელში დაიწვება. 24. უთხრა ციდიკამ იერემიას: კაცი შეიღმა არ უნდა იცოდეს ეს ამბავი, თუ სიკვდილი არ გინდა. 25. თუ მთავრებმა გაიგეს, ჩვენი ლაპარაკი, მოვიდნენ შენთან და გკითხეს: გვითხარი, რას ელაპარაკებოდი მეფეს, არ დაგვიშალო, თუ სიკვდილი არ გინდა, ან მეფე რას გელაპარაკებოდაო, 26. მიუგე: ჩემი მუდარა მოვახსენე მეფეს, რომ აღარ დამაბრუნონ-თქო იონათანის სახელში და არ მოეკლდე იქ. 27. მოვიდნენ მთავრები იერემიასთან და გამოკითხვა დაუწყეს. მანაც ყველაფერი ასე მოახსენა მათ, როგორც მეფისგან ჰქონდა ნაბრძანები. ხმა აღარ გასცეს, რადგან ვერაფერი გაიგეს. 28. და იქდა იერემია საყარაულო ეზოში იერუსალიმის აღებამდე და იერუსალიმის აღების შემდეგაც.

თავი ოცდამეცხრამეტი

1. იუდას მეფის, ციდიკას მეცხრე წელს, მეთექვსმეტე წელს, მოადგა ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორი მთელი თავისი ლაშქრითურთ იერუსალიმს და ალყა შემოარტყა. 2. ციდიკას მეცხრემეტე წელს, მეოთხე თვის მეცხრე დღეს გატყდა ქალაქი. 3. შემოვიდნენ ბაბილონის მეფის სარდლები და შუა კარიბჭესთან გაჩერდნენ — ნერგალ-სარეცერი, სამგარ-ნებუ, ხარსეკიში, საჭურისთა უხუცესი, ნერგალ-სარეცერი, რაბ-მაგი და ბაბილონის მეფის დანარჩენი სარდლები. 4. როგორც კი დაინახეს იანი იუდას მეფე ციდიკამ და მისმა მეომრებმა, გაიქც-



ნენ და გაედნენ ღამით ქალაქიდან მეფის ბაღის გზით, კარიბჭეში, ორ კედელს შორის რომ არის, და დაადგინენ ყარაბის გზას. 6. უკან დაედევნა მათ ქალდეველთა ლაშქარი და მიეწია ციციას იერეჟონიის ვაკეებზე და შეიბყრეს და მიჰგვარეს ნაბუქოდონოსორს, ბაბილონის მეფეს, რიბლაში, ხამათის ქვეყანაში, და მიანიც განაჩენი გამოუტანა ციციას. 7. თვალწინ დაუხოცა რიბლაში ბაბილონის მეფემ შვილები ციციას: იუდაელი წარჩინებულნიც დახოცა ბაბილონი, მეფემ. 7. თვალეზი დათხარა ციციას და ბორკილები დაადო, რომ ბაბილონში წაეყვანათ. 8. მეფის სასახლე და ხალხის სახლები გადაწვეს ქალდეველებმა და იერუსალიმის კედლები დაანგრიეს. 9. ხოლო დანაშთომი ხალხი, ვინც ქალაქში დარჩა, და მის მხარეზე გადასული, და დანაშთომი ხალხი, ვინც დარჩა ბაბილონში გადაასახლანებუზარდანმა. 10. ღარიბ-ღატაკნი რომელთაც არაფერი ებადათ, დატოვა ნებუზარდანმა, ქონდაქართუხუცესმა, იუდას ქვეყანაში და მისცა მათ ვენახი და ყანები იმავე დღეს. 11. ხოლო იერემიას საქმე ნებუზარდანს, ქონდაქართუხუცესს, მიანდო ბაბილონის მეფემ და უთხრა: 12. წაიყვანე და თვალი გეჭიროს მასზე, არაფერი დაუშავო, არამედ ისე მოქეცი, როგორც თავად ვითხრას. 13. და გაგზავნეს ხალხი ნებუზარდანმა, ქონდაქართუხუცესმა, ნებუშაზბანმა, საჭურისთუხუცესმა, ნერგალ-სარეცრმა, რამბაგმა და ბაბილონის მეფის დიდებულებმა. 14. გაგზავნეს და მოაყვანიეს იერემია საყარაულო ეზოდან და ჩააბარეს გედალიას, ახიკამის ძეს, ძისა შაფანისა, რომ შინ გაეშვა. ასე დარჩა იგი ხალხში. 15. საყარაულო ეზოში პატიმრად ყოფნისას უფლის სიტყვა იყო იერემიას მიმართ ნათქვამი: 16. წადი, უთხარი ყებედ-მელეკს, ეთიოპიელს: ასე ამბობს-თქო ცაბათ უფა 2. „მნათობ“ № 3-4.

ლი, ისრაელის ღმერთი: 17. ბორკიტად ავახდენ ამ ქალაქს, უხუცესებს, არა კეთილად. 18. და შენ წინაშე ახდება ყველაფერი. 17. შენ დაგიფარავ იმ დღეს, ამბობს უფალი, და არ ჩავარდები იმ ხალხთა ხელში, ვისაც გეშინია. 18. ნამდვილად გიხსნი და მახვილით არ დაეცემი, ნადავლად დაგრჩება შენი სული, რადგან ჩემი იმედი გქონდა, ამბობს უფალი.

თავი მეორეოც

1. სიტყვა, რომელიც იყო იერემიას მიმართ უფლისგან მას შემდეგ, რაც გაეშვა იგი ნებუზარდანმა, ქონდაქართუხუცესმა, რამადან: როცა გამოიყვანა, ბორკილადებული იყო იგი დატყვევებულ იერუსალიმელებსა და იუდაელებს შორის, რომელიც ბაბილონში უნდა გადასახლებინათ. 2. და გამოიყვანა ქონდაქართუხუცესმა იერემია და უთხრა: უფალმა, თქვენმა ღმერთმა, შეაჩვენა ეს ადგილი: 3. აახდინა უფალმა და ისე გააკეთა, როგორც ნათქვამი ჰქონდა, რადგან შესკოდეთ უფალს და არ გაიგონეთ მისი ხმა. ამიტომაც შეგემთხვათ ეს ამბავი. 4. ამა, ახლა გათავისუფლებს ბორკილებისგან, ხელზე რომ გადავეს. თუ გინდა ჩემთან ერთად ბაბილონში წამოსვლა, წამოდი და მზრუნველობას არ მოგაკლებ; თუ არ გინდა ჩემთან ერთად ბაბილონში წამოსვლა, ნუ წამოხვალ. შენს წინაა მთელი ქვეყანა, სადაც მოგეწონოს და უკეთესად მოგეჩვენოს იქ წადი. 5. ჯერ პასუხი არ ჰქონდა გაცემული: ან დაბრუნდი გედალიასთან, ძესთან ახიკამისა, ძისა შაფანისა, რომელსაც ბაბილონის მეფემ იუდას ქალაქები ჩააბარა, და იცხოვრე იქ ხალხში; ან სადაც მოგეწონება, იქ წადი. მისცა მას ქონდაქართუხუცესმა საგზალი და საჩუქარი და გაუშვა. 6. მოვიდა იერემია გედალია ახიკამის ძესთან, მიცვაში და დაიწყო

საქართველო
ბროშურა
...
...
...


ცხოვრება ქვეყანაში დარჩენილ ხალხს შორის. 7. როცა გაიგეს ველზე მყოფი ქარების სარდლებმა და მათმა კაცებმა, რომ გედალია ახიკამის ძისთვის ჩაუბარებია ბაბილონის მეფეს ქვეყანა და ხალხი დედაწულიანად, ღარიბი და მდიდარი, ვინც არ გადასახლებულა ბაბილონში, 8. მივიდნენ გედალასთან მიცფაში ისმეელ ნეთანიას. ძე, იოხანანი, იონათანი, კარეახის ძენი, სერაია თანხუმეთის ძე, ნეტოფელი ყუფისძენი, და იეზანია მაყაქათის ძე ისინი და მათი კაცები. 9. ეფიცებოდა გედალია, ძე ახიკამისა, ძისა შაფანისა, მათ და მათ კაცებს: ნუ გაშინებთ ქალდეველთა შორის. დარჩით ქვეყანაში და დამორჩილეთ ბაბილონის მეფეს; უკეთესი იქნება თქვენთვის. 10. ხოლო მე მიცფაში ვრჩები, რომ ვიღვე ქალდეველთა წინაშე, როცა მოვლენ ჩვენთან. თქვენ კი შეავრთვეთ ღვინო, საზაფხულო ხილი და ზეთი და თქვენს ჭურჭლებში შეინახეთ. იცხოვრეთ ქალაქებში, რომლებიც გიჭირავთ. 11. ამასობაში მოაბის, ყამონის, ედომის და სხვა ქვეყნების იუდაელებმაც გაიგეს, რომ იუდაში დატოვა დანარჩონი ხალხი ბაბილონის მეფემ და რომ გედალია, ძე ახიკამისა, ძისა შაფანისა, დაუდგინა მათ. 12. დაბრუნდნენ იუდაელები იმ ადგილებიდან, სადაც გაგდებულნი იყვნენ; მოვიდნენ იუდას ქვეყანაში გედალისთან მიცფას და შეავრთვეს ეს უზომო ღვინო და საზაფხულო ხილი. 13. მივიდნენ იოხანან კარეახის ძე და ველზე დარჩენილი ქარების სარდლები გედალისთან მიცფაში. 14. და უთხრეს მას: იცოდე, შენს მოსაკლავად გამოგზავნა ბაყალიმმა, ყამონელთა მეფემ, ისმეელ ნეთანიას ძე, მაგრამ არ დაუჭერა მათ გედალია ახიკამის ძემ. 15. იოხანან კარეახის ძემ უთხრა გედალიას მიცფაში საიდუმლოდ: გამიშვი და მოვკლავ ისმეელ ნეთანიას ძეს, და კაციშვილი ვერაფერს გაიგებს. რისთვის უნდა მოგკლას, და გაიფანტოს

მთელი იუდა, შენთან რომ არის შემოკრებილნი, და დაიღუპოს ისინი? 16. უთხრა გედალია ახიკამის ძემ იოხანან კარეახის ძეს: ნუ იზამ ამას, რადგან ტყუილს ლაპარაკობ ისმეელზე.

მთავი ორმოცდახუთე

1. მეშვიდე თვეს იყო, რომ მივიდნენ ისმეელი, ძე ნეთანიასი, ძისა ელიშამაყისა, მეფეთა ნათესაეი, და მეფის დიდებულები ათი კაცითურთ გედალია ახიკამის ძესთან მიცფას და ჭამეს იქ პური ერთად, მიცფაში. 2. წამოიჭრნენ ისმეელ ნეთანიას ძე და მისი თანშლები ათი კაცი და განგმირეს მახვილით გედალია, ძე ახიკამისა, ძისა შაფანისა. მოკლეს კაცი, რომლისთვისაც ჩაბარებული ჰქონდა ბაბილონის მეფეს ქვეყანა. 3. ყველა იუდაელი, ვინც კი გედალისთან იყო მიცფაში და ქალდეველი ქარისკაცები, ვინც იქ იმყოფებოდნენ, დახოცა ისმეელმა. 4. გედალიას მკვლელობის მეორე დღეს, როცა კაციშვილმა არაფერი იცოდა, 5. მოვიდა ხალხი შექემიდან, სილოამიდან და სამარიიდან — ოთხმოცი კაცი, წვერგაპარსულნი, ტანისამისმემოგლეჩილნი და სახედაკაწრულნი, ძღვენითა და საკმეველით ხელში უფლის სახლისათვის. 6. და გამოეგება მათ ისმეელ ნეთანიას ძე მიცფადან, მოდიოდა და ტროდა და, როცა მათ შეხვდა, უთხრა: შედით გედალია ახიკამის ძესთან! 7. როცა შეაგულ ქალაქში შევიდნენ, ისინიც დახოცეს ისმეელ ნეთანიას ძემ და მასთან მყოფმა ხალხმა და ჭაში ჩაყარეს. 8. და აღმოჩნდა მათ შორის ათი კაცი, რომელთაც უთხრეს ისმეელს: ნუ დაგვხოცავთ, რადგან გადამალული გვაქვს ყანაში ზორბალი, ქერი, ზეთი და თაფლი. ისიც გაჩერდა და არ დახოცა ისინი მათ მშებთან ერთად. 9. კა, სადაც ისმეელმა გედალიას

თავი ორმოცდამოხე



გამო დახოცილი ხალხის გვამები ჩაყარა, ის ჰა იყო, რომელიც მეფე ასამ ამოიღო ისრაელის მეფის, ზაყაშას შიშით. ის აავსო ისმეელ ნეთანიას ძემ დახოცილებით. **10.** და დაატყვევა ისმეელმა მთელი დანარჩომი ხალხი, მიცვაში ვინც იყო; მეფის ასულები, მიცვაში დარჩენილი მთელი ხალხი, რომელიც გედალია ახიკამის ძეს ჩააბარა ნებუზარდანი, ქონდაქართუხუცესმა. ისინი დაატყვევა ისმეელ ნეთანიას ძემ და წავიდა, რათა ყამონიანებთან გადასულიყო. **11** როცა ვაიგეს იოხანან კარეახის ძემ და მათთან მყოფმა მხედართმთავრებმა ისმეელ ნეთანიას ძინ ჩადენილი ზოროტების ამბავი, **12.** თან იახლქს თავიანი კაცები და გაემართნენ ისმეელ ნეთანიას ძის წინააღმდეგ საბრძოლველად, და მონახეს იგი დიდ წყალსატევთან გაბათნი. **13.** როცა დაინახა ისმეელის თანმხლებმა ხალხმა იოხანან კარეახის ძე და მასთან მყოფი მხედართმთავრები გაიხარა. **14.** და პირი იბრუნა ყველამ, ვინც მიცვადნ ტვედ ჰყავდა წამოყვანილი ისმეელს. გაბრუნდნენ და იოხანან კარეახის ძესთან მივიდნენ. **15.** ხოლო ისმეელ ნეთანიას ძე გაქცა რვა კაციტურთ იოხანანს და ყამონიანებთან გადავიდა. **16.** და წაიყვანეს იოხანან კარეახის ძემ და მასთან მყოფმა მხედართმთავრებმა მთელი დანარჩომი ხალხი, რომელიც ტვედ წამოსახა მიცვადან ისმეელ ნეთანიას ძემ გედალია ახიკამის ძის მოკვლის შემდეგ, მათ შორის: მამაკაცები, მეომრები, ქალები და ბავშვები, საჭურისები, რომლებიც გაზარდნენ დააბრუნა. **17.** და წავიდნენ და დადგნენ გერუთ-ქიმამთან ბეთლემის მახლობლად, რომ ეგვიპტეში გადასულიყვნენ და **18.** გარიდებოდნენ ქალდეველებს; ეშინოდათ მათი, რადგან ისმეელ ნეთანიას ძემ მოკლა გედალია ახიკამის ძე, რომლისთვისაც ჩაბარებული ჰქონდა ქვეყანა ბაბილონის მეფეს.

— არ დავგებაქმა, არ ინება ომში ჩვენი ვარევა, ციხის აღება შორიდან გვაყურებინა.

— ღმერთო, დიდებული! — განცვიფრებულმა თეიმურაზმა პირჯვარი გადაიწერა. — აბა, რისთვის გვიბარებდა! ჯარი ეცოტავა?

— ვინ იცის...

რამდენიმე ნაბიჯი უბრად გაიარეს და შემდეგ თეიმურაზმა ისევ იკითხა:

— ბოლოს, რაო?

სიძის პირით შემოგვითვალა, ნება გემღევით, აიყაროთ და შინ წახვიდეთო.

— და წამოხვედით?

— როგორც ზედავ!

თეიმურაზი ჩაფიქრდა, ტუნები მოიკენიბა, წელანდელი ძაღლაუტანებული

ონაერული მზიარულება, რითაც უდაბნოს მტკვრით დაფარულ, სახეგარუჯულ დედას და მის თანმხლებ პირებს შეხვდა, სადღაც გაუქრა და მის მაგიერად თვალეში შიში და სასოწარკვეთა ჩაესახა.

ქეთევანს არ შეუმჩნევია ცვლილება შვილის სახის გამომეტვევლებაში, რადგანაც მისი ცხენი ოდნავად წინ უსწრებდა მეფის ცხენს და ამიტომაც უშფოთველი ხმით ჰკითხა:

— ქართლიდან რა ისმის, მართალია, რასაც ამბობენ?

— დიდი ომი გადაიხადეს!

— ვინ იყვნენ, მართლა ყირიმელი თათრები?

— ჰო, ამბის წამლებიც არავენ წასვლიათო. ეს რომ ყურში მოსწევდათ, ოსმალებმა ნებით დაცალეს ტფილისის, სამშვილდის, ორბეთის და დმანისის ციხეები, წინასწარი პირობა მოითხოვეს, ოღონდ უვნებლად გააკვიშეთო.

— მერე? გაუშვეს?

— ვინ არ გაუშვებდა! ტფილისის მოურავმა, გიორგი სააკაძემ, დრო იხელთა და ოთხივე ციხეში ქართლის მეციხოვნე ჯარი ჩააყენა. ამბობენ, ამან მოუღბო გული შაკ-აბასისო, სარდლების თავების მიღებაც დიდად ესიამოვნა და ქართლის აოხრებაზე ხელი აიღო, ახლა, როგორც ამბობენ, აქეთ მოდის. თავისი ცოლისძმა ლუარსაბი ტახტზე

უნდა დაამტკიცოსო. მე რომ შეითხოვ კაცმა, არც მოხვლა მინდა მისი და არც ტახტზე დამტკიცება, ჩვენი საქმე მაშინ გაფუჭდა, როცა კუთვნილ ტახტზე სხვისი დასამტკიცებელი გაუხდით. დიდებულებსა და ცოლისძმას აგრე ურჩევიათ: მოვიწვიოთ და მოყურულად დავუხუდეთ, სულ ერთია, მაინც ხომ მოვაო.

— ცოლისძმას? — ქეთევანს შეიღის გონივრული მსჯელობა ეამა და ხომ არ მომეყურაო, კეთილა, — ვინ ცოლისძმას? ნუთუ ლუარსაბი დაქორწინდა?

— არ გაგიგიათ დედი? აქ ვი დიდი ამბავია!

— ნუთუ მართლა? ვისი ქალია, მითხარი, შეიღო, ჩქარა!

— საქმეც ვე არის: სააკაძის ქალი გახლავს, ტფილისის მორავ ვიორვი სააკაძის ღვიძლი და, თეკლე.

— ღმერთო, დიდებულო, ეს რა მესმის! სად ბაგრატიონთა ტახტი და სად უბრალო ახნაური სააკაძე!

— სწორედ მაგის გამო დრტვიანვენ ქართლის თავადები, ჩვენი ხელით ტახტზე დასმულმა მეფემ ეს რა გვიყო, შევვარცხენა, თავზე ლაფი დაგვასხაო.

— სად ნახა ლუარსაბმა სააკაძის და, ან ვინ ურჩია ეს ამბავი?

— არავის არ ურჩევია, ნახვით ვი ნოსტეში, ძმის ციხე-დარბაზში ნახა და მოეწონა!

— რამ მიიყვანა მეფე სააკაძისას?

— ტაშისკარში გადახდილი ომის აფსანიშნავად სააკაძემ სუფრა გაშალა ნოსტეში, თავის საგვარეულო ციხე-დარბაზში და მეფეონი და მთელი გამარჯვებული ლაშქარი მიიწვია. დიდი პურობა გაიმართა. დიდებულებმა მოიღვინეს. მათ არც ლუარსაბი ჩამორჩა. იქიფა, იმღერა, იცეკვა და სწორედ მაშინ შენიშნა სააკაძის და სუფრის მომსახურე ქალებში, თვალი დაადგა, გაუხე-გამოუხეა ფეხი მის წინ და საცეკვაოდ გაიწვია.

— რატომ არ მოკვდებო! ვე საქმე მოწვობილს ჰგავს, თეიმურაზ!

— შეიძლება. ვინ იცის, დედი.

— შერე რა მოხდა?

— იმავე ღამეს გაიხმო ლუარსაბმა სააკაძე და გამოუცხადა კეთილ დიდებულ მთევარს და, თუ წინააღმდეგი არ იქნებით და სასიძოდ არ შეუნობთ, ხეალ ხვეტიცხოველში ჯვარს ვიწვრო.

— თვალად რიგორია, ლამაზია მაინცა?

— ცახ მოწვევტილი ვარსკვლავი ყოფილა!

— სააკაძეც უარს როგორ ეტყოდა!

— უარი უკადრებია სწორედ! უკვარო ხალხი ვართ, აბა, სად ჩვენ, ქართლის უბრალო ახნაურები და სად მეფეთა ტახტო. ნუ დაგელუპავ, ნურც დას დამილუპავ, შენს წინაშე ხომ დანაშაული არა მიმიძღვის რა, ღმერთმა იცის, ერთგულად ვემსახურები, დიდებულებს ნუ გადამკიდებ, ჩემ ცოდვაში ნუ ჩადგებიო. ახლა დამეა, ნადვინევი ხარ, გულში წუთიერი ხურვილი ჩავვარდნია, ვათენდება და ყველაფერი სიზმარივით გაივლისო. იგივე ურჩევით დიდებულებსაც, ყველაზე მეტად შადიმან ბარათაშეული ცდილობდა, მაგრამ არც ამას უსმინა ლუარსაბმა, თეკლე მოყვანინა, ხელი ჩასჭიდა, საჯაროდ დანიშნა და სადედოფლოდ გამოაცხადა. მესამე დღეა, რაც ხვეტიცხოელის ტაძარში კათალიკოსმა ჯვარი დასწერა, გვირგვინი დაიდგეს და იქორწინეს.

— ვერა ხარ კარგი მახარობელი, შეიღო, თეიმურაზ. ვე ამბავი აგრე უბრალოდ არ დამთავრდება. ამპარტკვანი და მუდამ სატყვარზე მაქტვრალი დიდებულები უკვარო ქალს ღედოფლოდ არ იგუებენ, მის წინაშე ქედს არ მოიხრიან. დიდებულებმა კიდევაც რომ იგუონ თანამეცხედრეები, მეტადრე ვასათხოვარი ქალების პატრონები, ატეხენ განგაშს, შეფეს თეკლეს განტყვებას და მონასტერში გაგზავნას მოსთხოვენ. სუტი და სხვისი ხელის შემწურე მეფე ვერ დაიცავს თავის სჯულიერ ცოლს და დათანხმდება...

— ეშისობ, რომ აგრე იქნება, დედი.

— ამას დიდი არე-დარევა მოჰყვება



მეფის კარზე. ერთგულ სააკაძეს დიდებულები მეფეს გაუორგულებენ. ისიც არ მოითმენს დედამამიშვილის დაუმსახურებელ დამცირებას, ოჯახის შერცხვენას, ანდა როგორ უნდა. მოითმინოს და უნდა თუ არ უნდა, მეფის მტრების ბანაკში აღმონდება! ეს ყველაფერი მარბიელი ყირიმელი თათრების მოსვლის გამო დაგეტყდა თავს, რომ არა ისინი, არც ტაშისკრის ზოცვა-ფლებტ მოხდებოდა, არც სააკაძე მიიპატიებოდა მეფიონს ნოსტეში და ვერც თეკლე და ლუარსაბი შეხვდებოდნენ ერთმანეთს! სიკეთის დროს, როდესაც გულდამო შაჰმა გული მოიბრუნა, ეს-ღა გვინდოდა?

ჯარმა საზღვარზე გადასვლისთანავე დაიწყო დაშლა. ზოგან დიდ, ზოგან მცირე ჯგუფებად, ზოგან კი თითო-ორიოლა მხარზე მუბგადებულნი გზიდან უხვევდნენ და ორმხრივი გამამხნევებელი შეძახილებით, აწი მხოლოდ ქორწილებსა და ძეობებში გენახოს ერთმანეთით. ძეწნებითა და ლეღვებით დარდილულ ორიღებებში, რომელთა გადაღმაც ქარვისფრად ჩამაქრებული რქაწითელი და კამეჩის სისხლივით ჩამავეებული საფერავი ღუოდა, თვალს ეფარებოდნენ.

თს30 XXXIV

შორეული ლაშქრობიდან შინ მშვიდობით მობრუნებულ ქეთევანს კიდევ ერთი საწყენი ამბავი დაუხვდა. შვილმა ის სასახლეში მოსვლამდე არ გაუმხილა, რა საჩქაროა, მიუა და თავად გაიგებსო. პატარა დედოფალ ანას თურმე გულს აზიდებდა. გულზიდება ფეხშიძისობის მეორე თვიდან დასწყემებოდა და სულს უმწარებდა. ღამე ძილი არ ქონდა, დღისით მოსვენება. მისთან ერთად წუხდა თეიმურაზიც. წუხდა მეფის ძალუა ასინეთი, წუხდნენ სეფეკალები, თავიანთ სათაგვანებელ ახალგაზრდა დედოფალს წუთითაც რომ არ სტოკებდნენ მარტო, მაგრამ მხსნელი დახმარე-

ბის აღმოჩენა არავის შეეძლო. დედას რედ ეს აწუხებდა და...

— ილოცე, შვილო, ანა, — უბრა ქეთევანმა რძალს, რომელიც გულზიდებას ისე შეეწუხებოდა, რომ სხეზე კაციშვილის ფერი აღარ ედო. — ილოცე, რომ შეუნდოს მასხეციერმა ცოლვა თეიმურაზს, ჩვენი მეფეს და პატრონს, იკმაროს ჩვენი ცრემლი და ვედრება, უღბნისო შენს ღვთაებრივ ნაყოფს, დედის მკერდქვეშ რომ ფეთქავს... ანას ნახევარიც არ ეხსოდა. რასაც დედამთილი ეწურნულებოდა, მაგრამ ხიტყვებს კი მორჩილად იმეორებდა და სამინელ გულზიდებისაგან ფერს სულ უფრო და უფრო ჰკარგავდა.

— დედა, ბატონო დედა! — შესძახა შეშინებულმა თეიმურაზმა. — ანა გონებას ჰკარგავს!

— ვაიმე, შვილო! — ქეთევანმა, თითქოს ღრმა ძილიდან გამოერკვარ, შუბლით ქმრის მხარზე მინდობილ რძალს ორივე ხელი მოახვია და გულზე მიიხუტა. — ანა! მოიტათ წყალი, ვინა ხართ მანდ...

წყალი ტოლნით მოარბენინეს. ნახევარი გზაში დაქცეოდით. ქეთევანმა ხელი დაისველა, თვით მიასხურა გულშეღონებულ-ანას სახეზე. საფეთქლები დაუზილა და ქალმა რომ თვალი გაახილა და ვიღაცას დაუწყო ძებნა, მისი თავი ისევ გულზე მიიხუტა.

— ნუ გეშინია, ანა, შვილო, ჩემო პატარავ, აქ არის, ვეღა აქა ვართ, არაფერს გაგიჭირვებო გენაცვალე!

სამი დღე და სამი ღამე ქეთევანს თვალზე რული არ მიჰკარებია. უბრალო მთაბლესავით რძლის სასთუმალთან ტრიალებდა. ფხიზლობდნენ სხეშიც და უპირველეს ყოვლისა ძალუა ასინეთი, გულხელდაჭდობილი თეიმურაზი წინ და უკან წრიალებდა თავის სამინებელ ოთახში და გამწარებული, რომ საფარულ არხებას ტანჯავს ვერაფრით უმზუბუქებდა, ტურებს იჭამდა. დროდადრო უსასიო გმინვა აღმოხდებოდა ზოღმე გულიდან, ბაღლივით

ტიროდა და წველიდა იმ უბედურ დღეს, როცა დედოფლისწყაროსაკენ მიმავალმა გზა გაიმრუდა, ბაკურციხისაკენ გადმოუხვია და კისისხვევში ის დეთის გამარისხებელი აკაცობა ჩაიდინა, რისთვისაც დმერთი ხჯიდა, ხჯიდა არა თვით მას, არამედ სრულიად უცოდველ არსებას, რათა მისთვის გული მოეკლა და მოუქარეველ სინანულში ჩაეგდო!

მაინც ვინ იყო ის სატანა, ვინც ყურში ის შხამიანი სიტყვები ჩააწყვთა, დღეს ბუკს ვთხოვს, ხვალ შეიძლება ტანტყე მოვთხოვოს, გადადექი, ჩემთვის უფრო უპრიანიია? ვინ ააგულიანა და ამ ცოდვის ჩადენა ვინ ჩააგონა? ფიქრობდა და ვერ მოვგონებინა. ეჭვი ხან ერთზე, ხან მეორეზე და ხან მესამეზე მიჰქონდა. მაგრამ რად უნდოდა, კიდევაც რომ გავხსენებინა? ახლა იმასაც ხომ არ დახჯიდა, კიდევ ერთ უპატარებელ ცოდვას ვერ მოიკიდებდა? მთავარი და ერთადერთი დამნაშავე თავად იყო. რაც არ უნდა ეთქვათ და გავგონებინათ, წინასწარ ვის შეეძლო წარმოედგინა, თუ ის ერთბაშად შეიცვლებოდა, დიმილსა და წყალობას ჩვეული გადასხვაფერდებოდა და უდანაშაულო კაცის ცოდვას დაიღებდა!

დმერთმა ინება და ანამ მეოთხე დღეს მოიკეთა. გულზიდებამ თითქმის გაუარა, ცოცხლსაც აღარ ასხამდა და თვალი რომ ვაპოახილა, თითქოსდა იმ ქვეყნიდან მობრუნებულმა მაშინვე თეიმურაზი მოიკითხა.

თეიმურაზი სატანტო დარბაზში იყო და თუშკა ამ დღეებში არავის დანახვა არ უნდოდა და დიდი ხნის უძილარი და ტანზე გაუხდელი დროს ღეთისადმი ლოცვაში კლავდა, უცხო სტუმრებს ესაუბრებოდა. მას ადრევე ჰქონდა ვაგონილი, რომ შორეული რომიდან, სადაც ამა სოფელში ქრისტეს მიადვილე უწმიდეს პაპს ედო ბინა, ქართლში კათოლიკური სარწმუნოების ბერები მოვიდნენ, რომლებიც თავიანთ თავს პატრებს უწოდებდნენ, პაპის, სიქსტე მეზუთის ეპისტოლე მოიტანეს და ვი-

ორგი ქართლის მეფის მოწყალე სეპარტით გორში თავიანთი კრებულნი ჯაკრებულნი გახსნეს. **სიქსტე** ღეთიანნი ღეთიანნი რომიდან უწმიდესი პაპის მიერ მოვლინებული პატრები სამაგალითო ზნეობითა, ღრმა მორწმუნეობითა, შემწყნარებლობითა და შესაშური შრომისმოყვარეობით გამოირჩეოდნენ. ცხოვრებაში საჭირო ყველა სხვა ხელობასთან ერთად მათ აქიძობა და ათასნაირი ბაღახულისაგან უებარი წამლების დამზადებაც ემარჯვებოდათ. ასე გასინჯეთ, სახლებსაც თავისი ხელით ასენებდნენ, ხოლო ვენახის მოვლასა და საზედაშე ღვინის დაყენებაში ტოლი არა ჰყავდათ. მოცაღეობის ეამს სწავლას მოწყურებულ ბაღლებს ხატვას, საღმრთო სჯულსა და იტალოურს ასწავლიდნენ, მათგან კი ქართულ ენას სწავლობდნენ. ამასთანავე ცდილობდნენ, ყოველი ვაჭირვებისა და ტვირთმძიმისათვის ხელი უანგაროდ გაემართათ.

პატრები ბერებისათვის შესაფერ ასკეტურ ცხოვრებას ეწოდნენ. დედათა ბქესისაგან თავი შორს ეჭირათ, მცირედით კმაყოფილდებოდნენ, მარხვას ზედმიწევნითი კეთილსინდისიერებით ინახავდნენ და თავისი ხელით მოყვანილ ღვინოსაც მხოლოდ წყალგარეულს სეამდნენ.

გორელებმა და გორის ახლომახლო სოფლების მცხოვრებლებმა, ვანურჩველად წოდებისა და მოსაქმეობისა, ვეკლაზე ადრე შეითვისეს და შეიტკბეს ცხრა მთას იქიდან მათი ცოდვილი სულების სახსენლად მოსული უცხოელი ბერები, მათ პატივისმცემელთა შორის ადგილობრივი სამღვდლო პირიც ბევრი იყო. ისინი ხანდახან, დიდ სასულიერო დღესასწაულებზე, საყდრებსაც კი უთმობდნენ პატრებს, რათა მათ თავიანთებურად ლოცვა აღეკვინათ და თავადაც მათთან ერთად ლოცულობდნენ.

ასეთ დროს უამრავი ხალხი იყრიდა თავს საყდრებში. ვინც კი შიგნით შესულას ვერ ახერხებდა, რადგანაც იქ ქედ-



კა იყო, გარეთ იდგა, ანგელოზების-
ბურ ღვთიურ კალობას უსმენდა, პირ-
ჯვარს იწერდა და დახოქილი ქრისტე-
ღმერთს ევედრებოდა.

ვინ უნდა მოსულიყო ისეთი სასახ-
ლეში. თეიმურაზს რომ გამოსვლა და
სტუმრების მიღება ენება. მაგ-
რამ როდესაც მოახსენეს, ვინ სწვეო-
და, უმაღ გამოცოცხლდა და უცხოელი
ბერების მიღება ბრძანა.

დარბაზში რომ შეაბიჯა, ხაღაც ისი-
ნი უკვე ელოდნენ, გააოცა მათმა უცხო
ჩაცმულობამ და გარეგნულმა შესახე-
დაობამ, წინააღმდეგ მართლმადიდებ-
ლური საეკლესიო ჩვეულებისა, ყველა
სუფთად წვერგაპარსული იყო. თავზე
ფეხვის ფრთის მინამსგავსი ფარფლიანი
ქუდეები ეხურათ. ტანთ რაღაც თხელი
ქსოვილისაგან შეკერილი, წელში გა-
მოყვანილი, კოჭებამდე ჩამკვებული და
ნიკაქვეშ ყრუდ შეკრული შავი ანაფო-
რები ეცვათ. ანაფორის ბოლო ძლივს
უფარავდათ დაბალქუსლიან ტყავის წა-
ღებს და ქათქათა თეთრ წინდებს, მნახ-
ველის ყურადღებას დანახვისთანავე
რომ იქცევდნენ.

პატრები ხელ სამნი იფენენ. სამივეს
გულზე წმიდა ჯვარი ეკიდა. ერთ-ერთი
მათ შორის, ამბროზიო დუშ ანუუსი,
წმიდა აკვუსტინეს ორდენის წევრი,
მისიონის პრეფექტი, წარმომოხმობით
პორტუგალიელი აღმოჩნდა. პორტუგა-
ლიელები იფენენ დანარჩენი ორიც,
ოღონდ სიცოცხლის უმეტესი ნაწილი
იტალიის კუნძულ სიცილიაზე გაეტა-
რებინათ და იტალიელებისაგან არც
არაფრით განირჩეოდნენ.

უცხოელ წმიდა მამებთან შეხვედრით
აღფრთოვანებულ მეფეს ამბროზიო
დუშ ანუშმა მისი უწმიდესობა რომის
პაპის, სიქსტე მეხუთის, ეპისტოლე ვა-
დასცა, რომელიც ლათინურ ენაზე იყო
შედგენილი და პაპის გაკრულ ზელმო-
წერასთან ერთად კანცელარიის დიდი
მრგვალი ბეჭედიც ეხვა. პატრებს ეპის-
ტოლე ქართულად ეთარგმნათ და პერ-
გამენტზე მხედრული ასოებით გადაწე-

რილი ლათინურ დედანთან ერთად მო-
ერთმიათ.

თვით ამბროზიო დუშ ანუუსი მუქა-
ხანს მიტანებული, მაგრამ მოღაღ კა-
დარა პირბმელი კაცი და მისი მომყო-
ლი ორივე მორჩილი ძმა, ქართულად
მშვენივრად ლაპარაკობდა, მხოლოდ
აქა-იქ ურევდა უცხო სიტყვებს, იტა-
ლიურს თუ პორტუგალიურს და ამან
თეიმურაზი ისე გაახარა, ისე განმსჭვა-
ლა მათდამი პატივისცემით, სამივე თა-
ვის კეთილისმყოფლად და შინაურ კა-
ცად მიიხსნა.

პაპი თავის ეპისტოლეში მამობრივ
მოკითხვასა და ლოცვა-კურთხევას უთ-
ვლიდა. შორეული კახეთის მირანცხე-
ბულ მეფეს, უდიდებულესობას უწო-
დებდა, თუმცა მას რატომღაც თუთფი-
ლედ იხსენიებდა, რაც იტალიელებისა-
თვის, ალბათ, უფრო ადვილად წარმო-
სათქმელი იყო, ვიდრე სპარსული წარ-
მომოხმობის სახელი თეიმურაზი. ამავე
დროს თავსაც აცნობდა, მოაგონებდა
რომ მის, როგორც კუშმარიტი ხარწ-
მუნოების მქადაგებელი მსოფლიო ეკ-
ლესიის მეთაურის წინაშე მუხლს იდ-
რეკდნენ ძლევამოსილი მონარქები აღ-
მოსავლეთისა და დასავლეთისა, თვით
ამომავალი შხის ქვეყნის — იაპონიის,
ინდოეთისა და ჩინეთის მეფეები, რა-
საც პაპი ღვთისადმი შუამდგომლობით
პასუხობდა და თავისი პატიოსანი მო-
ციქულების — მისიონერი პატრების
პირით ლოცვა-კურთხევასა და ცოდვა-
თა შენდობას უვხაენიდა.

პაპს ერთადერთი მდაბალი ხათხოვა-
რი ჰქონდა მეფისადმი: მოწყალებდ მთ-
ლო მის მიერ წარგზავნილი მოციქუ-
ლები და დაეცვა ისინი ავაზაკებისა და
მძარცველებისაგან, რომლებიც ყველა
ქვეყანაში დღესდღეობით ბლომად მო-
იპოვებიან. შორეულ ქვეყნებში, მათ
შორის ღვთივ კურთხეულ თუთფილეს
სამფლობელო კახეთში, პატრები მაე-
ხოვრის სიტყვის მოსატანად და ჯო-
ჯოხეთის უფსკრულში შთასაყარდნად
განწირული სულების გადასარჩენად
არიან წამოსული. ადგილობრივი ხე-

დისუფალითაგან და თვით მრევლისაგან ისინი არაფერს საჭიროებენ, ვარდა კეთილი განწყობილებისა, ვინაიდან, ღვთის მადლით, სულითა და ხორციით ჯანსაღნი არიან, შრომა არ უხარებათ და თავის საზრდელს თვითვე მოიპოვებენ. მათვე შესწევთ უნარი, შუამდგომლობა გასწიონ მეფესა და ეპტიკანს, პაპის სამყოფელს შორის და პაპის გავლენა რომელიც განუწილია მთელს ცხოველებში, მეფისა და მისი ღვთისმოსავა ერის სახარებლოდ გამოიყენონ.

თეიმურაზი ეპისტოლის სწორედ ამ ადგილს კითხულობდა და თვალზე სიხარულის კურცხალმომდგარი მაღალღმერთის მადლობას სწირავდა, რომ გაჭირვების ეპოს მხარში ამომდგომი ციოთ მოვედინა, როცა ოქროს ვარაყით მოლაპლაკე კარი გაიღო, პატარა დედოფლის სეფექალი, ეანსამიანთ უმცროსი ახული ფეხისწვერზე შემოვიდა, პატრებს პრდღელია თვალები მიანათა, უსიტყვოდ ბოდიში მოუხადა და თეიმურაზს დედის დანაპარები გადასცა ანა უკეთაა, ვხმობილობს და მოდიო.

თავი XXIV


კახეთში კათოლიკე ბერების, მათებურად პატრების, მოხელამ, ვველაზე მეტად ქეთევანი გაახარა და უცხოელ საეკლესიო მამებსე ყოველდღიური ზრუნეაც სწორედ მან ითავა. გვერდიდან აღარ იმორებდა. თუ სადმე წაეიდოდა, ისინიც თან დასყავდა, ქვეყანას აქვენებდა, აზრს უზიარებდა და რჩევას, კეთილებოდა, თავის მხრივ, პატრებიც სიხარულით ეხმარებოდნენ დიდი დედოფლის ყოველ თხოვნას და მისი აღსრულება თავის წმიდათა-წმიდა მოვალეობად მიანნდათ. ეს მით უფრო სასიამოვნო იყო, როდესაც მთელი სამეფო კარი, მრავალრიცხოვან მრევლთან ერთად, საკრებულო საყდარში მიდიო-

და წირვის მოსასმენად უპირატესად ეს კვირაობით ან უკმეუდღეობა ზოდა. პატრები მუდამ მსხვერპლად უფლის მხვევალ დედოფალ ქეთევანს, როგორც ის თავის თავს უწოდებდა, და მის გვერდით ქართულად ლოცულობდნენ.

პატრების მოხელა, უპირველეს ყოვლისა, პატარა დედოფალ ანასთიის და მასთან ერთად მთელი სამეფო კარისათვის აღმოჩნდა სიხარულისა და ბედნიერების მომტანი. მათ მიერ შემზადებულმა წამლებმა რომელიც არცთუ ისე დიდი ხალისით ასმევდნენ, რადგანაც თვით ვველაზე უფრო უწინდელი წამლის მიღებაც კი ფეხშიძიე ქალისათვის არასასურველად მიანნდათ, ანა ფეხზე წამოაყენა და სიცოცხლის ხალისი დაუბრუნა.

რაკი მეფის პლატებში დასადგურება არ ინდომეს, ღამის გასათევად პატრებს ერთი ქერიეი დედაკაცის ბოკონებზე შეყენებული ქიზი მიუჩინეს ისწობის პირას, შემდეგ კი, სამხურის კრიგორიანული ეკლესიის უკან, სადაც ჯერ კიდევ წინა წელიწადს ფიცრული ქარავან-ხარაი იდგა და ხანძარმა იმსხვერპლა სამიო სახლის ასამენებელი ალაგიც გამოუყვეს. საგაზაფხულოდ ქეთევანი უნახხაც დაპირდა იმ საუფლისწულო მამულიდან, რომელიც ნეტარხსენებელი მამამთილის დროსვე თავის სახელზე სქონდა და ყურნის ხიშების მრავალფეროვნებითა და მოსავლიანობით გამოირჩეოდა.

პატრები არ მოერიდნენ პირველ თოვლს, იმ წელიწადს ნადრეკად ჩამოყარა, სახლოუხუცეს ნოდარ ჯორჯაძეს ხარ-კამეჩი და ურმები სთხოვეს, დაურთეს, ურიგო როდი იქნება, მეგზურსაც რომ გაგვაყოლებდეთო და სამეფო ტყეში სახლის ასამენებელი მამის დასამზადებლად წაეიდნენ. თავდაპირველად თავადმა ნოდარმა შორს დაიჭირა, როგორ გვეადრებათ. ამ სიცოცხესა და თოვლში, როცა პატროსანი კაცი ვარეთ ძაღლსაც არ გაავადებს, ტყეში როგორ გავიშვებთ, ხეებს ჩვენ



თვითონ მოეკრიბა და ჩამოვიტანო, თქვენ მხოლოდ ზომები და ხის ჯიშები გვიბრძანეთ, რა, რამდენი და რა ზომისა გნებავთ, დანარჩენი ჩვენ ვეცოდეთო. ბერებმა არამცთუ თავაზიანი სახლთუბუცესის, თვით დელოფალ ქეთევანის თხოვნა და შეცხადებაც არ შეიწყინარეს, თავის ნათქვამზე მაგრად დადგნენ და ქეთევანიც იძულებული გახდა, სოდარ ჯორჯაძისათვის მიემართა, მოიქცეით ისე, როგორც ითხოვენ, ოღონდ თვალი დაიჭირეთ, ან ნადირმა არ აწვით რამე ან თავად არაფერი მოაწიონო.

უცხოელი ღვთისმსახურები ისეთივე დახელოვნებული ხისმჭრელები აღმოჩნდნენ, როგორც აქიები, წამლის შემამზადებლები, მგალობლები და მხატვრები იყვნენ. ცულები საგულდაგულოდ გალესეს, უზარმაზარი მუხები და ძელქვები წამოაქციეს, გასხიპეს, დაძორეს, საგორაკები შეუყვნეს და ღონიერი მარგილების მოშველიებით ვეკარი ხარკამუნის მისაღვომ ადგილზე გამოავიკრეს.

თელმა ზამთარმა საფიცრე, სიძელე, საკოჭე, საგადასკიდე, საღარტყე, საჩარჩოე მასალის ზერხებასა და მოფარებულ ადვილას, გადახურულში მათ დაწყობა-დარიკვაში გაიარა. გრემულები და სოფლის ხალხი ვაიციებული უყურებდნენ უცხოელი ბერების თავდადებულ ვარჯახს. აკვირებდნენ მათი სიმარჯვე, საქმის ცოდნა და ხალისი, რაც ბარე ორ ხითხურის შეგხარბებოდა, მეტადრე მღვდლებსა და დიაკვნებს, რომლებმაც საღვთო წერილისა, დაუჯიღმელის წამღერებით კითხვისა, გალობისა და საციცხურის ქნევის მეტი არაფერი იცოდნენ.

გამწველ-გამომკვლელნი თავს იქნედნენ და სწორედ მათი მესამართით ამბობდნენ:

— რატომ არ გამოვლენ და შევირდად არ დაუდგებიან ამ მარჯვენად-ალოცილებსა! მითამ ამითხე უკეთესი ბიჭებბ მყვანან, რი ცხერი ღუმა რაა, იმასაც არ კადრულობენ?! ვკენი რი სახლს იმუნებდნენ, ახლა სამი პირი

ტყავი მექნებოდა გადამსურალი ხელის-გულებზედა, ესენი კიდეც, ყუფულდრჯე-ბიან და აქეთ გვლოცმენ-ბრწყინებ-ბრევას და კაცურ ცხოვრებას გვახსენებდნენ!

— განუძი, კე, ვაიციონებენ მართლა, ან ვინმე მიუტანს ენასა და ეწვიებათ, საზიარებულად ისევე იმათთან არ უნდა მიხვიდე?

— ეწვიებთ და მწვერი შიწვან, ჩემი დარდიც ვე იყოს!

ერთი ორჯერ ქეთევანი და თეიმურაზიც გამობრძანდნენ დიდებულთა ამალით, მათი კეთილისმყოფელი პატრონის ნახელავი დაათვალიერეს და მოიწონეს. პატარა დელოფალი არ ახლდათ, ანა თვეში მდგმური იყო და ახლო მომავალში ტახტის მემკვიდრე ბატონიშვილის დაბადებას ელოდა.

თეიმურაზმა თქვა:

— სწორედ ამითხე უბრძანებია ქრისტე-ღმერთის, მქონებულს ემატებოდეს და არამქონეს აკლდებოდესო. მადლიანი ხალხი ყოფილა და საქმეც მადლიანად მიხდით, — შემდეგ კი გლუბურად დააყოლა: — ააფეკებენ ქვეყანასა, მარა იქნება! — და ფეშტმალაფარებული შამ-აბასი გაახსენდა, დროის უმეტეს ნაწილს სახელისონოში რომ ატარებდა და ხელმარჯვეობით ქვეყნის საუკეთესო ოსტატებსაც კი სჯაბნიდა.

ზამთარმა ფეხი გაიდეგა, პირველად მხოლოდ ჯვლიერის კვირაში დაიქუხა ცამ და გახაფხულის პირველი წემა წამოვიდა, ამ დღიდან მოკიდებული თოვლმა გამაღებით დაიწყო დნობა. მალე, მთებში და დაბლობის ჩრდილიან ადგილებში თოვლი ჯერ კიდევ იყო, ადიდებული ალაზანი კი მძიმედ მოავიკრებდა ამღვრულ ზეირთებს, როდესაც მინეჩილ ადგილზე, ქალაქის ჩრდილოეთის კედლიდან ოციოდე ნაბიჯის მოშორებით, პატრუმმა თავიანთი სალოცავი სახლის, კათოლიკონი საყდრის ბალავერი აკურობეს და მისი ვაჭრა დაიწყო. სამუშაო დიდი იყო და დიდძალ მუშახელს მოითხოვდა, ამიტომაც უარი ევლარ უთხრეს სახლთ-

უხუცესს, როცა მან ხარ-ურმისა და ხელისმუშის მიშველება შესთავაზა. რაკი დამხმარეები ყავდათ და სამშენებლო კირის გამოწვევს სახლთუხუცესმა იღო თავს, პატრებმა ქვის სამტეხლოდან მოზიდული დიდრონი ღოდებისაგან კუთხეებისა და ფილების ამოხაყვანი ქვების გათლა-მონუქურთმება დაიწყეს. მათ განზრახული ჰქონდათ, საფლარი ისე აეშენებინათ, რომ კათოლიკური ეკლესიის დამახასიათებელ ხუროთმოძღვრულ ფორმებისათვის არ ეღალატათ მაგრამ, ამავე დროს, რაკი ის ქართველთა ქვეყანაში შენდებოდა, შენობას აქაური ხუროთმოძღვრული ელფერიც ჰქონოდა.

ქეთევანმა წინასწარ განიხილა საყდრის მონახაზი, რომელიც მისიონის პრეფექტმა ამბროზიო დუმ ანუშმა წარუდგინა, თეიმურაზიც მოიწვია, აჩვენა და სტუმრის უზადო ხელოვნებით მოხიბლულმა სამშენებლო ხარჯების მთლიანად გადახდა იკისრა. მადლიერმა პატრებმა იუარეს, თავი გამოიღეს, ყველა ღონეს მიმართეს, რომ არცთუ ისე მდიდარი დედოფლისათვის ეს ხარჯები აერიდებინათ. მაგრამ ქეთევანის გადაწყვეტილება ურყევი იყო და მათაც ის-ღა დარჩათ, მადლობა შეეწირათ და თავიანთ გვირგვინის მსპინძლებს გამოეშვიდობებოდნენ.

მუშაობა სწრაფად წარიმართა. ბალავერი ის იყო გადაღესეს და კედლების ამოსაშენებლად პირველი კუთხის ქვაც დაიღო, რომ სასახლიდან სასიხარულო ამბავი მოვიდა: პატარა დედოფალმა, გურიელის ასულმა ანამ, მშვიდობიანად იმშობიარა და ვაჟი, ბატონიშვილი, ტახტის მემკვიდრე შეეძინა! მთელი ქალაქი ფეხზე დააყენა ამ ამბავმა. ატყდა ზარების საზეიმო რეკვა, სადარაჯო კოშკებზე ძელსა კერეს, სასახლის ქონგურსა და პარმაღებზე სამფეროვანი აღმებზე გამოჰკიდეს.

— პაპანემის მამის სახელი ლევანი უნდა დაეარქვა! — განაცხადა ბედნიერმა მამამ, თეიმურაზმა — სახელოვანი

მეფე იყო, ერს პირნათლად ემსახურა და ესეც მის ფეხზე გაამარჯებინა!
— ლევანი!.. ლევანი!.. — დიდაც ზამლხში. — ლევანს არქმევენ, დიდი პაპის სახელს!..

— დემეტომა გაზარდოს!.. აკურთხოს მამაშეციერმა!.. შეეწიოს სამას სამოცდახუთი წმიდა გიორგი!..

ნათლობა ნაადვგომებს, ამალღების წინაღუეს გაიმართა. დიდი პაპის სეხნია ჩვილ ლევანს მირონი თვით ალავერდელმა მიტროპოლიტმა სცხო. ნათლებად თიანეთელი ჩოლოყაშვილი და ყვარლელი ჭავჭავაძე მოიკიდეს.

გამოცოცხლდა და გამობრწყინდა მეფის სასახლე. ვინ არ მოდიოდა მოსალიცად, ძღვენის მოხართმევად, თავადი თუ აზნაური. ერი თუ ბერი, გლეხი თუ მოქალაქე, სომეხი, თათარი თუ იუდეველი. ვის საბუღბამუელი საკლავი მოჰყავდა, ბატონიშვილის პირის სანაცვლო იყოსო, ვინ პურღვინით პირამდე სავსე ურემს მოაჭრიალებდა, ვინ ფარჩავადაფარებული ხონით ამოდიოდა სასახლის ციკაბო კიბებზე!

მესტუმრეთუხუცესი ლუკა მყავშილი თავზე ადგა თანაშემწეებს, რომლებიც ხელედაკაიწებულნი ხანადმო სუფრას შლიდნენ მურყნარში, ინწობის მარჯვენა ნაპირზე და ახალ-ახალ ვანკარგულებებს აძლევდა. იქვე ახლოს, ლასტისკედლებთან, წოწოლასახურავიან სახაზაზოებში თორნის პური ცხვებოდა და პურში ახალამოყრილი ცხელი მოთების გამაბრუებელი სუნი დამღვარიყო. ღია ცისქვეშ გაჩაღებულ ცეცხლზე კედლებშემჭკარტლული სპილენძის ქვაბები შემოედგათ. ქვაბებში წყალი ფუხფუხებდა და შიგ დიდ-დიდ ნატრებად დაკუნული სახამლამე ხორცი იხარშებოდა. ცეცხლთან ტრიალისაგან სახედაბრაწული გოგო-ბიჭები თხილის შამფურებზე აგებდნენ მწვადებს, წალმის ცეცხლზე ატრიალებდნენ და თან წერწყვს ვლამაჯდნენ, რადგანაც მათ დაპურებამდე ჯერ ბეერი წყალი ჩაივლიდა და შემაწუხებელი შიმშილი როგორმე უნდა მოეთმინათ!



სატატო ქალაქს აუარება ხალხი მოსწყდომოდა ყოველი მხრიდან. ალაგ-ალაგ ცეცხლ-თამაში გაემართათ. გრვევინავედა თოკებით გაბორკილი დოღი და ბაგაბუვი გაქონდა ზანზალაკებშებმულ დაირას, იქაურობას იკლებდნენ, ძარღვებში ხისხლს აჩქოლებდნენ ზურნა და ღუღუკები, ერთმანეთს ენაცვლებოდნენ მოცეკვავენი, ბიჭი და გოგო, გოგო და ბიჭი, ვინ ვის ვინ ვის, ვინ ვის!..

ველა სახლში სუფრა იყო გაშლილი. ილხენდნენ და ზეიმობდნენ გრემელები და მათი მოკეთენი, ამ სამახსოვრო დღეს სატატო ქალაქისათვის რომ მოეშურებინათ, რათა საყოველთაო დღესასწაულში მონაწილეობა მიეღოთ და ცოტა რამ მათაც რეგებოდათ. უსხდნენ სუფრას დღენიდავ მოუცვლელი, ხელედაკოვრებული მჭედლები და მექვაბები, მეუნაგენი და თერძები, ბაყლები და მეთულუხენი, ფეიქრები და ქონები, მხედრები და შვირადენი, უსხდნენ თავიანთ კარის მეზობლებთან და ნათელ-მირონებთან ერთად და კახური ენამზებობით ახალ მონათლულ ღვეჯან ბატონიშვილს სადღვერძელოებით ამკობდნენ.

ბედნიერმა მამამ, თეიმურაზმა, სუფრაზე მოლხენა და ჭერში ქედის კვრა არ იკმარა, თანამეინახენი აიყოლია: დაფა-ზურნის თანხლებით გარეთ გამოვიდა და შეზარხოშებულმა, თითქმის მთვრალმა ღამის მთელი ქალაქი ფეხდაფეხ შემოიარა. ვველგან შევიდა, მდაბიო ხალხში გაურია, როგორც ქართულ მეფეებს ოდითგანვე სჩვეოდათ, ფუძის ანგელოზი დალოცა, პირმშო ღვეჯანის გულით დღვერძელობისათვის დიდსა და პატარას მადლობა გადაუხადა, ზოგან ხელები გაშალა, ფეხისწვერებზე შემდგარმა იცეკვა, ზოგან მომღერლებს ბანი დააწია და ვველას სიხარული და ბედნიერება არგუნა.

მისებრ შეზარხოშებული ყმაწვილკაცები გუნდ-გუნდად დასდევდნენ თა-

ვიანთ მეფეს, პირში აქებდნენ, აღილებდნენ და ისიც ღალატდნენ. უდად აღარ მიანდა და დღვეჯანსა ქალაქსა!

თხზო XXXVI

გადაბმულ ღვინს, ნადირობასა და სიაყვაცო შეჯიბრებებს, გრემში ტახტის შემკვიდრის შემენის აღსანიშნავად რომ გაიმართა და დასასრული აღარ უნანდა, ზღვარი ისპაჰანიდან მოსულმა მეჰმანდარმა დაუღო. ეს მოხდა შკათათვის 11-ს, წმიდა მოწამე ესტატე მცხეთელის ხსენების დღეს. წვერწაწვეტებულმა, ინით ხელეშელებილმა, თავზე წითელ ნაღმაშეშოვრავნილმა მეჰმანდარმა, იგივე შესტუმრემ, ძეობასთან დაკავშირებით დედოფალ ანას ისპაჰნელი ოქრომჭედლების ნახელავი ძვირფასი სამკაულები მორათვა მისი უდიდებულესობა შაჰის სახელით, ხოლო მეფე საგანგებოდ დაამარტოხელა და სიტყვიერად აუწყა, მწვალობელი ყაენი შენა და ქართლის მეფე ლუარსაბს მახანდერაში სანადიროდ გეპატივებათო.

„ადვილუკე! — კინაღამ ხმამაღლა აღმოხდა თეიმურაზს და მოულოდნელობისაგან ერთ ადვილზე ისე შეტოკდა, თითქოს ცეცხლი წაჰკადებოდეს. — ეტყობა, ერთხელ და სამუდამოდ მოელო ბოლო ჩემს უზრუნველ ცხოვრებას. რაღა თქმა უნდა, შაჰი იმისთვის შეპატივება, რომ განძაში გამოუცხადებლობის გამრ პასუხი მაგებინოს! მორჩა, მე იქიდან ცოცხალი ვედარ დავბრუნდები! შეიძლება, სულაც აღარ გამომიშვას და ტახტი სხვას მისცეს, ვინ იცის, იქნებ რჯულის დავებას და ისლამის მიღებაც მომთხოვოს! მაგრამ ჩემს ნათესავს, ლუარსაბს, რაღას ემართლება? ქართლში მომხდარი ამბები ზომ მთლიანად მამამისს, მეფე გიორგის, დაბრალდა და პირადად მას შაჰის მიმართ ჯერ ზომ არავითარი დანაშაული არ მიუძღვის?! არ წაუვალ! მე ამას ანას ვერ გავუმხელ, ხელში ჩამაკვლე-

ბა. ისედაც კარგად ვერ არის და ხომ დალია ჯავრმა! მარტო გიგს შეუძლია, სახრჩობელის ყულფში თავი ნებით გაქვოს! ნეტავი ღუარსაბმა რა პასუხით გამოისტუმრა? ეს ვაგბატონი ხომ ჯერ ტფილისში გამოივლიდა და შაპის მიპატივებას ჯერ იქ მიიტანდა!"

თეიმურაზმა თავი არ დაიმდაბლა, ეს თვით მექმანდარს არა ჰკითხა, შესტუმრეთუხუცეს ლუკა მყაშვილს მიანდო, შენ გამოკითხეო და მასვე უბრძანა, საჩქაროდ დარბაზის კრი შევეყრა, დელასთან და ცოლთან მოხალაპარაკებლად კი თვით გავიდა.

დიდი დედოფალი, როგორც ყოველთვის, ანახ ოთახში აღმონდა. ძიძები და მოახლეები ჩველ ლევანს ბანდუნენ. ერთს ატირებული ბაღლი ეჭვირა, მეორე ვასაპუნელ თავს უქექავდა, მესამე ნელთბილ წვალს უხსამდა, ანა და ქეთევანი კი ზეწრებისა და ჩვილის ვასახვევი ჩერების რჩევაში იყვნენ ვართული.

— დედა! — ხმადაბლა მიმართა თეიმურაზმა ქეთევანს.

შვილის ხმის გაგონებაზე ქეთევანმა თავი ასწია. მისი მოსტერებული თვალები და ფერწახული სახე რომ დაინახა, ზეწრის ყური ზელიდან გაუვარდა.

— რა იყო, შვილო, რაიმე ცუდი ამბავია?

— შაპისაგან მექმანდარი მოვიდა. აბახი მაზანდერანში ხანადიროდ მიპარებს!..

— ვაი ჩემს დღეს!.. — ქეთევანმა ყბაზე ხელი შემოიწყო და ცრემლმორეული თვალები გაუწერდა.

— რაო, ბატონო დედა? — უცნაურად სახეშეცვლილ გვირგვინისაჲნ ქმარს ვერ შეჰხედა და დედამთილს ჰკითხა ანამ.

— შაპი იბარებს.. მაზანდერანში.. სახადიროდ!..

მოახლეები და ძიძები მიხედნენ, რომ აქ მათი ადგილი აღარ იყო, თუმცა ცნობისმოყვარეობის ცეცხლი კი სწავდათ, ბატონიშვილი ხასწრაფოდ გაახვიეს, თავზე რბილი ხილაბანდი დაახუ-

რეს, ნაბანი წვალიც ^{გაიტანეს} და დედოფლის ოთახიდან ^{გაგვანეს} გაგვანეს.

— მარტო შენ, შვილო? — ქეთევანმა თავს შემოუძახა, გამაგრდიო, გული გაიქევა და კვლავ თავჩაქინდრულ მეფეს მიმართა.

— შე და ღუარსაბს, ქართლის მეფეს.

— ის რა აზრზეა?

— არ ვიცი, შე ჯერ არაფერი არ ვიცი.

— დიდებულები მოიწვიე?

— ლუკას ვუბრძანე. დაღამებამდე, აღბათ, მოგროვდებიან.

— შენ თვითონ რას ფიქრობ?

— რასაც შენ მიბრძანებ, დედა. შე ამ ამბავმა ისე დამაბნია, რაღა დავიძლიო. ფიქრიც კი მიჭირს. არ მეგონა, ნამდვილად არ მეგონა, თუ შაპ-აბახი ასე გულდრძო გამოდგებოდა, თუ უბრალო რამეს არ მაპატიებდა და კრიჭაში ჩამიდგებოდა!

— ჯერ გაგვეყო, ღუარსაბმა რა პასუხი გასცა.

— მაგას დრო უნდა, დედა. თავად მექმანდარისაგან სიძართლეს ვერ შეიტყობ. საერთოდ არა ღირს კითხვა. მივა და შაპს ეტყვის, სანამ გადაჭრილ პასუხს მომცემდნენ. დიდი ჭოჭმანი შეეკნათო. შაპის წინაშე ესეც დიდი დანაშაულია. ჩვენ უბედურებს ფიქრისა და ჭოჭმანის უფლებაც არა გვაქვს!

— მაშ, რა ექნათ, რა გზას დავადგეთ?

— შენთან სწორედ მაგის საკითხავად მოვედი!

— ანა!.. — თავადაც საგონებელში ჩაყარდნილმა ქეთევანმა ახლა-ღა შენიშნა, რომ რძალი ჩუმად ტიროდა, მზურვალე კურცბლები დააალუბით ჩამოსდიოდა და მთელ სახეს უხველებდა. — არა გრცხვენია, შვილო? რა გაგზლომია ცხარე ცრემლით სატირალი? შაპი მართლა კაციჭამია მხეცი ხომ არა გგონია! გულში რომ რაიმე ბოროტი ედოს მექმანდარს კი არ გამოვზავნიდა, ჯარს შემოგვიხვედა და ჭერს თავზე დაგვაქცევდა. ჩუ. დაწინარდი! — მან ქალს ხელი მოჰხვია, მისი პატარა თავი გულზე მიიხუტა და ცრემლი



სწორედ ამ ზეწრის ყურათ მოსწმინდა, ახალდაბნული შვილიშვილის შესახებ ვეკად წელან რომ სხვა ზეწრებში გამოარჩია.

— არა! არ წავალ! — შეკვივრა უცებ თეიმურაზმა, ანახ ამ დღეში დანახვამ თავიდაც ცრემლი მოჰკვარა, სახეზე ნიღაფი აიფარა და ყვრიმალთ კარის ძვიდეს მიეფრინო.

— ნეტამც არ წავიყვანა, შვილო, — მწარედ დაიკუნხა ქეთევანმა, აქ კი ხიმტკიცემ უღალატა და ტუჩები აუთრთოლდა. ნეტამც!.. დავეითხოთ სხუესაც. მარტო ჩვენ ხაზნი ამ საქმეს ვერ გადავწყვეტთ!

შის ჩახვლამდე დარბაზსლები მართლაც შემოიკრიბნენ და, როგორც ნაბრძანები იყო, თავი სატახტო დარბაზში მოიყარეს.

მეფე სწრაფი ნაბიჯით შემოვიდა შემოსვლისას საერთო ხალაში ბრძანა, დარბაზი გაიკარა, პირჯვარი დაიწერა და ტახტზე თავისი ადგილი დაიკავა. მაშინვე მოუხხდნენ: და ანა მარცხნიდან, დედოფალი ქეთევანი მარჯვნიდან აღაჯრდიდან სწორედ ამ წუთს მოსული მიტროპოლიტი სვიმეონი.

— ისპაჰანიდან შეკმანდარი გვეწვია, — როგორც კი მეუფემ დარბაზის კურთხევა დაამთავრა, ოთხივე კუთხეც ვჯვარი ვადასახა და დაბრძანდა, თეიმურაზმა პირდაპირ, ყოველგვარი შესავლის ვარეშე დაიწყო. — შაჰი ხანადიროდ მახანდარანს გვეპატივება. ამის შესატყობინებლად დაგიბარეთ. რას გვირჩევეთ?

მეფის მიერ მოწოდებულ ამ ცნობას რომელიც ვველახათვის უკვე ცნობილი იყო, დიდებულები დუმილით შეხვდნენ. ბოლოს პირველი ხიტყვა ბებურ ვაჩნაძემ მოითხოვა.

— თუ წახლავს ინიგებთ, გვახლებით, მეფეო, ნადირობისას ვახახლებით და სამშობლოს დროებით მოშორებასაც ვავაიდულებთ!

— საქმეც ვვ ვახლავს, თავადი ბებურ. ჩვენ არ ვიცით, დროებით მოვ-
4. „წათობა“ № 3—4.

ვიწვევს სამშობლოს დეტოვება... სა-
მუდამოდ! ჩვენთან ერთად შეგვიღობელი
შაჰი ჩვენს ძმას, ქართლის მეფე ლუ-
არსახსაც ეპატივება. ვინ არის თავდუ-
ბი, რომ ჩვენ იქ არ დავაკავებ, თვით
კი აქ არ შემოიჭრება და ქართლსაც
და კახეთსაც ერთად არ დაიჭურს?

— დმერთმა ნუ იხეზოს, მეფეო, — თეიმურაზს ხიტყვა ქიხიყის მოურავმა ბაქარ ანდრონიკაშვილმა ჩამოართვა. — შაჰს ჩვენი მეფეები ხშირად მიუწვევია, მაგრამ უკან ყოველთვის აბრუნებდა ბუხსაც არ უფრუნდა. პირადად მე აღარც კი მახსოვს, რამდენჯერ ვხლებივარ ნეტარხსენებულ პაპათქვენს, კახბატონ აღუქსანდრეს, შაჰის კარზე. იქ ყოველთვის გამოჩნეული პატივით გვი-
ლებდნენ და უკან ხალათებითა და სხვა საბოძერებით დასანუქრებულებს გვი-
სტუმრებდნენ!

— მაშ, თქვენ ფიქრობთ, რომ საშიში არაფერია, შეიძლება, შაჰს უყოყმანოდ მივეწოდოთ? სხვები რას გვიბრძანებენ?

დიდებულთაგან შეუნიშნავი არავის დარჩენია, რომ ქიხიყის მოურავის თათბირი მეფეს ჭკუაში არ დაუჯდა, ვაალიზიანა კიდევ ამ თათბირმა და ახლა აღარ იცოდნენ, ისეთი რა ეთქ-
ვით, რომ არც მწვადი დაეწვათ და არც შამფურა.

დარბაზისლები ორჭოფობდნენ. ბაქარ ანდრონიკაშვილს მხარა მათ შორის მხოლოდ ერთმა დაუჭირა, ისიც ვაუბელად და მიკიბულ-მოკიბულად. სხუებმა კი შაჰისადმი სრული უნდობ-
ლობა გამოაცხადეს, ძველი უპირულობის მაგალითები გაიხსენეს და მეფეს სიფრთხილისაკენ მოუწოდეს. თეიმურაზი გამოცოცხლდა, თავის ვარაუდში ის უკვე მარტო აღარ იყო და ყაენისათვის მორიდებული უარის შესათვლელად ახალ-ახალ საბუთებს არჩევდა, როდესაც თავადი დავით ჯანდიერი მძიმედ წამოდგა და ხიტყვა ითხოვა:

— მე შემამფთოთა, რაც აქ პატონებმა ბრძანეს, — დაიწყო შან. — თუმცა არ ვაპირებ იმის უარყოფას, რომ მათი ში-
ში საფუძვლიანია, მაგრამ ამავე დროს

თავად ბაქარის ნაბრძანებსაც ვადასტურებ. ნუ დაგვაიწყნებება, რომ შაჰ-აბას-მა რანში გაგზავნილი ჩვენი ჯარი არ დაახაქმა, თუმცა ჩვენს დიდებულ დედოფალ ქეთევანს დაუტკბა კიდევაც და მეფისადმი თავისი რისხვა სხვაგვარად გამოხატა...

თეიმურაზმა ისევ ჩამოყარა ყურები, ისევ ჩაწვდა გული, თავი ვეღარ შეიკრუა და გულჯავრიანად წარმოთქვა:

— დანაშაული მიმიძღვის შაჰის წინაშე. არ უარყოფ. საბუთიც აქვს მირისხდებოდეს, მაგრამ კაცთაგან თქვენა მგებართ მოწმე, მაღლა კი ღმერთია, რომ შაჰის ჭაღმომოყვანილი ცოლის მიტოვება და ლაშქრად წასვლა არ შემიძლო. ამიტომაც ბატონ დედას დავთანხმდი, ჩემი მაგივრობა გაეწია. ბატონმა დედამ ნაკისრი ვალდებულება პირნათლად შეასრულა, რისთვისაც ერთხელ კიდევ მაღლობას მოვახსენებ. მგონი თავად შერმაზანს სურს რაღაც თქვას

შერმაზან ჩოლოყაშვილი მეფის მზარმარცხნივ იჯდა ნატიან სკამზე, პირველი მეუფე სვიმეონის შემდეგ და არ მოელოდა, თუ უშუალოდ მას მიმართავდნენ. თავადმა დავით ჯანდიერმა, მანამდე კი ქიზიყის მოურავმა ბაქარ ანდრონიკაშვილმა მილიანად თქვეს მისი სათქმელი, დასამატებელი თითქოს აღარაფერი იყო, მაგრამ ახლა უკან დახევა აღარ ეგებოდა და წამოდგა, ჯერ თავის გაზრდილ მეფეს შეხედა, მერე კი დიდებულთა და სამღვდელთა კრებულს მოავლო მზერა.

— არ ვიცი, შეიძლება ვიდებოდეთ ბატონებო. მაშინ ჩემი ნათქვამი სიტყვების ფუჭ გროვად ჩამითვალეთ და ყურადღებასაც ნუ მიაქცევთ, მაგრამ მე მაინც მგონია, რომ არ ეგების შაჰის მიწვევის ამჯვრადაც უარყოფა, მისი ერთხელ და სამუდამოდ მტრად მოკიდება! თუ მიბრძანებს, მე თვით გავყვები ბატონ მეფეს, მის ხეჯდრს გავიზიარებ, ოღონდ ნუ ინებებს უარს და ერს საშინელ განსაცდელში ნუ ჩააგდებს. მეფეო, შეიძლება მე მიწვინით, ჩემგან

შეიძლება სხვა პასუხს მოელოდით, მაგრამ დღესდღეობით ესტუმრებოდნენ ქვეყნის კვებდაც და როგორ უტყუარდნენ მისი უდიდებულესობის მოტყუება!

სამარისებური სიჩუმე ჩამოყარდა. ყველა ჭაღარით შემოსილ, მაგრამ ჯერ კიდევ ქარმაგ შერმაზანს უყურებდა. მას თავისი სათქმელი უკვე დაემთავრებინა, მაგრამ დაჯდომას ჯერ არ ჩქარობდა. დუმდა მეფე დუმდნენ დიდებულები, შაჰისანი საეკლესიო მამები, დუმდნენ დიდი და პატარა დედოფალი, თითქოს კიდევ ელოდნენ რაღაცას, რაღაცის გადაწყვეტას, რაც მათ ჩაურევლად, მხოლოდ ზენაარის ნებით უნდა მომხდარიყო.

ვერცხლით მოჭედილ საღვედელმთავრო კვერთხს დაფრდნო და სიჩუმეში წამოდგა მეუფე სვიმეონი.

— ჩემი ლოცვა-კურთხევა გფარავდეს, მეფეო — თქვა მან და ბატონს ჯვარი გადასახა. — უმეცარი ბერის რჩევა-დარიგება აბა შენ რისთვის უნდა გჭირდებოდეს, როცა გარშემო ასე ტყუა-გონებითა და ხიბრძნით სავსე ხალხი გახვევია. ნუ მიწყენ, თუ გაუბედავ და ჩემს მოკლე მოსახრებას მეც მოგახსენებ! შაჰ-აბასი, ყველამ ჩემზე უკეთ უწყით, სისტიკი და დაუნდობელი მბრძანებელია. დთვის განგებამ, უღმობელმა ბედმა გვარგუნა მის მსახურად ხელში ჩაგარდნა. ვიდრემდი სპარსეთისა და ოსმალეთის 1555 წლის ამასიის ზავი ჯერ კიდევ მოქმედებს, მისი მოქმედების აღკვეთა კი ჩვენ არ ძალგვიძის. რადგანაც ხატანის ნებით ქართველთა ქვეყნები წვრილ-წვრილად დაქუცმაცებულია და გიორგი ბრწყინვალის დიდი საქართველოს აღდგენა არ ხერხდება, კახეთი ფიზილბაში ბატონის უღელს ვერ გადაიგდებს და დღესაც და მომავალშიაც, ხანამ მაღალი ღმერთი არ ინებებს მის ნებასა და სურვილს ვერ გადავალთ. ღმერთმა დავიფაროს, მეფეო, განსწავლული კაცი ბრძანდები, ქართლის ცხოვრება ზენად იცი და კარგად გახსოვს მეფე დემეტრე თავდადებულის მაგალითი.

ის თვით წავიდა ურდოში, თავისი ბედნიერი ფეხით ეახლა ვაენს, რათა მისი ქვეშევრდომი ერისთავის კალიასავით მრავალრიცხოვანი მონგოლების შემოსევა აერიდებინა. ვევედროთ უფალს, — ეკლესიის მამამ თვალები ადაპერო, პირჯვარი ვადაწერა. — ვევედროთ ღვთისმშობელ დედას, რომ შაჰს ამჯერად შენი დასჯის განზრახვა არა ჰქონდეს, მე უბედურს, უმეცარ ბერს აგრე მკონია: შაჰი გცდით ორივე მეფეს, ახლა მაინც მოვლენ თუ არა, სცნობენ თუ არა ჩემს უზუნაეს ზელისუფლებასო. არა გვაქვს სხვა ძალა, შეილო ჩემო თვიმურაზ. გარდა ღვთის მიმართ ლოცვისა და მორჩილებისა!

მთავარებისკოპოისის შთამბუჭდავი ხიტყვის შემდეგ დარბაზში შეტი აღარაფერი თქმულა, მხოლოდ ქეთევანი წამოიღა, შეილთან მივიდა, ცალი ხელი ანას დაადო მხარზე, მეორით კი თვიმურაზი მიიხუტა და თვალცრემლიანმა ამით თავისი დედოფლურა და დედობრივი ვადაწვეტილება გამოხატა.

თხზო XXXVII

ქართლისა და კახეთის ახალგაზრდა მეფეები, რომელთა ასაკში მხოლოდ წელიწადი იყო განსხვავება, თვიმურაზს ერთი პერანგით შეტი გაეცვითა, თავიანთ მბრძანებელ შაჰ-აბასს ეჩვენისთვის დამლევს ეახლნენ. აქ მოხვლამდე მათ და ორივე სამეფოს ბრწყინვალე წოდების წარმომადგენლებისაგან შემდგარ ხაკმაოდ მრავალრიცხოვან ამაღლას ნახევარი სპარსეთის, ბევრი უღელტეხილისა და თვალწუღენელი უსიცოცხლო უდაბნოების ვადალახვა მოუხდათ.

აბასმა სივგარულით მიიღო ორივე ცოლისძმა, რომელთა ღვიძლი დები, ბატონიშვილები ლულა და ელენე, პარამხანაში ჰყავდა და, როგორც მეფეთა ჩამომავლებს, სპარსეთის დედოფლებად აცხადებდა. მას წყნისა და მრისხანების არაერთი ნიშანწვალი არ ემწიოდა. პირიქით, მეტად მზიარული, მოსა-

ყვარულე და უაღრესად ყურადღებიანი ხანდა.

ერქვეშული

ლუარსაბი პირველდღეობისმეტყვე-ში და ანციფრებდა აქაური სივრცეების დაუსრულებლობა, მკაცრი ბუნების ცვალებადობა, ალავ თოვლი და ვინვა, სხვაგან კი ქვიშის ვრივალი და სულს შემხუთეული სიციხე, წყალუბი მდინარეების ორივე ნაპირზე ვამენებული, ცოცხალ სიმწვანეში ჩაფლული დიდდი ქალაქები, რომლებსაც არაფერა ემწიოდათ იმისა, რომ ირგვლივ, ვასცილდებოდი თუ არა უსახო, აღიზით შელესილ ბანიან სახლებს, პაპანაქება სიციხით ვავარვარებული უდაბნოები ვრტვით.

ვევლაზე მეტ ვაიცებას და აღტაცებას თვით სატახტო ქალაქი ისპაჰანი იწვევდა თავისი ვრძელი, სწორი ქუჩებით, ფერადი ფილაქნით რომ იყო მოვებული, ეღვიხებული ბაღებით და ფართო მოედნებით, რომელთაც ოთხივე კუთხივ თითქოსდა ვადოსწურა ვიხსნალით ნაქარვი ჩუქურთმებით დამშვენიებული ცად ატვირცილი სრა-სასახლეები, მიზგიოები, მინარეთები, ბაზრები, აბანოები, ქარვასლები ვადმოპყრებდნენ. თვალსა და გულს იტაცებდა ისპაჰანის მშვენიება აღი-ფაფუ — შაჰის სასახლე მას ვევილიწარად ქცეულ ვეებერთელა მოედნის — შეიდანე შაჰის ცალი მხარე ვკავა და ცისფერი მორენკეცით მოპირკეთებულ მრგვალ-გუმბათიან მიზგიოთან და ცამდე აზიდულ ტანწერწეტა მინარეთთან ერთად თავბრუდამხვევად ზდაპრულ სანახაობას ქმნიდა.

სასახლის წინ ვამავალი ფართო ქუჩა შუაზე ქვეთდა სატახტო ქალაქის გულს და შეიხ ლოთფოლას მიზგიოთის უკან მდინარე ზაიანდერუდზე ვადიოდა, რომელზედაც ათი-თორმეტი წლის წინათ სპარსეთის ერთ-ერთმა ვავლენიანმა მოხელემ, შაჰის მცველი ვარის სარდალმა და მისმა ვევლაზე უფრო დაახლოებულმა პირმა, შაჰის მამად წოდებულმა ალავერდიხან უნდილაქმ,

მთელს დედამიწის ზურგზე განსიქმული კამარებიანი ხიდი აავო.

ალავერდი-ხანი უნდილაძე სპარსეთის ტახტის მოცილეთა ბრძოლაში მონაწილეობდა, თავიდანვე აბას-მირზას მხარე ეჭირა და შადლერი აბასიც თავს ტახტზე მის აყვანილად თვლიდა, რისთვისაც პატივითა და წყალობით აუსხებდა. სპარსეთის ტახტის ერთგული ქვეშევრდომი ურმიას ტბასთან გადახდილი დიდი ომის წინახანს გარდაიცვალა. შაჰმა იგი პატივით მიაბარა მიწას და თავისი სიყვარული მამობილისადმი მისხავე შვილებზე — დაუთ-ხანზე და ალიყული-ხანზე გადაიტანა.

ალიყული-ხანი შაჰის სიცოცხლე შივე ფარსის ბეგლარბეგი იყო, სიბრძნისა და მხედრული შემართების წყალობით შაჰის აღტაცებული სიყვარულით სარგებლობდა და ირანის ტახტის გრთ ხაიმედო ბოძადაც თვლიდნენ.

თემურაზმა ჯერ კიდევ შაჰის კარზე პირველ წასვლამდე იცოდა უნდილაძეების არსებობა. ქეთევანი კიდევაც ფიქრობდა, გავლენიან მშებთან რაიმე გზით კავშირ-ურთიერთობა გაება და ტახტის მემკვიდრე შვილსაც ამას აგონებდა.

უნდილაძეების გვარი და მათი მფლობელობა სპარსეთის სამეფო კარზე უცხო არც ლუარსაბისათვის იყო. ალავერდი-ხან უნდილაძე, რომელიც ლუარსაბის შაჰის, დელი სიმონის, ზეობაში ჯერ კიდევ ბაღლი ქართლის რომელიღაც სოფლიდან გაეტაცათ და ტყვეთა ბაზარზე გაყიდულისათვის ბედს ბოლოს ასეთი საკვირველი აღზევა განუშაღებინა, შაჰისაგან ბევრს რამ სძენოდა.

სპარსეთში, სპარსული ქალისაგან ჩაშობ ალიყული-ხანს, ფარსის ბეგლარბეგს, შაჰადის რჯულის აღმსარებელს, ქრისტიანობის დაუძინებელ მტერს და შაჰ-აბასის მარჯვენა ხელს, უცხო კი რაიმე თავისი ქართველი წინაპრებისა, თუნდაც შაჰისა, ალავერდი-ხან უნდილაძისა, რომელიც ქართულად მეტყველებდა და თვალს მილულავდა

თუ არა, მშვენიერი ქართლის წაღვრითი ეხიზმრებოდა?

მარტო რომ დარწმუნდნენ, რომ ვერ-თობ იშვაათად ხდებოდა, ამასუ ხმირად ბჭობდნენ ქართლ-კახეთის ახალგაზრდა მეფეები და ბოლოს იმ აზრზე თანხმდებოდნენ, რომ ალიყული-ხანისა და მისი ძმისაგან, თუკი ბუღა მათთან სადმე შეახვედრებდა, თავი შორს დაევირათ, ვინაიდან ზნეშეცვლილი, მტრის ბანაკში გადაპარგებული შენიანი ათწილს საშიშია, ვიდრე თვით ის მტერი, რადგანაც უბედური სულ იმის ფიქრშია, ძველი გზის ერთგულება არავეინ დაშწამოს, ამდენი ცდა და მოწადინება წყალში არ ჩამეფაროსო. თავიანთი ფარული სურვილი, ერთმანეთსაც რომ ვერ უმტყვებდნენ, მათ შაჰისათვის, რასაკვირველია, არ გაუმხელიათ, რადგანაც ეჭვიან და ქვე გამხედველ აბასს ვერაფერს გამოაპარებდი, ეს შეიძლება სხვაგვარად შეეფასებინა და ირივესათვის მეთაულურეები მიეჩინა, ჩემს წინააღმდეგ არაფერს ზღართავდნენო.

გურჯი მეფეების, როგორც ისლამურ სამყაროში ქართველ მეფეებს უწოდებდნენ, სპარსეთის სატახტო ქალაქ ისპაჰანში მოხვლა რომელიღაც შიიტურ დღესასწაულს დაემთხვა. დღე და დამ მთელი ქალაქი იღუმინაციით იყო განახნახებული. თვალუწვევრულ ინდურ ბალმებზე, კიპარისებსა, ჭადრებსა და ფიჭვებზე, სასახლის წინ მოღალანე ოთხკუთხა ყვავილნარს ოთხივე კუთხივ მწკრივად რომ უვლიდნენ, შუშის ფერად-ფერადი სამშვენირები კვიდა. დამლაშობით ეს სამშვენირები როგორღაც ინთებოდნენ და ვკავილნარის მოკირწყვლულ ბილიკებზე მოსიარნე მილეთის ხალხს, რომელშიაც ნახევარზე მეტი დედამიწის სხვადასხვა კუთხიდან ვკხოტიკური აღმოსავლეთის მოსახლეულად ჩამოსული უცხოელი ერია, ვეულა ასაკისა, ზეიმურ ფერებში ზევედნენ. მახვითებსა და მენეთებში მლოცველთა და ცნობისმოყვარეთა ტყვა არ იყო. მინარეთების

მრგვალ მოაჯირზე გადმომდგარი წითელჩაღმთან მიუძინებდა ხელუბრალონილი მოსთქვამდნენ და მართლმორწმუნე მამამადიანებს სალოცავად მოუწოდებდნენ.

სადღესასწაულოდ წაენმა დიდი დარბაზობა გამართა და დარბაზობაზე დასასწრებლად ისპაქანში მუდმივად მყოფი გველა ელჩი და დიპლომატიური წარმომადგენელი მოიწვია იყვნენ აქ არაბები და ჩინელები, იაპონელები და სიცილიელები, ნეპოლელები და ვატიკანელი პატრები, ესპანელები და პორტუგალიელები, ავსტრიელები და ოსმალები, პოლონელები და რუსები, გველას თავიანთებურად ვიცი, გველა თავის ენაზე ლაპარაკობდა და ზურგსუკან ამომდგარი თარჯიმნები სხვათა ნათქვამს თავიანთ პატრონებს უთარგმნიდნენ, აქედან კი იქით თარგმნიდნენ.

ოქროს კანდელაბრებით და ბროლის ძვირფასი ჭაღებთ ვაირალდნებულ დარბაზში, აღი-ფაფუს ერთ-ერთ უდიდეს დარბაზში, თითქმის მთელი სართული რომ ვაკვა და სპარსული მინიატურებით იყო მოხატული, თანახმად აღმოსავლური წეს-ჩვეულებისა, არც ერთი მაგიდა არ იდგა. დარბაზის შუაგულში, კედლიდან კედლამდე, ერთი ფართი ხალიჩა იყო სივრძივ გაფენილი და ზვევრდის ბალიშებსა და მუთაქებსში ჩაფლული, ფეხმორთხებით მჯდომარე სტუმრები, ხელებდაკაპიწებულნი, ყოველივე სპარსულსადმი თავისი კეთილგანწყობილება რომ გამოეხატათ, ქაშანაურის დიდ-დიდეს სინებით ჩამორიგებულ ოსმევარდადგმულ უზბეკურ ფლაკს ხუთივე თითით შეეკეოლდნენ, გაქონილ ტურებს ქათქათა ხელსახოცებით იწმენდნენ და პირს ბროლის ყელწვრილი სურებით მორთმეული ტკბილზე უტკბესი შარბათით იკოკლოზინებდნენ.

ვიდრე სატრაპეზო სუფრას მიუხბდებოდნენ, გველა ხელმწიფის სრულუფლებიანი ელჩი შაქმა მოწვალედ მიიღო, მათთან მეგობრული ნაცნობობა განახლა, თითო-ორთა სასამოუნო

სიტყვა, რასაც თვით ელჩის თანხლები თარჯიმნები თარგმნიდნენ უფელასათვის გამოიხატა და მტკიცდნენ მის დიდებული მოძრაობით იქით მიიწვია, სადაც თითოეულს უკვე ელოდა მხოლოდ მისთვის მიჩნეული ადგილი.

სადარბაზოდ გამოწყობილი კოკობულვაშა გურჯი მეფეები მის უდიდებულესობას მთელი სადამოს განმავლობაში გვერდიდან არ მოუშორებია, ტკებოდა და ამყობდა კიდევ მათი მოხდენილი თვალტანადობით. დასხდომის ნება მათ მხოლოდ მაშინ დაერთათ, როცა სტუმრები დალაგდნენ და ბოლოს თვით წაენმაც იწება ფეხის მორთხმა და სუფრის თავში თავისი კუთვნილი ადგილის დაკავება.

საფარელი ცოლისძმების გულის მოსაგებად თუ ჩვეულებისამებრ, შაქს მთელ სადამოს არც ერთი სპარსული სიტყვა არ უთქვამს, მხოლოდ ქართულად ლაპარაკობდა და ამით დიდ ჯაფას აყენებდა თარჯიმნებს, რომლებიც შაქის სიტყვებს მანამ ვერ თარგმნიდნენ, სანამ ქართულის მცოდნე თარჯიმანი სიტყვას მათთვის მისაწვდომ რომელიმე ენაზე, თუნდ სპარსულზე ან თურქულზე არ გადმოიღებდა.

აბასი სწორედ ქაჯური მეხიერების პატრონი იყო. სადმე ოდესღაც გავონილი აზრი ან კაცის სახე გონებიდან არ ამოუვიდოდა. კარისკაცები ამიტომაც ფრთხილობდნენ: ვაი იმას, ვინც თავს დაიბედა, რამდენი ხანი ვაეიდა მას შემდეგ, შაქს ეს უკვე აღარ ეხსომებაო. სადამოზე ერთი იაღლიში მაინც მოუვიდა: თეთრი ჩაღმით თავ შემობურვილი შექვერა ოსმალთ, თურქეთის სულთან მურად მეორის ახალი ელჩი სპარსეთის შაქის კარზე, რომელსაც აბასი მხოლოდ მეორედ ზედავდა და მისი სახე ჯერ ხეირიანად ვერ დაემახსოვრებინა, რომელიღაც სპარსელ აბათოლად მიიღო და ხელის ჩამორთმევის დროს ყურში რაღაც სპარსულად უწერწულა, ოსმალთ შეერთა, უკან დაიხზა, გადაპული შავი წარბები აზნიქა და მზრები აინკა, რითაც მის

უდიდებულესობა შაჰს აგრძნობინა, არ შესმის, რას შელაპარაკებო. აბასმა განცივებრებაც ვერ მოახწრო, როცა უკანთან ფეხისწვერებზე შემდგარმა თარჯიმანმა წახსურწულა:

— ვუ ათათოლა არ ვაზღავეს, ხელმწიფე. სულთან მურადის ახალი ელჩია!

ელჩიო, ისიც სულთან მურადისაო? შაჰ-აბასი გადაფინინდა და იმდენ ხანს იცინა და იხარხარა, ხანამ სული არ შეუვაბდა და ხველება არ დაწვებინა.

სხვები, ვინც ამ ამბავს შეესწრო, მათ შორის თეიმურაზი და ლუარსაბი, აყოლას ვერ ბედავდნენ, ვაითუ აყოლა შაჰმა დაცინეად მიიღოს და, როგორც არა ერთჯერ მომხდარა, გუნება ერთბაშად შეეცვალოსო, არა და სიცილიც ძნელი შესაკავებელი იყო, რადგანაც სპარსეთის მბრძანებლის ეს უცხოური, ყოლად გაუგებარი საქციელი ოსმალეთის თაემოყვარე ელჩმა მისი ქვეყნის შეურაცხყოფად მიიღო და დარბაზში უკვე შესული უკანაც გაბრუნდებოდა, შაჰის მოხერხებული კარისკაცები რომ არ სცემოდნენ და ხვეწნა-მუდართა და მოზოდიშებებით ის დარბაზში არ დაეტოვებინათ.

შიტური დღესასწაული შეიდ დღეს გაგრძელდა. მეფეები ეკლებზე ისხდნენ. როდის-ღა აპირებდა მწყალობელი შაჰი მაზანდრანში სანადიროდ წასვლას? როდის მოინადირებდნენ და სანადირობით გულმოჯერებულნი, როგორც თავე უნდა ეჩვენებინათ, როდის-ღა დაბრუნდებოდნენ ისპაჰანში, რათა აქედან სამშობლოში გამგზავრებაზე ეფიქრათ?

თავი XXXVIII

მაზანდრანში სანადიროდ წასვლა მხოლოდ ღვინობისთვის შუა რიცხვებში მოხერხდა. შაჰს ათასი ვადოუდებელი საქმე გამოუჩნდა. საქმეში ვართულს, თუმცა დიღის ექვს საათზე ამდვირად დიღის უმეტეს ნაწილს თავის

სახელოსნოში ატარებდა. ცხელი ხან უნაგირებს კერავდა, ცხელი წყლის ქსოვდა, ხან მისივე ხელით გამოჭედვით ნაწილებისაგან არკებულებს აწვობდა, სანადიროდ წასვლა მგონი სულაც აღარ ახსოვდა და იქნებ აღარც ვახსენებოდა, ერთ მშვენიერ დღეს სასახლის წალკოტში თავის მოწვენილ ცოლისძმებს რომ არ შეხვედროდა.

— როგორ გეკითხობო, ჩემო პატარა ძმებო და შეილებო? ხომ არ მოგებრუნდათ ჩვენთან სტუმრობა, შინ წასვლა ხომ არ მოგენატრათ? — მეგობრულად კითხა მეფეებს მუეძინის თუ მექისის ზოლიან ხალაში გახვეულმა და ხის ქოშებში შიშველ ფეხწადებულმა შაჰ-აბასმა, ორივე მწვანედ შეღებულ ძელსკამზე დასვა და თვით შუაში ჩაუჯდა. — თუმცა რა, სანადიროდ მოვინატივეთ და შემოდგომა ისე გაშულდა, აქედან რა ვეღარ გავკიტვია. ჯანი გავარდნია, ხელ ვახსენოთ ჩვენჩვენი ღმერთი და შევხედეთ აქლემებს! ქა, რას იტყვი? ნადირობისათვის ახლა საუკეთესო დროა. ნადირი ხორც-შესხმულია, გაზანტებულია და მონადირეს არც კი უფრობის ვიღანსა და მაზანდრანში სანადირო ადგილებს არ ვემდური. თქვენს ვარაიბზსა და ტარიბანას არც ერთი არ ჩამოუყვარდება, უკეთესი თუ არ არის. ეგაა, შორია, წინ დიდი გზა გვიდევს. რა გავწყობა, ერცელია ჩვენი საბრძანებელი. მაღალმა ალაჰმა აგრე ისურვა! წავედით?

— როგორც თქვენი უდიდებულესობა ენებებს, თქვენი უდიდებულესობა! — შეიმშუშნა და ორთავეს მაგიერად უახსუბა თეიმურაზმა, რომელიც ძველი ნაწილობის წყალობით ვაენთან უფრო გამინაურებული იყო, ეიდრე ბუნებით მორცხვი და მორიდებული ლუარსაბი.

— მამ, გადაწყვეტილია: ხელ აღრიანად ადგომა მოვიწყვეს. დიღის ძილი არ გავიტკბეთ, ვმარწვილებო, არ გვადიდინოთ! — შაჰ-აბასი მიიმედ წამოდგა, ჯერ ერთს, მერე მეორეს გამომცდელად ახედ-დახედდა, მსუქანი ტურების კუთხეებში რაღაც ღმილის მავა-



რი გამოუხაზა, დიდრონი, ფუთიანი ხე-
ლები ხალათის ფლაფეე ჯიბეებში ჩაი-
წყო და ხის ქოშების ფლახუნით აგუ-
რის ფხენილით მოკირწყლულ ბილიკ-
ზე ვზა ვანავრო.

წალკოტში მბრძანებლის მოულოდ-
ნელმა გამოჩინამ და მის მიერ ასევე
მოულოდნელად მიღებულმა გადაწყვე-
ტილებამ მაზანდერანში ხანადიროდ
წახკლის თაობაზე ორივე მეფე შეამბრ-
წუნა და დაადონა.

შაჰ-აბასი რომ წალკოტში ორი-სამი
წუთით ადრე შემოსულიყო, ის აქ უთ-
უოდ ნახავდა საჭურისს, რომელიც
ფრიად საიდუმლო დავალების შესას-
რულებლად ქართველ მეფეებთან თვით
სპარსეთის დედოფალმა, ფაენის უსაფ-
ვარლესმა ცოლმა, ამილახურის ასულ-
მა თამარმა გამოუხაზა და ამ უბედურ-
საც მშვიერი ღომების გალიაში ცოცხ-
ლივ შეკვება და ლუკმა-ლუკმა და-
ღუჯა არ ასცდებოდა.

თამარს ყურად ელო მის ბედში მყო-
ფი შაჰის ცოლების ზვეწა-მუდარა,
რომელთაც ქართლ-კახეთის ახალგაზ-
რდა მეფეების სასახლეში ყოფნა პირ-
ველ დღესვე სარწმუნო წყაროებით შე-
ქცოთ და ვინაიდან პარამხანაში ვისი-
მე, მით უფრო უცხო შაჰაკაციის შემოს-
ვლას დადგენილი ადითი სასტიკად
კრძალავდა, გადაეწყვიტა, სამუდამოდ
გაყრილი დედამამშვილები ერთმანეთი-
სათვის შორიდან მაინც დაენახებინა.

თამარის მხრიაკე კი ეს უდიდესი გა-
ბედულება და თავგანწირვა იყო, მაგრამ
თანამემამულე ვაწიელი ქალების სა-
ცოდობას ისიც ისე შეეწუხებინა, რომ
სიფრთხილის ვეღა ზომა უკავებო და
ეს საბედისწერო ნაბიჯი გადაეღვა.

დრო — დილის სრული რვა საათი,
მთხერხებულად იყო შერჩეული. ამ
დროს ფაენი ფოველთვის სახელისონში
ბრძანდებოდა და ვიდრე ათი საათისა-
თვის სატაბტო დარბაზში უცხო სა-
ხელმწიფოთა ელჩების მიხალეზად არ
გამოვიდოდა, იქ თავის გუნებისად
ჩხირკედელაობდა. მომდევნო დღის
დილის სრულ 8 საათზე მეფეები წალ-
კოტში უნდა შემოსულიყვნენ. წინას-

წარ გაფრთხილებული ბატონიშვილე-
ბი ღელა და ელენე აქედანვე მის
გამომავალი პარამხანის ქვეყნის
კმელს მოადგებოდნენ და გამჭვირვალე
ფარდის უკან მდგომნი თავიანთ საფი-
ცარ ძმებს დაინახავდნენ.

სასიკვდილოდ განწირული საჭურა-
სი, რომელმაც თამარ დედოფლის და-
რიგებისამებრ გურჯ მეფეებს პარამხა-
ნის ხარკმელი დაინახა, სწორედ ახალი
წახული იყო, როდესაც წალკოტში სა-
ხელისონიდან მომავალი შაჰ-აბასი შე-
მოვიდა. თეიმურაზისა და ლუარსაბის
აქ დახვედრა მას მაინც და მაინც დი-
დად არ ეხია მოვნა, მაგრამ ეს არ შეიმ-
ჩნია, კობრაზე მონადირის სიფრთხი-
ლით, ემანდ არაფერი გამოიმპაროსო,
ცოლისძმებს საუბარი გაუბა და შემდეგ
ისევე სწრაფად გაშორდა ორივეს, რო-
გორც გამოჩნდა. სანადიროდ წახელა,
ისიც ასე შორს, აქამდე თავადაც არ
ქონდა გადაწყვეტილი. გადაუღებელი
საქმეების გამო, სასახლეში რომ დაუ-
გროვდა, ამ საიმოვნებაზე წელს შეიძ-
ლება უარიც ეთქვა, მაგრამ საუბარში
სიტყვა სიტყვას წაუბა და თუმცა გუ-
ლით არ უნდოდა, ახლა აღარ შეუძლო,
უკვე მიღებულ გადაწყვეტილებაზე უა-
რი ეთქვა.

ხვალ, დილის სრულ 8 საათზე, რო-
ცა, პირობისამებრ, მათი ღებო დათქ-
მულ სარკმელს მოადგებოდნენ, რათა
საფარული გვირგვინისანი ძმები შო-
რიდან მაინც დაენახათ და შემდეგ ეს
ხილვა გულში სამუდამოდ ჩაეხეჭდათ,
თეიმურაზი და ლუარსაბი უკვე გაცი-
ლებული იქნებოდნენ სატაბტო ქალა-
ქის ფარგლებს და ერთმანეთის დანახ-
ვას მონატრებულ დედამამშვილებს
ამას იქით იქნებ ვერც ვედარახოლეს
ენახათ ერთმანეთი.

ასეც მოხდა. ამომავალი მზის პირვე-
ლი სხივი შეის ლოთფოლას მიხვითის
ელვარე გუმბათზე აკაკმაშდა, როდე-
საც ასიოდე აქლემისაგან შემდგარი ქა-
რავანი ფრუტუნითა და ზანზალაკე-
ბის დინჯი ვდარუნით შაჰის ბრწყინვა-
ლე სასახლის — ალი-ფაფუს წინ დაა-
ნოქეს. ექვსასი მუბოხანი და მოიხარო,

მათ შორის განთქმული მონადირენი, ყოველ ნადირობისას დიდებულ შაჰს განუყრელად რომ თან ახლდნენ და მხარს უმშვენივრდნენ, ზედ შესხდა, ხოლო დანარჩენებს უზარმაზარ მაფრებში გამოკრული ბარგიბარხანა აკიდეს და აუნქარებლივ დააძრნენ, ვალმა ნაპირზე გადასახველად ვეზი ალავერდი-ხან უნდილაშის კამარებიან ხიდისაკენ აიღეს.

ქალაქიდან გასვლის უმაღლვე შაჰ-აბასმა ცოლისძმები მოიკითხა. კარვად გამოძინებული და დახეუნებული, თემცა დამე პარამხანაში, თავის საყვარელ ცოლებთან ბლარმუნში ვაატარა, წინებულ გუნებაზე ბრძანდებოდა. აბასს საერთოდ არ სჩუვოდა უგუნებობა. მხიარული განწყობილება მას მაშინაც კი არ სტოვებდა, როდესაც მისივე ბრძანების თანახმად დამნაშავედ მიჩნეულ მსხვერპლს გაათრებულ მხეცს მიუვადებდნენ დასავლელად და უბედურის არაადამიანური ღრიალის გამოწვევით კვასაც კი ცეცხლი ეკიდებოდა. ასე რომ სისასტიკის მოსამოქმედებლად ის ყოველთვის მზად იყო. წინასწარ არავის შეეძლო სცოდნოდა, ერთი წუთის შემდეგ რა მოხდებოდა, წუთის წინ ხელმწიფური წყალობით ავსებულ ქვეშევრდომს მომდევნო წუთის რას უმზადებდა.

მისი უდიდებულესობა შაჰი გზობილობით, მეკმანდარმა რომ მოაკითხათ, მეფეებს ფერი ეცვალათ. ორივე უძალარი იყო. მთელი დამე თეთრად გაეხეხებინათ. ელოდნენ, ჩვენდა ბედად, იქნებ რაიმე შეიცვალოს, ან შაჰმა გადასდოს სანადიროდ წასვლა, ასე ნაუცბათევედ რომ გადაწყვიტა, ან თამარ დედოფალმა გამოახოს რაიმე სხვა გზა დედამამიშვილების შესახვედრებლადო, მაგრამ ისე ინათლა და გათენდა კიდევაც. მათ კარს კაცი-ხულიერი არავინ გააკარებია. აბასს ხომ ვერაფერს გამოაპარებდა. სტუმრებს უთუოდ შენიშნავდა უძილობასა და დაღერემილობას, მიზეზის შეკვობას მოიწადინებდა და ეს რომ არ მომზდარიყო, მეფეები თავს არიდებდნენ, მის ძვირ-

ფასად შეკავშულ თეთრ აქლემს, რომელზედაც მთელი თავი იკმარებოდა, დიდებულებით იჯდებოდნენ. ერთიანებული ამაღლით შორიანლო მასდევდნენ.

გარს უკვე უდაბნო ერტყათ. ირველივ არც ერთი ცოცხალი ბუჩქი, არც ერთი ღერი მწვანე ბალახი არ ჩანდა. სამხრეთიდან, სადაც შორეულ ციხეიღურზე ერთიმეორეზე მიხიარბილი მიშველი მთები ვაწოლილიყვნენ, თითქოს დახოცილი და ყელი-ყელვადკლიობილი აქლემებიაო, ცხელი ბული უბერადა და ჯოჯოხეთურ სიცხეს, ირველივ რომ მეფობდა, კიდევ უფრო სულის შემხეთველსა და გუხაქლისს ხდიდა.

სამი-ოთხი საათის შეუსვენებელი სიარულის შემდეგ ქარავანა შენერდა და შუაგულ უდაბნოში თითქოსდა მიწის სიღრმიდან ერთბაშად აღმოცენებული ტბის გარემოში დაბანაკდა. ხაიდანდაც აქ ვაჩენილი ტბის წყალი მარილიანი და თბილი იყო, პირში არ ჩაიკარებოდა. თავთხელში მანუღს, ფესვებგამიშვლებულ ტირიფს და უდაბნოს კიდევ რომელიღაც მცენარეს ამოყვით მეჩხერი ტოტები და ამათ შუა უსიცოცხლო მოტორტმანე წყლის სარკვეში უიმედოდ მოკრიალებული ნაცრისფერი ცა ირეკლებოდა. ჩინიარჩამოშვებული აქლემები, უდაბნოს ეს დაუნდალავი მუშაკნი, მეხლეგზე ჩადგნენ დაჭაობებულ ტბაში და მარილიან წყალს ხარბად დაეწაფნენ.

დიდებულებით გარსშემორტყმულმა შაჰ-აბასმა ჩრდილში მოიკეცა და კარვების გაშლა ბრძანა. ახალგაზრდა ცოლისძმებს, თავის საყვარელ სტუმრებს, გვერდიდან არ იცილებდა და არაფერს იშურებდა, მათთვის რაიმე ესია-მოვნებინა. ჭურჭი მეფეების კარავი დიდებული ყენის კარვის მეზობლად დიდეს. ნიშნად წყალობისა, აბასმა ვახშაშიც თავისი სუფრიდან გაუგზავნა და ძილი ნებისა უსურვა.

რას მოასწავებდა ეს ყოველივე? რა ვანზრახა კერავ აბასს, ნახევარი მსო-

ფლიოს მკერობელს ორი პაწაწინა ქვეყნის პირზე დღის რაქმეუშმრალ მეღვებთან თავის მოსაქაწლებელი და ქედის მოსადრეკი რა სჭირდა?

მეათე დღეს, დილაადრიან, სპარსეთის კ-დეე ერთი უდიდესი ქალაქის — ვახეინის კედლები, გუმბათიანი მიწვიანები, ტანწერწებთა ღურჯი მინარეთები და თეთრად მოქათქათე სრა-სასახლეები გამოჩნდა ამ თვალწარმტაცო ქალაქიდან, მთელი სპარსეთის სავაჭრო ვახეის გასაყარზე რომ იდო და ოდესდაც სატახტო ქალაქის პატივითაც სარგებლობდა, მაზენდარანმდე, გაუვალი ტყეებით დაფარულ მის სანადირო ადგილებამდე, სამი დღის საუაღოც აღარ რჩებოდა.

მეფეებმა უფროსებისაგან გადმოცემით იცოდნენ, რომ მაზანდერანი სპარსეთის ერთ-ერთი ნაყოფიერი და უმდიდრესი შაჰე იყო, რომელიც კასიის ზღვასა და შუა აზიის ქვეყნებს, ვიდრე აღინათა მოეხმადე, ხამხრეთის მხრიდან ეკროდა და თვალწუვდენელ ხამფის ხორბლით, საქისშიშე ვერძნით, შარბათით, ყოველნაირი ხილეულითა და ხახორცე პირუტყვით ამარავებდა. აქაურ ნავსადგურებში შაჰის ფლოტის ფრეგატები და სავაჭრო ხომალდები იდგნენ, რომლებიც კასიის ზღვას სივრძე-სივრძეზე სერავდნენ და საქონლის გასასაღებლად, იქიდან კი ახალი საქონლის წამოსაღებად არა მარტო კავკასიისა და შუა აზიის სანაპიროებთან, შორეული რუსეთის ნავსადგურებშიც კი შედიოდნენ.

ნადირობა სამშაბათ დღეს დაიწყო და შხის გაღაზრამდე ვავრძედა. მარეკები ტყეებს მოედნენ და ფარებზე შუბის ტარის ცეშით, ყვირილითა და აქამდე გოდრებით მოფანილ მწვეარ-მეძებართა ყფა-წაკვწაკით ტყიურთ აფრთხობდნენ. ტყის სიღრმიდან გამოვარდნილი პირველი ქორბუდა ირმები, წიფლიანში დასუქებული ტახები და მომხიბლავად ყელმოღერებული ქურციკები რომ დაინახეს, დაღვრებილი ქართლ-კახეთის მეფეები და მათი მრავალრიცხოვანი მხლებლები, რომელთა

დიდი უმრავლესობა თავმოყრისე ახალგაზრდობა იყო, უმაღლესი გმირ-გმირები, გახალისდნენ და თვალწუვდენელ ქვეყნებში, ამას რას ეხედავთო, ხელი შეილდ-ისარზე გაიხვეს. თვით შაჰ-ახალი მათთან ახლოს ნადირობდა, მიუხედავად ხანდაზმულობისა, შუბსა და შეილდ-ისარს — შესაშური ხომარავით მძარობდა, მზე ბევრ ირემსა და ქურციკს დაუბნელა, მაგრამ რის თვალნათლივი მოწმეც ვახდა, ეს კი ყოველგვარ მოლოდინს აჭარბებდა. შაჰი რამდენჯერმე გაჩერდა და თვალი მიადევნა გურჯისტანის მეფე ლუარსაბს, რომლის ხელითაც ნახროლი არც ერთი ისარი მიზანს არ ასცდენია და სანადირევის ამკრეფნიც მის მიერ დახოცილი ნადირის აკრეფას ვეღარ აუდიოდნენ.

ლუარსაბი თავდავიწყებული მონადირე იყო. ამ ხალაღობო-სავაჭრო საქმეში ვეუღას ნეტარხსენებულ შაჰს დელი ხიმონს აჯობებდა. ნადირობას ბალღობიდანვე მიხედვდა და ძნელად თუ ეინძესთვის ტოლი დაეგლო.

თვით თეიმურაზმაც კი შენიშნა ყაენის გამორჩეული ყურადღება, რითაც სპარსეთის ძღვეამოსილი მშრძანებული ქართლის ახალგაზრდა მეფის ნადირობას აჯილდოებდა და უნდოდა, ლუარსაბს დახწეოდა, ვაეფრთხილებინა, შაჰს წინ ნუ გადაუსწრებ, სურც ჯობნას მოინდობებ, მეტისმეტს ნუ იხამო, იცოდე, შურიანი კაცია, სხვისი სინაუქე გულზე ეკლად ეხობა, მაგას არ გაატიებსო, მაგრამ ეს განზრახვა ვერ შეასრულა, ვიდრე ბებურ ეანნამემ ცხენი არ მოაჯდო და, ისე რომ სხვას არავის გაეგონა, მოამახა:

— რას შერება მეფე ლუარსაბი, თავს იღუპავს?

— როგორ თუ იღუპავს?! — თუმცა წამის წინ თავადაც ამასვე ფიქრობდა, კითხვა შეუბრუნა თეიმურაზმა.

— უთხარით, მეფეო, მე ვერ გავუბედავ, ვაითუ მიწყინოს, მეტინრობაში ჩამომართვას, ერთი ისარი მაინც დააცილოს ნადირს, ვერ ხედავთ, ვველა მაგას უყურებს? — ეანნამემ სიფრთხი-

ლე გამოინინა, ყაენი „ვეკლად“ მოიხსენია.

— მართალს ამბობ, ბებურ, — დაეთანხმა თეიმურაზი. — მართლაც უნდა გაეფრთხილოთ, თორემ ამ სიკეთის დროს უბედურებას შევკამოხვევს! — მან დეზი ჰკრა ცხენს, სადავე მიუშვა და გააჭენა. მტერის ბუქსა და კორიანტელში ლუარსაბს სწორედ მაშინ გაუსწორდა, როცა მან მხარიღლივ მოქცეულ კაპარჭიდან ისარი დააძრო, ღარზე გამართა და შეიღლი დახამიზნებლად ასწია. — ლუარსაბ, პაი, ლუარსაბ! გაფიცებულმა ლუარსაბმა სახროლად შემართული შეიღდ-ისარი ფაფარამღილი ცხენის ქედზე დაუშვა.

— არ გეწყინოს, რასაც ახლა ვიტყვი!
— მეწყინოს? რა უნდა მეწყინოს! ბრძანე!

— შაჰს გულზე არ ეხატება ვე ვაჟკაცობა, შენ რომ იწე. ჩვენებმა შეამჩნიეს და შენი თავი ნუ მომიკვდება; მეც ვამწნე!

— არ მეხმის, თეიმურაზი..

— ხარბი კაცი, — თეიმურაზმა თვალი მოაქლო გარემოს, არავინ იყოს მოფურადებულიო. — ვაითუ ვიწყინოს და ბოღმა ჩაიდოს გულში. შე ახე შგონია, ჩვენ აქ არც უნდა ვჩანდეთ!..

— სულ გაწერდები, ბატონო!..

— არა, არც სულ გაწერება ივარგებს! ამ სიტყვებით ისინი ერთმანეთს დასცილდნენ და ვიდრე ნადირობა არ დასრულდა, ბუკს არა სცეს და ბანაკში დასაბრუნებლად მონადირეებმა თავი არ მოიყარეს, აღარც შეხვედრიან.

ბანაკი ტყის პირას, ტრიალ მინდორში, დიდბონ ხახვიან ქვებსუა მოჩუხნუხ ღელის ორივე ნაპირზე იყო გაშლილი. სტუმარ მეფეებისადმი შაჰს ყურადღება აქაც გამოეჩინა: მათი კარავი ვეპებრთელა, ბაიისფერი კარვის მუზობლად დაედგათ.

ვახშმად დასხდომის წინ, სანამ ოთხში ამოღებული და აქნილი ნანადირევისაგან მზარეულები ცხელ-ცხელ მწვადებს შეწეკედნენ და სუფრაზე უანგარიშოდ დაყრიდნენ, აბასი პერანგისამარა გამობრძანდა, გაღვლილ გულის-

პირიდან ჰალარა ჯაგრით დაფარული მძლავრი მკერდი მოუწმინდა, ხელ-შანი ღელეში დაიბანა და მშრალე მძმრკლებით ცოლისძმებს მოაკითხა, რას შერებით მანდ, ხომ კარვად მოუწყვით, ხომ არაფერი გაწუხებთო. იმ ბოღმისა და ცუდად შენიღბული გულზვიადობისა, ღლისით ლუარსაბის მაყურებელს რომ შორეოდა, ნატამალიც აღარ ეტყობოდა. შაჰი ახლა არა აზიის ერთი უზარმაზარი სახელმწიფოს ძლევამოსილი მბრძანებელი იყო, არამედ უბრალო მხედარი, ჩვეულებრივი მოკვდავი ადამიანი, რომელსაც არაფერა ადამიანური არ ეუცხოვებოდა.

თეიმურაზი და ლუარსაბი თავანიაანად გამოეგებნენ, კარავში შეიწყვიეს.

— რა იქნება, მეც რომ თქვენთან ვივახშმო? — მოულოდნელად გამოაცხადა წაენმა და სველი ხალიჩანი პირსახოცი, რითაც პირი და ყელ-კისერი შეიხოცა, ვილაყას მიანჯნა. — აქ მართლა დიდებულად მოწყობილხართ!

შაჰის ამ მოულოდნელმა მოსურველებამ, რაც მთლად მოულოდნელს არა ჰგავდა, მეფეები ერთობ გაახარა და ეს თავისი სიხარული მათ თავისებურად კიდევაც გამოხატეს.

კაცი მთლად ყრუ და დაბღური უნდა ყოფილიყავი, თუ ვერ მიხვდებოდი, რომ სატახტო ქალაქიდან მოსორებით, თავისი თვალუწვდენელი სამეფოს ამ უდაბურ ადგილას წაენი „საფვარელ ცოლისძმებთან“ განმარტოებას და იმ მიზეზების გამეღვწეებას აპირებდა, რისთვისაც ამდენი ათასი უტკვეანი გამოატარა და ორივე აქ მოიყვანა. იქნებ დღეს აქვე, ამ კარავში უნდა გადაწყვეტილიყო პირადად მათი და მათი სამეფოების ბედიც?

შაჰი არ ჩქარობდა, მოუთმენლობას არ იჩენდა, დასახულ მიზანს მისთვის დამახასიათებელი დათაფლული გულითადობით უახლოვდებოდა. კარავს გარშემო შემოუარა, მცოდნე თვალთ ვახინჯა, სწორად იყო თუ არა გაშლილი და თოკებით პალოებზე დამაგრებული. მერე ისევ შიგნით შებრუნდა, ავაზის ტყავებზე, რომელიც ხალიჩებზე დაე-



ფინათ, გერმით გატენილ ხავერდის მუთაქებსა და ბალიშებში ფეხმორთბული ისე ჩასაფრდა, თითქოს დელის პირიდან გავეშებული გარეული ტახის ამოვარდნას ელისო. დასხდნენ და იმავე სპარსულ წესზე მოირთხეს თეიმურაზმა და ლუარსაბმაც.

კარავში სრულიად უხმაუროდ, ფეხისწვერებზე შემოსულმა დერეიშებმა სუფრა სამ თანამეინახზე გაშალეს. განდა წულუ ხინზე დაწყობილი კეცის ფუშფულა პურები, ჩამოარიგეს სამსამი დანა, სამ-სამი ჩქიფი, დიდი და მცირე ბროლის სასმისები, სურებით შარბათი. სუფრა გაახალისა მსხვილ-მსხვილ ნაჭრებად დაჭრილმა ბუხარულმა ვეელმა და ახალ-ახალმა მწვანოლეულობამ, განდა კემისიც. მალე კარავი ირმისა და შულის მწვადების ნერწყვისსიმომკვრელი სუნით აივსო.

აბასმა სურას მოავლო შალაშინისა და სხვა საღურგლო იარაღების ხშირი ხმარებით დაკოფრილი ბანჯგვლიანი ხელი, დაასწრო ასაკით უმცროსებს, რომელთაც მომსახურება აქეთ მართებდათ და სამივე მცირე სასმისი ქარვისფერი შარბათით აივსო. მერე ხელები მოიფშენატა, მხუნავად გადახედა სუფრას, რომელსაც მონადირის სუფრის კვლობაზე არაფერი აკლდა, ორი თითოთ მისწვდა შულის მწვადის ნაჭერს, დაითრია, დაყნოსა, იფ, იფო, თქვა და იმწამსვე პირისაკენ გაქანა. ჭამა მანამ, ხანამ მოშიებულმა ხელი არ მოითქვა და შიმშილი არ დაიცხრო. დროდადრო ცხამისაგან აპრიალბუღ მსუქან ტუნებს ტილოს ხელსახოცით იყმენდა, შარბათს ან კუმისს წრუაუდა და პირს ისევ და ისევ თავისისავე ქონში აცურებულნი მწვადის ახალ-ახალი ნაჭრებით იტკაბრუნებდა. გვიან შენიშნა, რომ სპარსეთის გვირგვინოსანი სტუმრები უბრად ისხდნენ, უყურებდნენ, როგორ ხელმოუთქმელად ნიქავდა შაჰი სუფრაზე გროვად დახვავებულ პურმარილს და, თითქოსდა სანახაობით მონუსხულთა და მოჯადოებულთ, თვით ჯერ არაფრისათვის ხელი არ ეხლოთ.

— თეიმურაზ.. ლუარსაბ! რაღას უყურებთ, არა გმიათ? —
— ვეახლებით, თქვენი უდიდებულესობავე!

— როდის?! გაცივდა მწვადი! აი, ეს, აი, სისხლიანია! მე არ მიყვარს მწვადი, თუ ცოტა სისხლი არ გასდის. კბილებში სისხლმა უნდა გამოგეონოს, აი, ეს არის ნამდვილი მწვადი! გადაიღეთ! ესეც მე გადაგიღოთ? ალუ, თითზე არ მიკბინოთ!..

— არა, ნუ წუხდებით, თქვენი უდიდებულესობავ, ჩვენ თვითონ!..

— ახლა კი, რაჟ არაფერს მიირთმევთ, სანამ ხილს შემოიტანდნენ, თქვენის ნებართვით, — აბასმა დაჭმუჭნული ხელსახოცით ჯერ ხელები გაიმშრალა, შემდეგ ტუნებით შეიხიოცა, ხელსახოცი თავის ადგილზე დასდო და თანამეინახეთ რაგ-რაგობით შეხედა. — საქმეზე ვილაპარაკოთ!

თეიმურაზმა და ლუარსაბმა, რომელთაც თითო უგემური ლუქის ვადაულაკაც ძლივს მოახწრეს და ველში ისიც ძლივს ჩაუვიდათ, ჩქიფებს ხელი უშვეს, ნიდაყვებით განახულ მუხლებს დაყურდნენ და სულგანაბულნი სმენად გადაიქცნენ.

— მე შენზე, თეიმურაზ, რა დასამალია, რომც არ ვითხრა, თავადაც იცი — გამწვრალი ვიყავი. შენ უგუნურობა ჩაიძინე და კინალამ თავი დაღუპე!

— დამნამავე ვარ, თქვენი უდიდებულესობავე!

— დამნამავე! მამ, არა ხარ დამნამავე? დედას, ბრძენ ქიოევანს, უმადლე, რომ შევირდე და რისხვა წყალობით შევეცალე!

— მე ვოველთვის მქონდა თქვენი უდიდებულესობის ხელგრძელობის იმედი, თქვენი უდიდებულესობავე!

— ჰოდა, ვოველთვის ამის მოიმედე ნუ იქნები! — აბასს ტბეტური კატის თვალები დაუმრგვალდა, როგორც მსხვერპლის გახავლეჯად დაძვრულ აჯახას, შიგ ავის მომასწავებელი რისხვა ჩაუდგა. — დიახ, ნუ იქნები ვოველთვის ამის მოიმედე! მოიმინებასაც სახლვარი აქვს! შენ კი, ლუარსაბ, თუმ-

ცა ძალიან მიყვარხარ, რადგან ჩემი საყვარელი ცოლის ძმად შეგულები, გოფრობილები შენი ცხოვრების, ვიარვის, ვხას ნუ დაადგები. ჰკუთ იყავი, თვალი სტამბულისაკენ ნუ ვაგობხის! ტყუმა თრთინავი ვერ ვაიფანუნებს, ისპაპანში რომ ვერ ვაიფივით! არც ქართლში, არც კახეთში, აგრეთვე სამცხეში, საერთოდ გურჯისტანში, იცოდეთ ორივემ და გახსოვდეთ, სულთანს არაფერი ესაქმება, იმ ურჯულს, მურტალს სულთანს! ვინც ამ სატყუას გადაეცა, ალამს ეფიცავ, თავს ამ მარჯვენით წაეცდეს!

— მესმის, თქვენი უდიდებულესობა! — ყურებთან-ღაწვებთან წამოჭარხლებულმა ლუარსაბმა შაჰის მზერას ვერ გაუძლო, თავი მხრებში ჩარგო და თვალები დახარა.

— თვალს მარიღებ? — აბახის ხმას ხრანწი გაერთა, ლუარსაბს მჯიღი ამოსდო ნიკაპქვეშ, თავი ააწვეინა და ხანჯენებულა თითო კინიხზე მიიკაკუნა. — აქ მიყურე, აქ! შენა? — ის ახლა თეიმურაზს მიუბრუნდა. — რა ენა ჩავარდნია? იქნებ თეთრი დაღებები გელანდება, ჩემს წინააღმდეგ რომ გაგულიანებენ და პირობას ვიდებენ, ოღონდ სპარსეთს გადაუღებო და ყველამდე ოქროში ჩავსვამთო. ისემა... — ყაენმა შეიგინა. — ვუ არ გამოვალ! კარგად დამიხსოვრე! ხადაც არ უნდა წახვიდე და კარზე ვისაც არ უნდა მოუკაკუნო, ჩემი მსტორები, იცოდეთ ყველგან კვალში ვიდგანან, თან გდევნენ და გითვალთვალევენ! ისპაპანს ვერ დაუმალავ, გულში რა ვიდევს, რით სულდგმულობ! იქნებ არ მოგვსენება, რომ პაპაშენი ალექსანდრე ორ სკამზე იჯდა? აქეთ მე მიმტკიცებდა ძმობას, იქით რუსეთის მუხანათი ბელშეფის, ოქროს ურდოდან მოთრეული ბორის ვოდუნოვის ელჩები დაუდიოდა. მანამდე თავად აატალახა რუსეთის კარი. ელჩს ელჩზე აგზავნიდა. გვინია, ჩვენ ხაროში ვისხედით, არაფერი ვიცოდით? თვით რუსები ვეატკობინებდნენ ყველაფერს, პაპაშენ ალექსანდრეს თავისი კეთილის-


მოფლები რომ ევინა. მიეზლო სამაგვირო: დვიდლი შეილისტქეცტონ შამქიხ-და ცოდვილი სული! ღმერთი! მისმანია, აღაპი იყოს, ვინდა ქრისტე! მიხრწნილობაში შესულ კაცს იმის ჰკუ-ვინება და მოხერხებაც არა ქონდა, ეს მოღალატური საქმე ჩემად მანც ეკეთებინა და ქვეყანას არ ვაივო! მართალს ვამბობ თუ არა?

საყვარელი პაპის უშვერად გაღანძლივით გულადულებულმა და ხუნთქვა-შეგუბებულმა თეიმურაზმა პახუხად მხოლოდ მხრები აინენა, რადგანაც ივრძნო, შაჰი წაჩხუბების საბაბს ეძებდა და უკეთუ ამ საბაბს იპოვნიდა, რაც არაერთად ხიბნელეს არ წარსადგენდა, ორივე თავის მსხვერპლს იმ წუთშივე დაატუსაღებდა და ამას იქმნოდა, რაც არა ერთჯერ და ორჯერ უკვე ექნა.

— მე შენ გეკითხები, თეიმურაზ! — ახლა უკვე მუქარით გაიმეორა ახალგაზრდა კახბატონის უადვილო სიწმით გაავებულმა ყაენმა, რომლის სახეზედაც რამდენიმე წუთის წინანდელი მშვიდობიანი, თითქმის აღურსიანი გამომეტყველების ნიშანწყალიც კი წამლილიყო. — მართალს ვამბობ თუ არა? თეიმურაზმა თავს ძალა დაატანა, შუბლზე წურწურით წამოსული ოფლი მოიწმინდა და ძლივს ამოღერდა:

— მართალს ბრძანებ, თქვენი უდიდებულესობა!..

— ჰოდა, დამიხსოვრე, — აბახი გახალისდა, რისხვამ სანახევროდ გაუარა. — შენს კარზე რუსის ელჩები არ გააქაჭანო! არც ის მიიხრას ვინმემ, მოსკოვის მეფესთან ელჩები გაგზავნაო! ყური უგდე ჩემს ძვირფას სიღედრს, ქეთევანს, ის ურივის არაფერს გირჩევს. კეთილი თვალთ გიყურებ, მოყვრები ვართ და ნუ იზამ ისე, რომ შეურიგებულ მტრებად გადავიქცეთ! არ შეისმენ ჩემს მამაშვილურ დარიგებას, კახეთში დიდი ჯარით მოვალ, ძირფესვიანად მოვთხრი, შენს ერს, ვინც მახვილს გადაურჩება, დავატყვევებ, წინ გამოვირეკავ, აქაურ უდ-



ასრობს დაეხსნება, ვინის დღესა და საათს ვაწყველინებ, იმას ეუბამ, რაც ალაპას კარნახით სომხებს დავმართე, ქვეყანას კი გაეპარტახებ, საბოლოოდ ვაქცევ! ახლა ამით დაეამთავროთ და ისევ მეგობრებად დაერჩეთ. უკვე ძილის დროა. გატყობთ, თქვენც იკალებთ გებლიტებათ. ასეა, ხომ? ხომ არ შეწევნება? იქეთობას ვაზინში შეწერებას ვაბარებ. იქ ჩვენი გზები გაიფოფა. ჩვენ ისპაანისაკენ გავსწევთ, თქვენ კი ყიზილბაშების რაზმი ჯულუაშად მიგაცილებთ და გზას დაგილოცავთ. ჯულუას იქით თავს თავად მოუარეთ!

შაჰი ხელებსა და გადაჯვარედინებულ ფეხებს დაეყრდნო, დამძიმებული ტანი ვერცთუ ადილად დაიმორჩილა, წამოდგა, ერთი გემრიელად გაიხშორა და კარისაკენ ისე წაიქცა, უკან აღარ მოუხედა.

თავი XXXIX

1609 წლის ახალწლის დამე, ისევე როგორც შაჰა უფლისა ჩვენი იყო ქრისტესი, გრემის სასახლეში უშუალოდ გაატარეს. სამეფო კარი, დღი და პატარა დელოფლები ქეთევანი და ანა, ამ ხნის განმავლობაში იმით ხელდაგმულოდნენ, რომ სპარსეთიდან დროუბოშებით ხანუკეში ამბემა მოდიოდა. მათ დანამდელებით იციოდნენ, მაგალითად, რომ ახალგაზრდა ქართველი მეფეები შაჰმა პატივით მიიღო და მათ მიმართ არავითარი ბოროტი ზრახვა არ გამოუმტლაუნება. იციოდნენ ბევრი სხვა რამეც, მაგრამ ის კი არაღის შეუძლო ეოქვა, როდის ინებებდა წყენი სამშობლოში მათ გამოშვებას, ანდა სავროთად გამოუშვებდა კი?

ისპაანისიდან ალექსანდრისაკენ მიმავალ ვაჭრებს, რომლებმაც ტფილისი გაიარეს და ფულევიდან ზღვით აბარებდნენ ბიზნორისა და დარდანელის გავლას, ბოლო დროს შაჰის სანადიროდ წაბრძანების ამბავიც მოიტანეს, მაგ-

რამ იყვნენ თუ არა მის დიდ სამეფოში ქართლისა და კახეთის მეფეებს შორის სარწმუნოდ ვერაფერც მტკიცესი ურთიერთი დედისერთა შეილის მოუქარველი დარდით თმაში ნადრეუად ჭლარაგამორეული ქეთევანი დამეებს თეთრად ათენებდა კარის კვლესიამო. ხატების წინაშე დანოქილი, ცხარე ცრემლით მტირალი მაღალ ღმერთს, იესო მაცხოვარს, დეთისმშობელ დედას ვვედრებოდა, ერი უშუალოდ არ დაეგდო, არ გაეწიარა, აქაურობა ტურამელის სათარეშოდ, ლეკებისა და ყუმიყების კერძად არ ექცია. დანარჩენ დროს სათაყვანებელ რძალს უღვა გვერდში, ჩვილ ბატონიშვილ ლევანს თავს ევლებოდა. არავის იცოდა, როდის ეძინა, თუნდაც ერთ-ორ საათს, როდის ისვენებდა, თუმცა სხვათა დისანახად თავი მხნედ ეჭირა, ვერც მწუხარებას შეამჩნევდი, ვერც უძილობას და ვერც დაღლილობას.

გარდა შინაური საოჯახო საქმისა, დედაკაცს, თუნდაც დელოფალს, თავის დღეში რომ არ გამოეღევა, ქეთევანს გარე საქმეც გამოუღეველი ქეიონდა. ქვეყნის ერთადერთი პატრონი და გამგებელი ის იყო. ქეთევანის გუგებრად და მის დაუკითხავად ქვა ქვაზე არ დაიღებოდა. ქეთევანი ყველგან იყო, სადაც ამას საქმე მოითხოვდა და დელოფლის შემხედვარენი სხვებიც ერთგულად უღვინ მხარში, ყოველ მის ბიტვას და დარიცებას იქროს ფასი ეღო.

რძალ-დედამთილი ბატონიშვილის ნათხში ფუსფუსებდნენ, ახალგამოღობებულ ჩვილ ლევანს თავისა ხელით ატყვევდნენ, როცა ნათხში პატარა დელოფლის სეფექალები შემოტყრციადნდნენ და ორივე დელოფალს მეტად ხახხარული ამბავი აუწყეს: ქალაქის აღმოსავლეთის კარში, თელავის მხრიდან, კილაც მხედრები შემოდიან, ასე, ორასი-სამასი კაცი იქნება და რაკი მოყარაულებმა ვანგაში არ ატეხეს და მშვილობიანად გამოატარეს, ვინ უნდა იყოს, თუ არა ბატონი მეფე და მისი ამაღლო.

— ვაღი, შვილო, ანა, გადაიხედე! — მიმართა ახალი ცნობით გახარებულმა ქეთევანმა რძალს, რომელსაც დაწვებსუ აღმურმა აუარა და აქამდე ნაღვლიანი, თითქოსდა ჩამქრალი თვალები გაუბრწყინდა. — იქნებ ღმერთმა ჩვენი ლოცვა-ვედრება შეისმინა და მართლაც თეიმურაზიაა?!

სიხარულითაგან თავგზააბნეული ანა ცოლებს გაქვია აღარც კი გახსენებია, რაიმე მოეხურა და კიდევ უფრო გახარებული სულ მალე უკან შემობრუნდა.

— მიმილოცავს, ბატონო დედა, თეიმურაზიაა!.

— მეც მიმილოცავს, შვილო! მადლობა უფალს, ეღმნა მოსვლა და ჩვენც მრთელი დახვდით! ჩადი, ჩაეცეზე, ბავშვს ჩვენ დაეიტოვებ!

— არა, დედა, არ შემომღია!

— რა მოხდა, რატომ კანკალებს ასე, ხომ არ შეგცივდა?

— მეონი ცოტა შემცივდა, თქვენ ჩამრძანდით, არ ეწყინოს, რატომ არ შეგუბებიათ!

ამასობაში ვარეთ, ნახევრადბუნელ ტალანში, მძიმე ფეხისხმა და პრაგუნი გაიხმა, თითქოს ვინმე ლახტზე დაფრილ სიმინდის ტაროებს ცეხეჯისო, იატაკის ფიცრებმა ჭრაჭუნის მოიღეს და კარში თოვლში ამობუმბლული და ორთქლში გახვეული, ბედნიერებისაგან ხახვებადრული თეიმურაზი გაიშინდა.

— დედა! ანა! ლევან!.

სეოქალები, როგორც მიმინოსაგან დამფრთხალი ბელურების გუნდი, უმაღლაკრიფენ ოთახიდან და მეფე და მისი პატარა ოჯახი მარტო დასტოვეს.

— გაზრდილხარ, შვილო, დაუგაკაცებულხარ! — მიმართა მეფეს უსახლეროდ ბედნიერმა და სიამაყით აღვსილმა ქეთევანმა, როცა სიხარულის პირველმა ელდამ გაიარა და თეიმურაზის ვინისაგან გახვეებული თეთრი ნაბადი და მეცხვარის ბანჯაკლიანი ქუდი, სიმუხმა მწვესებმა ვარაბაზში რომ დაახურეს, იქვე, სელისკამზე დახლო.

— გერვენება, დედი, ისევ იგეთი ვარ, როგორც გამიშევი, ეს კი, — თეიმუ-

რაზი სიგვარულით დაატყურდა პატარა ლევანს, რომელიც დატყფუნულ ლეჩქას ვულში ჩაეკრა და ვეზრდობის მძიმე მადმერთებელი თვალებით შეკვივრებდა. — მართლაც გაზრდილას! სუთუ ასე დიდი ღრო ვაეიდა, რაც არ მინახავს! მოიტა ერთი, ზელში აეიფვანო!

— ნუ, დედა, თეიმურაზ, — დაუფკავა შვილს ქეთევანმა. — ბავშვი მშვირია. ეს წუთია გამოიღვიძა, ვულში უგრძნო, აღბათ, რომ მოდიოდი. ზელშიც ცივი გაქვს. ვაღი, ფეხები დაიბერტყე, ან გაეძახებ, მშრალ ფეხსაცმელს მოვატანინებ, თორემ შემოგაღუნება და ტბას დააყენებ!

თეიმურაზმა ხელი ჩაიქნია, მერე რა უშავსო და დედასა და თანამეცხედრებს ერთდროულად კეთიხა:

— რას შერებით, როგორა ხარო, როგოა აქეთ საქმე?

ანამ არაფერი უპასუხა, რადგანაც შინატრებული ქმრის ხარბ მშურას გრძნობდა და დედამთილის თანდასწრებით ეს საშინელ სირცხვილში ავლებდა, მხოლოდ ქეთევანმა მიუგო მოკლედ:

— შენ რახა იქ, შვილო, შენ, თვალები გამოვიღამდა შენს ლოღინში!

— რა გვექნა, ხომ ვერ გამოვიტყვიდით, როცა გამოვიშევა, მამინ წამოვივდიო!

— ორივე? ლუარსაბიც შენთან დაბრუნდა?

— ლუარსაბიც!

— მადლობა უფალს! რაო, რა მიხდო, რისთვის დაგვიხუთქა ვულშია?!

— ხალაპარაკო ბევრი ვაკვებს, ბატონო დედა, ასე ორი ხიტყვით რა უნდა ვითხრა! აქეთ ხომ მშვიდობაა?

— მშვიდობას ჩვენთვის ვინ გაიმეტებს, შვილო, თვალგაუხვლად გვიძინავს კურდღელივით!

— ლეკები მაინც არ იძლიან თავიხას?

— ვინ მოაშლევინებს, ხატი მაკათ არა სწამო და ღმერთი! ოთხჯერ დაგვეცენ, რაც შენ შინ არა ხარ, ხალხი აგვიწიოკებს, ცოდვისკითხვა დაატრია-

დეს. წინაღუდს იყვნენ. ღმერთმა შეკადლებინა და მაგრად დაუხედათ. ხელცარიელი გაბრუნდნენ. აღარ გვევონა, თუ ასე მალე მოიწყობდნენ ხელს და მეორე დღესვე დაგვეკომოდნენ. აქვე იმალებოდნენ თურმე ტყეში. მოუშნადებულს მოგვისწრეს. მე თავად გავუძეხი მღვეარსს.

— რამდენჯერ ვიხივე, დედა, მაკახს იხამ-მეთქი. ახლაც უმორჩილესად ვიხივ. ანას ესმოდეს. ვიქვათ, ვაწერა ღმერთი და ვერ ვავეუქლადით მაგ ურჯულოებს, მტრისა და ავისა, პირი ქვისკენ მიქნია, ტყვედ წაიყვანონ, როგორც სიმონ ქართლის შეფე წაიყვანეს ოსმალებმა, მაშინ რაღა წავალს მიეცეთ თავი, ხომ სულ დავიღუპებით?!

— ცოცხალს მე ვერაივს შემოპყრობს, თეიმურაზ, ხოლო თუ ხელში მკვდარი ჩაუვარდი, ეს კიდევ უფრო ვაძალადევეს ვერს, შეუძლებელს შეაძლებინებს!

— ღმერთმა დავეიფაროს! — თეიმურაზმა პირჯარი გადაიწერა.

— ახლა მე წავალ, შეილა, ლევანს თქვენს იმედად ვტოვებ. ხალხს გავხედავ, აქამდეც უნდა გავსულიყავი, სამხრის თადარიგს გავწევ. სად ინებებ სუფრის ვაშლას?

— სადაც შენ გავებარდება, ბატონო დედა! — თეიმურაზს მოთმინება აღარ ჰყოფნიდა, თავის პატარა ცოლთან მარტო როდის დარჩებოდა და როგორც კი ქეთევანმა კალთები აიკრიფა და ოთახიდან გავიდა, მაშინვე ანას მივარდა, მხრებში ორივე ღონიერი ხელი ჩასჭიდა, თვალებში ჩაახედა და გულში ჩაიხუტა.

— ნელა, თეიმურაზ, ბავშვი არ გახრისო!

— რად მარიდებ სახეს, ხომ არ მემღერა?

— მე? ეგ საიდან მოგივიდა თავში, რატომ უნდა გემღუროდე?!

— ასე დიდხანს რომ მიგატოვე!

— შენი ნება ხომ არ იყო. ავი თქვი, როცა გამოიპყვეს, მაშინ წამოვედიო!

— ძალიან მოვენატრე?

ანამ ისევ დაიმორცხვა და პირდაპირ პასუხს თავი აარიდა. *ერქენსული*
— ხედავ, რა მალხაზე მტყუნა გეძება?

— თუ ტირის ხოლმე?

— ხანდახან, დამ-ღამობით. როგორც კი ატირდება, შემომიყვანენ, მოვანოვებ, დაწმენდება და მაშინვე ეღურტულს დაიწვებს, თითქოს მღერისო.

— შენ რაღა ხარ აგრე ფერდაკარგული?

— ფერდაკარგული ვარ?

— ცოტა გამხდარიც შეჩვენები.

— დედა ამბობს, ღამის ტუხის ბრალიაო. ძილი მიტყდება ბავშვის გამო. მაქრად შეერგოს, კი არ ვამაღლი! შენც არ იყავი, ჯგერი გექონდა. მაინც არ გვევონა, თუ ასე მალე მოხვიდოდი. სააღდგომოდ გელოდიო.

— მე კი სამოხაოდ მინდოდა მოსვლა. ავღარმა და უგზოობამ დაგვებარკოლა. ბედი, ისპაქანში აღარ ჩაგვიყვანა, შუაგზიდან, ყაზვინიდან გამოგვიშვა.

— ეგ ყაზვინი რაღაა?

— დიდი ქალაქია ჩრდილოეთ ირანში. ოდესღაც შაჰების სატახტო ქალაქი ყოფილა. ახლა მიტოვებულია რადგანაც სეფიანმა ხელმწიფემ, შაჰ-აბასმა სატახტო ქალაქად ისპაქანი გამოაცხადა, მაგრამ ძველი დიდების კვალი ჯერ ისევ ემჩნევა. გრემისოღუნა თითო უბანი აქვს, უბანი კი რამდენია, ვინ მოხთვლის! ასე რომ არ ენებებიან და ყაზვინიდან არ გამოვეშვით, ერთი ორი თვე, შეიძლება ცოტა მეტიც კიდევ დაგვევიანებოდა!

— ძალიან გამწვრალი იყო?

— ეჰ, რას გოვებ, ხან ასეა, ხან ისე. აკერ რომ ვიღამის და გუფერება, მეორე წუთში წელკავეით რაღაცა წამოუვლის და ღომის ვალიაში შეგავდებს დასაფლეჯად. დიდი და პატარა, თავისიანი და უცხო მაგან არ იცის. თავი სამყაროს მზრძანებლად მიანნია. არის კიდევაც! ტახტს ზევით მხოლოდ ალაქია და იმისი წინასწარმეტყველი მუჰამედი. მუჰამედის წვერს ფიცულობს!

— რა გვეშველება, თეიმურაზ?

— რაღაც არ უნდა დაგეოჯღეს, გველის ხერხელში უნდა ვაუმტრო და რუს ხელმწიფეს დაუკავშირდეთ. პაპანკო ბრძენი კაცი იყო, ტყვილად არ ვჭირა იქით თვალს! ამის ნდობა არ იქნება. კცმა არ იცის, ველს რა დროს გამოგჭრის!

კარს ვილაკები მოადგენ ფხაგრეთით და კარზე მორიდებულად დააკაუნეს.

— ბავშვის წასაყენად მოვიდნენ, — თქვა ანამ და ღელის მკერდზე განახულ პატარას დაძვდა. — ეინ არის, შვილი!

თეთრი ხილაბანდით თავდაგრული ერთი გაძღელი ქალი შეპოვიდა და მეფე რომ ისევ აქ დაინახა, კარის საახლოვეს მორცხვად განერდა.

თეიმურაზმა მათ ვურადღება არ მიაქცია, ცოლს ბაღლი ფრთხილად გამოართვა, სახის ხიმაღლეზე დაიჭირა, ხელში შეათამაშა და თავზემით ასწია. ღვეანს ეს მოეწონა. ხელებს და ფეხებს ერთდროულად იქნევდა და კისკისებდა.

— ხელა, თეიმურაზ, არაფერი მოსწიო! — ფერმკრთალ სახეზე პატარა დედოფალს ნეტარი დიმილი დახოამაშებდა. — ვიცნო, იცი? როგორღაც გრძნობს!

— აბა, რა, სხვა ბიჭები ვართ ჩვენ, ბაგრატიონები! — თავი მოიწონა მეფემ და კაღმახიეთი მოსხმარტალე ბაღლი ფეხისწვერებზე მოახლოებულ ახალგაზრდა გამდელს გადასცა.

სამხრად ისევ ისინი შეიკრიბნენ, ვინც მეფეს შაჰის კარზე ახლდა და ამით მხოლოდ დედოფალი ქეთევანი, ნოდარ ჯორჯაძე, ლუკა მაფაშვილი, თამაზ კანჩაძე, ელიზბარ ჩილოყაშვილი და გურიიდან მოყვრული ძღვნიით ჩამოსული გურული თავადიშვილები მიემატნენ.

თეიმურაზის გვერდით სკამი ცარიელი იყო. მეფეს მოუსვენრობა დაეჭყო და მშურა ღელას მიაპყრო. ქეთევანი მიუხედა აწრიაღლების მიხეზს და ხმადაბლა, მხოლოდ მის გასაგონად წასმურწულა:

— სუ ვეწყინება, შეილო, რომ ჩერ გამოვიდა. ანა ვერ არის ჩანს უკვე!

— კარგად ვერ არამაშტაქსაქსაქსა თეიმურაზმა. — რა მოუვიდა? წელან არ ენახე?

— ვერ ვაკვირბოდი, ვული არ ვატკინა. თეიმურაზი ქეშფოთდა, ცოტა-ღა დააკლდა, არ წამოღვა და ცოლის მოსაყვანად არ წავიდა, მაგრამ შემდეგ მიხვდა, ეს ზედმეტ მთქმა-მთქმას გამოიწყვესო და ღელისათვის მეტი აღარაფერი უკითხავს, საერთო ზაუბარში ჩაერთო.

საუბარი, როგორც მოხალღენელი იყო, უსთაყრესად ხპარსეთში მოვზურობას, პირადად შაჰის გუნება-განწყობილებას და მაზანდერანში გამართულ ნადირობას შეეხებოდა. დამსწრეთაგან ირხი: თავადი ნოდარი და თავადი ელიზბარა ნამყოფი იფუნეს მაზანდერანში და ნეტარხსენებულ კახპატონ ალექსანდრესთან ერთად შაჰის ნადირობაში მონაწილეობაც მიეღოთ. მათ მოიგონეს რკაური ტყეები, კახისისპირეთის ნაყოფიერი ვულები, სადაც მთელი ხპარსეთის საკმარი ხორბალი და ყურბენი მოჰყავდათ და ჭებთ მოიხსენიეს იქური ხანადირო ადგილებიც.

თეიმურაზი საამოვნებით უსმენდა თხრობის ეშში შესულ დიდებულებს, თუმცა ცოლის დარდი მაინც არ ასვენებდა და მათ მონაყოფს ადგილ-ადგილ თავისი ცოცხალი შთაბეჭდილებებით აუხებდა.

შემდეგ სიტყვა სატახტო ქალაქ ისპაჰანზე, მის ბრწყინვალეობასა, ხალხმრავლობასა და ნადიმზე გადავიდა, რომელიც საღვთო დღესასწაულთან დაკავშირებით შაჰმა უცხოელ ელჩებს აღი-ყაფუში გაუმართა და რომელსაც ქართველი მეფეებაც დაეხსრნენ.

სმენად გადაქცეული სეფრის წვერები ერთსულოვანი სიცილით შეხედნენ მეფის მიერ მოფილილ ამბავს, ოსმალეთის ხელთან მურადის ელჩს და შაჰის მიერ მის შიიტ აიათოლად მიჩნევის რომ შეეხებოდა. ხომ შეიძლებოდა, ამ უბრალო შემთხვევას ორა



ვეებერთელა სახელმწიფოს ახალი ომი მოჰყოლოდაო, გაიძახოდნენ ისინი და სიცილისაგან სულს ძლივს-და იბრუნებდნენ, კიდევ კარგი, უმარჯვნიათ სპარს კარისკაცებს და უნებლიე შეურაცხყოფისაგან ადულებული ელნი დაუშოშინებიათო.

თეიმურაზს ერთი სიტყვითაც არ უხსენებია შეხვედრა, რომელიც შაჰმა ქართულ მეფეებს მახანდერანში, მათსაკე კარავში მოუწყო, არ უხსენებია მისი მეფური და აღამაზური ღირსების ფეხქვეშ გათულა, რის შეუზღუდავი უფლებაც საკუთარი ძლევაშიონებით გაზულუქებულმა ყაენმა თავის თავს მისცა, არ უხსენებია არც მის მიერ წამოყენებული საკადლებული პირობები, ვინაიდან ფოველივე ამის მოგონება შიგ გულში მიყენებულ ღრმა ჭრილობას უხსნიდა და თვით სიცოცხლესაც კი აზრსა და გონიერულ დანიშნულებას უკარგავდა...

თსპო L

ღდიდან შინ დაბრუნებისა, მთელ კვირას თუ კვირანახევარს მეფე ხსიან-ღიდან არ გამოსულა. აქ ბევრი საქმე იყო დაგროვილი, რაც მას პირადად უნდა გადაეწყვიტა და თუმცა დედა დახმარებას არც ახლა აკლებდა, ის მაინც ცდილობდა, ძაღლინე არ დაეზრგა და ქვეყნის სარგოდ გარჯილიყო. ქეთევანი ამჩნევდა შვილის ყოფაქცევამი მომხდარ ცვლილებას, ამას მოწიფულობის ასაკში შესვლას მიაწერდა, გულთ ხარობდა, რომ თექვსართანობამდე მისულმა უდარდებლობამ გაუარა და ბოლოს და ბოლოს ჭკუაში ჩაეარდა. ამჩნევდნენ ამას სხვებიც, მეფის სამდვილი გულშემატკივარნი და თავიანთი ღიდი დედოფლის ენით გამოუთქმელ კმაყოფილებას უსიტყვოდ იზიარებდნენ. დაბრუნების მეოთხე თუ მეხუთე დღეს თეიმურაზმა უცხოელი ბერები მოიკითხა. გაკვირვება გამოთქვა, აქამდე რომ არ ჩანდნენ და შინ მშვიდობით

მოსვლა არ მოულოცეს, ლოცვა კურთხევით არ ეახლნენ. **ერქინულა**.

თურმე სუ იტყვი, **გაფხულისაგან** მღვდლისიხს უცხოელ მხახურთა და ადგილობრივ სამღვდელიოებას შორის შიგ კატას გაერბინა. ადგილობრივ მოსახლეობაში, არა მარტო დაბალ ფენებში, არამედ თვით თავად-ახნაურთა და ქალაქის შეძლებულ ოჯახებშიაც კი, პატრები უდიდესი სიყვარულითა და პატრივისცემით სარგებლობდნენ. რაც დრო გადიოდა, ეს სიყვარული და პატივისცემა ფეხს მიუ უფრო იკიდებდა, ხალხს, მეტადრე მღამით, ხიბლადა უცხოელ მამათა უბრალოებას, მოყვასის სობრალული, განურჩევლობა იმისა, ვინ მდიდარი იყო და ვინ ღარიბი, უანგარობა, შეირვლით დაკმაყოფილება, ყოველგვარ ცოუნებისაგან, მათ შორის დედათა სქესთან გამწინაურებისაგან თავის შორს დაჭერა და აქიმობისა და ბალახულისაგან უზბარი წამლების დამზადების შეუდარებელი ცოდნა. ბრძმას თვალს უხელდნენ, დაერდომილს ფეხზე აყენებდნენ, სასიკვდილოდ გადაეგებულს სიცოცხლეს უბრუნებდნენ და ფოველივე ამას სრულიად უსახიფდლოდ სწავდიოდნენ.

ადგილობრივი მღვდელ-მონაზვნები მაშინ აიბრიზნენ და თავიანთი უკმაყოფილება საჯაროდ გამოამჟღავნეს, როდესაც უცხოელი პატრები უბირი ხალხის გულში დათეხილი მადლით არ დაკმაყოფილდნენ და დროებით ეკლესიად გადაქცეულ ქვრივი დედაკაცის ქოხში, საღაც ბინად იდგნენ, არამტოვ ახალშობილი ჩვილი ბაღდების, ერთხელ უკვე ქრისტიანული წესით მონათლული კაცებისა და ქალების ნათელა, ერთი სიტყვით, გადაბირება დაიწყეს.

სამღვდელიოებას განგაში იქნებ არც ახლა აუტეხა და ესეც უდრტონიველად აუტანა, მრევლს შეთხელება რომ არ ეწყო და ეკლესიის ხალაროს შესწინარავი არ მოჰკლებოდა. სამღვდელიოება შიმშია შეიძვრო, ვითუ განათლებულმა პატრებმა ვეაჯობონ, მრევლი მთლად წავკარდვან და ეკლესიას საბოლოოდ დაეპატრონონო, ერთიმეორეს აყილილი

ხალხი წირვაზე კანტიკუნტად დადიოდა, ათაღამ ზაბაღამ დაკანონებულ წესსა და რიგს უხალისოდ, მოვალეობის მოსახლეად ასრულებდა, მამაკაპურ წირვა-ლოცვას ვადათიელ უცხოელ პატრონა წირვა-ლოცვას არწევდა.

— აქ მე ვარ შირონცებუელი მეფე თუ მღვდლები და ეპისკოპოსები? — თქვა თეიმურაზმა, როდესაც დედამ პატრების სასახლეში მოუსვლელობის მიზეზი აუხსნა. — ვიხა აქვს მინიჭებული ნება, ჩემს უნებურად სამეფოში ვინმე მიიღოს და ან აქედან ვინმე გააძეოს?! უწმიდესმა პაპმა პატივი დამლო, ეპისტოლე გამოიმეზავნა, ეს წმიდა ხალხი შემომავედრა, ჩვენი ცოდვილი სულების სახსნელად ცხრა მთას იქიდან რომ ვადმოხვეწნლან და მე ვინმე წარმართო ხომ არა ვარ, უწმიდესმა პაპის თხოვნა არ შევიწყნარო! ბოლოს და ბოლოს, რას შვრებიან ეს ღვთისაგან დალოცვილი პატრები ვისიმე აღსაშფოთებულს? ვრში სიკეთესა და მადლს თესავენ, რაც ჩვენს სამღვდლოებას ამკარად აკლავს, მცონარობას, სიხარბესა და მუცელღმერთობას ვერ ურიგდებიან და სხეებსაც უწერავენ, ნურც თქვენ შეურიგდებითო. სამღვდლოებას უჯობს, მათგან ისწავლოს და შეისმინოს, როგორ მართებს ღვთისა და ერის უანგარო სამსახური, ხოლო ვინ დაჯეროვო ღვთისაგან ბოძებულ ჩემს საბატონო ქვეყანაში და ვინ გავაძეო, ამას ღვთის ნებითა და ერის დასტურით მე თვით ვადავწყვეტ!

ქეთევანს სიხარულის ცრემლი მოკვევარა გვირგვინისანი შეიღის ამ ბრძნულმა, აწინილ-დაწინილმა მსჯელობამ, თუმცა პატრების მიერ ერთხელ უკვე ნათელღებულ ქრისტაინეთა ხელახლა, კათოლიკური წესით მონათვლა მიზანშეწონილად არც მას მაინც და და, ერთი თხისკენ, ერთი მგლისკენო, ეს თავისი აზრი არც დაუმალავს.

რომის პაპის მიერ წარმოგზავნილ წმიდა მამებისადმი პიროვნული დამოკიდებულება თეიმურაზმა იმით გამოხატა, რომ ტახტთან დაახლოებულ პირთაგან შემდგარი ბრწყინვალე ამა-

ლა იახლა და სატახტო ქალაქის შუაგულში მშენებარე მათრ სკანონის ხანა-ხავად გახწია. თითქმის შიშველ-სახლზე ამოყვანილი მკვიდრი კედლები, რომლებიც ლაოტიდან ჩამოტანილი ვრანტიის პერანგით შექმოსათ, სასახლის პარშილიდანაც კარგად ჩანდა, მაგრამ ახლო მანძილიდან ტაძარი მაინც სულ სხვა იყო. კედლების მშენებლობა და პერანგით შემოსება ჯერ კიდევ შემოღვდომებზე, თოვლის ჩამოყრამდე მოეთაყუბინათ. შემდეგ ხარაჩოები შიგნითაც აღეშარათ, სადაც გამოზაფხულებისთანავე კედლების კამარებით გადახურვას და შენობის გუმბათით დაგვირგვინებას უნდა შესდგომოდნენ.

მშენებლობას შუა ზამთარშიაც უამრავი ხალხი მისეოდა, დარბა თუ აუღარში პატრებს რომ მხარში უდგა და შედარებით მოკლე დროში ამოღენა საშვილიშვილო საქმის გაკეთებაც სწორედ ამით აიხსნებოდა.

კათოლიკური ტაძარი, მშენებლობის დაწყების დღიდანვე ხალხმა რომ პატრების საყდარი შეარქვა, მომდევნო წელიწადს, ენკენისივეში, პატიოსანი და ცხოველმყოფელი ჯვრის ამაღლების დღეს აკურთხეს და აწ უკვე საკუთარ სალოცავ სახლში პატრებმა პირველი სადღესასწაულო წირვა-ლოცვა გადაიხადეს. ხანთლებით განირაღდნებულ და საქმევის კამლით დაბურულ ტაძარში, შიგადაშიგ ჯერაც ნედლი კირის სუნი რომ ასდიოდა, მღვდლომხახურებას ისინი მეფის შუამდგომლობით შემორიგებულ ადგილობრივ სამღვდლოებასთან ერთად ასრულებდნენ, გუნდიც ქართულ საგალობლებს აგუგუნებდა და ეს სანახაობას კიდევ უფრო ზეიმურ ელფერს აძლევდა.

ტაძრის კურთხევასა და ჯვარის ამაღლების სადღესასწაულო წირვას, ერთმანეთს რომ დაუდარეს, დიდძალი ხალხი დაესწრო. სამეფოს შორეული ადგილებიდან — გარე კახეთიდან, ერწოთიანეთიდან და პანკისის ხეობიდანაც კი მოსულიყვნენ. სამეფო ძირეულითა და პირფირით შემოსილ თეიმურაზს აქეთ-იქით უდგნენ დედა ქეთევანი და

ფერმიბდილი თანამეცხედრე ანა, ხოლო ოდნავ უკან ზურგს ახლო და შორეული ნათესაეები, კახელ ბაგრატიონთა სახლიშვილები უმაგრებდნენ, რომელთა შორისაც ძაბით სახეშებურელი, ნაადრევად ღრჩაქვაშაეებული ძალუა ასინეთი გამოირჩეოდა. უკვე მონიტული, ერთი წლისა და ოთხი თვის ბატონიშვილი ლევანი ღუდას, პატარა ღუდაფალ ანას ეკავა, მისთვის ლოყა ლოყაზე მიეხუტებინა და ორივე ერთად, ასე სავეარლად ჩახუტებული ღუდაშვილი, ხელმადლიანი ოსტატის მიერ კულელზე მიხატულ ფრესკას ვაგონებდა.

არავინ მოელოდა, ანდა ახრად ვის მოუვიდოდა, ვის შეეძლო წინასწარ ვფიქრა, თუ ორი ერთმანეთზე უფრო საზარელი ამბავი მოხვედრით დახვარს სწორედ ამ ბედნიერ დღეს ჩასცემდა და ღზინს ჭირად გადაუქცევდა.

ამბავთავან პირველი ტყილისიდან იყო, იგი ქართლის მეფე ლუარსაბს და მის ვვირჯინოსან სახლობას, დიდგვაროანთა ამპარტავანი თანამეცხედრეების მიერ იმთავითვე თვალში ამოღებულ სააკაძის ასულ თეკლეს შეეხებოდა, მეორე კი შაჰ-აბასის მიერ კახეთის მიწა-წყლის ხარჯზე შეკოწიწებულ კაკ-ენისლის სასულთნოდან მოეტანათ, სადაც ვაენის ბრძანებით მეჯოგე თარაქამების ათას ორასი ოჯახი მოხუცი და თვიმურაზისაგან დასახლებულ მიწებს ითხოვდა.

რომელ ერთს უნდა გამკლავებოდი, რომელი ერთისათვის უნდა ვაკეძლო! ქართულ თავადებს, სათავეში მეფის აღმზრდელი, სუფრაჯი შადიმან ბარათაშვილი რომ ედგათ, ბოლოს და ბოლოს თავისი გაეტანათ, როგორც გუდაფალი ქეთევანი თავიდანვე წინასწარმეტყველებდა, ლუარსაბისათვის დაეშორებინათ მისი სჯულიერი მეუღლე თეკლე. კათალიკოსის ნებართვით მონოზნად აღკვეცათ და ერთ-ერთ შორეულ მონასტერში გამოეკეტათ, საიდანაც, ალბათ, მცირეოდენი დროის გავლის შემდეგ თავიდანაც მოიშორებდნენ.

ტახტის წინაშე დიდად გარჯილი, თემომწონე და ყოვლით მხრით მღვივარი ვიორგი სააკაძე, მტყუანების, ქრტიხეალებისა და დვალებთის შურიავი, ამასობაში ლუარსაბის მიერ სრულიად ქართლის მოურავად აღზევებული, ვის მტკიცე ხელშიაც, როგორც მოსალოდნელი იყო, თავი მოიფარა ქვეყნის მთელმა ძალაუფლებამ, არც თვით მეფეს და არც მოქიშპე დიდგვაროანთ, რაღაცა უნდა, სავეარული დის დანაგვრის არ შეარჩენდა და საკუთარი ოჯახის გაცნურაკებას სიხხლით აზღუევიებდა.

ეს რომ არ მომხდარიყო და მოსალოდნელი შურისძიებისაგან თავი როგორმე დაეზღვიათ, ბარათაშვილი მეფეს შეხსენოდა, სამიში კაცია ეგ სააკაძე, მით უმეტეს მას შემდეგ, რაც გუდაფალი, შავისი და თეკლე განუტყვევრში დიდი სახელითა და მხარდაჭერით სარგებლობს, ზოგ-ზოგები იმხაც კი ამბობენ, თითქოს საქართველოს სამეფო-სამთავროების ვაერთიანებას აპირებდეს და თუ ეს მოახერხა, ვის დასევამს დავითისა და თამარის ტახტზე, თუ არა თავის თავზე, მოკვალ მანამ, სანამ დაგასწრებდეს და უბრალო გუდამშიერა აზნაური ძირძველი ბაგრატიონების ძლევაშოსილ ტახტს დაეპატრონებოდესო.

გავლენიანი თავადების ხელში სათამაშოდ გადაქცეული საბრალო ლუარსაბი გაჯიუტებულიყო, ბაღდათით ეტირა, რაღა ვინდათ მეტი, ხომ მაღაღვიეთ, რასაც ელტვრდით, ახლა მაინც მომეშვით, მომასვენეთო. როდესაც მაინც არ მოესვენებინათ, უწვეულოდ განრიხებულებიყო, ნამდვილ ვიქს დამსგავსებოდა, თავადები, რომელია რჩევისა და დასტურის გარეშე გუშინ ნაბიჯსაც არ გადადგამდა, თვით დაედანაშაულებინა, მოლაღატკები თქვენ თვითონა ხართ, ვინდათ, ტახტის ერთგული კაცი, ვინც კრიჭაში ვიდგათ, ჩემი ხელით მოახრით და მერე თავისუფლად იპარბაშოთო, მაგრამ ისევე ბარათაშვილის, ფარსადან ციციშვილის და სხვათა შიშით

წინააღმდეგობის გაწევა ბოლომდე ველარ გაუბედა და თავადაც დაეჭვებულს მათი მუხანათური განზრახვა რომ აღესრულებინა, დეკლუთში მყოფ სააკაძისათვის კაცი გაუგზავნა, წაეკისში ედგავარ, ჩემო გიორგი, თრიალეთისაკენ ხანადიროდ ვაპირებ წასვლას, უშენოდ რა შრო ვუქნება და შეახლო.

დეკლუთიდან წამოსულ გიორგის გორში შეეტყო დის განტყეებისა და მონოზნად აღკვეცის ამბავი. აქ დახვედროდა თავისი ერთგული კაცი, მეფის ბანაკიდან გამოპარული ბააკა ხერხეულიძე. გიორგისათვის სწორედ მას ეცნობებინა საქმის ნამდვილი ვითარება: მეფეს არ გაეცარო, თავადებმა ვილაღატეს, ვადაბირეს, მოკლას გიპირებენო და სააკაძესაც უმალ ეცვალა გეზი, წაეკისის მაგიერ ნოსტეში განეწილიყო, ცოლ-შვილი გამოერიდებინა, რამდენიმე დღით ხიმაძრს, არაკვის ერისთავ ნეგზარს შეფარებოდა ანანურში, აქედან კი ცოლ-შვილისა და ათიოდე ხანდო კაცის თანხლებით ერთ ბნელ ღამეს უკვალოდ გამქრალიყო.

შაბ-აბახის მიერ დიდ მოურავად მონათლული გიორგი სააკაძის შემდგომი ასპვალ-დასავლის მცოდნე დღეს უკვე აღარავინ იყო. ზოგი ამბობდა, ღიბის შთა გადაულო და იმერეთის მეფე გიორგის შეეკედლა, რათა მისგან ძალი მოიციეს, იმერთა ჯარით ქართლს შემოესიოს, მიხი დის უარმყოფელი გვირგვინოსანი სიძე ღუარსაბი ტახტიდან ჩამოაგდოს და ქართლი იმერეთის სამეფოს შეუერთოსო. სხვები სხვას ამბობდნენ. ამათი აზრით, სააკაძე კიდევ უფრო საშიშ გზას დაადგა: სამცხეში გადავიდა, სვიმონ ქართლის მეფის ქვრივ ასულს, ელენე ათაბაგს ეახლა, მას ოსმალეთის სულთან მურადთან შუამდგომლობა სთხოვა და დღეს თუ ზვალ ქართლს ოსმალთა დიდი ღაშქრით მოვედინება, რათა მტერსაც და მოყვარესაც წირვა ერთად გამოუყვანოსო.

მოულოდნელი ხელის მოცარვით გამბეინეარებულმა ქართლის თავადებმა, ვისაც სააკაძის მოწინააღმდეგეთა

შხარე აშკარად ეცირა, რაეც სწინს კერა დააკლეს რა, უნავირო დახიეს, ცეცხლს მისცეს ზოურაქმის მძღვენი და სავგარეულო ციხე-დარბაზი მარტეში, ხადაც ტაშისკარის გამარჯვების აღსანიშნავად ის საბედისწერო ნადიმი გაიმართა, დიიტაცეს ქონება, აიკლეს ვმა-მამული, ბააკა ხერხეულიძე კი, სააკაძის ერთგული კაცი, ღალატით შეიპყრეს, ტფილისის ისინის სასახლეში მეფეს კინწისკერით მიჰკვარეს და ამიერიდან რომ მაინც აღარ გამოეწინა არამკითხე შეამბოება და სახელმწიფო საიდუმლოება მეტად აღარ გაეცა, ჯალათის გაზით ენა ამოაძრეს.

თეიმურაზმა ტახტთან დაახლოებულ დიდებულთა ვიწრო წრე მოიწვია, ლოცვით მოქანცულ დედასაც სთხოვა, მობრძანებულიყო და მადთან ერთად სატახტო დარბაზში ჩაიკეტა. ორივე სავანგაშო ცნობა აქ გულდაგულ, თანმიმდევრულად უნდა განეხილათ და საბოლოო გადაწყვეტილებაც, რა გზას დასდგომოდნენ, აქვე უნდა მიეღოთ.

შიშა, რომ იმერეთის მეფე გიორგი განმდგარ სააკაძეს მხარში ამოუდგებოდა და ქართლის ტახტის დაუფლების მიზნით ღიბის შთას გადმოლაზებდა, საქმეში ჩახედულმა დიდებულებმა ნაკლებ ხარწმუნოდ მიიჩნიეს. ამავე აზრისა ბრძანდებოდა თვით დედოფალი ქეთევანიც. იმერთ არც ძალა გააწინდით საამისოდ და არც სურვილი...

ბევრად უფრო ხარწმუნო ჩანდა სააკაძის ოსმალეთის სულთანთან დაკავშირება, მაგრამ ეს სამცხის განმკებელ ელენე ათაბაგის შუამდგომლობით არამც და არამც არ მოხდებოდა თუნდაც იმიტომ, რომ სულთანსა და ათაბაგს შორის განუწყვეტელი ომი იყო. ელენე მტკიცედ იცავდა თავის ქრისტიანობას, ოსმალთა მიერ საათაბაგოში მაჰმადიანური ხარწმუნოების დანერგვას და იქაური წესწიგობილების შემოღებას ცეცხლითა და მახვილით ებრძოდა. ამავე სულისკვეთებით ზრდიდა თავის შვილს, მანუჩარსაც და ოსმალთ აქ ფეხის მოკიდების ვოველგვარ იმედს უპარწყებდა.

ელენე, პირიქით, სამიმიც კი იყო ქართლის ტახტისაგან განმდგარი მოურავისათვის, ვინაიდან ის თავისი დეიძლი ძმისწულის, ქართლის მეფე ლუარსაბის, მტერს არ შეიფარებდა და გასაღონიერებლად ოსმალეთის გზას არ გაუხსნიდა...

გამოითქვა სხვა ვარაუდიც, რომ სააკაძე არსადაც არ წასულა, ის ჯერხნობით ისევ სამშობლოში იყო და თავს იფიცუ საარაგოში ან სადმე სხვაგან, უფრო მიუდგომელ ადგილას აფარებდა. მისი ერთადერთი მიზანი მოხერხებულ დროის შერჩევა და სპარსეთში გადასვლა უნდა ყოფილიყო. შამ-აბასი პირადად იცნობდა გიორგი სააკაძეს, ტაშისკრის ომის გმირს, მის მხედართმთავრულ ნიჭსა და შემართებას ჯეროვანს მიუზღავდა და თავს ბედნიერად ჩათვლიდა, უკეთუ სამშობლოდან დევნილსა და თვისტომთაგან მოშუღებულს თავის ფრთებქვეშ შეიფარებდა. სპარსეთში არცთუ ისე ბევრი იყო სააკაძის ბადალი სარდალი. ჭკვიან და შორსმჭვრეტელ შამ-აბასს ეს სხეებზე უკეთ მოეხსენებოდა!

— შერმაზან-ბატონო, — წუთიერი ხიზუმე, შერმაზან ჩოლოყაშვილის მიერ ამ უაღრესად საყურადღებო, ანგარიშგასაწვევი ვარაუდის გამოთქმის შემდეგ რომ ჩამოვარდა, ბებურ ვაჩნაძემ დაარღვია. — რად უნდა გაემრუდებინა გზა მოურავს, თქვენი აზრით, რატომ მაშინვე სპარსეთში არ წავიდა? თავად შერმაზანს პასუხი არ დაუყოვნებია:

— იქნებ წავიდა კიდეც, ჩემო ბებურ, ჩვენ რა ვიცით?! თუ მაშინვე მართლაც არ წავიდა, როგორც ვგატყობინებენ და თავი სიამარს შეაფარა, აქ მტერი ადვილად ვერ მომიდგებაო, ევ იმისთვის, რომ ცხელ კულზე თანმხლები რაზმი შეედგინა, საგზალი მოემარაგებინა და უშიშარი გზის ასარჩევად, სადაც ბართაშვილის მიერ დაგებული ზაფანგი არ დახედება, კაცები წინდაწინ გაეგზავნა!

— ევ ყველაფერი სიძარბოებს შეგვს, — ნაღვლიანად თქვა ჩაფიქრე-

ბულმა თეიმურაზმა. — მეგრეთს, მჭირბანეთ ერთი, ჩვენ როგორც ვაგვანობებს მოქცევა, თუ ტახტისაგან განმდგარი სააკაძე არა საარაგოში ან სადმე სხვაგან, არამედ სწორედ ჩვენს საბრძანებელ კახეთში იმალება? უნდა შევიპყროთ თუ არა მოურავი და ქართლის მეფეს ვადავკეთ?

კითხვა შერმაზან ჩოლოყაშვილის მიმართ იყო დასმული და პასუხიც მან გასცა:

— რამდენადაც ცნობილია, მეფე ლუარსაბს ჩვენთვის მაგ თხოვნით არ მოუშართავს, მჭფო!

— ეთქვათ, მოვეშართა, მაშინ?

— საწყენად ნუ მიიღებთ, მეფეო, თუ გაეკადნიერდები და პირდაპირ მოვახსენებთ: მეფე ლუარსაბი ტყუის მოურავთან! მეფეს არ მართებს წვრილმანი მითქმა-მოთქმის აფორა და სახელმწიფო საქმეების ამ მითქმა-მოთქმის მიხედვით გადაწყვეტა! მოურავს ტახტის წინააღმდეგ არაერთი ბოროტება და დანაშაული არ მოუძღვის! სააკაძე მართალია ღვთისა და თავისი მეფის წინაშე! შე არა მგონია, ის თქვენს საბრძანებელში იმალებოდეს, მაგრამ ასეც რომ იყოს, ყველამდე ცოდვაში ჩაედევბით, თუ ცამდე მართალ კაცს მოშურნე თაყალებისაგან დასაგლეჯად სხვის ჭკუაზე მოარულ გამოუცდელ მეფეს გადავკეთ!

— ჩვენ არა ვართ მაგის მსაჯული, დაისოსმეთ, ბატონო შერმაზან! — ჩოლოყაშვილის მათრახები მეფის გამოუცდელობისა და სხვის ჭკუაზე მოარულობის თაობაზე თეიმურაზმა თავის თავზე მიიღო, თვალწინ უსამართლოდ დასჯილი ქაიხოსრო ომანიშვილი წარმოუდგა, რომლის სახე, როგორც სინდისის მზილება, ნიადვ თან სდევდა და სიცოცხლეში პირველად ბრძენ გამზრდელს სიტყვა შეუბრუნა. — მაშ, მოვიმდურო ნათესავი და მეზობელი? ევ რომ ომის გამოცხადებას უდრის! პირობას, ერთურთის მტერი არ შევიფაროთ, ჯერ კიდევ პაპანქმმა ალექსანდრემ და ქართლის მეფე გიორგიმ რომ შემკრეს, სად-ღა ვაუკცე?!

გაზრდილისაგან ამგვარ შემოძახებას თავადი შერმაზანი წვეული არ იყო. იქნებ არც დაეთმო და მისი რისხვაც დაემსახურებინა, მაგრამ სულ უკანასკნელ წამს ქეთევანის მუდარით აღვიღლ თვალებს წააწყდა, მიხედა, რასაც ემუდარებოდა დედოფალი და დაცხრა, სიტყვა ისე განაგრძო, თითქოს თეიმურაზის უდიერი კილო არც შეეჩინებოდა:

— მტერიც არის და მტერიც, მეფეო. სააკაძე გონიერი კაცია, ქართლში, მეფის კარზე ულად ყოფნისას, მეფე გიორგის ზეობაში და უფრო ადრეც, მას ბევრჯერ შევხვედრივარ. სააკაძე არ აჰყვება ცოუნებას და დროებითი დაუმსახურის ხამებულად კახეთის მიწაზე არ შემოვა, პირადი უშიშროების გულისათვის მეფეთა თანხმობას არ დაარღვევს, მეფეებს ერთმანეთს არ წაპიჯებს, მას მისი სისხლს არ დააღვრევენებს! მაგრამ ეს მაინც რომ ჰქნას, ვარემოვამ აიძულოს და ბატონმა ლუარსაბმა განმდგარი ქვეშევრდომის ვაცემა მოითხოვოს, დიდებულ მეფეს წინასწარი პირობა უნდა ჩამოერთვას, რომ არც პირადად მისი უდიდებულესობის და არც მისი უდიდებულესობის ქვეშევრდომების მხრიდან სააკაძეს ზიანი არ მიაღებება! თუ ეს წინასწარი პირობა ვერ მივიღეთ, ყველას გასაგონად მითქვამს: სააკაძეს გზა უნდა მიეცეთ სპარსეთისაკენ! იმის შემდეგ, რაც მოხდა, სულ ერთია, მოურავს ქართლში აღარ დაეღოება. არც სხვები მოიწადინებენ სამეფო კარზე მის დაბრუნებას. ადვილი როდი ვახლავთ, სააკაძისთანა მტერი გვერდში გიძგებს და შენ ყურთბალიშზე მშვიდად დაიძინო!

შერმაზან ჩოლოყაშვილის ყოველმხრივ აწინილ-დაწინილი სიტყვის შემდეგ დაეა აღარ გაგრძელებულა, აღარც თვით მეფეს უნებებია რისამე თქმა. თავადი შერმაზანი თითქოს ყველას გულში უჯდა და თითოეულის სათქმელს ამბობდა. გადაწყდა, სრული სიმშვიდე დაეცვათ და თავი ისე დაეჭირათ, თითქოს ქართლში დატრიალებული ამბებსა არც არა იცოდნენ რა.

თუ ვინცილობაა, ქართველებს თითო მოინდომებდნენ საქმეს დაეჭირებოდნენ, დარბაზის ვრი შეიკრიბებოდა და მეფის დასტურით საბოლოო გადაწყვეტილებას მაშინ-ღა მიიღებდა.

თავი LI

მეფევე თარაქამების კახეთის მიწა-წყალზე ჩამოსახლება, რაც შაჰ-აბასის სურვილითა და ბრძანებით ხდებოდა და ზეალინდელი დღის გათენებასაკეთი გარდაუვალი იყო, ორთავ კახეთის ერსა და ბერში უკმაყოფილების ეკსელ დათესა და ხალხი ქვეყნის მესვეურთა წინააღმდეგ ამხედრა. მტერი იმის მტერი იყო, რომ ცეცხლითა და მახვილით მოდიოდა, იყრობდა ქვეყნის, იტაცებდა პირუტყვს, სარწო-საბადებულს, ძარცვავდა ეკლესია-მონასტრებს და ნადავლით ხელდაძმობებული იმავე გზით მოდიოდა, რომლითაც მოვიდა, ესენი კი, თარაქამები, თვით თეიმურაზის თანხმობით სახლდებოდნენ დღისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში და აქაურობის ბატონ-პატრონი ხდებოდნენ.

მეფის მიერ საგანგებოდ დაგზავნილ კაცებს ხალხში დიდი ახსნა-განმარტების ჩატარება დასჭირდათ იმაში დასარწმუნებლად, რომ მთიელ მარბიელთა ხშირა თავდასხმების გამო ვალტა-კულ, სხვისა და საკუთარ ომებში სისხლისაგან დაცილლ ქვეყანას ამჟამად სხვა გასაძრავი დონე არ ჰქონდა, თავისი მცირე ძალებით ის შაჰ-აბასის უზარმაზარ ლაშქარს ვერ გაუმკლავებოდა და ამიტომ უარესი ვაების თვიდან ასაცილებლად მეფემაც დასთმო, ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა.

ხალხს ამის ვაგონებაც არ სურდა. თითო-ოროლა თავშეხლადებულნი თუ პატარა ჯგუფები მოახლდნენთ ესხმოდნენ, იურტებს უწვავდნენ, აწიოვდნენ, მარწენალ ხარ-ძროხას ართმევდნენ, ყოველნაირად ეურჩებოდნენ მშობელ მიწაზე მათ ფეხის მოკიდებას. მე-



დეს მცირე ძალები როდი სჭირდებოდა მოთარეშეთა თვითნებობის აღსაკვეთად. თეიმურაზს კარგად ესმოდა, რომ ადრე თუ გვიან ეს ამბავი ფაჩის ყურამღე მივიდოდა, დაუმორჩილებელთა თავკაცობა თვით მას დაბრალდებოდა და შაჰიც აღარ დააყოვნებდა, ურჩობა ასალავმავად და ქვეყნის ასაკლებად პირს აქეთ იზამდა.

ყველა გაჭირვებას, თეიმურაზსა და მთელ სამეფო კარს ბოლო დროს რომ ეწვია, ისიც ზედ დაერთო, რომ გვაშში დაბუდებულმა უქმურმა პატარა დედოფალ ანას მეტისმეტად დარია ხელი. ანა ფეხმძიმედ იყო, ერთი ორი თვის შემდეგ მოლოცინებას ელოდა და მისი შერყეული ფანშრთელობის მდგომარეობას ეს კიდევ უფრო ამძაფრებდა და ართულვდა. ქალს რაღაც გამოუცნობი უკურნებელი სენი სჭირდა. სენი წუთ-წუთობით ღრღნიდა და ახუსტებდა მის ნორჩ სხეულს. ანას დღეები დათვლილი იყო. ეს იცოდა დედამ, ქეთევანმა, იცოდნენ პატრებმა, სამეფოს სხვადასხვა კუთხიდან მოწვეულმა აქიმებმა, ძალუა ასინეთმა, იქნებ თვით ანაჰაც იცოდა, მაგრამ თითქოს ფიცით შეკრულან, არამც და არამც ენა არ დაეასველოთ, საიდუმლო არ გაეამხილოთ, თეიმურაზს არავინ არაფერს ეუბნებოდა.

თეიმურაზს, რასაკვირველია, შეემლო, თუ დედისთვის ან თვით ანასთვის არა, პატრებისათვის მაინც ვკითხა, რა ფარსავი სჭირდა ოდესღაც მერცხალივით მოჭაკჭაკე ანას, მის სულზე უტკბეს თანამეცხედრებს, რა იყო სენი, სიცოცხლეს რომ უმოკლებდა, მაგრამ ეშინოდა თავისი მეფური უფლების გამოყენებისა, ვაითუ ბედის საშინელი განაჩენი შევიტყო და ცარგვალი თავზე ჩამომეშხოსო.

ერთხელ მაინც ვერ მოითმინა და უკიდევანო ქვეყნიერებაზე ყველაზე ახლობელ ადამიანს, დედას შესწივლა:

— რას მიძალავთ, პატრონო დედა, მე ხომ ვიცი, ღმერთმა ზურგი შემაკცია, რაღაც დიდი უბედურება მეშუქრება!

— უბედურებისაგან ღმერთმა დავიცუვას, შეილო, თეიმურაზს მშრლად პასუხს თავი აარიდა თუღაღე მუღჯაურიანმა ქეთევანმა, არც დღე, არც ღამე რძლის სასთუმალს რომ არ შორდებოდა და ხელუბაპრობილი მაღალ ღმერთს მის გამოჯანმრთელებას და ფეხზე წამოდგომას შესთხოვდა, მაგრამ შეილისათვის ნუგეშის საცემად სხვა უკეთესი სიტყვები ვერ იპოვნა.

— რა სჭირს მაინც, რატომ არ მიძხვლეთ, ყველამ იცით და მე ყველაზე ბოლოს უნდა გავიგო?

— ისეთი არაფერია, დედა გენაცვალოს, პატრები იმედს იძლევიან, მამა-ზეციერი არ გაგვიწირავს, უსიკვდილოდ განეკურნავითო.

— ანას რომ რამე მოუვიდეს, მე, იცოდეთ, თავს აღარ ვიცოცხლებს! ეგ ანგელოზი ცოც სამარეში ჩაწვეს და მე, ცოდვილმა, მზეხ ვუყურო?

— შენც კარგად იქნები და ანაც, ღვთის შეწევნით, კარგად გვეყოლება. მაგას რად ამბობ, შეილო, ვულს რად მიხვთქაჲ, შენს მეტი ვინა მფავს, ხანთლად მინთიხარ, უბედურ დედისათვის, გაძაღლებულ წუთისოფელში სიმწრის მეტი რომ არაფერი უნახავს, ეგ როგორი გასავონია!

— მაპატიე, დედა, — თეიმურაზი მუხლებზე დაემხო და, როგორც პატარა ბიჭობაში, მშობელს თავი კალთაში ჩაუღო. — ჯავრს ვეღარ მოვერთე, აღარ ვიცი, რა გზა უქმით, რა საშველი გამოვნახო!..

— საშველი ღვთის ნებაა, შეილო, ვილოცოთ, მოვიწინაოთ და რასაც გულისთ შევითხოვთ, მოგვეცემა!..

დღე დღეს მოსდევდა, ღამე — ღამეს, საშველი კი არ ჩანდა და არა. ანა დიდი თავშეკავებით უშკლავდებოდა აუადმყოფობას, გაუსაძლის ტკივილებს ითმენდა და პირზე ერთთავად გატანჯული ღიმილი ადგა, ვინმელო თავზე მდგომ ჭირისუფლებს იმედი მიეცეთ, მწუხარება შეუმსუბუქდეთო. რა ცოდვა მიუძღვოდა ამ მტრადივით უმანკო არსებას, რომ განგება ასე უწყალოდ ხეი-

და ტბილ ქმარ-შვილში გახარებას უკვეთავდა!

თეიმურაზი ხედავდა და დღითიდღე რწმუნდებოდა, რომ შველა არაფრით შევძლო, არც ანა ხაყვედურობდა, არ აიძულებდა, ყოველ ცისმარე დღე ჩემს გვერდით იყავი, ჩემი ჭირი გაიზიარე. რე თუ ვიტანჯები, შენც დაიტანჯეო და შიგ გულში დაკრძილი მუხუცი გაკარგულდა. ვეღარც ქვეყნის მართვის საქმეებს უღებდა გულს. თავს ხან ნადირობით იტყვევდა, ხან ხელგამოვლილ ქვეშევრდომებთან სტუმრობით, დანარჩენ დროს კი, როცა შინ, სასახლეში იყო, თავის განმარტოებულ ოთახში იჯდა, მოოქროვილ ტყავის ფლებში ჩასულ, წარმტაცი მინიატურებით მოკაზმულ ხარხარულ წივებს ჩაკირკიტებდა და მათი წაბაძულობით, ხარხარული ენის მუსიკალობით მოხიბლული, მაჯანებს წერდა, ქართული პოეტური სიტყვის დამორჩილებდასა და ლექსად ადერებას ცდილობდა. ამის სწორუპოვარ მაგალითს სულმნათი, რუსთაველი ამღვედა. სიტყვასთან შეჭიდებულ მეფისათვის ვუფხისტყვისანი პოეტური სასწაულებით საესე წივნი იყო. ეს ჯადოსნური თხზულება ყოველ ახალ წაკითხვისას ხელ ახალი და ახალი წახაგებებით იხსნებოდა და ლექსის თილისმით შეპვრობილ მეფეს განციფრებასთან შერწყმული შეჯიბრის ფინი იყვრობდა. ნუთუ ვერასოდეს შესძლებდა, შაირი ისე დაემორჩილებინა, როგორც ამას რუსთაველი შერებოდა? მაგრამ აქ მარტოოდენ შაირის გარეგნული ბრწყინვალება და ბუნებრივი დინება არ კმაროდა. რუსთაველმა ყოვლის მპვრობელი დემონის ხელით გამოძერწა თავისი სამყარო, იგი გმირებით დაასახლა და ყოველივე თავისი ღვთაებრივი სულის ნაბერვით გააცოცხლა. აი, ამას კი მარტოოდენ სიტყვასთან ჭიდილით ვერ მიადწევდი, რადგანაც რუსთაველის ამღერებული შაირის უკან იდგა შეუცნობელი ძალა, რომელსაც მხოლოდ ზეკარდმო ნიჭით ცხებულნი ფლობენ და მათ შორის შოთა, მეფე

ამ ნაშრომში წამოყენებულია არაერთი მოსაზრება, მომდევნო ხანებში რომ მიიქციეს ყურადღება ქართულ ისტორიოგრაფიაში. მკვლევართა დიდი ნაწილისათვის ისინი კარგა ხანს იყო უცნობი გასაკები მიზეზების გამო: ნაშრომი (იხვევ როგორც მისი ყველა მეცნიერული გამოკვლევა) აკრძალულ წიგნთა შორის აღმოჩნდა და მისი ციტირება შეუძლებელი იყო. მიუხედავად

ამისა, მ. წერეთლის მიერ გამოთქმული ზოგიერთი ვარაუდი მაინც გვეხსენებოდა მისი მკვლევართათვის: 1928 წელს გამოქვეყნებულ „ქართველი ერის ისტორიის“ I ტომში ივ. ჯავახიშვილი მეცნიერულ შეფასებას აძლევდა მ. წერეთლის წიგნს და ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით გამოთქამდა თავის აზრს. მომდევნო ხანის მკვლევარნი სწორედ ივ. ჯავახიშვილის მიერ გამოყენებული მასალით სარგებლობდნენ.

მ. წერეთლის ნარკვევში ხეთების შესახებ არაერთი ორიგინალური მოსაზრებაა გამოთქმული ხეთურ და ქართულ სამყაროთა საგარაუდო კონტაქტებთან დაკავშირებით. მოკლე შეჯამებით ზოგიერთ მათგანს, რომელთაც დღესაც არ დაუკარგავთ მეცნიერული ღირებულება.

განხილავდა რა ხეთურ ენაში სახელის ბრუნვის საკითხს, მ. წერეთელი ყურადღებას აქცევდა რამდენიმე ბრუნვის დაბოლოებას, რომლებსაც იგი ქართულ მასალას ადარებდა. მაგალითად, მას შესაძლებლად მაინცა გაიგივება ხეთური აბლატივის ბრუნვის ნიშნისა - აც (- ატს) (მდრ. „ქალაქიდან“, „ციდან“ და ა. შ.) იმავე ბრუნვის ქართულ დაბოლოებასთან - ად) „ქალაქად“, „ცად“). მ. წერეთლის ვარაუდით, ხეთური ინსტრუმენტალისის ბრუნვის ნიშანი-ით („ხელით“, „ხმლით“) სრულ თანხმობაშია იმავე ბრუნვის ქართულ დაბოლოებასთან-ით („ხელით“, „ხმლით“). მ. წერეთელს მხედველობიდან არ გამოჩენია, რომ სუფიქსი - ანდა, რომელიც ხეთურში ტოპონიმებს აწარმოებდა („ციფლანდა“, „მილავანდა“) გვაგონებს ავღანის სახელთა ქართულ დაბოლოება - ანთა-ს (მდრ. „ზორანთა“, „გურანთა“ და სხვ.). მისი აზრით, ავღანის სახელთა მაწარმოებელი სუფიქსი ხეთურსა და ლუვიურში (-ერთ-ერთი ხეთური ენა)-სა („ზათუსა“, „ნაქფისა“), რომელიც ნათესაობითი ბრუნვის ფორმაცაა, გვაგონებს ქართულ სუფიქს - ხი-ს („თბილისი“ და ა. შ.).

მ. წერეთელი ვერადღებას აქცევდა ხურიტული და პროტოხეთური (ხათური) ენების მონაცემებსაც. მას შეხატულად მიანდა, მაგალითად, ხურიტული მრავლობითი რიცხვის მწარმოებელი - ნა, -ნი დაკავშირებინა იმავე მნიშვნელობის ქართულ - ნი-სთან (მღრ. „ღმერთი“ და ა. შ.). ასევე, მისი აზრით, ზოგიერთი მოუღენია პროტოხეთური ენისა ვავონებენ ქართულს: დამოლოება - ელ პროტოხეთურისა, რომელიც წარმოადგენდა ალნისხადა („ციფლიანთელ“, „არინაელ“ - ციფლიანთელი, არინელი), შესატყვისი იმავი მნიშვნელობის ქართულ ხუფიქსთან-ელ (ქართუ-ელ-ი“ და სხვ.), ხოლო მრ. რ. ნიშანი ხათურში ღე („ღებინუ“ - „ვაგებინ“) გვხვდება ქართულსა და სვანურში ღი-ს სახით. ლექსიკური პარალელებიდან აღსანიშნავია ხათური „ვერ“ - „მიწა“ და სვან. „კორ“ - „მიწა“.

ყოველივე შემოაღნიშნულის საფუძველზე მ. წერეთელი ასეთ ვარაუდს გამოთქვამდა: „... არის ნიშნები (და მხოლოდ ნიშნები, თუშეცა ძლიერ თვალხანისი) იმისა, რომ არა-ინდოევროპულ ხალხებს მცირე-აზიისას ქართველებთან აქვს ნათესაობა ენისა და რასისა, - შორეული კონტინენტი ნათესაობა, მაგრამ არც ერთი ენა არ აღმოჩენილა ბოლან-კოის ხეთურ ტექსტებში ისეთი, რომ იგი უძველესს საფუძურს წარმოადგენდეს ქართულის, ჭანჭვერულის ან სვანურის განვითარებასს. ხოლო მოსალოდნელია, რომ ღერსმულ დაფებზედ, რომელიც ჯერ კიდევ მცირე-აზიის ნიადაგშია ჩამარხული, იღებზე აღმოჩნდეს მესხური, ან ტაბალური ან რომელიმე სხვა ენა ქართულის ჯგუფისა...“

არაერთ საყურადღებო მოსაზრებას გამოთქვამდა მ. წერეთელი ხეთების ისტორიასა და კულტურასთან, რელიგიასა და სამართალთან დაკავშირებით, რომელთა შესახებ აქ აღარ ვისაუბრებთ. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ მანინდელი მდიდარი სამეცნიერო ლიტე-

რატურა (თან ერთების ნაშრომი) მას მაქსიმალურად გამოუყენებულად დაუშავებელზედ საკეთარე მსაზრებზედ გამოუთქვამს.

მ. წერეთლის განსაკუთრებული ინტერესი მიმართული იყო ხეთური რელიგიის საკითხებისადმი, რადგან ხეთური რელიგიის ელემენტებს იგი ხედავდა არამარტო უძველეს ქართულ საწარმართო ხარწმუნოებაში, არამედ თვით ძველ ქართულ მწერლობაშიც. სწორედ ამ საკითხს მიუძღვნა მან სპეციალური თავი ნაშრომისა - „ხეთური ელემენტები ქართულ საწარმართო ხარწმუნოებაში“.

მ. წერეთლის ვარაუდი, რომლის თანახმად პროტოხეთური (ხათური) სახელი ელვა-ჭექის ღმერთისა - „ტარო“ (შეიძლება იყოს ქართული სიტყვა „ტაროსი“, ხავსებით ვასაზიარებელია. მაგრამ მისი მოსაზრება ხეთური ქალღმერთ „იშხარას“ („მიწის ღედოფალი“, „აღვილის ღედოფალი“) გვიგვიებისა „აფაპარასთან“ („ფუძის ანგელი“) რომელიც არსებობდა საქართველოში, კრძოლ, აფხაზეთში, ნაკლებ დასაჯერებელია. მით უმეტეს, რომ არ იყო გამოკვლეული, თუ საიდან და როგორ შეიძლებოდა ეს მომხდარიყო.

ძველ ქართულ წყაროებში მოხსენიებულ ქართველთა წარმართ ღმერთებთან - არმაზთან, ზადენთან, გაცხა და ვასთან (- ვაძითან) დაკავშირებით მ. წერეთელი ორიგინალურ მოსაზრებებს ავითარებდა.

მართალია, არმაზ სახელწოდებას იგი სპარსულ ორმუხლს უკავშირებდა, მაგრამ იქვე დასძინდა, რომ „ჩვენის ფიქრით მარტო სახელთანა ვვაქვს აქ საქმე და არა თვით სპარსთა ღმერთ აპურა-მაზდასთან. (ეს მოსაზრება ვაიხიარა ივ. ჯავახიშვილმაც) თვით ხასიათი არმაზისა, როგორც ის არის გადმოცემული ქართულ წყაროებში, არ არის სრულიად ხასიათი აპურა-მაზდასი, არამედ ხეთელთა ღმერთის თემუ-

ბის - ელვა-ქეკის, ატმოსფერის ღმერთისა".

ამის შემდეგ მ. წერეთელი დაწვრილებით მიმოიხილავს „წმინდა ნინოს ცხოვრებაში“ აღწერილ არმაზის კერას და ასკვნის, რომ „კერა არმაზისა აღბათ მართლა იღვა მცხეთაში... „მახვილითა“ და ჩაფხუტით, და ეს არის გამოხატულება ხეთელთა ღმერთის თეშუბისა...“ ამის შემდეგ იგი აღნიშნავდა: „არმაზისა და აპურა-მაზღას ხარწმუნობა ერთი და იგივე არ არის, და მაშასადამე, არც ამ ორი ღმერთის იგვევობაა შესაძლებელი“ აღსანიშნავია, რომ როდესაც ეს სტრიქონები იწერებოდა, მ. წერეთელი სრულიად არ იცნობდა ე. წ. „ხეთურ ღვთაებათა აღწერილობებს“, რომლებიც მოგვიანებით აღმოჩნდა ბოლახკის ლურსმულ არქივში. როგორც ჩვენ ამ რამდენიმე წლის წინ აღნიშნეთ, არმაზის კერბის აღწერილობათა სტრუქტურა თითქმის მთლიანად იმეორებს ხეთურ ღვთაებათა აღწერილობის სტრუქტურას, რაც კიდევ უფრო მეტ დამაჯერებლობას აძლევს მ. წერეთლის შემოადინებულ ვარაუდს არმაზის კერბთან დაკავშირებით. ბ-ნ მახვილისაგან დამოუკიდებლად ჩვენც იმ დასკვნამდე მივდივით, რომ არმაზის ბუნება გამოხატავს სწორედ მცირეაზიური ამინდის ღვთაების - თეშუბის, და არა სხვა. რომელიმე ღვთაების ხასიათს.

მ. წერეთელი პირველი იყო მკვლევართაგან, ვინც ქართულ საისტორიო წყაროების ღვთაება ზადენი დაუკავშირა ასევე მცირეაზიური წარმოშობის ღვთაება ხანდონს (ხანთასს) - მცენარეულობისა და ნაყოფიერების ღმერთს. არმაზსა და ზადენს ქართველნი თავიანთ სცემდნენ აგრეთვე როგორც ორაკულის ღვთაებებს. მ. წერეთლის ეს ვარაუდი მოგვიანებით არაერთმა მკვლევარმა გაიზიარა.

ხეთური სარწმუნოების ვაულენას ქართულ წარმართულ რელიგიასზე მ. წერეთელი ხედავდა ხის კულტის არ-
5. „წიგნობა“ № 3-4.

სებობაში საქართველოსა და მცირე აზიაში. ქართული საისტორიო წყაროების „ცნობები გამოდგინდნენ არმაზს ქართულ-მცირე-აზიურ უძველეს საწარმართო ხის კულტისა“. მაგრამ, რამდენადაც ჩვენ ვიცით, ეს ვარაუდი არ გაიზიარეს მკვლევარებმა (მათ შორის, ივ. ჯავახიშვილმაც), რადგან ხის თევზანისცემა მარტო ხეთებისათვის არ იყო დამახასიათებელი. იგი სხვა ხალხებშიც იყო გავრცელებული.

რაც შეეხება წარმართ ღვთაებებს - გაიცისა და გას (გაიმს), მ. წერეთელი მათ შესახებ შემდეგს აღნიშნავდა. ითვალისწინებდა რა ნ. მარის შენიშვნას იმის შესახებ, რომ სამუელის წიგნის (1, 7, 4) ასტარტეს შესატყვისად ქართულ თარგმანში ყოფილა გა, იგი უშვებდა ვარაუდს, რომლის მიხედვით „ძველ ქართულ იმტარს, ასტარტეს, ქალღმერთს გა ეწოდებო“ ქართულ გაიცის კი მ. წერეთელი უკავშირებდა მცირეაზიურ ატიხს (იმავე აღონისს, თამუხს). მაშასადამე, ქართული საისტორიო წყაროების ვაცი გასიავიგებელი ყოფილა მცირეაზიურ ატიხთან, ხოლო გა - ქალღმერთ ასთარტესთან, ჩვენ არ ვიცით, რამდენად მართებულია ვაცის გაზიგება ატიხსთან, მაგრამ გას იგივეობა ქალღვთაება ასთარტესთან გაუგებარია იმის გამო, რომ იმავე ქართული საისტორიო წყაროების მიხედვით, წარმართი გა აშკარად მამაკაცი ღვთაება იყო. როგორც ჩანს, ეს ვარაუდი მ. წერეთელს მხედველობიდან გამოიშინა.

ნაშრომის დასასრულს ბ-ნი მახვილი ასკვნილ: „თუ ხეთის ქვეყნის ენათა შორის არ აღმოჩნდა ისეთი ენა, რომელიც ყოფილიყო ან ძველი ქართული, ან ძველი ქანურ-მეგრული და ან ძველი სვანური, ან ისეთი ენა, რომელსაც ახლო ნათესაობა ჰქონდეს ჩვენის ქვეყნის რომელიმე ენასთან, ნაშნები მაინც არის ქართულის შორეულ ნათესაობისა ხეთის არა-ინდოევროპულ ენებთან; ამასთანავე ხანს ხეთური სარწმუნოების ელემენტები ძველს

საწარმართო ქართულ ხარწმუნოებაში; და რაც დღეს მასალა მოგვეპოვება, იმის მიხედვითაც შეგვიძლია ხალხული ძაფები ვაჯაბათ ხეთასა და სხვა ქვეყანათა და კერძოდ საქართველოს შორისაც...“.

მ. წერეთელი ბოლომდე ერთგული დარჩა დიდი ილიას დასაფლავების დროს წარმოთქმული სიტყვებისა: „... ჩვენ უნდა ვვლამ ჩაუხერგოთ გულში ის მცნებანი, რომელნიც ილიამ თავის თხზულებებში გაატარა და გვიანდერდა. სიყვარული საქართველოსი, ... სიყვარული ჩვენი მიწა-წყლისა და... სიყ-

ვარული ქართველი ხალხისა, რომლის გუშაგად მუდამ უნდა ვცვალებდეთ ჩვენგანი, რომლის უფლებას არაფერს უნდა შევალახვინოთ, ისე, როგორც ილია არავის აძლევდა ამის ნებას...“.

დაიხ, მ. წერეთელმა საქართველოს სიყვარულს, ქართული მიწა-წყლისა და ქართველი ხალხის სიყვარულს შესწირა მთელი თავისი უანგარო სიცოცხლე, რომლის დიდი ნაწილი მან, ბუდის უკულმართობით გამოწვეულმა, სამშობლოდან შორს უცხო ვარემოცვაში გაატარა.

სამხმ-ჯაფანთოს ისტორიის ზოგიერთი საკითხის განმარტებისათვის

წინამდებარე სტატია ძირითადად 1968 წელს მოსკოვში სსრკ-ის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო გამოცემლობის მიერ გამოქვეყნებულ გ. ხ. ვერმიშევის წიგნის «Ампрспасалар (исторический роман)» პასუხად დაიწერა, მაგრამ იგი იმდროისათვის ვერ გამოქვეყნდებოდა და არც გამოქვეყნებულა. ეს წიგნი ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა მეგობრობის იდეოლოგიის ელბა ღოზუნგებით გაბრუნებულ საზოგადოებაში ფართო მსჯელობის საგანი რომ არ გამხდარიყო (თუმცა ვერც გახდებოდა) ჩემად შემოდანვე აკრძალეს. მაგრამ როგორც ცნობილია, არიან ადამიანები, რომლებიც აკრძალულ ხელს უფრო ეტანებიან და მას თავიანთი ინტერესებისათვის კარგად იყენებენ. ისინი წმინდა შოვინისტური გრძნობებით შეპყრობილნი, იმეორებენ გასული საუკუნის სომხური მსხვილი ბურჟუაზიის იდეოლოგიების, I მსოფლიო ომისდროინდელი დაშნაკელთა პარტიის («დაშნაკუთიუნი» დაარსდა 1870 წ.) ლიდერებისა და ზოგიერთი სომეხი ისტორიკოსის (აღონცი, ერეზიანი, მნაკაკანიანი, ფიდანიანი, შათიანი...) ამკარად მცდარ კონცეფციებს ქართველი და სომეხი ხალხების წარ-

სული ისტორიისა და მათი კეთილმზობლური ურთიერთობის შესახებ. მათ თავიანთი ახალი „თეორიებით“ ხურთ შეცდომაში შეიფიქრან მკითხველი საზოგადოება, ჩრდილი მიყენონ ქართველი და სომეხი ხალხების მტკიცე მეგობრობას, მათ შორის შუღლი და მტრობა გააღვივონ.

ქართულ ჟურნალ-გაზეთებში (მ. მეხია, მ. ლორთქიფანიძე, „მრულე სარკი“, „კომუნისტ“, 1969, 12 იანვარი; რ. ჯაფარიძე, „რაც მტრობას დაუნგრევი“, „მნათობი“, 1969, № 12, გვ. 166-192; აკ. გელოვანი, „მოწმე არს ნუნდა მატანე“, „მნათობი“, 1971, № 8, გვ. 174-186) ზემოთ აღნიშნულ ავტორებს პასუხი გაეცათ. სომეხ-ქართველთა ურთიერთობის სხვა საკითხებს, კერძოდ, ქართული ხურითმოდვრული იეგლებისა (მცხეთა, ჯვარა, ატენი...) და საქართველოში „ისიი“ დაბოლოებული ტოპონიმების მქონე პუნქტების—თბილისი, ქუთაისი, იღლიასი, ხერთვისი..., რომლებსაც სომხურ წარმოშობისად თვლიან, პასუხი გაეცეს: აკადემიკოსმა ვ. ბერიძემ, „წერილი რულაქიას“, „მაცნე“, 1970, № 6, გვ. 287-294; აკ. ბაქრაძემ, „აქა ამბავი მურადიანის მეცნიერებისა“, გაზ.

„ლიტ. საქართველო“, 1971, № 27; აკადემიკოსმა ა. შანიძემ, „პეტრიწონის მონასტრის მშენებელი გრიგოლ ბაკურიანის ძე“, „მნათობა“, 1979, № 1, გვ. 173–180; რუსულ ენაზე – «О строителе петрищонского монастыря Григорий Бакурианис дзе» „მაცნე“, (ისტ. სერია). 1978, № 4, გვ. 170–177. (ამ წერილებში ა. შანიძე ეხება სომხეთის ხსრ მეცნიერებათა აკადემიის მიერ რუსულ ენაზე გამოცემული წიგნის – «Типик Григория Бакуриана, в ведение персвот и комментарий В. А. Арутюновой-Фиданиан» Ереван, 1978 г. ტენდენციურობასა და ისტორიული ხინამდვილის უხვ დამახინჯებებს).

ამჟამად მცდარი და არამეცნიერული ინტერპრეტაციის შედეგად წამოჭრილი ქვემოთ მოტანილი საკითხებს გააღებების ცალკეული ფაქტი და ანტიქართული გამოხდომები რაკი ძირითადად სამხრეთ საქართველოს წარსულ ისტორიას ეხება, გადაწყვეტით, მათზე პასუხები გვეცეთ ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობითა და ობიექტური ტექსტების დაცვით. აგრეთვე სიცხადე შევიტანოთ ზოგიერთი თითქოსდა საღაო საკითხის გამუქებაში, რათა შეითხველთა ფართო საზოგადოებამ იცოდეს არა მცდარი, დამახინჯებული და ამჟამად ტენდენციური კონცეფციები, არამედ სწორი მეცნიერული ხინამდვილე. მართალი და ტექსტარითი ისტორიის ცოდნა არა თუ სასურველი, არამედ სავალდებულოა ყველასათვის. აქვე იხილია ხაზგასახებული, რომ წარსულიდან აღებული უნდა იქნას ის, რაც გვააბლოებს და არა ის, რაც გვთიშავს. ყველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ცხადზე უცხადესია, რომ მცდარ და საღაო საკითხებზე პასუხის გაუცემლობა, დუმილი, მისი მიფუნჩება და დამალვა სამომავლოდ გამოუსწორებელი ზიანის მომტანი იქნება. აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ ხაერთოდ ეროვნული საკითხებისა და სხვა მტკაუნული პრობლემების შესახებ წერა დიდ ხა-

ფრთხილესა და ობიექტურობის დაცვას მოითხოვს. ისტორიული საბუთებისა და დოკუმენტების გარეშე მტკაუნული და ზედაპირულად მსჯელობა უნდა აღიქვას შეუგებლია.

სომეხი ისტორიკოსების ნ. აღონციხ, პ. პიუბშმანის და სხვების მიხედვით ძე. წ. II საუკუნიდან მოყოლებული ახ. წ. IX საუკუნემდე მესხეთის ტერიტორიის დიდი ნაწილი: არტანან, ტაოკლარჯეთის ქალაქ არზრუმამდე, ჯავახეთი და სამცხე (ახალციხის ჩათვლით). სომხური წყაროებით – ხორშენა ტაოკით (ტაო) და ქვემო ქართლი ანუ ვოგარენა (გუგარქი) თითქოს სომხეთს ეკუთვნოდა და მის საკუთრებას წარმოადგენდა. გუგარქის ქვეყანაში ხ. ერეშიანი არასწორად „მთელ ზოლს იბერიასა და სომხეთს შორის ძორაგეტიდან მოკიდებული ეიღრე კლარჯეთამდე“ გულისხმობს (ნიკო ბერძენიშვილი). ასეთი ქვეყანა არ შეიძლება, და თუ შეიძლება, ეს ძალიადობაზე დამყარებული კონგლომერატია, რომელიც დასამლეულად არის განწირული. ეს შეცდომა სომხეთის შესახებ ევროპაში გამოცემულ ისტორიულ რუკებზეც აისახა. ამ მუნე კონცეფციამ გვიანობამდე მოაღწია და ფართოდ გააღდა ფესვები. 1918–1919 წლებში სომხეთის დამნაკური მთავრობა ზღვაზე გასახლეულის მიღების მიზნით ყარსის, ახალქალაქის, ახალციხისა და ბათუმის მიაკუთრებას მოითხოვდა. აგრეთვე, ცილილობდა ბორჩალოს მაზრის, ნახჩევანის მაზრის, ყარაბაღის... ხელში ჩაგდებასაც. როგორც ვიცით, ამას სისხლისმღურული შეტაკებები მოჰყვა (ბ. ხაჭაპურიძე). ხინამდვილის ამ ამკარა დამახინჯებების გამოკრება—გაცოცხლება სამწუხაროდ კვლავც ხდება სომხურ საისტორიო ლიტერატურაში, ისტორიულ რუკებზე და ზოგიერთ სასკოლო სახელმძღვანელოებში.

ყველა სხვა მეზობელი ხალხების მსგავსად ქართველებსაცა და სომხებსაც ბევრი რამ აქვთ საერთო მეგობრობისა და კეთილმეზობლობის მხრივ.

ახინი ერთმანეთისაგან რკინის ფარლით, ან ჩინური კედლით არ იყენენ გუოფილი და უფოდ გარკვეულ გავლენას ახდენდნენ ერთმანეთზე. მათი ურთიერთობის მეცნიერული ახსნა-გაგება და გაანალიზება ქვეშეპირი ისტორიის საფუძველზე უნდა ხდებოდეს, თორემ ამ ბოლო დროს ეროვნულ ნიადაგზე ისე გამწვავდა ეთნოკომულიტიკები, რომ აღამიანები წამოეგნენ რა სეპარატისტთა შხამთან ანკვსზე, ყოვლად გაუმართლებლად, ერთმანეთს იარადით დაუპირისპირდნენ და ქვეყნის დამანგრეველი შინაომები გაჩაღეს.

გ. ვერმიშევის წიგნში დამახინჯებულად და ტერმინოლოგიულად წარმოდგენილი თამარ მეფისდროინდელი საქართველოს სახელმწიფოსა, რომელიც ითქმის მთელ კავკასიას — ნიკოფსიიდან დარუბანდამდე და ჩრდილოეთ კავკასიიდან სომხეთის სამხრეთ საზღვრებამდე მოიცავდა, და სომეხ-ქართველთა იმდროინდელი ისტორიის ზოგიერთი საკითხი. იმისათვის, რომ საქართველოს ამირსპასალარი ზაქარია მხარგრძელი განადიდოს და ქართველი მეფის ეს ერთ-ერთი მოხელე მეორე მეფედ წარმოგვიდგინოს, ავტორი ფაქტობრივად ამცირებს დავით აღმაშენებლის, გიორგი მესამის, თამარის და მისი ქმრის-მეფე დავით სოსლანის როლსა და პირად ღირსებებს. თამარ მეფე შესავსადაა დამცრობილი, ხოლო დავით სოსლანი უზომოდ განდიდებულია. ე. ვინოვას 500 გვერდიან ისტორიულ რომანში — „თამარი და დავითი“, რომელიც 1960-იანი წლების ბოლოს რუსულ ენაზე 60 ათასი ტირაჟით გამოიცა ცხინვალში. ამ ავტორებს თუ დაუუჯერებთ, მაშინ უნდა უარყოფთ ჩვენი წინაპრების მიერ თამარის განდიდება, პატივისცემა, მასზე უამრავი ლეგენდის შექმნა, ყველა სიკეთის მისთვის მიწერა და მის სახელთან დაკავშირება.

აღნიშნული წიგნით გ. ვერმიშევი აყალბებს XI-XIII სს. საქართველოს ისტორიას, ამცირებს და აკნინებს მის

წარსულს. ცალმხრივად, ერთმანეთს ურად და სრულიად უმართლმართლ ხმარობს ისტორიულ ლიტერატურას, უგულვებელყოფს ქართულ ისტორიულ წყაროებს და, საერთოდ, ჭეშმარიტების უმსგავსო დამახინჯებას ეწევა. ამდენად ეს წიგნი ამკარა ნაციონალისტური იდეების მქადაგებელი, მკენე და დასაგმობია, მით უმეტეს დღევანდელ პირობებში. მისით ამირსპასალარი ზაქარია („Захаря“) თითქოს განავება საქართველოს და ემსახურებოდა სომხეთსაც. ფაქტობრივად იგი ანისის, ლორეს და ქვემო ქართლის ანუ ე. წ. „სომხეთის“ ტერიტორიების გამგებელი იყო და არა მეფე. მას ეს ტერიტორიები 1203 წელს სამართავად თამარ მეფისაგან ებოძა როგორც ყმასა და მეფის რიგით მოხელეს. ნუთუ ფეოდალურ ეპოქაში შეიძლებოდა, რომ ყმა ბატონის მზრძანებელი ყოფილიყო? ეს ხომ სრული უვიციობაა. ასეთი აბსურდი არ წერია და არც შეიძლება ეწეროს სხვაგან და თვით სომხეთის საისტორიო ლიტერატურაშიც.

ვერმიშევი თვე იყო არა ერთიანი ქართული სახელმწიფო, არამედ „ქართლის“ სამეფო. რაც შეეხება საქართველოს, იგი თითქოს ქართლისა და სომხეთის ფედერაციულ სახელმწიფოს ანუ საქართველო-სომხეთის ერთიან სამეფოს ნიშნავდა. ეს უკანასკნელი ფაქტობრივად არ არსებობდა და იმდროისათვის არც შეიძლებოდა არსებულებოდა. აგრეთვე არ არსებობდა ქართულ-სომხური გაერთიანებული ჯარიც. ამ დროს რაი თვით სომხეთს არ ჰქონდა საკუთარი დამოუკიდებელი სახელმწიფო, ზაქარია მხარგრძელის მეთაურობით მღიერი სომხური ჯარის შენაერთების არსებობის შესახებ ლაპარაკი შედგებოდა. ვერმიშევი ასევე არასწორად სომხებად თვლის მესხეთის დიდებულებს და ქართველ დიდმოხელეებს: მხარგრძელებს—ზაქარიას, ივანეს, შანშეს და თვით სარგის თმოგველსაც (მან ქართულ ენაზე დაწერა „დიდარანი“. იხ. შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“

1966 წლის საიუბილეო გამოცემის ბოლო 1587-ე სტროფი). წიგნის ავტორის მიხედვით სომხებივე იყვნენ ქართლის ერისთავთ-ერისთავი, რუსთავისა და „შვიდთა მთეულთა“ პატრონი აბულასანი, გუზანი ტაოსაკარელი, გრივოლ ბაქურიანის ძე და ბევრი სხვა ქართველი სახელოვანი მოღვაწე.

თამარის ისტორიკოსის ნაშრომში — „ისტორიანი და აზმანი შარავანდუთ-სანი“ მითითებულია, რომ ზაქარია და ივანე მხარგრძელები იყვნენ მხოლოდ სარწმუნოებით ანუ „სჯულითა სომეხნი“, საქმიანობით ქართველ მოაზრებულ, თავადებს და საქართველოს ლაშქრის სხასაღარებს წარმოადგენდნენ (ქართლის ცხოვრება) თამარმა ზაქარიას უბოძა „ღორეს სათავადო და სამთავრო სომხისთა შინა“. ბოლოს ივანემ „სჯული“ შეიცვალა (იქვე). მათ შესახებ თვით ცნობილი სომეხი მეცნიერი ი. ორბელი გარკვევით წერს: «Князья долгорукые» (მხარგრძელები) Курды по происхождению» (30) აკადემიკოსი ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავდა — ზაქარია „საქართველოს ერთგული შვილი იყო და, მაშასადამე, ამდენადვე ქართველი და ეს მოვლენა ამ დროს უეჭველად ტიპურია“. ისტორიკოსი მ. თამარაშვილი მიუთითებდა, რომ არსებობს საფუძველი იმისა, რომ „ქართველ ტომად შევრაცხოდველა ისინი, რომლებსაც სომხებისა მართო სარწმუნოება აქვთ და არა ზნე-ჩვეულებათ“. თამარის მამის ვიორგი III-ის დროს (1178 წ.) საქართველოდან განდევნილი ქართველი დიდგვაროვანი ფეოდალები-ორბელიანები (სომხურად ორბელები) ისეთივე სომხები ვახდნენ, როგორი ქართველებიც იყვნენ მხარგრძელები. ასე რომ ადგილი ჰქონდა სომხების გაქართველებასაცა და ქართველების გასომხებასაც ძირითადად კი ვაჭრები იქცოდნენ სომხებად, ხოლო ფეოდალები ქართველებად. ისტორიკოსი გ. მაისურაძე სწორად შენიშნავს, რომ „თუ საქართველოში ჩამოსახლებული სომხობა ხელს უწყობდა ვა-

ჭრობის საქმის დროის შესაფერისად მაღალ დონეზე ორგანიზაციულ მოწყობაში აშკარად იგრძნობებოდა მხარგრძელებითარებული ქართული სამიწათმოქმედო კულტურის გავლენა“.

მხარგრძელების წარმომავლობის, საკითხში ვერმიშვენი მართალიც რომ იყოს, სომხებისათვის ამას არავითარ მნიშვნელობა არ ჰქონია და არც ექნება ვინაიდან მხარგრძელები საქართველოს მეფის პოლიტიკას, ქართულ მიწა-წყალს ქართველობას ემსახურებოდნენ, არ სომხობდნენ და სულიერად, გვართ, ერთ ქართველები იყვნენ. ყოველი ეს არავითარ შემთხვევაში მათს დიდსულურობასა და სომხებისადმი პატივისცემაზე არ ლაპარაკობს. მწერალი გრივოლ აბაშიძე სამართლიანად შენიშნავს — „მშობლიური ენა ეროვნებაში უპირველესი ნიშანია და როცა ადამიანი მას კარგავს, იგი უკვე აღარ ეკუთვნის თავის ერს“. დიდი ილია აღნიშნავდა — რაჟი „ენა ფუძეა ერისა“, მისი განმტკიცება სულის აღორძინების საყრდენიაო.

მშობლიური ენის შესწავლით უნდა გაიცნოს „კაცმან თავისი ქვეყანა, თავისი მოღვაძე, თავისი ტომი, თავისი არსობის ავ-კარგი, თავისი ნათესაობა, თავისი მეზობლობა“, რომ ენა „უკვდავი საძირკველი და შესავალი კარია“ ყველაფრისაო წერდა „ვიწმე მესხი“ ივანე გვარამაძე. ტყუილად არ უთქვამთ ჩვენს წინაპრებს:

„საშობლო მისთვის შემრგვა,
ვინც დედა-ენა იცისო,
ვინც არა, აღარც კაცია,
არა შჳამს მისი ფიციაო.“

საკუთარი ერისაგან განდგომილი ნებისმიერი პირი ხალხს არასდროს გმირად არ გაუხდია და არ უდიდება, პირიქით, საკუთარის დამკობი და სხვისი სჯულის მიმღები ნამდვილ მტერზე საშიში და დაუნდობელია. საქართველოში მოწვეული დაერთ სოს-ლანი, ზაქარია მხარგრძელი და სხვა

მსგავსი მოღვაწენი პირადული კეთილდღეობა — ინტერესებიდან გამომდინარე, საკუთარი ერის სახელისა და დიდების საზიანოდ, საქართველოს ძლიერება-აღიშვას ემსახურებოდნენ. მხარგრძელების (სარგისი, ზაქარია, ივანე, შანშე, ავაგი, ალბუღა...) 150-წლიანი (1180-1330) მოღვაწეობა, იმდროინდელი ტიპური ფეოდალის ზუნების მსგავსად, ცენტრალური ხელისუფლების დღობისა და პირადულის ვანდილების გამოვლინება იყო. ბუნებრივია, ისინი ძალის შესაბამისად მოქმედებდნენ და ყოველთვის გარეშე თუ შინაური ძლიერი ხელისუფალისაკენ იხრებოდნენ (ლ. სანიკიძე). ამიტომაც იყო, რომ ავაგ-ათაბაგ ამირსპასალარმა პირველმა წამოიწყო სეპარატული მოლაპარაკება და დანებდა მონღოლებს. ყოველივე ამის შემდეგ, ბუნებრივია, მხარგრძელები (ამ გვარის ფუძემდებელი იყო სარგის ვარამის შვილი, რომელსაც თამარ მეფემ თორელთა გვარის კუთვნილი თმოგვის ციხე, ხოლო მის შვილს—ივანეს 1212 წ. ათაბაგობა ანუ ტახტი მემკვიდრის აღმზრდელია უბოძა) ფაქტობრივად სომხეთისათვის არარაობას, სამშობლოდან გაქცეულებს, მოღალატეებს წარმოადგენდნენ, ვინაიდან როცა მათ სამშობლოს უჭირდა, მაშინ ისინი თავისი ერისათვის საიკეთოს არაფერს აკეთებდნენ. სულ სხვაა, როცა ბედის უკუღმართობით (ტყვეთა გაყიდვა და უცხოობაში დარჩენა) განწირული ესა თუ ის პირი სხვაგან დარჩება და თავს გამოიჩენს. საერთოდ კი, თავის სამშობლოდან სულ რაღაც ათობით კალომეტრზე უცხოობაში მყოფი ადამიანი პატრიოტი რომ იყოს, იქ არ დასახლდება და აუცილებლად გაჭირვებაში მყოფ სამშობლოს, თავის ხალხს გამოადგება. ზაქარია მხარგრძელი ასეთივე როლის შემსრულებელი იყო, როგორისაც ცნობილი ქართველი გენერალი პეტრე ბაგრატიონი, რომელიც რუსეთში იმპერატორს, მის მიწა-წყალს ემსახურებოდა და ქართველობისათვის არასდროს არ აბ-

რძოდა; ფაქტობრივად მას დამოუკიდებლად რის გაკეთება შეეძლო უნდა ფერის, ისე როგორც თავისუფლად შეეძლო მხარგრძელს. მხარგრძელების დროინდელი სომხეთის მსგავსად პეტრე ბაგრატიონის დროინდელი, დამოუკიდებლობა—დაკარგული საქართველოც რუსეთის ფრთებს შეფარებულ კოლონიურ ქვეყანას წარმოადგენდა. ამდენად ერის ისტორია, მისი კულტურა არ შეიძლება უცხო მოწვეული სარდლების, მრჩევლების საქმიანობით შეფასდეს.

რაც შეეხება ტერიტორიებთან დაკავშირებულ ფარულ თუ აშკარა პრეტენზიებს და ზოგიერთ ექსტრემისტურ უსაფუძვლო ემოციურ განცხადებებს, აშკარად ანტიხალხური და დასაგმობია. ამ საკითხის კვლევაშიც ძირითადი საყრდენი ისევ და ისევ ჭეშმარიტი ისტორია, მისი წყაროთმცოდნეობაა.

როგორც ცნობილია, ამიერკავკასიის ხალხების ერთიანი უძველესი მონათმფლობელური სახელმწიფოს—ურარტუს დაღების (ძვ. წ. IX ს.) შემდეგ ცალკეული ეროვნული სახელმწიფოები ჩამოყალიბდა. მათგან იბერიისა და კოლხეთის სამეფოები ძვ. წ. VI—IV სს. პროფესორ შოთა მესხიას სიტყვებით: „იყვნენ პირველი უძველესი სახელმწიფოები არა მარტო კავკასიაში, არამედ საერთოდ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე“.

ძვ. წ. IV ს-ში, როცა მთელი აღმოსავლეთ საქართველო კახეთ-ჰერეთი და ისტორიული მესხეთი ქართლის გარშემო გაერთიანდა, მას ქართლის (იბერიის) სამეფო ეწოდა. ცოტა უფრო გვიან (ძვ. წ. III ს.) სრულიად საქართველოს პირველი მეფის ფარნავაზის დროს ამ სამეფოს პოლიტიკური საზღვარი შავ ზღვამდე გადიოდა და მასში დასავლეთ საქართველოც (კოლხეთი) შედიოდა. ე. ი. ქართლის უშუალო ხელმძღვანელობით მოხდა საქართველოში მცხოვრები ყველა ეთნიკურ-ტომობრივი და ტერიტორიული ერთეულების — ქართლი; კახეთი, იმერეთი, სამეგრელო, გურია, მესხეთი... თანდათანობით ახამა-

ლაცია და კონსოლიდაცია. ამის შემდეგ „ქართული“ გახდა ქართველური ტომების ერთიანობის, მათი ეროვნულობის გამოხატველი ტერმინი. ქართლმა ასეთივე წარმართველი და ხელმძღვანელი როლი შეასრულა საქართველოს შემდგომ გაერთიანებასა და, საერდოდ, მის მთელ ისტორიაში. რაც შეეხება ტერმინ „მესხს“, იგი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მცხოვრებ ტომთა ეთნო-ტერიტორიის (არტაანი, აჭარა, კლარჯეთი, შავშეთი, სამცხე, ჯავახეთი...) კრებითი სახელია.

4მძე 1ყ; წს:ძ

ძვ. წ. II-I ათასწლეულებში მესხეთი დანაწევრ-ქართული და აღმოსავლურ-ქართული ტომების თანაცხოვრების, მათი კულტურის შერწყმა-თავმოყრის არეალი უნდა ყოფილიყო, რაზეც სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი უამრავი ნივთი, იქაური ადგილობრივი ტაძრებისა და ლაზურ-ქანურ-მეგრულ-ჩერქეზული ენების მატარებელი ტომების ზეგავლენით შემორჩენილი ზოგიერთი სიტყვებიც ვეიდასტურებენ. სავარაუდებელია აგრეთვე ისიც რომ მესხები აღმოსავლეთ საქართველოს პარალელურად დასავლეთ საქართველოს მთელ ტერიტორიაზეც ბინადრობდნენ. ნიშანდობლივია ისიც, რომ მესხური დიალექტი ანუ კილოური მეტყველება ძველთა-ძველი ქართულია და ამ ენის ერთ-ერთ მთავარ კოლოს წარმოადგენს. იგი იყო იმ ხაერთო ენობრივი ერთეულის ის დიდი ნაკადი, რომელიც IX-X სს. ქართულ სამწყერლო ენას დაედო საფუძვლად (შ. ძიმიგური).

ძვ. წ. III ს-ში მეფე ფარნავაზმა საქართველოს 8 საერისთაოდ დაყოფისას ჯავახოსისა და ოძრახოსის წილი მისცა წუნდის (იგულისხმებოდა ჯავახეთი), სამცხისა და კლარჯეთის ერისთავებს („ქართლის ცხოვრება“), რომლებიც ერთიანი საქართველოს შემად-

გენლობაში იყვნენ და თავიანთ სამელოპელოებს სამეფო ხელისუფლების კანონებით ვანაგებდნენ. მესხეთს ქვეყნებში აქემენიდა და სელევკიდთა პატონაზისაგან განთავისუფლებულმა სომხეთმა არტაშეს I-ის (189-161), ტოტრან II-ის (95-55) და იარუანდის (I ს. 30-60-იანი წლები) დროს გაძლიერებას მიადწია და ქართლის (იბერიის) სამეფოს ქვემო ქართლთან, აბოცი, ზუნანი, სამშვილდე, ვოგარენე, ვუგარეთი ანუ „ტაშირის სამთავრო“-რომელსაც სომხურად ვუგარქი ეწოდებოდა, ერთად ნამოართვა მესხეთის ნაწილი „ქალაქი წუნდა და არტაანი მტკურამდე“ (იქვე), ძველი ბერძენი გეოგრაფი და ისტორიკოსი სტრაბონიც (64-20 წწ.) კვივეს მითითებს და აღნიშნავს რომ I საუკუნეში „მოსხიკე“ ანუ „მოსხების ქვეყანა“ (მესხეთი) სამ ნაწილად იყო დაყოფილი. პირველი ნაწილი-აჭარა, კლარჯეთი და შავშეთი კოლხეთს ჰქონდა დაპრობილი; მეორე-არტაანი, სამცხე და ჯავახეთი ქართლს ანუ იბერიას; ხოლო მესამე - კოლა, ტაო და სპერი სომხეთს (ივ. ჯავახიშვილი). ქართველები და სომხები ძალე დაზავდნენ და სომხებმა ქართველებს „უკუმოსცეს (უკან დაუბრუნეს) საზღვარი (ეთნიკილი ტერიტორია, მიწა-წყალი, ქვეყანა) ქართლისა ქალაქი წუნდა და ციხე დემოთისა, ჯავახეთი და არტაანი“ („ქართლის ცხოვრება“) ეს ტერიტორიები I-III სს. სომხთა და ივერიელთა შორის ბრძოლებისას ხელიდან ხელში გადადიოდა. IV საუკუნიდან იგი, სპერის გარდა, კვლავ ქართულ პოლიტიკურ ერთეულში იყო გაერთიანებული. ამიტომაცაა, რომ მთელ მესხეთს „უძველესი დროიდანვე მოყოლებული“ იბერიის ანუ ქართლის სამეფოს ფარგლებში თვლიდნენ სტრაბონიცა და შემდეგდროინდელი სხვა ისტორიკოსებიც (ივ. ჯავახიშვილი).

გუგარქი („გუგარეთი ანუ ქვეყანა ქართლი“, რომელშიც „ძორიფორი, კოლფისხევი, ტაშირი, თრიალეთი,

კანგარი, არტაანი, ჯავახეთი და კლარჯეთი" შედიოდა) VI საუკუნის სომეხივე გეოგრაფის მოწმობით იბერიის შემადგენელობაში იყო გაერთიანებული და ქართველებს ეჭირათ. სომხურა წყაროებითვე ამ ქვეყანას „ქართველთა ველად“, ხოლო გუგარელებს ქართველებად იხსენიებენ. ეს მხარე ირანელებისა და არაბების ბატონობისაგან განთავისუფლების (X ს.) შემდეგ „ქართველთა სამეფოს“ ანუ საქართველოს ცენტრალიზებული სახელმწიფოს საზღვრებში ერთიანდება. პ. ინგვორიუვა „ვიორგი შერნულეს“, 1954 წ., VI თავში — „ისტორიული კვლამარტების დამახინჯება საქართველოს სამხრეთი მხარეების (მესხეთისა და სამხრეთი ქართლის) ისტორიის საკითხები“, გვ. 400—544, მრავალ პირველწყაროზე დაყრდნობით, შეცნაურული კვლამარტების საფუძველზე დამაჯერებლად ამტკიცებს, რომ ქვემო ქართლი და მესხეთის ტერიტორიები მუდმივად ქართული იყო და მთლიან საქართველოს განუყოფელ ნაწილს შეადგენდა.

თვით სომხური წერილობითი წყაროებითაც მესხეთი (არტაანი, კლარჯეთი, შავშეთი, ტაო, ჯავახეთი, სამცხე, აჭარა) არასდროს არ იყო სომხეთის ნაწილი, ან საკუთრება („საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II). იქაცა და ქვემო ქართლშიც ადრეც ტაო-კლარჯეთის სამთავროს არსებობის დროსაც (VIII—IX სს.) და შემდეგშიც ეთნიკურად „ნარევი მოსახლეობა“ ცხოვრობდა (ივ. ჯავახიშვილი). ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან დიდი ჭირვარამის ვადამტან საზღვრისპირა რეგიონების მოსახლეობის სიჭრელეს ადგილი ადრეიდანვე ეკნებოდა. XVIII საუკუნის ცნობილი ისტორიკოსის ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით ზემო ქართლის ანუ მესხეთის ძირითადი მოსახლეობა ქართველებისაგან შედგებოდა მხოლოდ ქალაქებში ცხოვრობდნენ „სომეხნი და ურბანი ვაჭარნი“.

აკადემიკოსების სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის მიერ 1945

წლის 14 დეკემბერს გახუთ „კომუნისტში“ დასმული საკითხის „ქვეყნის კანონიერი ტერიტორიული შემადგენლობის შესახებ“ — 1947 წლის 24 ოქტომბერს გენერალური ასამბლეის პოლიტიკური კომიტეტის სხდომაზე ა. ი. ვიშინსკიმ საჯაროდ განაცხადა — ისტორიული მესხეთის მიწა-წყალზე ადრეიდანვე „მხოლოდ ქართველები ცხოვრობდნენ“.

ადრეული პერიოდის სამცხე-ჯავახეთში რომ ძირითადად ქართული მოსახლეობა ცხოვრობდა, ამას წერილობით წყაროებთან (იგულისხმება, თურქეთის სახელმწიფოს მიერ შედგენილი XVI—XVII სს. სავადასახადო დავთრებიც) ერთად უამრავი ქართული მატერიალური კულტურის ძეგლი და წმინდა ქართული ტომონიმიცა ადასტურებს. თურქ-ოსმალეების მიერ 1595 წელს სპეციალურად ამ მხარისათვის შედგენილ „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ შეტანილი დასახლებული პუნქტებისა და მათში მცხოვრები ოჯახების უფროსების სახელები წმინდა ქართულია. რაც შეეხება სომხურ ტომონიმიკას, იგი ნაწილობრივ ჩნდება XIX ს-ის 30-იან წლებიდან, მათი იქ მასობრივად ჩასახლების შედეგად. მთ სცადეს, მაგრამ ვერ მოახერხეს არსებული ქართული ტომონიმიკის შეცვლა და თავიანთი სურვილის მიხედვით ამ თუ იმ პუნქტისათვის სახელების გადარქმევა. ეს შეძლეს ლეზიანობებმა, რომლებმაც ჯავახეთში თავიანთ სოფლებს მამინეკ ახალი-რუსული (ბოვდანოვკა, ვორელოვკა, როდიონოვკა, სპასოვკა, ტამბოვკა...) სახელები დაარქვეს.

სამცხე-ჯავახეთში ქართველების შემცირება და უცხოტომელთა მიმრავლება თურქ-ოსმალეთის მიერ ამ მხარის ძალით დაპყრობასთან და ლეკ-აბრაგების განუვითხავ პარაპოთიანა დაკავშირებული. დამოუკიდებლობისათვის წარმოებულ ხანგრძლივ ბრძოლებში მისი მოსახლეობის ერთი ნაწილი ეთნიკურად ამოწყდა, მეორე სხვაგან

ვაიხიზნა, ხოლო მესამე ადგილზე დარჩა. დარჩენილთაგანაც დიდი ნაწილი ძლით გამუსლიმანდა. მეორე ნაწილმა, ზოგან მთელმა სოფელმა (ანდრიაშვილთა, არალი, აფნია, ვრკაშენი, ვულე, კოთელია, მუსხი, სარო, ტოლოში, უდე, წუნჩხა, პტენა, ზველი, ხიზაბერა...) დიდი ტანჯვა-წამების საფასურად ქრისტიანობა და ქართველობა შეინარჩუნა. იმდროინდელ საბუთებში მითითებულია — „უსამართლობამ გაგვრკა“ ჩვენი მიწა-წყელიდანო. ამის გამო ვაჩნდა მწარე წარსულის მანიშნებელი უამრავი საქალაქარი, ნახოფლარი, ნაფუძარი, ნახახლარი, ნაოხრები, ოხერა, ვერანა და ა. შ.

ქართველ მეფე-მთავრებს ხელისშეწყობის განვითარებისათვის სომხები აღრიდანვე გადმოსავლეთ და ქალაქებში ასახლებდნენ. თომა მეწოფელის ცნობით სომეხთა ემიგრაცია და საქართველოსაკენ ფართო მასშტაბით ღტოლვა XIV საუკუნიდან დაიწყო (გ. მაისურაძე). იგი გაფართოვდა ირანოსმაღლეთის მიერ XVI-XVII სს. სომეხთისა და აღმოსავლეთ საქართველოს მრავალჯერადი აოხრების დროიდან. ისტორიკოს მ. თამარაშვილის ცნობით საქართველოში სომხების გადმოსახლება XVII-ის დამდეგს დაწყებულია.

1827-1828 წლების ომში გამარჯვებულმა რუსეთმა დამარცხებულ თურქეთს ახალციხე-ახალქალაქის პროვინციები წაართვა და იქ 1829-1831 წლებში ვარს-არზრუმ-ბაიაზეთის ტერიტორიებიდან დაახლ. 40 ათასამდე სული (გადმოსახლების ერთ-ერთი ხელმძღვანელის კარაგუტა ეპისკოპოსის საფლავში ჩატანებული ტყვიის წარწერაში ფილის (ინახება ახალციხის მუზეუმში) მიხედვით 6 ათასი კომლი სომეხი მოსახლეობა იქნა გადმოსახლებული. 1841-1843 წლებში ჯავახეთის 8 სოფელში ჩასახლდა რუსეთის სამხრეთის ტერიტორიებიდან გადმოსახლებული რუსი სექტანტები (ლუზობორები). მესხეთის მსგავსი ვითარება შეიქმნა ქვემო ქართლშიც, რომელიც

მუდამ ქართულ სახელმწიფოში შემავალი ერთეული და ქართველთა მშენებელი და კულტურითაც

მეცნიერებაში სხვადასხვა აზრი არსებობს ამიერკავკასიის ხალხთა წარმომავლობის საკითხის შესახებ. თვით სომეხი ისტორიკოსის ი. მანანდიანის ვარაუდით, სომეხების წინაპრები — „არმენები“ ძვ. წ. XII-VII სს. მცირეაზიაში ბალკანეთიდან გადმოსახლებულან. ეს ვერსია ჩვენი საუკუნის 30-40-იან წლებში უარყვეს ბ. პიოტროვსკიმ, ა. ხაჩატრიანმა, გ. ლაფანციანმა და სხვებმა (ნ. ხაზარაძე).

ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები სომეხთის ტერიტორიაზე „XI საუკუნის 20-იან წლებში ჩნდება და შემდეგ თანდათან მრავლდება ქართული სახელმწიფოებრიობის სომეხთში შეღწევის კვალობაზე. XII ს. ბოლოს მათი რაოდენობა მნიშვნელოვნად მატულობს“ (გ. მაისურაძე). ქ. ანისში ქართულ მართლმადიდებლური ეკლესიის კედელზე 1218 წლით დათარიღებულ ახომთავრულ წარწერაში, რომელიც 1910 წელს არქეოლოგიური გათხრების დროს აკადემიკოსმა ნ. მარმა აღმოაჩინა მოცემულია ანისის სამღვდელთა და მის მრევლს შორის საეკლესიო მისაცემელთა ირგვლივ ატეხილი დავა. საქართველოს კათალიკოსს ეპიფანეს დაუგმია ზუცესთა საქციელი და საეკლესიო მისაცემელთა ოდენობა შეუმცირებია. ეპიფანეს განაჩენზე ხელი მოუწერიათ ანისის ეპისკოპოს გრიგოლს და ქალაქის აშირას ვაჰრამს (ქსე, I გვ. 466). ეს წარწერა აშკარა მოწმობაა იმისა, რომ საქართველოს სახელმწიფოში შემავალი არაქართული ტერიტორიების მართლმადიდებლური ეკლესიები იერარქიულად საქართველოს კათალიკოსზე იყვნენ დამოკიდებული და ქართული ენა, როგორც ოფიციალური სახელმწიფო ენა, სომეხთშიც იცოდნენ.

ნიშანდობლივია აგრეთვე სომეხთში ამტარების რაიონის სოფელ ჰოვანაჯანქის იოანე ნათლისმცემლის სახე-

ლობის მონასტერში (აგებულია 1216-1221 წწ. მხარგრძელთა საგვარეულოს მიერ).

დასავლეთის მხრიდან მიშენებული ევგეტერის ჩრდილოეთ კედელზე შემორჩენილი 12 სტრიქონიანი სომხური წარწერა, შესრულებული 1320-1321 წლებში. წარწერა ვაძკინოს, რომ ჰოვანავანქის მხარე XII-XIII სს. მხარგრძელების, ხოლო 1311 წლიდან ალასტელი მეფეების გამგებლობაში ყოფილა (დ. ნინიძე, მ. სანაძე). ისტორიულ ჯავახეთში შემავალი ახალქალაქის რაიონის სოფელი ალასტანი თამარის შვილის, მეფე ლაშა გიორგისა და მისი მემკვიდრეების საუფლისწულო მამულის ხარეზიდენციო პუნქტი იყო. ალასტენელ „პროვინციის მეფეთა“ სამფლობელოში შედიოდა ჯავახეთი, ქვემო ქართლი, სომხეთის ნაწილი-ლორე და ჰოვანავანქის მხარე. ჯავახეთში X საუკუნიდან სხვა სამეფო ანუ საუფლისწულო მამულებიც (დღივი, ღრტილა, ბეჯანო და ვარძია) არსებობდა. ისინი ქართველ მეფეთა საზღვრულ რეზიდენციებს წარმოადგენდნენ. ამჟამად ეს სოფლები ისტორიული უკულმართობის გამო სომხებითაა დასახლებული და მათში არც ერთი ქართველი მოსახლე არ ცხოვრობს.

ისე როგორც ჯავახეთში მდებარე კუმურდოს საეპისკოპოსო ტაძრის ქართული წარწერები, რომელთა მიხედვითაც X ს-ში ეს რეგიონი აფხაზთა მეფე ლეონის მფლობელობაში იყო, არ ვაძლევს საფუძველს იმისას, რომ ვამტკიცოთ ჯავახეთი აფხაზთა სამეფოს განუწყვეტილი ნაწილიაო. იგივე ითქმის ანისისა და ჰოვანავანქის წარწერების მიმართაც. სამართლიანად აღნიშნავდა დიდი ივანე ჯავახიშვილი, რომ ყველა ქვეყანას თავისი საკუთარი მკვიდრი ისტორიული საზღვრები და სახელები ჰქონდა, თუმცა მათი „სახელებიცა და საზღვრებიც დროთა განმავლობაში პოლიტიკურ ან ეროვნულ ვითარებისა და მიხედვით იცვლებოდნენ.

საქართველოს მეფეთა დინასტიისა

(ბაგრატიონნი) და ქართული დამწერლობის (ანბანი) წარმომადგენლები სხვა-სხვა ხუროთმოძღვრულ ნაგებობებზე უნდა ითქვას შემდეგი. ბაგრატიონთა გვარის გენიალოგიის გარკვევა ცალკე ტლვეის საგანია, აქ აღნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ ეს გვარი ძველ ქართულ პროვინცია სპერთან (ისპირი) არის დაკავშირებული (ძველი ბერძნული წყაროებით ქართველი ტომები-სპერები ანუ სასპერები შავი ზღვის სამხრეთით ცხოვრობდნენ და ზღვასაც მათი სახელიდან სპერის ზღვა ეწოდაო). ბაგრატიონთა ერთი შტო-ბაგრატუნები ანუ ბაგრატიდები სომხეთში, ხოლო მეორე-ბაგრატიონები საქართველოში გაიყვანდნენ.

ძვ. წ. I საუკუნეში არშაკუნიანების (ირანის ქართული არშაკიდთა მმართველი დინასტიის ძვ. წ. 250-ახ. წ. 224, უმცროსი შტო 62-428 წლებში განაგებდა სომხეთს) კარზე ბაგრატუნები აღზევებასა და მალალ თანამდებობას აღწევდნენ. არაბების ბატონობის დროს (IX-X სს) ისინი თანდათანობით ეუფლებიან სომხეთის დიდ ნაწილს და აქტიურად იწყებენ ბრძოლას ქვეყნის დამყრობათაგან განთავისუფლები-სათვის. 886 წ. სომხეთის მეფედ ხდება ამოტ I ბაგრატუნი. 961 წ. ბაგრატუნები თავიანთ სატახტო ქალაქად ანისს აცხადებენ და სამფლობელოსაც ანისის სამეფოს უწოდებენ. X საუკუნეში ამოტ III-ისა და გაგიკ I-ის დროს ანისის სამეფო დიდ ძლიერებას აღწევს, მაგრამ 1045 წელს მას ბიზანტიელები იპყრობენ და ბაგრატუნთა დინასტიის მმართველობას აუქმებენ.

ქართველი ბაგრატიონების პირველი ვანდიდებული პირი ამოტ I დიდი კურაპალატი არაბებთან უთანასწორო ბრძოლებში დამარცხების შემდეგ გადავიდა ტაო-კლარჯეთში და 826 წელს თავი „ქართველთა სამეფოს“ ანუ ტაო-კლარჯეთის მეფედ გამოაცხადა (ცენტრი ქ. არტანუჯი). მისი მემკვიდრეები ორ ტაოსა და კლარჯეთის შტოდ გაიყვნენ და ქართველთა მეფეებად იწოდებოდნენ. ტაოს ბაგრატიონებიდან

ადარნასემ 888 წელს, სხვა მონაცემებით 897, თუ 899 წ. ქართველთა მეფის წოდება მიიღო. ამ შტოს ეკუთვნოდა საქართველოს გამაერთიანებელი მეფე ბაგრატ მესამე. კლარჯეთის შტო ამოწყდა XI ს-ის დასაწყისში. XV საუკუნეში ბაგრატიონები სამ-ქართლის (პირველი მეფე იყო კონსტანტინე II დემეტრეს ძე, ალექსანდრე I დიდის შვილი) კახეთისა (1466 წელს გამეფდა გიორგი VIII) და იმერეთის (1484 წ. გამეფდა ალექსანდრე II ბაგრატის ძე, თუმცა მანამდე, XIII ს-ის 40-იან წლებში შეიქმნა დამოუკიდებელი სამეფო დავით ნარინის მეთაურობით) შტოდ გაიყვნენ. ქართლ-კახეთის ბაგრატიონებმა იმეფეს 1801 წლამდე, ხოლო იმერეთისამ 1810 წლამდე. რაც შეეხება სომეხთა და ქართველ მეფეთა სახელეხის — არშაკი, ბაკური, მითრიდატე-ი ივიეეობას იგივე პართიის არშაკიდ მეფეთა დინასტიის სახელებთანაა დაკავშირებული.

დაუჯერებელი და ამკარად ტენდეციურია ცნობა იმის შესახებაც, რომ სომხური დამწერლობის შემქმნელი მესროპ-მამსტოცია (V ს.), რომელმაც ქართული ენა არ იცოდა, იმავე დროს აღბანური და ქართული დამწერლობების — ანანების შემქმნელიც იყო. 1946-1950 წლებში პალესტინაში იორდანის უდაბნოში (ბეთლემის მახლობლად) პეტრე იბერის მიერ აგებულ თელორეს სახელობის ქართულ მონასტერში იტალიელ არქეოლოგთა ექსპედიციამ ვირჯილიო კირბოს ხელმძღვანელობით უბეკლესი (430 წ.) ქართული ასომთავრული (მრგლოვანი) წარწერა აღმოაჩინა. მის შესახებ მკვლევარი ვ. ჭანანიაძე წერს: „იერუსალიმის თელორეს სახელობის მონასტრის ქართული ეპიგრაფიკის ნიმუშები ნათლად მოწმობენ, რომ ტრადიცია ქართულ ენაზე წერისა გაცილებით ადრე არსებულა და მტკიცედ ნამოყალიბებული და სრულყოფილად ფორმირებული ქართული დამწერლობა V საუკუნეზე გაცილებით უფრო ადრინდელ ეპოქაში არსებულა, რასაც

საკმაო დამაჯერებლობით მოწმობს ქართველ-ეკლესიის ქართული წარწერების კლასიციკლის ვ. წერეთლის მტკიცებითაც „V საუკუნეზე ადრე ქართული დამწერლობის არსებობა... ამჟამად კიდევ უფრო შესაძლებელი და რეალური ჩანს“. ე. ი. ქართული დამწერლობა ძველი წელთაღრიცხვის დახლოებით VII საუკუნიდან, ჩამოყალიბებული სახით კი მეფე ფარნავაზის დროიდან (ძვ. წ. III ს.) მომდინარეობს. აქვე უნდა შევნიშნო ისიც, რომ უსაფუძვლოდ და არასწორად მენჯენება ზოგიერთი მკვლევარის მიერ „მესხ“-„მეხ“ ფუძიდან სომხების აღმნიშვნელი ქართული ტერმინის-„სომეხის“ წარმოება.

ქართველებისა და სომხების ურთიერთშეგობრობა ანარეკლია მათი ერთნაირი მძიმე წარსულისა. მათთვის საერთო იყო მტერიცა და მოუვარეც. სპარსელების რომაელების, არაბების, თურქ სელჩუკების, მონღოლების, ირანელების, თურქ-ოსმალების... გაუთავებელი თავდასხმები ორივე ქვეყანას აზანაგებდა და ახუსტებდა. ამიტომაც იყო, რომ ისინი საერთო მტრის წინააღმდეგ უთანასწორო ბრძოლებაშიც ერთად იყვნენ და დამარცხებების დროსაც ერთმანეთს ეხმარებოდნენ. V ს-ში სპარსელების წინააღმდეგ ერთად აწარმოებდნენ ბრძოლას ვახტანგ გორგასალი და ვაკან მამიკონიანი. ქართველებსა და სომხებს ერთდამევე დროს ორი და მეტი დამპყრობი ებრძოდა და უთანასწორო ბრძოლებაში მათ იმეორებდა კიდევ. III საუკუნის II-ნახევარში სომხეთი დაიპყრო ხასანიანთა ირანმა, ხოლო IV ს-ში ბიზანტიამ. მათ 387 წლის ზავით იგი ერთმანეთში გაიანაწილეს, რასაც უეფობის გაუქმება მოჰყვა ქვეყნის დასავლეთში 391 წელს, ხოლო აღმოსავლეთში 428 წელს (დაახლოებით ერთი საუკუნით გვიან მეფობა გაუქმდა ქართლშიც). IX საუკუნეში არაბების დასუსტებამ ნიადაგი მოამზადა სომხეთისა და საქართველოს დამოუკიდებლობისათვის საბრძოლველად და მათი ცენტრალიზებული სახელმწიფო-

ების შესაქმნელად. 886-1045 წლებში სომხეთში ახეთ სახელმწიფოს დედაქალაქად იქცა ქალაქი ანისი. ამ სამეფომ ძლიერებას მეფე გავაკ I-ის (990 - 1020 წწ.) დროს მიადნია, მაგრამ მალე კვლავ დასუსტდა და დამპყრობთაგან განთავისუფლებისათვის დასახმარებლად მეფე ბაგრატ IV-ს (მისი დედა მარიამი ვასპურაკანის უკანასკნელი მეფის ხენუქერამ არწრუნის ასული იყო) მიმართა. ქართველთა მეფის ჯარმა გაათავისუფლა ანისი და მის გამგებლად არტანუჯის ერისთავი აბუსერ აბუსერის ძე დაინიშნა.

1064 წელს სომხეთი დაიპყრეს და გამარცხეს თურქ-სელჩუკებმა. მათგან ანისის განთავისუფლება-გამოხსნისათვის საბრძოლველად 1123 წელს ჯავახეთის საზოგადო რეზიდენცია ბეკანონიდან მეფე დავით აღმაშენებელი 60 ათასიანი ლაშქრით დაიძრა. მან სამი დღის ბრძოლების შემდეგ გაათავისუფლა იგი და სომეხთა დედოფლის კატრონიკს საფლავს ჩასძახა: „ვიხაროდენ დედოფლო, რამეთუ იხსნა ღმერთმან ეკლესია შენი ავარიანთაგან“-ო, („ქართლის ცხოვრება“). დავით მეფემ ანისი ქ. დვინთან ერთად უშუალოდ საქართველოს სახელმწიფო დარბაზს დაუქვემდებარა. მისი შესამდე გაათავისუფლება მოხდა 1174 წელს გიორგი III-ის მიერ. ანისი სამართველოდ გადაეცა იოანე ორბელს. თამარ მეფემ 1199 წელს ჩრდილოეთ სომხეთთან ერთად ანისის სამეფო უშუალოდ საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში შეიყვანა და სამართველოდ საქარია მხარგრძელს ჩააბარა.

1236 წელს სომხეთი მონღოლებმა დაიპყრეს და ხასინჯუდ ანუ ულუხიანად - ფენის პირად საკუთრებაში მყოფ მამულად გამოაცხადეს. თუმცა მალე მას სტატუსი შეუცვალეს და სომეხ პოლიტიკურ მოღვაწეთა აქტიური მოქმედების შედეგად ამდროინდელი სომხეთის (სივნიეთი) და შაჰანშაჰის (ანისი) ქვეყანა საქართველოს სახელმწიფოში - „გურჯისტანში“ შემაჯალ

ნაწილად სცნეს და „საქართველოს ძი-ათვალეს. (ნ. ბერძენიშვილი) შემდეგ გამგებლები (დუმნის თავები) ვახტანგის თათბირზეც (XIII ს.) ესწრებოდნენ. ანისი, კარი და ჩრდილოეთ სომხეთის გარკვეული ნაწილი „სომხთა-რნის“ სახელით XIV ს-ის I ნახევარშიც ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს გამგებლობაში შედიოდა, ხოლო XV საუკუნიდან იგი კვლავ უცხოელმა დამპყრობლებმა დაისჯუთრეს (ივ. ჯავახიშვილი). თუმცა XVI საუკუნეშიც ქართველი მეფეები თავიანთ თავს სომხეთის მეფეებსაც უწოდებდნენ და საქართველოდან მის მოგლეჯას დროებით მოუღწენდნენ მიიჩნევდნენ. ამიტომაც იყო, რომ დამპყრობლების მიერ დარბეულ სომხურ მოსახლეობას ეხმარებოდნენ და ტყვეობიდანაც გამოიხდიდნენ ხოლმე (ივ. ჯავახიშვილი). ქართველებთან დაახ. 300-წლოვანი თანაცხოვრების საფუძველზე სომეხ ხალხს ქართული სახელმწიფოებრიობა „მშობლიურად ესახებოდა“. ამიტომაც იყო, რომ სომხეთის საზოგადოების უდიდესი ნაწილი თავის მომავალს სამართლიანად საქართველოს ძლიერებას უკავშირებდა და იგი ამიერკავკასიაში განმთავისუფლებელი ბრძოლის მეთაურად მიიჩნდა.

ამრიგად, ქართველი ხალხი ვაჭარების ფაშს ფოკლოთის ძმურ დახმარებას უწევდა სომეხებს, რომლებიც მტრისაგან ლტოლვილნი მუდამ საქართველოს აფარებდნენ თავს. მკვლევარი ზ. ჭიჭინაძე სამართლიანად მიუთითებდა, რომ „აქაური სომეხის წარსული არის საქართველოს ერის წარსული, მასთან მტკიცედ დაკავშირებული“. აკადემიკოსი კ. კველიძე კი აღნიშნავდა: „ამიერკავკასიის ხალხთა ძმობის იდეა, განსაკუთრებით კი ქართველებსა და სომეხებსა, პროგრესული იდეა იყო. ის ამ ხალხების მთელ შემდგომ ისტორიაში უაღრესად კეთილისმყოფელ როლს თამაშობდა.

სომხეთის განთავისუფლება რაკი-და ქართველთა თავისუფლებისათვის

ბრძოლის გეგმებს ემთხვეოდა, XVIII ს-ის დასაწყისში ქართველ-სომეხთა ერთიანი ფეოდალური სახელმწიფოს შექმნის შესახებ მოლაპარაკება დაიწყო ისრაელ ორის, კათალიკოს ესაიასა და მეფე ვახტანგ VI-ს, ხოლო იმავე საუკუნის ბოლოს იოსებ ემინის (ინდოეთის სომხური ბურჟუაზიის მეთაურა და სომხეთის სახელმწიფოებრივი ცხოვრების აღდგენის ერთ-ერთი ინიციატორი), შამირ შაჰამირიანის, მოსე ნერსესიანის და მეფე ერეკლე მეორეს შორის. ქვეყნის თავდაცვის თვალსაზრისით ეს გეგმა ორივე ქვეყნის ხელთა ინტერესებს პასუხობდა, მაგრამ კათალიკოს სიმონის მეთაურობით სომხეთის დიდებულთა ნაწილის წინააღმდეგობის გამო ეს კარგი წამოწყება ვერ განხორციელდა. თუმცა მისი განხორციელება რუსეთის პროტექტორატობას უკავშირდებოდა. ყველაფერ ამას თვით სომხეთის ისტორიაც არ მალავს და ამკარად აღიარებს.

ამრიგად, კარგე მტერთა შემოსევების შედეგად სომხეთმა XI საუკუნიდან დაკარგა პოლიტიკური დამოუკიდებლობა, მოიშალა მისი სახელმწიფოებრივი ერთიანობა და იძულებითი გზით მოხდა დაშლა-დაქუცმაცება. მოსახლეობის დიდი ნაწილი დამპყრობს ღარებდა, ნაწილმა, ქართველი ებრაელების მსგავსად, თავის მხსნელ საქართველოს მოაშურა, ნაწილი კი უთანასწორო ბრძოლებში ამოწედა. სომეხმა ხალხმა მეფე დაეით აღმაშენებლის დროიდან დაწვებული საქართველოს ერთიან სახელმწიფოს პოლიტიკურ შემადგენლობაში შესვლით თავი დაიცვა ფიზიკური განადგურებისაგან, შეინარჩუნა, ენა, კულტურა. ისინი ქართველთა წინსვლას სამხრეთისაკენ სიხარულით ევებებოდნენ იმიტომაც, რომ მას მათი ფიზიკური განადგურებისაგან ხსნა და მამკდიანთა ძალმომრეობისაგან განთავისუფლება მოსდევდა. სომეხების გარკვეული ნაწილი მტრისაგან თავის გადარჩენის მიზნით სამშობლოდან გამოიბრძოდა, საქართველოს ემიგრაციადა და

მას მეორე სამშობლოდ მიიჩნედა. კარგე მტრების წინააღმდეგ ბრძოლებში ქართველებთან ერთად ჯერძირაქსქარისტიანოს დასაცავად სომეხებიც აქტიურად მონაწილეობდნენ, ვინაიდან იგი ორივე ქვეყნის დაცვასა და ხსნას პასუხობდა.

ქართველებისა და სომეხებისათვის საერთო იყო მტერიცა და მოწინააღმდეგეც. ისინი ერთმანეთის დასაცავად და გალასარჩუნად სისხლს ღვრიდნენ. აღნიშნულის ნათელსაყოფად უამრავი მაგალითის მოტანა შეიძლება. ამის დასტურია თუნდაც 1918-1919 წლების ამბები, როცა სამცხე-ჯავახეთის ქართველებმა და სომეხებმა თურქთა ბანდების მიერ მიყენებული დიდი ტანჯვა-წამება, მრავალჯობის აღბრება განიცადეს. თუმცა ამ დროსაც იყვნენ ერთობის მოწინააღმდეგე ანტიქართული ძალები, რომლებმაც 1919 წლის თებერვალში რეგიონის მუსლიმანური ბანდების ზემოძღვანელის სერვერ-ბეგ ათაბეგოვ-ქობლაიანსკ-ჯაყელის მეთაურობით ახალციხეში შეკონწიწებული მუსლიმანთა დროებითი მთავრობის მსგავსი სომეხთა ნაციონალისტური მთავრობა შექმნეს ახალქალაქში. მათგან პირველი მოათხოვდა რეგიონის თურქეთთან, ხოლო მეორე სომხეთთან შეერთებას, ორივე ეს „მთავრობა“ სულ მალე სანის ბუმტივით გაქრა ისე, რომ პრაქტიკულად არაფერი არ გაუკეთებიათ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ქართველთა და სომეხთა ტრადიციული დადებითი ურთიერთობა საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა ასპექტით ვითარდებოდა. ყოველივე ეს, ნამდვილად ასე იყო და შეუძლებელია სხვანაირად ყოფილიყო. საქართველოში უძველესი დროიდანვე სხვადასხვა ერი-სა და სარწმუნოების ხალხი (სომეხები, ოსები, თათრები, ქურთები, ბერძნები...) ცხოვრობდა და ცხოვრობს. მუშატიანის სიტყვებით: „ქართლსა შინა“ უძველესი დროიდანვე „იზრახებოდა ექუსი ენა: სომხური, ქართული, ხაზარული, ახურული, ებრაული და ბერძ-

ნული“ (1, 1, 16). მაშინ როცა სომხეთში უცხოელები ძალიან ცოტანი ცხოვრობდნენ. იქ ამჟამადღე მთელი მოსახლეობის 90 პროცენტზე მეტს სომხები შეადგენენ. თითქმის არ ცხოვრობდნენ და არც ახლა ცხოვრობენ ქართველები.

საქართველოში მცხოვრები უცხოელები არასდროს არ იყვნენ შეზღუდული და თავს ყოველთვის შინაურულად გრძნობდნენ. მათ ქართველები დიდი პატივისცემით ეპყრობოდნენ და სახელმწიფო მმართველობაშიც ალებინებდნენ მონაწილეობას. დავით აღმაშენებლის დროიდან დამკვიდრებული იყო „ერთა შორის კულტურული თანაცხოვრების პოლიტიკური კურსი“ (19, 166). არსებობდა სარწმუნოებრივი შემწყნარებლობა, რაც ქართველების დიდსულოვნების, პუმანურობის, სტუმართმოყვარეობის, კეთილშობილებისა და ერთგვარ ინტერნაციონალიზმის ტრადიციებზე მიგვათითებს. ყოველივე ამას დაუფარავად აღნიშნავდნენ თვით სომხებიცა და სხვა უცხოელი მოგზაურებიც. XII ს-ის აზერბაიჯანელი პოეტი ხაკანი აღნიშნავდა — „ჩემს წინაშე დიდა აფხაზეთის (საქართველოს) კარობჭენი, მე წავალ იქ და ბაგრატიონებთან ვაპოვნი თავშესაფარს“-ო (22). XIII საუკუნის სომეხი ისტორიკოსი კრაკოს განმაცემი წერდა: „ქართველები ძალზე კეთილი და გულითადნი იყვნენ მოსულების მიმართ, რომლებიც მათთან თაკუზაფარს ეძებდნენ“. სომეხი ეამთა აღმწერელის ცნობით მეფე სიმონ პირველი „სომხების დიდი მოხიყვარულე და განსაკუთრებით ვადაეცების დიდი პატივისცემული იყო“ (კ. კუცია). ავტიქ ისაკიანის სიტყვებით — „ქართველი ხალხის სული ოქროსია, სული მდიდარი შემოქმედებისა“.

ქართველების სტუმართმოყვარეობისა და მდიდარი სულის შესახებ ფრანგი მოგზაური, ჟან შარდენი (XVII ს.) წერდა, რომ საქართველოში „უფლება გაქვს იცხოვრო შენი სარწმუნოებით და ადამებით, ამხველო მასზე და დაცივა

იგი“. მეორე ფრანგი მოგზაური, ჟან ბატისტ ტავერნიე (XVII ს.) ეწინააღმდეგება: „ქართველები არცაა ცოცხლები მეტი რჯულშემწყნარებელი ქრისტიანები მთელ აღმოსავლეთში“. გერმანელი მოგზაური აკადემიკოსი იოჰან გიულდენშტეტი (XVIII ს.) დასძენდა — საქართველოში „მმართველობა და სამღვდელოება ამეღვინებენ სრულ რჯულშემწყნარებლობას სომხების, კათოლიკების, მაჰმადიანი და ებრაელი მოსახლეობის მიმართ, რომლებიც სრულებით არ ეკუთვნიან ბერძულ ეკლესიას და არ სდევნიან მათ“. თანამედროვე სომეხი ისტორიკოსის პროფ. ა. აბრამიანის თქმითაც საქართველო იყო ერთადერთი ქვეყანა, სადაც „სომხები უცხოებაში ყოფნას არ განიცდიდნენ“. თბილისი ოდითგანევი ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობა-ძმობის აკადემიის მისი მკვიდრი საიათნოვა ამიერკავკასიის ხალხთა ძმობის ხიმზოლოდ იქცა. იგი თავის ხიმზოლებს სამ ენაზე ქართულად, სომხურად და აზერბაიჯანულად ასრულებდა.

ქართველი და სომეხი ხალხების მშურ მეგობრობას შორეული წარსული და დღმა ფესვები რომ აქვს, ეს ჩანს მათა ხალაპარაკო ენადაც. ვეაქვს საერთო სიტყვები: ბარი, თიზი, გუთანი, კალი, ფოცბი, მუშაკი, ოროველა, ოჯახი, საუნჯე, ჭეშმარიტება და ა. შ. XI საუკუნის ცნობილი ქართველი ისტორიკოსი, ლეონტი მროველი „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“ შესავალში, კავკასიის ხალხთა ძმობის შესახებ წერდა: „სომეხთა და ქართველთა, რანთა და მოუკანელთა, ჰერთა და ლეკთა... ერთი იყო მამა, სახელით თარგამოს (ქართლის ცხოვრება“). პაოსისა და ქართლოსის ძმობის ლეგენდამ და საუკუნეების მანძილზე საერთო შტრების წინააღმდეგ ერთობლივმა ბრძოლებმა კიდევ უფრო განამტკიცა, გამოაწრო და გააქაფა ეს მრავალსაუკუნოვანი მეგობრობა. მსგავსი მაგალითი მსოფლიო ისტორიაში ცოტა თუ მოიძებნება. სწორედ ამას ითვალისწინებდნენ ქართველი

და სომეხი ხალხების სახელოვანი წინაპრები და მუდამ ურთიერთ პატივისცემით იყვნენ გამსჭვალულნი. ქართველთა და სომეხთა ისტორიულ მეგობრობას, ერთობას დიდად აფასებდნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაჲთა მეთაურები ილია ჭავჭავაძე და ხანატურ აბოვიანი. ქართველებსაღმბი გულწრფელი მეგობრობის გრძნობით იყვნენ გამსჭვალულნი სომხეთის სახელოვანი შვილები: იოანეს თუმანიანი, ავტიკ ისაკიანი, აკოფ აკოფიანი და სხვები. აკაკი წერეთელი მტკიცე და ურყევი მეგობრობის გამომხატველი სიტყვებით მიმართავდა გაბრეულ სუნღუკიანს

„შენ სომეხი ხარ, მე კი ქართველი, მაგრამ ძმები ვართ ერთმანეთისა; ორივე შვილი ერთი მიწაწვლის, ერთ შიდაშისი და ერთი მთისა!“.

ზემოთქმულიდან გამომდინარე ქართველი და სომეხი ხალხების ისტორიული მეგობრობა, რომელიც საუკუნეების მანძილზე თავისუფლებისათვის წარმოებული მძიმე ბრძოლებით იყო განმტკიცებული, კიდევ უფრო განვითარებასა და გაზრდა-გაღრმავებას საჭიროებს. ამისათვის, პირველ რიგში, აუცილებელია ჭეშმარიტი ისტორიის საფუძვლიანი ცოდნა, რათა წარსული ისტორიის გარკვევისას აუცილებლად გათვალისწინებული იქნას ობიექტური ჭეშმარიტება იმისა, რომ ქართველებსა და სომეხებს აქვთ მდიდარი ისტორია, თვითმყოფადი ეროვნული კულტურა, რომელიც უდიდ პატივისცემის ღირსია. სამრახისა საკუთარის განდიდება-გაიდიადებით სხვისი ღამცირება, შეურაცხყოფა, ვაღანძლვა და შევიწყება. არავითარ შემთხვევაში არ შე-

იძლება ერთი ერის კულტურის გამოცხადება მეორე ერის კულტურის საკუთრებად. ყოველგვარ ჭეშმარიტებასთან გამომდინარე ცალკეულმა კვლევამ ტენდენციური ხასიათი არ უნდა მიიღოს და მეზობელი ხალხის ისტორია-საღმბი მიდგომა ყოველთვის ზუსტი ობიექტურობის დაცვისა და ჭეშმარიტი ისტორიის მეცნიერული გაანალიზების საფუძველზე უნდა ხდებოდეს. ყველამ კარგად უნდა გაიგოს მაღლიანი ქართული მიწის სიკეთე, მისი უდიდესი დამსახურება იმათ მიმართ, რომლებიც შვილივით შეიხიზნა, აცხოვრა, ახარა და ასე რიგად ამრავლა; გაიგოს ვინ ვინ არის, ხაიდან მოვიდა, რა უფლება-მოვალეობანი აქვს, რა მოეთხოვება და რა უნდა აკეთოს ხალხისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ. საქართველოში მცხოვრებ ყველა ადამიანს ამ მარწენალი მიწისა და მისი უშუალო ბატონ-პატრონ სტუმართმოყვარე ქართველი ხალხისაღმბი გარკვეული პატივისცემა და სიყვარული მართებთ. მათ პატივი უნდა სცენ მის კულტურას, ენას და შეისწავლონ იგი როგორც სახელმწიფო ენა; ჩვენი ქვეყნის მცხოვრებნი მართალია ერთნაირად სარგებლობენ ყველა სიკეთით, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველასათვის ერთი როდია მისი ჭირი და ღვინი. ასეთ შემთხვევაში უმადურებს უნდა შეეგანებინოთ, რომ სხვისი მამულის ბელფოფა და დასაკუთრებაზე ფიქრაც არ შეიძლება, ვინაიდან მხოფლიო საერთაშორისო ორგანიზაციებმა და „გაერომ“ აღიარეს ცალკეული დამოუკიდებელი ქვეყნების სუვერენიტეტი, ტერიტორიული მოლიანობა და მისი ხელშეუხებლობა. ასეც რომ არ იყოს ცოცხალი თავით საკუთარ მიწა-წყალს, მამულს არავენ დათმობს.

ანტიკონსტანტინული—ანტიპროკუნული

ზოგიერთი ახალი მოსაზრება „დიონისოს ღმირი“

კონსტანტინე გამსახურდიას „დიონისოს ღმირი“ ოციან წლებში იწერებოდა და მას მწერლის სხვა რომანებისაგან განსაკუთრებით გამოარჩევს ეპოქის ვეელაზე მტკივნეული პრობლემის გარკვეულ კონცეფციად განცდა-გააზრების პათოსი.

ჩვენი საუკუნის დასაბამმა ქართული აზროვნება ერთხელ კიდევ (ამჯერად განსაკუთრებით მძაფრად!) ამ პრობლემისაკენ შემოაბრუნა და მისი აღქმის, შეცნობის, განცდის თუ გადაწყვეტის აუცილებლობა უკარნახა. ეს მომენტია „დიონისოს ღმირის“ მთავარი მამოძრავებელი მუხტი.

მართალია, ეროვნული პრობლემა რომანში გაშლილია ეპოქის შესატყვისი, რთული პლანის ფონზე, როგორც ეროვნული პიროვნების მშობელ ნიადაგს მოწვევტის, ეროვნული სიკეთის ძიების კრახის, ქრისტიანულ-სარწმუნოებრივი ზნეობისადმი დაღატაკისა და ამ ნიადაგზე ეროვნული იდეალის დაკარგვის ტრაგედია, მაგრამ ყოველივე იმან, რაც რომანში ნეგატიური სახით შიშვლდება, ჩვენს შემეცნებაში უნდა წარმოიშვას საპირისპი-

რო ხატი კვამარიტად ეროვნული სამშობლოს, სახელმწიფოს, პიროვნების იდეალისა. და, თუმცა, ყოველივე ეს გაცხადებულია კიდევ სავარსამიძის სიზმრით (სიზმრად მაინც უნდა იხილოს სახურველი!), მაგრამ მაინც აღნიშნული საპირისპირო დასკვნა ემყარება ერთგვარი ანტიპროკუნებით მიღებულ შთაბეჭდილებას.

ეს ორგანოზომილებიანი რომანის ახლებურად წაკითხვის საშუალებას გვაძლევს: ჩვენ მასში ეხედვით არა მხოლოდ წარმართულ და ქრისტიანულ მორალთა შორის განხერილი „ზედმეტი ადამიანის“ „ახნაურული ფსიქოლოგიის“ კრახს, არამედ, ასევე, დიონისური საწყისის იმედისმოცემ მალას, როგორც დაკარგული ეროვნულის განახლების პროცესს, რომელიც მუდმივს პერსპექტივას ემიზნება.

გულწრფელსა და მწარე აღსარებაში — „ავტობიოგრაფიაში“, საკუთარი სულისა და ხორცის ტკივილებს რამაშველებს, სავარსამიძე მამისეულ ოჯახს სახავს ეროვნულის შურეველ საბირეველად და მამის შემფოთებას, მისი სავარაუდო მომლის გამო, ბრძენი კაცის წინასწარხილვად წარმოადგენს. მორღუ ტაია შელია, ვინც ბავშვიბიდანვე დაიმორხილა სავარსამიძის სული, აქ ცხადდება დაუკებელი

ერთი თვით ნაშრომისა — „ეროვნული პრობლემა 20-იანი წლების ქართულ რომანში“.

წარმართული ენით შეპყრობილ ანტიქრისტიდ, ვინც სავარსამიძეების ეროვნულ საწყისს მოშლის და მათს შემკვიდრეს უნაყოფობის, სპლინის, ბედწუკლდართობის ტრაგედიის გამოუვალ ჩიხში მოაძწყვედევს. გამწარებული მამა ზედავს — ქრისტეს მგობელმა მორღუმ პირშო საკუთარ წარმართულ წესს აზიარა და უძლებ შეიღალ აღუზარდა. და იმის შიში, რომ მშობელ კერასთან მობრუნების შემთხვევაში უძლები შეიღი შეიძლება მონანიების უნარისაგან დაცლილიც აღმოჩნდეს (რაც სახარებისეულ იგავში გაცხადებულ შეგონებაზე გაცილებით მეტი ადამიანური და ეროვნული ტრაგედია იქნება), უღეთოდ დააწყველინებს მამას საკუთარ პირშოს. მამისეული წყველა თავისებურ ნათელბილად ცნაურდება და თავისი არსით უკომპრომიზო ეროვნული კრუდის ფუნქციას იძენს: შეიღოს უღმიძლად წყველიან თუ: ოჯახის ფუძეს დაანგრევს; წინაპართა ოფელთა და სისხლით გამოხილ მიწას განერიდება; ოჯახში კეამლს ჩააქრობს.

ყოველივე ამისათვის იგი განიწირება მოყვასთაგან მოკვეთით, მშობელი მიწისა და გარემოს სიფარულის უნარისაგან დაცლით, უნაყოფობით.

სამივე ეს კომპონენტი ეროვნული არსობის პირობაა და მათგან განმარცხული ადამიანი უკვე აღარ არის ეროვნული პიროვნება.

კონსტანტინე სავარსამიძის შემეცნებაში მამისეული წყველა მისი ბედისწერა, მისი ტრაგიკული ცხოვრებისადმი თავიდანვე დამლად დასმული ნიშანია. ეს არის ჯადოთი შეკრული წრე, რომლისგან გამოსვლა არ ხერხდება და ვერც მოხერხდება. მისთვის ეს პირადი ტრაგედიაა, რომელსაც აქვს თავისი ბუნებრივი დასაწყისი და ლოგიკური დასასრული. მაგრამ დაწყველის აქტი, თავისი არსით, როგორც უკვე ვთქვით, გაცილებით ფართომოცუვითა და ვრცელი განზოგადების ფუნქციას იძენს (კონკრეტული პიროვნე-

ბის მიმართ აღუქნელი წყველა ცნაურდება, როგორც ანტიეროვნული გმობა, გადაგება-გადაცხრობა შექცენება).

„ავტოპორტრეტში“ სავარსამიძე საკუთარი თავის შეცნობის საბედისწერო ზღვართან ჩერდება. შიში იმისა, რომ ეს შეცნობა „ზღაპრულ ბაზილიკს“ არ გაუტოლდეს, მას შეაფოვნებს და მშობლიურ სამყაროს მოაზმანებს, როგორც რომელიღაც იმედს. ამ დროს იგი ოცნებობს ქართულ ჩოხასა და ახალუხზე, თეთრი სპილოს ძეღის ქამარხაჯალზე, ვიწრო უპირობსა და ჯიშთან ცხენზე...

ყოველივე ეს ეროვნულთან დააბრუნებდა (მის სულს ჯერ შერჩენია „მალალი სათნობის თეთრი ხანთლები“), მაგრამ ერთი პირობით: იგი ვერ შევლევს დონისურს („ერთი დამის ორგაბებისათვის სატანას მივიღი სულს“).

ამის გაცნობიერებამ კი ისევე შელანქილიისა და განდგომის საუფლოში, ბედისწერის პირისპირ უნდა დატოვოს იგი.

საკუთარ ბედისწერას იგი განიცდის, როგორც გარღვეულ ზევერსა და სასჯელს პირადი „სისხლის ბნელი წარსულისათვის“. ბედისწერა-ტრაგედიამ ორად გახლიჩა მისი სული. ყოველივე, რასაც კი სავარსამიძის ხელი, აზრი, ოცნება შეეხება, ორ განზომილებად ცნაურდება და გზაჯვარედინზე აყენებს მას.

გზაჯვარედინი თითქოსდა იგივე არჩევანი უნდა იყოს ეროვნულსა და ანტიეროვნულს შორის, მაგრამ ბედისწერა არჩევანის საშუალებასაც ართმევს მას.

ავტოპორტრეტში სავარსამიძე წარმოგვიდგება ირაციონალურ პიროვნებადაც, ვისი ქმედება ხშირად ლოგიკურად აუხსნელი და უმოტივაციოა. ამდენად, მისეული პრაქტიკის ბევრი მოვლენა ვინების მიღმა დგას, რადგან კანონზომიერებას მოკლებულია.

ამგვარად, ავტოპორტრეტი, აღსარებასთან ერთად, არის პიროვნების მო-

ნოლოგიც და საკუთარ თავთან გამართული დიალოგიც, სადაც ზღვბა ვმირის მთელი ცხოვრების, მის სწრაფვათა და იმედისგაცრუებათა კვინტენსირებული აღქმა. იგი თავისებური გასაღებიცაა მთელი რომანისა, რომელიც ასევე წარმოადგენს ავტობიოგრაფიას, ხოლო უფრო ვერტიკალი პლანისას.

„ავტობიოგრაფიის“ ძირითადი იდეური დატვირთვა მისგან მიღებული დასკვნით ცხადდება. ეს არის საკუთარი ტრაგიკული ზვედრის გაცნობიერება, რაც დაუნდობელი თვითმზილდება და მისგან მიღებული ობიექტური დასკვნა. თვითმზილდება, როგორც განცდათა თვითგახსნა - ეს იგივე საკუთარი თავის, საკუთარი პედისწერის, საკუთარი სულიერი მდგომარეობის თვითშეცნობა და, ამასთან, იმის თვითშეგნებაცაა, რომ მძიმე ზვედრა პიროვნებისა მხოლოდ სოციალური კატაკლიზმების შედეგი როდია. ორი მშფოთვარე საუკუნის მიჯნაზე მდგომი პიროვნების სულიერი გაბღენა მსოფლიო სულის კრიზისის, მისგან ამ პიროვნების იზოლირების ზნეობრივი შედეგია. სისხლისმღვრელი ომები თუ რევოლუციები, ბოროტი ძალებისაგან იმპულსირებულ ველურ ინსტიტუტთა მძლავრობის მძაფრ კლასობრივ დაპირისპირებად გაცნობიერება - ფაქტიურად ეს არის აღამიანთა მიერ ჩადენილი ცოდვა, რომელიც უნდა ზღოს როგორც საზოგადოებამ, ასევე პიროვნებამ საერთოდ. ამდენად, პიროვნების სულიერი კრახის მიზეზი კოსმოსურ ფუნქციონირებაშიც არის დასაძებნი.

მწერლისეული ეროვნული კონცეფციის უფრო ნათლად წარმოჩენისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მის დამოკიდებულებას ეროვნული წარსულისადმი, სადაც მონინშეება იდეალი და მისი სრული კრახი. აქ სამი მომენტი იქცევა წყნს ყურადღებას: ა) წინაპართა სიძლიერე, როგორც ეროვნული ვარანტი; ბ) სამხრეთის ბასტიონის მოშლა, როგორც ეროვნული ტრაგედიის დასაწყისი; გ) საქართვე-

ლოს ტახტის გაუქმება, როგორც ამ ტრაგედიის ფინალი.

წარსულს რომ იხსენიებს, სწავლისმიძე თავისი გვარის ისტორიას სწორედ ეროვნული საზრისით ვერტს. ამ გვარის მთავარ მისიად იგი სამხრეთ საქართველოს საზღვრების დაცვას წარმოვიადგენს. საქართველო მით იყო ძლიერი, რომ ყოველი მხრე მას ასეთი მცველები ჰყავდა, ხოლო თვით მათი ძალა მათივე ქვეყნის სიძლიერეს ემყარებოდა. ამ ურთიერგანმამაბრობებელ მიუცილებლობას ეფუძნებოდა ეროვნული სიდიადე საქართველოსი.

საქმარისი აღმონდა ეროვნულ საქართველოს ბზარი გასჩენოდა, რომ მისმა საგვარეულო ბასტიონებამც იწყეს ნგრევა. მართალია, ბაგრატიონების „დაუძღვრება“ გარეშე ბოროტი ძალების შემოსევას მოჰყვა, მაგრამ იგი უკვე ტენდენციად ქცეული შინაგანი ეროვნული სიმტკიცის შერყვამაც განაბირობა: როგორც საქართველოს ეროვნული დიდება ემკვიდრებოდა ქვეყნისა და მისი ძალების მთლიანობას, ასევე მისი დაცვამაც ამ ორ ფუნქციონს შორის განქენილმა ბზარმაც თან მოიტანა.

ეროვნული ტრაგედია რომანში განციდილია ერთ დროს ძლიერი ხალხის მიერ დიდ სიკეთედ შექმნილი უძლიერისი და უძლიერესი, ასევე ძლიერი მტრების მიერ „უკუნეთის ცეცხლით გადაბუგული“ და პარტახად ქცეული კუთხის ხილვით (შთაბეჭდილებას უფრო ამძაფრებს სამხრეთ საქართველოსა და ძველი რომის თუ საბერძნეთის ნანგრევებს შორის გაელებული პარალელი. სამხრეთ საქართველოს ზვედრი განსაკუთრებით მძიმეა: „ნასახლარები, ნახოფლარები... ნანგრეები... სილატაკე... სიბინძურე და გადაგვარება“).

და აი, როცა დაინგრა სამხრეთის ბასტიონი - ეს არა მხოლოდ სამხედრო და ეკონომიკური, არამედ ცივილიზებული ეროვნული საფრენიც მთელი საქართველოსი, მას უდიდესი

საფრთხე შეექმნა, უპირველესად, როგორც თავისთავად ეროვნულ სახელმწიფოს. საფრთხე თანდათან ღრმავდებოდა და უფრო გვიან ნამდვილ დიდ ეროვნულ უბედურებად გასაგნდა: გამორჩეული, სამაჟო ისტორიის მქონე, ახლა ჩვეულებრივ ბასტიონებს შემოწმებული, დამპყრობლებთან განუწყვეტელ ომებში ქანცავნიჭილი და დაუძღვრებული სახელმწიფო რუსეთის უუფლებო კოლონიად იქცა.

ეს იყო უდიდესი ეროვნული ტრაგედია და იგი „დიონისოს ღიმილი“ განსაკუთრებით მწვავედ განიცდება, რადგან მასთან, ბოლოს და ბოლოს, უშუალოდ დაკავშირებულია თვით რომანის მთავარი გმირის — ამ ერისა და ეროვნულისათვის ზედმეტკაცის მწარე ხეველი.

ეროვნული ტრაგედიის მთავარი არსი ის არის, რომ რუსეთთან შეერთება საქართველოს უნდა განეცადა (და განიცადა კიდევ!), როგორც ორი, სრულიად განსხვავებული ეროვნული ფიქიკის შეუთავსებლობა. ამ ფიქიკათა ჩამოყალიბების ერთერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ტერიტორიული სივრცის მნიშვნელობა. თუ ერთ შემთხვევაში ეს სივრცე თვალუწევდნია, მეორე შემთხვევაში იგი ზღვრულად კომპაქტურია. პირველისაგან განსხვავებით, მეორე შემთხვევაში მას გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ცნება „სამშობლოს გაცნობიერებისათვის“ ტერიტორიული კომპაქტურობა ის რეალობაა, რომელიც განაპირობებს და აყალიბებს სხვაგვარ ეროვნულ სულიერ ცნობიერებას (ვიწრო რკალში მოქცეული სულიერი ენერჯია გამოდის გარე სარბიელზე; ინტენსიურთან ერთად იგი იძენს ექსტენსიურ ზარისხსაც!). ქართულ სულს თავისი, განსხვავებული გეოგრაფია აქვს და იგი ვერ შეეწირება მისთვის უცხო წარმოდგენას ტერიტორიულ სივრცესა და მის როლზე ეროვნული არსებობისათვის. უთუოდ აქაც არის სამიბე-

ლი ზედმეტკაცად უნების ერთერთი მთავარი მიზეზი.

ზედმეტკაცობის განსაკუთრებული დიონისოს ღიმილი“ ტერიტორიული ფესვები აქვს, ვიდრე, ვთქვათ, „მთავრის მოტაცებაში“. აქ იგი თითქმის მთლიანად განრიდებულია სოციალურ-კლასობრივ ასპექტს და არსებითად ეროვნული ბედისწერა-უბედობის საფენელზე იშლება. ზედმეტკაცობა აქ კოდირებულია მარტოსულობის ნიშნით. მარტოსულობა იმდენად ცნაურდება პიროვნების ტრაგედიად, რამდენადაც იგი, ეს პიროვნება, სწვდება ეროვნულ ფესვებს და უკვე ეს მომენტი წინასწარ ვანწირავს ამ ფესვებთან დაბრუნების მის ვოველ მცდელობას. ამოდ ეშუადარება ხაერსამიძე სიქიოში შეხვედრად მამას დაწყველა ახსნას მას, კვლავ დალოცოს და შშობელი მიწის მადლი დაუბრუნოს. მაგრამ თვით ჯოჯოხეთში ყოფნა გამორიცხავს ამის შესაძლებლობას: ის, ვინც ჯოჯოხეთში მოხდა, ვერც დალოცავს და ვერც თვით დაილოცება. აქ საინტერესო ისიც არის, რატომ მაინცა და მაინც ჯოჯოხეთში უნდა შეხედნენ ისინი ერთმანეთს? მამაც და შვილიც ჯოჯოხეთს უნდა შთავიდნენ დიდი ეროვნული ცოდვისათვის — ეროვნული კვრის გაციებისათვის. ამაში კი ორივეს დანაშაული განუზომელია. საერსამიძის ტრაგედიას პირდაპირ ესადაგება ვერონტი ქიქოძის მოხაზრება: „სამშობლოს სიყვარული არ შეიძლება აბსტრაქტულად... საჭიროა, რომ ამ სივრცეში აღამიანს ერთი კუთხე მაინც ჰქონდეს, ან ერთი კერა, რომელიც მას იზიდავს მოვონებებით, სითბოთი და ღაზათიანობით“. („ეროვნული ენერჯია“, გვ. 76).

სამშობლოში დაბრუნებული „უცხო კაცი“ საერსამიძე საბოლოოდ შეიცნობს თავის ბედისწერას და პირისპირ აღიარებს კიდევ მას, როცა იტყვის: „ამ საქართველოში მე მაინც ზედმეტი კაცი ვარ“. მაგრამ ამ შეცნობას ენიჭება კონკრეტულიდან ზოგად ჭეშ-



მართებულად ჯანფენის ფუნქცია. სავარსამიმე, დიონისური წესით აწყობილი თავისი ცხოვრების მიუხედავად, იქაც, დასაქვლეთშიც ზედმეტკაცად რჩებოდა (მნიშვნელობა არა აქვს, იყო თუ არა ეს მის მიერ საბოლოოდ გაცნობიერებული!), რადგან იგი უსამშობლო მარტოსულია.

მარტოსულობა, როგორც ეროვნული ნიადაგიდან ამოვარდნის ტრაგედია, უფრო საცნაური ხდება ჯენეტთან ურთიერთობის ფონზე.

ჯენეტს სავარსამიმე შემთხვევით არ ხდება სპარსეთის საკონსულოს სალონიში. არც სავარსამიმის ბედთან ჯენეტის ცხოვრების ისტორიის გაწყვილება არის შემთხვევითი. ეს ქართველი ქალიც ასევე მოწვევითია თავის ეროვნულ ფესვებს და გარდუვალი ტრაგედიისათვის არის განწირული. ბედისწერამ სპარსულ სამყაროს დააკავშირა - იგი პარიზში სპარსეთის ელჩის ალი მირზა-ხანის მუღლუა და, მიუხედავად მატერიალური ცხოვრების ყველა სიკეთისა, რომელსაც ფლობს, მაინც უბედური და ტრაგიკულია, რადგან დაუკარგავს სიკეთითა შორის ყველაზე უკეთესი რამ - საკუთარი ეროვნული გარემო. მისთვის თითქოსდა ირგანულად მახლობელი უნდა იყოს შვეიცარიელი მადმაზელის ლორენცის თუ გერმანელი დოქტორის რაიმერის, ამერიკელი მისის ბლუტის, ფრანგი მუსიო ფან სტაუნის, პოეტ რამონ მენიეს თუ შურნალისტ რაიმერის, ჩერქეზი ხალილ ბეის თუ მაღალი წრის სხვა ჩინებულთა გარემოცვა, რომლის შუაგულშიც იგი დგას, როგორც სალონის დიასახლისი, მაგრამ იგი „ნოსტალგის“ ტყვეა. სავარსამიმის შეკითხვა - ენატრება თუ არა ჯენეტს საქართველო? პირველყოფილსა, საკუთარი სევდის გამჟღავნებაა. მან თითქმის წინასწარვე იცის, რა პასუხსაც მიიღებს („თქვენ, ალბათ, იცით, რა ცუდი სენია ის, რასაც ფრანგები „ნოსტალგის“ ეძახიან... ქართველი ქალი უცხოელს არ უნდა გა-

ჰყვეს ცოლად“), რომ მას, საკუთარი აღსარება მიყოლოს. **ერქვენი**

ამ სულისშემძებელი დიდილოგის არსი ემყარება ტრაგიკული ანტიეროვნულის გაცნობიერებას. აქ პიროვნების ტანჯვა გაცხადებულია, როგორც გოდება მისსავე უკუღმართად მომართულ ცხოვრებაზე. „მეც ძლიერ ვიტანჯებო“, - იტყვის სავარსამიმე და „მამულისადმი სევდას“, სულიერთან ერთად, ფიზიკურ ტანჯვასაც აღიქვამს. ნოსტალგიის წარმოდგენა აკვითულთვალეზიან არსებად“, რომელიც თავის „კრძელსა და წვეტიან ჭანგებს ჩაგასობს გულში და არ მოგეშვება, არ მოგეშვება“, უფრო შთამბეჭდავს ხდის სულიერი წამების განუწყვეტელ პროცესს, თუმცა, ხავარაუდოა, არც ეს ხატი იძლევა სრულ წარმოდგენას ტრაგედიაზე.

უნდა ვივარაუდოთ, ჯენეტისა და სავარსამიმის ურთიერთდაახლოება სწრაფვაა ეროვნულისაკენ. ეს ყველაზე შთამბეჭდავად აისახება სპარსულ დარბაზში ბუზრის წინ გამართულ დიალიოგში. ეს არის: ორი, ფაქტიურად უბედური ადამიანის მონატრებაც მშობლიურისა, გოდებაც აუნახლავრებელ დანაკარგზე (სავარსამიმე: მენატრება უცხოეთში ქართველი ქალის ქართული“, ჯენეტი: „ახლაც თვალწინ მიდგას სამთავროს მონასტრის ცადაქნილები, გულმზურვალე ლიტურგიები... სულზე უტკბილესი ქართული ვალობა დღესაც მენატრება“); სამშობლოს უკურნებელი ტკივილების უშუალო გაუნცდაც (სავარსამიმე: „ჩვენ სამშობლოში უცხოელები ვკონივართ... დაციკლა საქართველო. მისი უდიდესი საუნჯენი უცხოეთში ვაიტანეს, მისი უკეთილშობილესი ხისხლიც ჩვენს თვალწინ უცხოეთში მიდის... მხოლოდ თვალეზი შეგვარჩინეს სატირლად...“); დავვიანებულ გამიჯნურებაში ხსნის იმედის სხივის ძიებაც (სავარსამიმე: „... ვყოფილიყავ თუნდაც უკანასკნელი გლეხი საქართველოში. მიწა მეთობნა, ოღონდ დღენიადაც მისთვის მემშირნა“;

ჯენეტი: „ატარეთ, ხანამ არ მოვწყინდებით“, — ეტყვის სავარსამიძეს და სმარავდის ბეჭედს აჩუქებს); მშობელ მიწასთან დაბრუნების სურვილიც (ჯენეტი: „ნუთუ არ მოვწყინდათ ამდენი ხეტიანი? დაბრუნდით საქართველოში, რამე გააკეთეთ“); ვადებაც ეროვნული სხეულიდან ამოვარდნაზე (ჯენეტი: „... ქართველი ქალი უცხოელს არ უნდა გაჰყვებ, რადგან ჩვენი ძლიერ განვხვადებით ყველა ერისაგან... გარეგნულად მე არაფერი მაკლია“, მაგრამ „მე ისევე მარტო ვარ და უსამშობლო“).

სავარსამიძისა და ჯენეტის თბილისური ნაცნობობის განახლება, მათი დაახლოება და დაკარგული ბედნიერების აღდგენის ცდა საბოლოოდ მხოლოდ მოჩვენებითი განცდაა სიხარულისა, თუმცა მათი დაახლოებით საცნაური ხდება ეროვნულთან შეხება-შეერთებისაკენ სწრაფის მიუცილებლობა (სავარსამიძე: „რადაც უხილავმა ძალამ გვაპოვნინა ერთი-მეორე და შეგვაკავშირა. დღემდის ჩვენი სულები ორ სხვადასხვა მხარეს მოხეტიალე მწიკრები იყვნენ. ვგრძნობ ჩემს სულში უშველებელი სინათლისა და ექსტაზის ჩქერი ჩაეშვა“). მოჩვენებითია იმიტომ, რომ ეროვნული სადმი დალატი (თუნდაც ბედისწერისმიერისა და უნებურის) გამოუსწავიდეული და შეუნდობელი დანაშაულია ადამიანისა.

ცხადია, იყო ამ აქტში სწრაფა ბედნიერების პოვნისაკენ, ალბათ, შევბავ. მაგრამ ვარაუდი ხანმოკლე და უბედო აღმოჩნდა: ორი შეცთომილის შეკავშირება (ჯენეტიც ხომ მოსწყდა მშობელ მიწას, უცხოელს მისთხოვდა და მშობლიური სივრციდან ამოვარდა!) — რაჯერ გამრავლებული ცოდვია და მისი მიტკევა გამოირიცხვია!

ჩვენი აზრით, ამგვარად მოიაზრება ეროვნული სადმი დალატი დიონოსოს ღიმილში“. ამიტომაც უნდა განმორღვებ უცხო მიწაზე დაკავშირებული ორი უსამშობლო ქართველი ერთმანეთს; ამიტომ უნდა დაიღუპოს ჯენეტის უმანკო პირში ფარფიხი; ამიტომ

ულმობლად უნდა განიფანტოს სიხარულს კვლავ საბოლოოდ სიხარულის ყოველი იმედი...


მძიმეა და ტრაგიკული ეს სიხარული, მაგრამ იგი, ეროვნული სადმი ერთგულების მრწამსით ნაკარნახევი, ბუნებრივია და გარდევალი!

აქ ერთი ვარაუდებაც იქცევის ჩვენს ქურადლებას. რომანში ვხვდებით ბევრ უცხოელს — ხარსელს, ვერმანელს, ამერიკელს, შვეიცარიელს, თურქს ალფირულს, შოტლანდიელს, რომელია მიზიდულობის ცენტრად პარიზი გამხდარა. მაგრამ არც ერთი მათგანი ისე მწარედ არ განიცდის ნოსტალგიას, როგორც სამშობლოდან გადახვეწილი ორი ქართველი. რომანის ავტორმა უთუოდ განვებ ვახაზა ეს მომენტი, რომ შემოეთავაზებინა საკუთარი კონცეფცია: ეროვნული განცდას გაცილებით გადამწვევტი მნიშვნელობა ეკისრება ისტორიულ კატაკლიზმებში გამოვლილი ერის არსებობისათვის და რომ იგი ყოფის თავისებური მორალური საკვადებულო წესია. ასეთი რამის დალატი კი მძიმე და მიუტყეველი ცოდვია.

უსამშობლოდ შეთვის ტრაგედიას აქვს სავარსამიძის ბედისაგან განხვადებული პლანის: უკუღმართი ბედის მიერ პიროვნების უნებური მოწყვეტა ეროვნულ ძირებს, მისი გაყვანა სხვა ორბიტაზე და იქ აღზვევა.

ასეთი ადამიანის ბედი თითქოსდა აღარ უნდა აღიქმებოდეს ტრაგედიად, რადგანაც რგი ცხოვრებაში აქტიურად ნართული პიროვნებაა და ზორციელდება მისი უნარისა და ტალანტის სრული რეალიზაცია.

საქართველოს ისტორიამ ბევრი ასეთი მაგალითიც იცის. მათგან რომანის ქსოვილს ერთვის ლეკვინად ქცეული ისტორია მამლუქ რუსტომისა. ბუკინისტ მარტრეის მიერ მოთხრობილი ეს ისტორია სწორედ რომ ტიპიურია ზემოაღნიშნული თვალსაზრისით. ბაეშობაში ვატაკებული და სტამბოლში გაყიდული ქართველი



გლეხის ბიჭი, შემდგომში ვევიატელი მამულეჟი, ისე აღზევდება, რომ ნაოლელონის უერთგულესი თანამებრძოლიც ხდება. უცხო მიწაზე ამაღლებული ქართველი ბოლოს შარღერუას ბრძოლაში მამაკურად დაიღუპება, ნაოლელონის მიერ დადგმულ მის ძეგლს მადლიერების გამოშხატველი იშუაითი წარწერა ამშვენებს: „აქ ასვენია მონა ღვთისა, რუსტომი. დიდი იმპერატორის ერთგული მეგობარი. ქართველი - საქართველოდან“.

ამგვარი ხვედრი თითქოსდა ბედნიერება უნდა იყოს პიროვნებისა, რადგან მისი ფენომენიც ფუჭად არ გაიფლანგა ან არ დაითრგუნა. მაგრამ რომანის კონცეფციით იგიც ისეთივე უბედურებაა, როგორც სავარსამიძეთა თუ ათაბაგთა მამულს მოწვევითი შთამომავლების წილც ტრაგედია. და, იმის მიუხედავად, რომ სავარსამიძე ერთგვარი სიმპათიით განეწყობა კიდეც ნაოლელონის ომების გმირისადმი, თეთრი ყვაილების გვირგვინით შეამკობს მის საფლავს, ხოლო გვირგვინის ღენტზე წარწერაში გვირს „თავგამეტებულ ქართველ რაინდად“ მოიხსენიებს, მის ხვედრს მაინც უბედურებად მიიჩნევს. ეს უბედურება სხვათა მიწისათვის თავგანწირვა, ქართული მიწის მიერ ბოძებული სისხლის სხვათა დიდებისათვის გაღებაა. თითქოს განგებამ დახაჯაო, მას თავისი ერისათვის სამსახურის ბედნიერება წაართვა. რუსტომისათვის ეს ტრაგედია, ალბათ, საბოლოოდ გაუცნობიერებელი დარჩა, მაგრამ რომანის ეროვნულ კონცეფციაში მან სწორედ ამგვარი აღქმა პოვა.

საკვებით ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ რომანის ექსპოზიციაში გაცხადებულ ამ ჭეშმარიტებას საპირისპიროდ უნდა მოეშორათა სავარსამიძის ცნობიერება. მაგრამ ეს არ ხდება იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ადამიანი ყოველთვის ვერ ახერხებს მოჯადოებული წრიდან გამოსვლას. ეს კი, როგორც წესი, ეროვნულ სინამდვი-

ლესა და სიმართლეს მოწვევების, სუბიექტურად თუ ობიექტურად ურთიერთებისაგან განდგომის შედეგია.

„დიონისოს დიმილში“ ლაპარაკია „გზის დაკარგვაზე“ და პარიზზე, რომელიც გზის დამკარგველთა სამშობლოდ ქცეულა. გზადაკარგულთა სამშობლოს ცნების ანომალიური არსი საცნაური ხდება მთელი იმ წრის ფონზე, რომლის ორბიტაშიც მოქცეულია სავარსამიძე. სხვა ეროვნული სივრცე, ფაქტიურად, ისევე ვერ ხდება სავარსამიძის სამშობლოდ, როგორც ამ სივრცისათვის სისხლდანთხეული მისი შორეული წინაპრისა, ვისმა ძელებმაც საუკუნეების მანძილზე უნდა „იპორვოს“ სხვა ერის მიწაში.

ეს აღმოჩენა კიდეც უფრო ამძაფრებს სავარსამიძის განცდას (უცხო მიწაში გათხრილი სამარე სავარსამიძის მიერ რომ დიდ უბედურებად აღიქმება, ეს ცხადდება მეორე პარალელურ პასაჟშიც, სადაც ავად ენიშნება მკითხავის ნაწინასწარმეტყველები, შენი სამარე უცხო მიწაში გაითხრებაო).

უცხო გარემოცვა სავარსამიძისათვის „ულრან ტყვად“ ქცეულა, სადაც საკუთარი ადვილი ვერ უპოვინა. „თუმცა ჩემს წინაშე ყველა გზა ხსნილია; ყველა ასპარეზი ნაცადი... მაგრამ მაინც არ ვიცი ხაით წავიდე, რადგან ყველა გზა უღვეია და გაუვლი“.

ეს ხილება საკუთარი უბედურებისა იგივე სასოწარკვეთა და პერსპექტივის იმედის განქარვებაა, რაც დროადადრო ახალი ძალით ილანდება „ნახევარსულიანი“ ტაია შელიას სატანური ძალის მიერ მონუსხულ სავარსამიძის შემეცნებაში იღუზიათა უღმობელი მსხერვეის პროცესი ადრიდანვე ღრღინის მის სულს. იდეალად მოჩვენებულ მომარდუ ახლა უკვე მისთვის ნილაპამოხსნილი გრძნეული ძალაა. მაგრამ მისი ზეგაულებსაგან გამოსვლა, მიუხედავად ამის ნათლად ხილვისა, მაინც ვერ ხერხდება, რადგანაც მისი სული სიფხვილიდანვე დაემორჩილა ამ ძალას.

იდეალურის თვის დაპირისპირება ანტითეზისთან დაუნდობლად ამიშვლებს პიროვნების ილუზიების კრახს, მაგრამ, რადგანაც ახალი გზის პოვნა ვერ ხერხდება, საკარსამიმეც წინააღმდეგობრივი სიტუაციის ტვექქმნილია. ეს წინააღმდეგობა იმპულსირებულია ერთსა და იმავე დროს ორი საპირისპირო განწყობილებით — სასოწარკვეთილი წვეტებითაც (რაცაც ბადებს ნოსტალგია თუ უადგილობის შეცნობა) და ნაკარაუდევი იმედითაც (რაც მისი ცხოვრების დიონისურ წესს ემკვიდრება).

ამ კვიდილში საბოლოოდ მაინც პირველი განწყობილება იმძლავრებს და, ამბავთა განვითარების ლოგიკით, ეს ბუნებრივია, რადგან ქრისტეს გმობა, ქრისტეანული მორალის ნორმებთან დაპირისპირება საკარსამიმეც პირადი კატასტროფით უნდა ზღოს. ქრისტეანული მრწამსის დაღატი ამ კონკრეტულ შემთხვევაში — ეს იგივე ეროვნული დაღატია (მაგრამ ამაზე — ცოტა ქვემოთ!).

ხვედრის სიმძიმეს ოდნავაც ვერ ამსუბუქებს საკარსამიმის ცნობიერებაში დროებით შეჭრილი კოსმიური პიროვნების ასოლოგია („ჩრდილო და სამხრეთი, დასავლეთი და აღმოსავლეთი. მთელი სამყარო ჩემი სამშობლოა, ასპარეზი დაუღვეელი“), რაც ზემოთ ნახხენები მეორე განწყობილების ანარეკლია. კონკრეტული სამშობლოს მიღმა მთენილი გმირი უსასრულო „განზომილებიხავენ“ — კოსმოსიხავენ ისწრაფვის. კოსმოსური ადამიანიხათვის სამყაროს არა აქვს ზღვრული სიმაღლე და სიღრმე, იგი ამ შუუზღუდეულ ვარემოცვაში მოქმედებს. მაგრამ საკუთარი პრაქტიკა მალე დაარწმუნებს საკარსამიმეს, რომ მისეზური „კოსმოსური“ პიროვნების რეალობა აბსურდული მირაფია. შესაძლოც რომ იყოს კოსმოსურ პიროვნებად მისი გარდაქმნა, საკარსამიმისათვის ეს პერსპექტივა მაინც გამორიცხულია, რადგან „ზედმეტი ადამიანი“ ვერ ამღ-

ლდება კოსმოსური ცნობიერების დონემდე.

„აუტობორტრეტში“ აგრესიული ექტად საველისხმო დეტალი თუ მსახვი. ესაა ბავშუობის ბედნიერა, ვარემეორებელი დროის მოვლენათა გახხენება. რა ვარდისფრად არის წარმოდგენილი (და, ბუნებრივად, ვადეალებულიც!) ეს პერიოდი; რამდენ ხასიამოვნო განცდას აღძრავს და აცოცხლებს იგი! მაგრამ ეს წამიერი მოღანდებაა მხოლოდ და იგი ხასიკეთოდ ველარაფერს შეცვლის გზადაკარგული კაცის ცხოვრებაში. ამიტომაც ამ მოვონებაში ვაცოცხლებული ვოველი ფაქტი თუ მოვლენა გმირის შემეცნებაში უკვე მისტერეებად ცნაურდება როგორც ამოპირქევეებული ხინამდვილე (მწარე აღხარება: „ჩემი ვული აწ აღარ ელის ახალ დღესასწაულებს და უნებურად ძველისხავენ ვივურები მელანქალიურად“).

მაგრამ მოვონებები ოცნების ტოლია და საკარსამიმე ზშირად მიუბრუნდება წარხულის ხურათებს. ეს იმ მომენტში ხდება, როცა მწარე ფიქრები თუ დაუჭვევა, იმფდგაკარწყლება თუ თვითვევაში დაუოკებელი ნება შემოონთება მის აფორიამქებულ ხულს. მაგრამ თმქმის ვოველი ასეთი მოხედვა წარხულისხავენ თანამეზავრად აღვენებული უბედურების ახალ აღქმად თუ გაცნობიერებად ჯდება ვონებაში.

(მითვიონეთ, როგორ იხხენებს იგი მოწამეთას, არგვეთის დიდ მთავართა ხაძვალეს, როგორ ბავშუობიდან მოხდევეს წმინდა კონსტანტინეს ანრდილი და როგორ ცდილობს საკუთარი ხულის ზსნას მთელი ცხოვრების მანძილზე მის ჩრდილში თავმუფარებით, მაგრამ ბოლოს მაინც ხასოწარკვეთით უნდა აღიაროს: „თუ განვებამ დღემდისაც ღირხად არ ვამხადა მისი მეაბჯრე მაინც ვვოფილიფავ, აღმათ ვვ იმიტომ: ბედისწერა თავის ბნელ დერეფნებში ატარებს ადამიანს და ჩემი მიუწვდომელი იდეალი იდეალად დარჩა“.

კონსტანტინე სავარსამიძე ეროვნულ გონს განრიდებული, ეროვნული ნებისაგან დაკლილი პიროვნებაა, მისთვის უცხოა ეროვნული სულის შემოქმედებითი ფუნქცია და მისი ტრაგედიაც ეს არის. მართალია, მასში დროდადრო იფეთქებს ძალუმი ნებელიბაც, მაგრამ იგი, უპირველესად, ცოუნებით ან კაპრიზით იმპულსირებული გამოულენაა ენერგიისა და ფუნქციონირება, რადგანაც ჭეშმარიტი ეროვნული იდეით, ქართული ერის ღრმა წიაღში დაცული სულიერი ძალით არ საზრდობს. უნიკალური ეროვნული სულიერი ძალის ფენომენი ვცხო და გამოუსადეგარია მისი ცხოვრებისეული პრაქტიკოსათვის. იგი თითქმის არ ცდილობს საკუთარ თავში იპოვნოს ერის ბედს დაკავშირებული შინაგანი სიმართლე, რადგანაც ბედმა ის, ამ სიმართლის მიღმა დასვა.

ხიფათებით, საინტერესო პერიპეტებით აღსავსე ცხოვრება სავარსამიძისა, მოჩვენებითად, აქტიურად მონათული პიროვნების შთაბეჭდილებასაც უნახდენს, მაგრამ ვეღა ასეთი მომენტის ეფექტი ქარწყლდება იმ „სულიერი შიმშილობის“ (როგორც ცნობილი რუსი ფილოსოფოსი ბერდიაევი იტყოდა), წყალობით რაც მის „ზედმეტობას განაპირობებს (ამ მანკის — „სულიერი შიმშილობის“ — მწერლის ეული ინტერპრეტაცია რომანში ფრიად საინტერესო განზოგადების ფუნქციას იძენს, რადგან რომანისტი მას არა მხოლოდ პიროვნულ, არამედ, უპირველესად, ეროვნულ ტრაგედიად აღიქვამს). ასეთი პიროვნება არ შეიძლება იყოს ეროვნული ინდივიდუალური ერთეული — ერის, როგორც „ღინამიკური სუბსტანციის“ კონკრეტული გამოვლინება.

სამშობლოსაგან თანდათან დაშორების, მისგან თანდათან მოწყვეტისა და ასევე თანდათან გაუცხოების შეცნობა სავარსამიძისათვის არის არა ფაქტის კონსტანტანცია, არამედ ტრაგიკული განცდა-დასკვნა. საქართველოში დაბ-

რუნების შესაძლებლობა, როგორც მისი ორგანული სულიერი ნაწილად შექმნილი სულის შემდეგ ექვემდებარება გავაკეთო, კიდევ რომ წავედ? — კითხულობს იგი. — ჩვენი გზები რა ხანია გაყრილია. რაც ფაში ვადის, მით უფრო შორდებიან ისინი ერთმანეთს. მე მისი თვლის ნაშეირი. მე მისი იდეების ფლორტი — მე მისთვის ასე მახლობელი და ასე შორიელი! იგი მე არ მიცნობს. მას ჩემი არ ესმის, კიდევაც რომ დაებრუნდე უძლები შევიღვივით მიმიღებს?“

ეს დასკვნა-ექვე საბოლოოდ უბედობის შეცნობად უნდა გადაიზარდოს და სულიერ ტრაგედიად განიუთდეს „სამინელმა მარტოობამ და მწუხარებამ შემოიპრო, — გვეტყვის ცოტა უფრო გვიან სავარსამიძე. და — ამ საღამოს დავრწმუნდი, რომ მიწაზე სამშობლო არა მქონია. და ამ ქვეყნად იმიტომ გაენილვარ, რომ იალქანდამსხვრეული გემით ვიყიადო... აღსდგა ჩემში მარტოობის დიდი ქენჯნა“. აქ ეროვნულს მოწყვეტა, მისგან ამოვარდნა, სულიერ ტანჯვასთან ერთად, კინაღამ უკურნებელ ფიზიკურ ტოკივლადაც არის გაცნობიერებული. ერთხელ კიდევ (უკვე მერამდნეულ!) ხაზი ესმის ეროვნულის წარმართველ, უპირველეს და შეუცვლელ ძალას აღამიანის, როგორც პიროვნების, არსებობისათვის.

ზემოთ უკვე ვთქვი, რომ სავარსამიძის ტრაგედიის, ეროვნული ადამიანური ყოფისაგან ამოვარდნის ერთი მთავარი მიზეზი დიონისეს კულტის მისეულ გაცნობიერება-აღიარებაშია საძიებელი. სავარსამიძის გონი დროდადრო თითქოს გაიცნობიერებს კიდევ ქრისტიანული მორალის უცილებლობას პიროვნებისათვის (როგორც წესი, ეს ხდება მისი ტრაგედიის მიზეზთა ამოხსნის მცდელობისას), მაგრამ მთელი თავისი ცხოვრების წესით იგი დიონისურ ფესვზე აღმოცენებული წარმართი ანტიქრისტიკა. ქრისტიანული მორალი მისთვის ასკეტური მარ-

წუხია, ხილო დიონისური წესი — უზრუნველი, ნებას მიყოლებული, მოუთოკავი და ღალი ცხოვრების გარანტიაა.

ამ თვალსაზრისით იგი თავისი აღმზრდელის შთავონებისა და პრაქტიკის ერთგულია.

ამიტომ: ა) უნდა დაამსხვრიოს მან ჯვარცმა და დაემოს ქრისტე; ემინოს ეკლესიასტეს შთავონებას ყოფიერების ამოუებაზე; არსებობა ადამიანისა აღიაროს არარსებობად, გაქრობად, არარად ქცევად; პირდაპირ დაუდგეს საიქიოში შეხვედრილ ქრისტეს და კვეთოს იგი; ბ) დიონისე უნდა დაისახოს მხსნელ, შთამავონებელ ძალად; „ლომისპირა დიონისე“ უნდა აღიქვას ერთხა და იმავე დროს მრისხანებადაც და დიდებულ სათნობად და ქრისტეზე მალდა დააყენოს იგი; უმაღლეს სიკეთედ უნდა წარმოისახოს ქრისტიანულ „აქტივზმს“ დაპირისპირებული დიონისური თავისუფლება; უნდა აღიაროს შთამომავლობით მიღებული დიონისური საწყისის უპირველესობა...

გავიხსენოთ რომანის რამდენიმე პასაჟი და მომენტო:

1. იტალიაში, სან ფრანჩესკოს მონასტრის მახლობლად, გზაზე შავი ძეღლის ჯვარზე გაკრული ქრისტეს ხატების ხილვა ბაქსანურ განწყობილებებს დაქვემდებარებულ სავარსამიტეს პროტესტის გრძნობით გამსჭვალავს და „უსიამოვნო ფრუანტელს“ მოკვერის. მისთვის ქრისტე „უდაბნოს ღმერთია“, ვინც ბოჭავს ადამიანის ნებას. ამიტომ უნდა დაამსხვრეს იგი („მოუუქნიე ჩემი ხელჯოხი ამ სმარაგდისფერ სამოთხეში აღმართულ უდაბნოს ღმერთს. დაინგრა ჯვარცმა. ნაფშენებად იქცა გაისის ხატება, ფეხით გაყოფლე წაქცეული ჯვარი და უშვერი სიტყვებით ვეზე ქრისტე“);

უფრო მეტიც: სავარსამიტის დიონისურ წარმოსახვაში საქართველოს მრავალი გამანადგურებელი ომის მიზეზი ქრისტეს ჯვარისადმი ერთგულებაა („ქრისტეს ჯვარს შეეწირა დიდი

საქართველო... მეორეჯერ ჯვარს ვაცმევედი ქრისტეს საქართველულ ღმერთის გამოსახვილდებ... მარ მშენებ, რათ დაღუპეს საქართველო ჩემმა წინაპრებმა ამ უდაბნოს ღმერთის ხატებით“).

ეს შეგონება თავისი არსით ანტიეროვნულია, რადგან იგი ისტორიული ჭეშმარიტების უგულუბელებოფაა: ფაქტიურად ხომ ქრისტეს ჯვარისადმი ერთგულებამ იხსნა და გააძლიერა საქართველო (მაგრამ დიონისური მონაღლისადმი ერთგულება ამ ჭეშმარიტების საწინააღმდეგოდ განაწყობს სავარსამიტეს);

ანტიქრისტიანული შეგონება ეკლესიასტესი, რომელიც სიკეთის ქმნის მარადიულ სიცოცხლეში აუჭვებს სავარსამიტეს, ობიექტურად მის უშუალო განცდაში უნდა განიფილეს როგორც პიროვნების უფლება თავისუფალი იყოს ქრისტიანული ნორმებისაგან, სიზმრად საიქიოში მყოფი უცნობ შემხედურ-განმსჯელში ქრისტეს რომ შეიქნობს, კვლავ უარყოფითად განწყობა მისადმი და, კეთილი შეგონების პასუხად, მტრულად „შეებმის“ მას, რადგან ეს შეგონება ანტიდიონისურია („... ამ კაცს ვეცი გაცოფებული და წაეპქიე... ეს იყო, ის კაცი, სულ პირველად რომ ვნახე ჩემი სოფლის ეკლესიაში ჯვარზე გაკრული“).

2. „დიონისეს მეორედ მოხვლა“, რომელსაც რომანის გმირი მირზა-ხანის სალონში იხილავს, მასში მხოლოდ დადებითის, მიმზიდველის, ხანუკვარის ასოციაციებს აღძრავს, რადგან ამჟამად და ქვეცნობიერადაც დიონისე მის სულში ზის („იგი ამოდის ნაპირზე ელემენტებისაგან ახლად შებული, თითქოს ეს არის ახლა დაბრუნებული ოკეანის ნაყოფიერ საშოდან, ხადაც ფერიები ურწყედენ ოქროს აკვანს. ექსტაზი იხახება მის თვალბის გაღებასა და ხელბის გაშლაში.“); „სულზე უტბები“ დიონისე რწმუნად ცხადდება, რადგან იგი სავარსამიტის

შთამავრებელი ძალაა, ხოლო შთავრება „ყველაფერია ამ ქვეყანაზე“;

„ეროსისა და დიონისოს მანანალა ქართული გუდამიერი აზნაური ამ ორი ღმერთის „ორმაგ ცეცხლში“ გასული და მათი ძალით მონუსხულიც და არტახებგახსნილიც, ხსნას მხოლოდ მათდამი ერთგულებასა და ვედრებაში ხედავს — დიონისე ათავისუფლებს დარდისა და ვარამისაგან, იმედითა და სიტკობით აღუესებს გულს, ააბმეინებს ენას, ხოლო ყოველივე ამის საზღაურად მონად და მეჯონგირედ ვაიხდის მას. ეს მონება ყველაზე დიდ ბედნიერებად განიცდება, რადგან სხვა ნებისა და ზნის დამორგუნველ ძალას მიანიჭებს მას;

დიონისეს მრავალპლანიანი ხილვა მსოფლიო ფერწერულ შედეგებში სავარსამიძის მიერ არსობის იდეალის გაცნობიერებად აღიქმება (ყრმა დიონისე ოქროს აკვანში და ფერიები, კერძისი და ყრმა დიონისე, დიონისე „ქალის ტუტს მაკვარი ღვინის თახით“, ზვილოს ძვლის კვერთხიანი ტრიუმფალური დიონისე, დიონისე და არიადნე, ზღვის პირას მუდარი „თრობისა და შუების“ ღმერთი ვარამნარევი გამოხედვით...);

ყოველივე ეს ორგანულად ჯდება რომანის მითოსურ პლანში და პრობლემის სიმბოლური მთაზრების ფართო შესაძლებლობებს ქმნის. რეალური ყოფა, პიროვნება, განცდა აქ ბუნებრივად ერწყმის ტრადიციულ მითოსურ მოდელს და მის შემოუფარგვლელ არეალზეა გაშლილი.

დიონისეს მითით, როგორც მითოსური აზროვნების ყველა სხვა მოდელის გამოყენების შემთხვევაში, ვლინდება ადამიანის სწრაფვა გადაიხედოს არსებულის მიღმა სამყაროში, ახსნას, მოიახლოვოს, განადიდოს, აღიაროს მისთვის საიდუმლოებით მოცული, ძირითადად ღმერთების სახით წარმოსახული ზეყოფა. ამის გამო აცნობიერებს იგი თავისი არსებობის ყველა მხარეს ღმერთი-ლევანდის სახით, ხოლო გაცნობიერების ეს პროცესი ორ-

განულად უკავშირდება პრაქტიკისაგან ნასაზრდოებ მის წარმოდგენას. ამიტომაცაა, რომ „ადამიანი“ უკვე ხშირად მიაწერს თავის ღმერთებს ადამიანურ იერსახეს, ადამიანურ ენებებს, ადამიანურ ბუნებას, რომ ჩვენ შეგვიძლია, ანტროპომორფიტი, ანტროპოპატიტი და, ბოლოს, ანტროპოფიზიტი ვუწოდოთ მათ... ეს ყოვლისმძლე ღმერთები შექმნილია ადამიანური სულის ნიმუშების მიხედვით... მათი გრძნობები და სიმპათიები, „მათი ხასიათი და ჩვევები მათი ნება და მოქმედება, თვით იერსახე და მატერიალური შემადგენლობა, ყოველგვარი მისადაგების, გაზიადებისა და გაყალბების მიუხედავად, მნიშვნელოვანწილად ადამიანის სულისაგან არის ნასესხები. მსოფლიოს ზალხთა უმაღლესი ღმერთების სახით თვით კაცობრიობაა ასახული“ (ე. ტვილორი. პირველყოფილი კულტურა, მ. 1939, გვ. 410, რუს.).

დიონისე ერთი ასეთი ღმერთთაგანია. მის მითოლოგიაში განსახებას პოულობს ადამიანის სწრაფვა შეიმსუბუქოს ცხოვრება, მიიღოს მეტი სიხარული. დიონისე — როგორც უდარდელი ღმერთი — მიწისაგან ბოძებული ნაყოფიერების ღვთაებაა, იგი ითვლება ვენახისა და ღვინის ღმერთად, რომელიც გაიგვივებულია ბუნებისგან ბოძებულ სიკეთესა და სიამოვნებასთან.

დიონისე ასეეტიზმის არტახებისაგან ათავისუფლებს და მარადიულ მზიარულებას ანიჭებს ადამიანს. მაგრამ სულისა და ხოცვის ამგვარი თავისუფლება თავისი არსით უპირისპირდება ადამიანის ნების მომთოველ ზნეობრივ ნორმებს, ქრისტიანული ყოფის წესსა და ცნებებს. ამიტომაც აღიქმება ქრისტე სავარსამიძის ცნობიერებაში დიონისეს ანტიპოდად და რომანის კონცეფციით ეს არის მისი ვპირის ტრავადის მთავარი არსი.

„დიონისოს დიმილი“ ეროვნული ტკივილების ზღვრული ვანდით არის დაწერილი. მითოსური აზროვნება და მისი კონკრეტული მოდელი აქ მომ-

ველებულია ეროვნული ტრაგედიის უფრო ღრმა გაცნობიერებისათვის, მისი საიდუმლოების შრეებში შეღწევისათვის.

ქრისტეს ჯვარი ისტორიულად საქართველოს ეროვნული სიძლიერის გარანტი და სიმბოლოა. სავარსამიძე კი მთელი თავისი არსობის პრაქტიკით უპირისპირდება ქრისტეს ჯვარსა და იდეას; ამ იდეის საპირისპირო დიონისურმა საწყისმა, რომელსაც აღიარებს და ექვემდებარება სავარსამიძე, შეიძლება მორალური და ფიზიკური კატასტროფა განუშალოს ქრისტიანულ სახელმწიფოსა და ერს, რისი მონომოდელიც არის რომანის გმირის მთელი პრაქტიკა, დაწვეული ჯერ კიდევ სიყრმისეული გაუცნობიერებელი უაყოფით ქრისტეს მორალისა, შემდეგ ორგანიზტულ სამყაროში გადასვლით და, ბოლოს, სრული კატასტროფით დამთავრებული.

ყოველივე ეს, უპირველესად, ანტი-ეროვნულ ცდომილებად აღიქმება. აქ ხდება ორი ერთმანეთის განმპირობებელი ფაქტის თანადამთხვევა: სავარსამიძის ფენომენი იმდენად არის ანტიეროვნული, რამდენადაც ანტიქრისტიანულ, წარმართული ზნის ფესვებზე ამოზრდილი.

სავარსამიძის სულს სრულად ეუფლება „მაცთური, უღმობელი ღმერთი შვებისა და თრობისა, ეროსის უფროსი ძმა“. ეროვნულისაგან ამოვარდნის პირადულმა ტრაგედიამ მასში უნდა პოვოს ხსნა („დარდითა ვარამით სა ესე იყო ჩემი სული, — შენ უდარდელი გამხადე, — მიმართავს სავარსამიძე თავის კრახს. — ეჭვებით დაღრღნილი იყო ჩემი გული, როგორც ჭიანჭველებისაგან გამოზრული ვოლეული და — შენ აავსე იგი იმედითა და სიტკბოებით. მე თვეზივით გნადაბმული ვიყავ, — შენ გამახსნეინე დაუნჯებული ბაკე“).

მაგრამ ეს შეგონება უკუღმა მომართული ცნობიერების ნაყოფი. გაუცნობიერებლობის ან ფალსად განცდის მო-

მენტო სავარსამიძის მთელ ცხოვრებისეულ პრაქტიკას ანტიეროვნულ მოვლენად აქცევს, რადგან ქრისტიანული ეროვნული სამყაროს პირმშოს თითქმის ყოველი ქმედება ანტიქრისტიანულ წესში კლინდება. ქრისტეს მძიმე ჯვარი ძნელი სატარებელია; იგი მოითხოვს ბევრი რამის დიშორებას, ველური ინსტინქტების კაცთმოყვარულ თვისებებზე გარდაქმნას. გარკვეული აზრით წამებრივია სიკეთედ გარდაქმნის ეს პროცესი, მაგრამ სამაგიეროდ იგი იძლევა სამარადისო შვებას და პიროვნების საზოგადოებრივ ფენომენად ქცევის რეალურ შესაძლებლობას.

შილი ერისა, ვინც აღიარა ქრისტეს მორალი, ამ წესით უნდა ცხოვრობდეს. ყოველივე ეს უცხოა და მიუღებელი სავარსამიძისათვის და, ამდენად, იგი — „სულზე უტკბესი“ დიონისესაგან მონიჭებულ შვებისა და სიხარულის ცოუნებას აყოლილი — ანტი-ეროვნული მოვლენაა. ეს იგივე სულიერი კვლამაა, რომლის საფრთხესაც აღამიანისათვის გაცილებით მეტ უბედურებად მიიჩნევს სიხარება, ვიდრე ხორციელ კვლამას.

ქრისტეს გზას სამოთხისაკენ მიჰყავს პიროვნება. დიონისეს გზას — ჯოჯობეთისაკენ. და, ბუნებრივად, სავარსამიძეც ჯოჯობეთში უნდა აღმოჩნდეს.

„ნაადრევი სიკვდილი“ ამ ქვეყნად ყოფნის უაზრობის შეცნობისთანავე დგება. მართალია, იგი სიზმრად ცნურდება, მაგრამ ეს, არსებითად, არ ცვლის სავარსამიძის აღსასრულის რეალურ არსს. სიზმარი-იგავი, რომელიც მან თავის მშობლიურ მიწაზე მობრუნებულმა უნდა იხილოს — ეს არის შეცნობაც და გმობაც საკუთარი ცოდვებისა. მისი ვედრება საიქიოს ხილული მამის ლანდისადმი, ახსნას გრძნული ძალის დაწვევა, დაუბრუნოს მშობლიური მიწა და ვენახი, — ისევე აუსრულებელია როგორც სავარსამიძე-ცთომილის გარდაქმნა ანტიდიონისედ:

წარმართის ცოდვა, ეროვნულ უბედურებად გადაზრდილი, იმდენად მძიმეა, რომ მისი პატიება უკვე გამოირიცხებოდა თვით ქრისტიანული შემწყვალბლური მორალისათვისაც კი.

სავარსამიძის ტრაგედიის არსი ის არის, რომ მისი სულის დამღუპველი ვერა მის მიერვე თითქმის ბოლომდე მიწვეულია მხსნელ, გადამრჩენ, გამაბუნებურებელ და მაიცოცლებელ ძალად. დროდადრო თუ აღუძვრის ქრისტესთან მიახლოების სურვილი, ეს მხოლოდ აღსარების წარდგენის გამო: აღსარებით მხოლოდ ქრისტეს უნდა წარუდგეს, რადგან დიონისე „ცოდვითა“. გამო აღსარებას არც იღებს.

ასეთი აღსარების აუცილებელი სურვილი სავარსამიძის, ამ „ძლიერსა და საცოდავ უღმერთო ადამიანს“, იმ მომენტში აღუძვრის, როცა თავისი მონათლული უკვლო ვარდახელის ეჭვი გაკეწილავს („... იგი ისე გადასცდა ცხოვრების შუა გზას, არც ცოლი ყოლია, არც შვილი, არც ქონება, არც სახელი, არც პატივი და დიდება მოუხევევია ამ ქვეყნად“).

ამის შემცნობლის მთავარი საბედიწერი განაჩენი თუ პირადული ცოდვა უნაყოფობაა. უკვლო ვაქრობის სინდრომი მის მიერ ყველაზე დიდ ცოდვად აღიქმება, რადგანაც ეს იგივე არაობადაქცევაა, ადამიანისათვის სისხლისა და გენის გაგრძობის (ხაბოლოო ანგარიშით - ერის უკვდავების!) ხეცით მოძებული მადლის უარყოფა.

ამგვარი განცდების მომენტში მას თვით სათაყვანებელი დიონისეს მძიმარო აღუძვრის ეჭვები: დიონისე იმის ნიჭსაც ხომ არ შთაუნერგავს, რომ მწუხარებით აღაღსოს ყველა (მკითხავი ამ საიდუმლოს სავარსამიძეს ჯერეტის თანდასწრებით გაუხსნის და სწორედ ჯერეტია ამ შთაგონების ყველაზე დიდი მსხვერპლი: მან თავისი პირადი უბედო რომანით თუ სავარსამიძეს მიწლიბილი ერთადერთი ვაჟის ფარების დაღუპვით უნდა დაადასტუ-

როს ხირომანტის ნაწინასწარმეტყველების სისწორე!)

ასე თანდათან უახლოვდება სავარსამიძე არაობად ქცევას. უკვლო ცხოვრული წესით ცხოვრების კანონი, მის მიერ უარყოფილი, თანდათან მიდენის ჩიხში, საიდანაც გამოხასვლელი არ არსებობს. ეროვნულ ძირსა და გარემოს მოწყვეტილმა, ეროვნული რელიგიური მრწამსის უარყოფელმა, მშობლის მიერ შერისხულმა, მან ბოლოს უნდა სრულად გაიცნობიეროს საკუთარი ტრაგედიის გარდუვალობა და შედეგად „ახლა ვგრძნობ, ჩემი სხეული დაიშალა, დაირღვა, - იტყვის იგი. - ... გარემოს განვიციდი, როგორც არეულსა და უსაიმოვნო ხმაურს, წარსულს რომ ვიკონებ, ყველაფერი ისე ბნელია და შეუსაბამო, როგორც დამსხვრულ სარკეში ნახახი ღანდი“.

ასეთი მღვომარეობა პირუნიებისა, არსებითად, სიკვდილად ცნობიერდება, რადგან დაწყვეტილია ძაფები, რომლებიც ერთ დროს მას ირგვლივ სამყაროსთან აკავშირებდა. იგი ხვდება, რომ სამყაროსთან, კოსმოსთან კავშირი ადამიანისა მხოლოდ კონკრეტული ეროვნული ყოფით, ეროვნული სიცოცხლით ხორციელდება და რადგანაც სავარსამიძე ამ ძალისაგან სრულიად დაიშორება, დაღვა კიდევ გარდუვალო აღსასრული.

ყოველივე, რაც ამის შემდეგ მის ცნობიერებაში დროებით უნდა შეიჭრას, როგორც რაღაც ხელნახაჭიდი თუ დამაიმედებელი მოკუნა, მირაფია მხოლოდ. აბსენ ტუნგის შეგონებით სამშობლოს დაბრუნებული, იგი უკვე აღარ არის მოქმედი ცოცხალი ძალა. მშობელი მიწა უცხო, მიუსაფარია და მასზე დადგებული ყოველი ნაბიჯი საბედისწერია მიხთვის.

„შეუბნა და თრობის ღმერთის“ კაცი - კონსტანტინე სავარსამიძე ისე არ განერიდება ამ ქვეყანას, რომ ერთხელ კიდევ არ შეხედეს საკუთარ ბედისწერას - ანტიქრისტედ აღმზრდე-

ლსა და დამაკვლიანებულს მორღუ შელიას.

საკუთარ ბავშვობასთან შეხვედრა, თითქოს უბრუნებს ნაცნობ განცდებს, მაგრამ ესეც იგივე მირაჟია და არა სინამდვილე. სინამდვილე ეროვნულია და იგი ვერ მიიღებს მიხთვის უკვე უცხო, ეროვნული ტყაყიდან საბოლოოდ გამოსულ კაცს. აქ მონაზმანები ზღაპარი სამყიდრებელის დამკარგულ სეფენულზე მისი ისტორიის იგავია — „გაველურების“, ეროვნულ ზნეობას დაპარისპირების, როგორც მიუტყეველი დაღატაკი იგავი.

გაველურების მთელი ანტიზნეობრივი პროცესი რომანის გმირმა უნდა განიცადოს, როგორც „გაორების“, „გაციოების“, „ბნევის“ ტრაგედია და ერთხელ კიდევ უნდა შეიცხადოს „ცხოვრების ნახევარგზაზე“ შემოღამება.

ეს იგავე თვითთარყოფა, ხოლო პიროვნების თვითთარყოფა მხოლოდ ანტიპიროვნული ტრაგედია როდია, იგი, თავისი არსითა და შედეგით ანტიეროვნული აქტია.

სავარსამიმეტა მძიმე ზეღდრის არსი რომანისტმა თვითონვე გახსნა, როგორც უსამშობლოთა უნებური ბედი და ამით კიდევ უფრო მეტად გაამძაფრა მისი ტრაგიკული არსი. იგი გარეშე ფაქტორების შედეგია უპირველესად. „რაკი ქვეყნ არც საკუთარი სახელმწიფო გაგვანდა, არც ეროვნული სკოლა, არც ქალაქური ყოფა, ამიტომაც სავარსამიმდის თაობის ახალგაზრდა უცხოეთში აღამებდა თავის სიჭაბუკეს, აქვე ხდებოდა მისი ხასიათის ფორმირება; შემდეგ კი თავის ქვეყანაში სამოქმედოდ მობრუნებული, მშობელი ქვეყნის პირობებს ვეღარ ვეუბოდა, და ამ ვზით მომეტებულად მძაფრდებოდა მისი სულიერი ტრაგეიზმი“, — ამბობს რომანისტი „დიონისოს დიმილის“ მეორე გამოცემას დაროულ განმარტებაში.

თუმცა ეს განმარტება თარამ ემზვარს უფრო მიესადგეფოდ უჭირე კონსტანტინე სავარსამიმეტისტი-ეროვნული სულიერი დეგრადირება ბავშვობის წლებში დაიწყო, მაგრამ მაინც იგი ერთი პლანით გაცნობიერებული ტვშმარტება და მსგავსი პიროვნების ტრაგედიის მთავარი მიზეზის იმიექტური ახსნაა.

სამშობლოდან პიროვნების გასვლის ტრაგედიას კონსტანტინე გამსახურელია ერთმანეთთან დაკავშირებული, მაგრამ, არსებითად, განსხვავებული ორი კონცეფციით აღიქვამს.

ერთ-შემთხვევაში ეს არის კონლიტიერის (სულითა და ხორციით გარეშე ძალას მიფიღული, მის მიერ საკუთარი ხალხის წინააღმდეგ მოუღეწილი ან მის იღვას დაპირისპირებული ანტიქართველი) ავანტურისტული კარიერა, ხოლო მეორე შემთხვევაში ეროვნულ ფესვებს მოწყვეტის, ეროვნული იღვისაგან დაშრეტის ცოდვა და ამ ნიადაგზე ქმელების ენერგიისაგან სრული დაცლის მძიმე განსაცდელი.

პირველი პლანის ვეღლაზე ტიპიური ნიშნები განსხეულდა ფარსმანის („დილოსტატის მარჯვენა“) სახეში, ხოლო მეორე პლანისა — თარამ ემზვარის პიროვნებაში. კონსტანტინე სავარსამიმდის ბედისწერა უფრო მეორე კონცეფციას ემქვემდებარება, თუმცა მისი ტრაგედია-ცოდვა გაცილებით მძიმეა და გამოუსყიდველი, რადგან, როგორც ითქვა, სავარსამიმდის ანტიეროვნული არსი გაჯერებულია ანტიქრისტიანისმით.

და ბოლოს, რომანის ეროვნულ კონცეფციასთან დაკავშირებული კიდევ ორი მომენტის გამო:

ა) მთოლოგიური ღმერთების ხატი თითქმის ერთსახოეანია. ხალხთა შემეცნებაში ასეთი ღმერთები ამაგი, მრისხანე, მთრგუნველი, ყოვლისმძლე ძალაა და დიმილის ატრიბუტი მათ არ მიესადაგება. ბუნებრივად, ასეთია დიონისეც. სავარსამიმეტე დიონისეს ამსახველი მდიდარი სახებითი კიდევ-

ქციების დათვლიერების შემდეგ ამბობს - „არსად მომღიმარე დიონისო მე არ შემხვედრიაო“. და თუ რომანის კონცეფციაში დიონისე მომღიმარ ღმერთად წარმოვადგება, ამას აქვს თავისი სიღრმისეული აზრობრივი დატვირთვა. ქვეცნობიერად ამ კუთხით უნდა აღიქვას სავარსამიმემ დიონისე, როგორც შუების, იმედის, სიხარულის, ნაყოფიერების, ბაკხანური წესით ცხოვრების ღმერთი და ხსნად იგულებს მისი მორალის აღიარება. თუმცა მირაფია დიონისეს ამ სახით ხილვა, მაგრამ იგი მაინც კვებავს სავარსამიმის გონს, აძლევს მას ძლიერი ნების პიროვნების ძალას, აღანთებს ეროვნულ გმირთან - წმინდა კონსტანტინესთან სულიერი ნათესაობისათვის. (დიონისეს ღიმილი ხიმბოლურად შეიძლება მის მიერ ცთუნებული, ეროვნულ გზას აცდენილი აღამიანის კატასტროფითაც იყოს იმპულსირებული!). და როდესაც სავარსამიმე საბოლოოდ შეიცნობს თავისი სულიერი დაღუპვის მიზეზსა და გარდუვალობას, მისთვის უკვე მომღიმარე ღმერთია არა ძველი არამედ ახალი დიონისე - ფაურიზი როგორც ახალი იმედი, თუმცა დიონისეს ნებითვე დაღუპული და ამქვეყნიურს ღიმილით განშორებული უმანკო ყმაწვილი ღმერთი. ეს რაიცა შეეხება ღიმილის ფუნქციას მასში კოდირებული კონცეფციის თვალსაზრისით.

როგორც ვნახეთ, უკუპროექციით იგი პირდაპირ უკავშირდება ეროვნული პიროვნების ფენომენის არსის გააზრებას, ეროვნულის განცდისა და აღქმის ავტორისეულ ინტერპრეტაციას, მაგრამ მას სხვა, ფორმისეული ფუნქციაც აკისრია: „დიონისოს ღიმილით, ამბობს ავტორი. - მე მოვხებენ ხინ-

თეტიური გეზი ევროპულსა და სპარსულ სამიჯნურო რომანებს შორის (ვეგულისხმობ ცალკე-ერთს) და ცალკე ვისრამიანის ქართულ ვარიანტს“. ამ შემთხვევაში, ალბათ, საქმე ეხება როგორც ტრადიციული ფორმის გადასინჯვას თანამედროვე მხატვრული აზროვნების მოთხოვნათა და კანონთა შესაბამისად, ასევე, ერთგვარად, ტრადიციულ მითოლოგიურ აზროვნებაში გარკვეული კონკრეტულების შეტანასაც;

ბ) „დიონისოს ღიმილი“ ქების ფორმით დაწერილი რომანია. ისმის კითხვა, როგორ უნდა შეითავსოს ქების სტილი, ფორმა ფაქტიურად ტრაგედიის ფანრის ქმნილებაში? პასუხს, ნაწილობრივ, თვითონ ავტორი ვეაძლევს, როცა ამბობს: რომანი „მრავალი წლის ფორმალურ ძიებათა და მიღწევათა ნაყოფია. ამ წიგნისათვის მე ავირჩიე ურთულესი ფორმაო“.

ურთულესი ფორმა რომ მარტივი ფორმით გამოხატვისას გარკვეულ წილად გაუფახურდება, ეს მხოლოდ ერთი და, ამ შემთხვევაში, არა უმთავრესი მხარეა საკითხისა. ჩვენი აზრით, ტრაგედიაში ქვეცნობიერად ჩართული საპირისპირო ეროვნული იდეა, რომელიც, ობიექტური განსჯის შედეგად, დაღუბითისა და სასურველის სახით ცნაურდება, მოითხოვდა ამაღლებულ ფორმას, როგორც მიუცილებელი პრეშარიტების სწორედ ამგვარად აღქმის საშუალებას. ამიტომ ვეძებოდა მთელი პასაჟებიც ღირიკული პრიზისათვის ნიშნული ზეაწეული ტონით, რაც გვეხმარება პოზიტიური უკუფენა დაუძებნით ღრმა სულიერი ტკივილებით გაცნობიერებულ ნეგატიურ სინამდვილეს.

ბასილ მელიქიშვილის მისტოლოგიური მეცნიერება

ბასილ მელიქიშვილი (1904 – 1980 წ. წ.) მეოცე საუკუნის ოცდაათიანი წლების ქართული ხალიტურატურო პროზის წარმომადგენელია. მისმა მოთხრობებმა თავისი ორიგინალობითა და შალაღმხატვრული ღირსებებით გამოიქვეყნებისთანავე მიიქციეს მკითხველი საზოგადოების ყურადღება, მაგრამ რთული და ხანმოკლე ცხოვრების გამო იგი ვერ მოესწრო საკუთარი ნაწარმოებების ერთ წიგნად დაბეჭდვას. მხოლოდ მწერლის გარდაცვალებიდან რამდენიმე ათეული წლის შემდეგ გახდა შესაძლებელი მისი მოთხრობების ცალკე კრებულებად დასტამბვა. ლიტერატურის ისტორიის თვალსაზრისით ამ შეტად მნიშვნელოვან საქმეს თავისი ამავე დახდი მწერალმა კომიაშვილმა, როგორც ბასილ მელიქიშვილის თხზულებათა როგორც პირველი (1968 წ.), ისე მეორე (1987 წ.) გამოცემის შემდგენელ-რედაქტორმა. მანვე გადმოგვცა ბასილ მელიქიშვილის არქივიდან ამოღებული პირადი მისწერის ამსახველი ეს ბარათები, რომლებიც დღეს გვინდა შეათავაზოთ ქართულ მკითხველს. ჩვენა აზრით, აღნიშნული წერილები ეპისტოლარული ფანხის მშენიერი ნიმუშებია. მათი უმრავლესობა დაწერილი და დაგზავნილია ნათესავ-მეგობრებისათვის მწერლის სიცოცხლის უკანასკნელ წლებში. ვფიქრობთ, რომ ამგვარმა დოკუმენტებმა ბევრი რამ უნდა მისცენ დაინტერესებულ მკითხველს როგორც თავად ბასილის ხულიერი მდგომარეობის, ისე მისი მხატვრული ოსტატობის შესახებაც.

მისილ ლაშვილი

ქვეყნის კერძო კოლა!

მოვიკითხოთ თქვენებს ვეღვას: მის, ბუბის და მუნს დედინაცვალსა. გისურვებთ სიჯანსაღეს.

მივიღე შენი წერილი გუშინ და ეხლადა ვწერ პასუხსა, რადგანაც ჯანმრთელობის საქმე კარგა არა მაქვს და არამც თუ წერა, სისწორე უნდა ვიხარა, ფიქრიცკი აღარ შემოძლიან. ვწერ, რადგან შენმა წერილმა გრძნობა გამიღვია და თვალწინ წარმომიდგინა თვითველი



დღე და ყოველი კოთხე-კუნჭული მთიულეთში ნახული და განცდილი...

„ნეტა არ მოგეწერა უკანასკნელი წერილი. სამინდად ამაფორიაქა და დამაფიქრა...“

შენს წერილს ჩამოკევა არაგვის ხმაურობა და ფასანაურის ნიაეი. თვალწინ დამიდგა შენი მოგზაურობა ნაღვარევეში და თითქოს განუიცადე კოდუც. არაგვი და არაგვი! არ ვიცი, რათ მიყვარს იგი? იქნება მთიულთ მდინარე რომ არის იმისთვის? იქნება ცელქი რომ არის და დაუგეშავი იმისთვის? მე არ ვიცი რისთვის, მხოლოდ მიყვარს და მეტი არაფერი. მიყვარს ალბათ იმისთვისაც, რომ ჩემი წინაპრები არაგვი გამოზარდა. შენ რაღას ფიქრობ, არაგვი? ნეტა რასა ფიქრობს? არც კი მინდა გაეიგო, რასა ფიქრობს არაგვი, დეე იფიქროს და ჩემად იყვებ. რომ გაგვიზიაროს ვულისნადები, კაბითურღება და ცეტს დაუძახებთ, ოლა გამარაულის ჭკვიხასა.

შენ იწერები, ნაღვარევიდან კარგად ემოგზაურეთო და ძალიან ძვირად მიღირს ის პატარა მოგზაურობათ. ვიცი, ძმავ, რომ ძვირად ვიღირს, მაგრამ ჩემთვის უფრო ძვირია, რადგან შენთვის ყოველდღიური ამბავია და უფურებ არაგვის პირს და უფურებ ამომავალ მთვარეს და მარხილიც მისრიაღებს თოულზე. მე კი შორსა ვარ, ძალიან შორსა და ოთახში ჩაკეტილი, ნურახსიენია მანუხებს და ვფიქრობ და ვოცნებობ ყველა იმაზე, რაზეც შენი წერილი მესაუბრება. ვოცნებობ და რაღაცა ჩემი ხევა მანუკვს. ასე მგონია, ვუღარა ენახე შეთქი. ალბათ იმიტომ, რომ შორსა ვარ და არაგვისა კლდეებიც კი მიყვარს.

ვიცი, ზემის ხიმღერა სეკლიანი იქნებოდა, მაგრამ მე არ გამოვთა და ღმერთმა დამიფაროს იმის გაგებისაგან. მხოლოდ, ბაბო კარგა იცეკვება თურმე და მე ფასანაურში ყოფნის დროს არ ვაფასებდი. მწერ: ცოდის შერთვას ხომ არ აპირებო, ეკ, რა ვიციო, რა მელის ხეაღან ამღამე, შეიძლება ცოლიც შევირ-

თა. მაგრამ მარგალიტას კი ოხრად არ დარჩეს რედიკული.

ერქნეწული თუ ცოტა გამოეჯანმრთლები შეძლებ ხანში ტფილისში წაველ და შეიძლება გამოვიგზავნოს წიგნი, სადაც „ორულებს“ ამბავი იქნება დაბეჭდილი.

თუ ჩემი ჯანსაღობა გაინტერესებს, არა მიშავს რა, მხოლოდ თავის ტკივილი მკლავს უკვე მეორე კვირა არის და ხელ პირქვე ვკლივარ. დღეს ცოტა მომშორდა და გწერ, ალბათ შენმა წერილმა მიშველა?

მოკითხვა კოლან (არხანოვს), შალიკოსა და გველას, ვისაც ვიციანო. გოგონებში — კი მოკითხე ვეა, მარუსა, ბაბო, ლიდა, პელო და, თუ მანდ არის, სემაც, პირზე კოცნით — კი სემა მოკითხე და აკოცე კოდუც.

მწერ სიმინდის ფასს. ჩვენსკენ სულ არ იცის სიმინდი და არც ფასი შეიძლიან მოგწერო, მხოლოდ კარგი ხორბალი — (თათუხისა) — ღირს სამი მანეთი, სამი და ათი შაური მხოლოდ თათუხი სულ თეთრია და ზელით დარჩეულისათვის.

ნურც შენ დამტანჯავ ხოლმე მოლოდინითა და მალმალ მომწერე ხოლმე წერილი.

იყავ გამარჯვებით.

1928 წელა 26 იანვარი.

შენი ძმა და მოყვარე ვასო მელიქიშვილი.

წერილი მიღევე მომწერე. დიდი მადლობა ქურქისათვის.

კ. შ.

კვირუასო კაპო კოლა!

მოვიკითხავ დიდი სიყვარულითა. იმედია კარგათა ზარ და ჯანმრთელად. მომიკითხე ძია, ბებიაშენი და შენი დედინაცვალი, უადრესად პატივისცემით.

დღეს მივიღე შენი გამოგზავნილი ხამღურავისა და განცვიფრების წერილი შენმა წერილმა ძალიანაც გამახარა, მა-

გრამ თან ვიგრძენი ჩემი სევდა და დიდი სიხანული: მართლაც რატომ არ უნდა შენახა ჩემთვის ძეგრფასი და დაუფასებელი მთიულეთი და დღესასწაული ჩემი კუთხისა. გამეზარდა, რადგანაც წარმომიდგა მთიულეთი მთელი თავისი სიმშვენიერითა და სიდიადით. თვალს აებლანდა ხალხი „ახოობას“ მიმავალი. ძმარ კოლა, განა შენთვის ძალიან სასიამოვნო იყო მათთვის ყურება?! ჩემთვისაც ეგრე და უფრო მეტად. მაგ ხალხმა მომცა სისხლი და ხიციოცხლე, მთიულეებმა მაჩვენეს სიხარული (თუ შეიძლება მე სიხარული ვნახო ამ ქვეყნად). ასე მგონია იმათი სისხლი ჩემს ძარღვებს აუხებებს და მე მგონია, ვხეც არის. ჩემმა წინაპრებმა ხანდოს ხეცს მიიღეს სიციოცხლე და ასე მგონია მეც იქ დავიბადე მეთქი. იქნება დავიბადე კიდევ განა სისხლი და თესლი (საიდანაც წარმოიშვა ის ადამიანი, რომელიც ჩემს თავს გამოქსახავს) ხანდოს არ წარმოიშვა. დიახ, ჩემი დასაწყისი ხანდოშევე იყო ერთი წვეთი სისხლის სახით. შენმა წერილმა დამაღონა და სინანულით ამავსო, რადგანაც დავედი დიად დღესასწაულს „კანსაკვიფრებელსა“ და ლამაზსა, რა ვიცი, მეორედღე რა მელის, მე ყოველთვის ამას ვფიქრობ ხოლმე, რადგანაც ჩემი ჯანმრთელობა ხანდახან ბეწვზე ჰკიდია.

თვითონ შენი წერილი ბოძიანი სიტყვებით არის ნაწერი და კარგიც არის. შენ დიდი მწერალი დახდგები, რომ ამას სათანადო ყურადღებას აქცევდე. ისეთი აღწერა დღეობისა, ხეობებისა და ბუნებისა იშვიათია და დიდებულიც. შედარებებიც კი პოეტური გაქვს. ემ საათში მოვიძებნი – შენი წერილი წინ მიდევს და ამოვიწერ: „საინტერესო იყო ერთი მეორესთან გახუმრებული კაფიაობა უცხო და უცხო სიტყვების, რომელნიც ერთიმეორეს ისე ეწყობოდნენ, როგორც ერთგვარი მძივები“.

შენ იქნება გგონია, ეს უბრალო სიტყვები იყვეს. ნურას უკაცრაუად, რომ ვიხსრა, ეს იშვიათი მხატვრული შედარე-

ბა არის და ბევრ სტატიან და მკვლევარსაც გაუჭირდება წმინდა მხოლოდ მთიულს შეუძღვანს წმინდა დალაგება მძივების ჩამწკრივებას შეადაროს. შენი წერილი დარჩება სამარადისოდ და ძეგრფასიც იქნება ჩემთვის, როგორც ჩემი ნაწერები (ჩემი ნაწერები ხომ ყველაფერს მირჩვენია).

ხულითა და გულით მიხნოდა წამოხვლა, მაგრამ შინაც ათასი საქმე გამოტყვრა და იმ ხანად ცოტა ქესატათაც ვიყავი. თუ ვიციოცხლე, მგონია მერმისს აღარ დავაკლდე. ამ ხამათარს უსათუოდ ვიმხახურებს და ჩემი ბინაც იქ იქნება, სადაც სამხახური. შემოფლობით თუ კი ამომივლი, განა რას გააკეთებს სხვას მაგაზე უკეთესს თუ ტფილისში არ ვიქნები, რათოდ გელი ხოფლაღ.

რაც შეეხება ჩემს ჯანმრთელობას, მე ან მართლა მძიმე ავადმყოფობა მაქვს ან კიდე მერყეება. რა თქმა უნდა. ექიმებისაგან ვარკვეული არა მესმის რა.

მოგიკითხა ჩემმა დამ. მოიკითხე მანდაურები – თუკლე კი თავის მოგრებინი ფშაურითა.

ველი შენს წერილს. იყავი გამარჯვებით.

მუდამ შენი ძმა და მოსიყვარულე ბიძაშვილი.

1928 წელი 10 სექტემბერი. ვას. მელიქიშვილი

სოფ. პრიუტი

P. S. შენ რომ ვინდოდა გაგეგო, ვიკითხე, ძალიან სახიფათო არის და შეუძლებელიც. დაწერილებით, როცა გნახავ, მაშინ გეტყვი. მიღებისთანავე მომწერე წერილი. მისამართს დააწერე ხოლმე: სოფ. პრიუტი. ტფილისის მაზრა. მეტი აღარა უნდა რა, რადგან წერილს ავტოანებენ ხოლმე მანგლისში გადატანით.

კოლა! ბიძაშვილი მყავს მოსანათლი. თუ მოახერხო, მე მგონი, დასამშვებია ერთი გვარის ნათლულიცა და ნათლიაც იყვეს – მონათლევ. თუ მონათლავ, მაშინ მომწერე და ან როდის მოახერხებს ამოს-

ვლას, რომ მოვეუზადოთ და მეც კიდევ მოვწერო. დაგვირდება დაახლოებით 20 მანეთამდე. ჯვარისა, ხანთლებიხა სამი-რონეე მიტკლისა და ნათლიდელის დასასწავლებლად. ამასივე იქნება დედლისა და სხვა წერილი ხარჯები. თუ გეხებებო, მალე მომწერე ან თუ სურვილი გექნება საამისო.

ბ. მელიქიშვილი

მიიღო თუ არა, ამ დღესვე მიპასუხე.

მოვიკითხავ კარო კოლა!

იმედია, კარგადა ხარ? მოკითხვა ძი-ახს, ბუბიასა და ნატალია ივანოვნას.

ებლა მივიღე შენი მეორე წერილი 14 სექტემბერს გამოგზავნილი და ძალიანაც გამეხარდა, მაგრამ როცა გავხსენი და წაეკითხე, სეუდამ მომიცია, არ მეგონა, თუ ვერე მძიმე შთაბეჭდილებას დასტოვებდა შენზე. არც მინდა ცუდი გავლენა იქონიოს ჩემმა წერილმა. შენა მწერ შენს ორ საწადელზე. შენი საწადელი ჩემთვის წმინდა არის და ძვირფასი, როგორც შენ თვითონ. შენ კი, ჯერ ერთი, იმიტომ ხარ ჩემგან პატივცემული, რომ ჩემივე ჯვარისა ხარ და უფრო მეტად-კი კარგი ძმა ხარ და იშუაითი მითული. დმერთხა ვახოე (ეს ხანდახან ესე ესთქეთ, ვეებ მართლა ვასტრახ... ხალხი კი იტყვოს ხოლმე და ჩვენცა ვთქვით) შენს საწადელს მიადწია, თუ ის საწადელი კეთილს გამზადებს და შენი კეთილდღეობისა და ბედნიერებისაკენ იქნება მიმართული.

მართლა, „ახოობის“ გაცდენა ფინანსების გამოც იყო, მაგრამ ეს მაინც არ დამპარკოლებდა, ქვახაც გავხეთქდი, მხოლოდ საქმე იყო სახლში და ვეღარ დავკვიდდი.

შემრის კი შევეცდები, იმდენად, რამდენად შენც წამოხვალ. შენა მწერ „თუ კვლავამდის უცოცხლებ, ერთად წაიღეთ, თუ არა და, შენ მაინც წადიო“. ამ წინადადებას დამაფიქრა და

გაურკვეველი ფიქრით დამამძიძა. რატომ არ უნდა იცოცხლო ქვეყანა გვირს სამავისო? **ზინზინოვიჩი** ხისწორე ვითხრა, მე ვიცი ხოლმე წუწუნი, რომ ალბათ მალე მოვეკვდები მეტიკი, მაგრამ ვერეთ უიმედოთ კი არასოდეს არ დაველოდები „შემრისს“. იცოცხლე ჩემო ძმაო. ერთხელ ვითხარი თტფილისში, ახლად რომ ვაგვიცანი, რომ „გვარი ჩვენ უნდა გამოვავინოთ და თითქმის შევექმნათ მეტიკი“, ჩვენი გვარის შესახებ გუუბნებოდი. მე ან ენამ მივიფულა, ან შენს თვალში დავინახე ისეთი რამ, რომ ეს ფრაზა მათქმევინა... მხოლოდ ეს ალბათ გამიმართლდებოდა. ჯერჯერობით კი გამიმართლა კიდევ შენი წერილით „ახოობის“ შესახებ და უნდა უცოცხლოთ, რომ გვარმა გრიალი დაიწყოს. უნდა იცოცხლო, რადგან შენ მთელ შენს გვარსაცა სჯობიხარ. მეკი უნდა გულწრფელად ვითხრა, რომ მთელი მელიქიშვილთა კეთილი ხისხლი და ძახილი შენთან დავინახე და გაფასებ. პირში ქებად არ მიიღო, ან რა პირში ქება არის მე პრიუტში ვწერ და შენ ხამი დღის შემდეგლა წაიკთხავ ძვირფას ხეობაში, ხადაც ვვაიის და დამშვეუბულა მთის ტყის ფარდავი, მალად და კლდიან მთათა დამამშვეუნიელი ფარდავი, რომელშიც მოხმარობენ პატარა და ანკარა ხეებები, რომ მალე შეიკრიფენ სწრაფად მიმავალს შავსა და თეთრ არაკვში და შემდეგ ფშაური გააბან ხატში დატრიდ მთიულეებსავითა.

რამდენიც დრო გავა, მით უფრო ძვირფასი იქნება მოვონებები იმ დღეებისა, თქვენს რომ ვავატარე 1927 წელში. რა დამაუწყებებს ღობისობას, რა დამაუწყებებს ჩაბარუხის ხეის თევზაობას. იქნებ მაშინ საზიზღარი ვუვაი და გაუხერხულეზბდი ჩემი მეტინრობითა და ზოგჯერ გეხლიანი სიტყვებით, არა შენს მიმართ არამედ შენი ზოგზოგა მუზობლისა (მაგ. „სირისტანის“). რაღა თქმა უნდა არ იქნებოდა კარგი. მაგრამ მე ხომ „Nevrastenie“ მტან-

ჯავდა და ეს თითქმის ხულით ავად-
მყოფობა არის.

შე მართლაც „ჩემანლა“ (შენი ტე-
რმინია) შენ რაღათ მომწერე სველიანი
წერილი.

დღეს ტფილისში ვაპირებდი წახუ-
ლას და ვეღარ მოვახერხე. ხვალ დი-
ლით მივდივარ და ამ წერილსაც იქიდან
გამოვიგზავნი. წერილს კი პრიუტში
ეწერ. იმედია წერილებით გამახარებ
ხოლმე. დაურჩები მოსიყვარულე ძმა და
ბიძაშვილი ბასილ მელიქიშვილი. 1928
წელი 19 სექტემბერი (ს. პრიუტი).

ძმარ კოლა!

მოგიკითხვე დიდი ხიყვარულით. იმ-
ედია კარგათა ხარ. გამეხარდა, რომ
სწავლობ და ღუშეთში ხარ. დღეს მიხამ
მითხრავ კოლას წერილი მივიღე და
შენს ამბავს კითხულობსო. ხუთი დღეა
ტფილისში ვარ და დილაზე ადრე სო-
ფელში მივდივარ. წერილი გამომიგზავ-
ნე ძველი მისამართით: სოფ. პრიუტი.
ტფილისის მხარა. დაწვრილებით სოფ-
ლიდან მოვწერ. არა მისაუბრე რა. ვინდო-
და აქამდე მომეწერა, მაგრამ არ ვიცო-
დი ფასანაურში იყავი თუ ღუშეთში. მო-
კითხვა, ვისაც ვიცნობ. მარად შენი ძმა
ბასილ მელიქიშვილი. კოლა! მაპატიე
ღია წერილი. ცოტა ეჩქარობდი.

1928 წელი. 25 ნოემბერი.

ძმარ კოლა!

მიიღე ხალამი და მოკითხვა.

დღეს, ე. ი. 21 დეკემბერს მივიღე
შენი წერილი. გამეხარდა ძალიან. აქამ-
დეც მინდოდა წერილის მოწერა, მაგრამ
ერთ უბედურ სოფელში ვარ მასწავ-
ლებლად, შინ კვირაში ერთხელდა მიუ-
დივარ და ვეღარ მოვახერხე. ამასწინათ
ორჯერაც გნახეთ ვეღვანი თქვენები სი-

ზმარში და ვიფიქრე კოლა თუ შეგდუ-
რის მეთქი, თან ერთი ალბათობით დამად-
წიეს. ხამი თვეა ვმსახურებ და ხამი
თვის განმავლობაში შემოტყუიან და მოწი-
ნა უნდათ. მე, რა თქმა უნდა, ვაპირებდი
თავის დანებებას, მაგრამ პრინციპისათ-
ვის და ვერნა და უკანასკნელი სისხლის
წვეთამდე ვიბრძოლებ... გაზაფხულით
მინდა ერთი ორი დღით ამოვიარო ფასა-
ნაურში... რომ არ ამოვიდე ალბათ ვე-
ღარ ვაძლავ. რატომ შემოვივარდა ესე
ძალიან მთიულეთი არ ვიცო. ე, რო-
გორ არ ვიცო და ვეღარ ვამიძლია. არ
ავს ვიდეკ მიხსენებ. შენც მგონი ვი-
ჭირს გაძლება უარაგვოდ. არადავგვები
20 იანვრიდან იწყება და თუ ტფილისში
ჩამოსვალ ეს მომწერე. მე უსასოოდ 25
იანვრიდან მაინც ჩამოვალ.

ყოველ დამე მამიდანემა ჩვენი გეა-
რის გენეალოგიას მიაშობს და მაინტე-
რესებს თითქმის ყოველი ამბავიც კი.
მამიდანეშთანა ეცხოვრობ მიწურ ხახლ-
ში და 26 ბაღი შეავს მთიულისა. ორი
ჩვენი გეარისაა. ძალიან გამართო კლას-
მა, ფიქრები და მავნე შეღანქოლია მომ-
შორდა და შედარებით კარგადა ვერძნობ
თავსა.

შენ ღუშეთში სწავლობ თუ არა. ვი-
ნა გვეანს მასწავლებლად. მომწერე.

ჩემს წერილს გამოგზავნი შეზღვევა-
ირად: სოფ. პრიუტი ტფილისის მხარა.
სონა მელიქიშვილს და ჩემი და ვადმო-
მიგზავნის. დააწერ კონვერტს, რომ კო-
ლასაგან-თქი და ჩქარა მიამაწვდეს. იე-
ავი უანმრთელად და კარგად. მარადის
შენი ძმა და თანამოცვარე ვახო მელიქი-
შვილი.

1928 წელი 21 დეკემბერი. სოფ. დრე.

ალბათ დედაშენთან ცხოვრობ? მო-
კითხვა ბებბას, ძიას და ვეველას, ვისაც
ვიცნობ ფასანაურელებს. ხემა ალბათ
მანდ არის. პაი, კიდი!

ბასილი.

კვირის კვამლი

დღეს მივიღე შენი წერილი — მიძე და სედიანი. ვიცი, ძმაო, ძნელია განცდები, იხიცი როცა ცული განწყობილება აქვს კაცსა. დღეს მაინც ძნელია განცდების გაძლება და აღზაბა შენც ფიქრობდა ფიქრობ დაუსრულებელი. ახალგაზრდა ხარ, შენი გზის გაკაფვა ვინდა და გზის ძებნაში ბევრი ცული შემთხვევა გექნება, მაგრამ „ჭირსა შიგან გამაგრება ასრუ უნდა ვით ქვიტვირსა“ — ბიჭობაც ის არის, როცა კაცს გზის ძებნაში ბევრი რამ გადავადობება, მაგრამ გზას მაინც ვიკვებ. მიხარია, რომ სწავლობ და იმედიცა მაქვს შენი უნერგიისა, რომ კეთილად დაასრულებ დაწყებულ საქმებს. შენ სემა მაინც გეუბნება რაღაცას და გაიმედებს და მე კი მარტო ვიყავი ტფილისში და ხმის გამცემიც არავინა შეყავდა. ყოჩაღად იყავი, რომ ჩვენი გვარი დააფასო და რითიმე გამოაჩინო. გული ნუ გაგიტყდება, ყველა ახალგაზრდას ეგრე ემართება.

კოლა! თუ რამეში შემძლიან რომ გამოვადგე იმედია არ დამერიდები და მომწერ. რა ვიცი იქნებ მე შემეძლოს რამე. მოკითხვა სემას. თქვენებს ყველას მოსწერე მოკითხვა. შემდეგ უფრო ვრცელ წერილს მოგწერ. მხოლოდ შენ მაინც მიპასუხე.

იყავი კარგად, ჯანიახად. მუდამ შენი ძმა და თანამოგვარე ბასილ მელიქიძეა. ოცე იანურიდან არდადეგები გექნება და ტფილისში ჩამოვალ. თუ მოვახერხე წამოვალ თქვენკენ. რა თქმა უნდა, შენ მაშინ ღუშეთში იქნები. თუ არ იქნები, მომწერე. მოგიკითხა ჩემმა დამ.

ბასილი.

1928 წელი 30 დეკემბერი. სოფ. პრიუტი.

კვამლი

მოვიკითხე დიდი ხიყვარულით. იმედიცა კარგადაა ხარ. მეც არა მიშავს რა,

მომიკითხე ძია, ბებიაშენი და დედინაცვალი. ამასწინათ ვიყავი ტფილისში და უნივერსიტეტში შესასულელი პროგრამა ვერ არ არის გამოსული. გაზაფხულისათვის კი გამოვიგზავნი. ძველი უბლა არ უზარგებს, რადგანაც ყოველ წელიწადს ახალ-ახალი წესით არის მიღება. ისე ყოჩაღად იყავი. ამ ერთ კვირაში კიდევ ჩამოვალ ტფილისში და გაგივებ რაიმეს. ამასწინათ გამოვიგზავნე წერილი და მიიღე თუ არა.

იყავი გამარჯვებით. შენი ძმა და ბიძაშვილი ბასილ მელიქიძეა.

1929 წელი 5 მარტი. სოფ. პრიუტი-ზირბითი.

სალამი კოლას!

დღეს მივიღე შენი წერილი, მეძმა! მე არა მიშავს რა, თუ ჩემს ამბავს იკითხავ. ვიორგი ნიკოლაიშვილი რაიონული სკოლების გამგედ არის. კარსანძე მიცნობს და კარგ განწყობილებაშიც იყო. უთხარი, რომ ჩემი ბიძაშვილი ხარ და გადაეცი სალამი და მოკითხვა ჩემგან. თუ რაიმე საჭირო იქნეს, მომწერე და მოვწერ. მე მგონი ანჯარიშს გამოვიწევს. ამ დღეებში ვნახე ნიკოლაიშვილს და მგონი საქმეცა მაქვს. მე ვერჯერობით მოხსნილი ვარ სამსახურიდან. თუ აღმადგინეს, შედეგს მოგწერ. მოკითხვა თქვენებს, სემას და შალიკოს. იყავი გამარჯვებითა და კარგად. მუდამ შენი ძმა და მოგვარე ბასილ მელიქიშვილი.

1929 წელი 16 მარტი. ს. პრიუტი.

თუ მომწერ კარგს იხამ რამეს არავის შესახებ. პატარა მოთხრობის წერა მინდა და განწყობილებას შემეძქნის. მგონი ღუშეთმა შენც დაგიკარგა განწყობა არაგვისათვის?! პასუხს ველი.

ბ. მ.

ქაპო კოლა!

მოვიკითხავ სიყვარულით. იმედია კარგადა ხარ! მეც არა მიშავს რა ერთი კერა არის, რაც ტფილისში ჩამოვედი კვლავ ჩემი საქმის გამო. ზწორედ ეხლახან ფნახე სილ. თოდრია და ამ დღეებში საბოლოოდ გადასწყდება ჩემი ამბავიც. ვიგზავნი უნივერსიტეტში შესასვლელ პროგრამას 1929 წლისას. პროგრამა და მეცადინეობა ხომ საქმით არის, მაგრამ პროტექტიაც არ არის ნაკლები ეაგაკი და თუ შესვლა ვინდა, ძიამ ამ ვაზაფხულზე ნახოს ვინმე: ან თოდრია, ან ჯუღელი, ან, რა ვიცი, დიდი ვინმე; და შენს შესასვლელად მოულაპარაკოს. ეს რჩევა, იმედია არ გაწყენს და არც კეწყინება. წერილები საქმარისად გამოიმგზავნე, თუ მიიღე არა ვიცი რა! შენი ღია წერილებიც მივიღე და ღია ბარათითვე ვიპასუხე. ალბათ მიიღებდი. თუ მომწერო პასუხი, ღია წერილით მომწერე და უფრო უკეთესია. რატომ, შემდეგ ვეტყვი. რამდენი რამა მაქვს შენთან ხათქმელი, მაგრამ რომ ვეღარა გნახე!

მოკითხვა ძიას, ბებიაშენს და შენს დედნაცვალს. სოფლიდანაც ძალე გამოვიგზავნი წერილს. ეხლა ხელები გაყინული მაქვს და ასოები როგორ ვეღარ გამოშვავს. ალექსი მანდეთ ჩამოვიდა, რასა იქს?

ოყავი გამარჯვებით. მუდამ შენი ძმა და ბიძაშვილი ბასილ მელიქიშვილი.

1929 წელი 19 აპრილი. ქ. ტფილისი.

ქაჯი!

სალამი და მოკითხვა. დიდი მადლობა წიგნებისათვის და ბოდიში, რომ დაგაკვირე — აპატიე ჩემს მითულობას არაკურატინობა, ახე ეთქვათ. მე ერთ თვეში უნდა გამოიმგზავნა, მაგრამ ვერაფრის გზით ვეღარ მოვახერხე. რა უშავს? მოკითხვა ვენოს, მიხოს. ღყ

მის ბრბოს. მე ვაჩანჩალებ დროს ხან სამსულობით, ხან კი ^{მეწერებ} ~~წერებ~~ ^{წიგნებისათვის} ~~წიგნებისათვის~~

ოყავი კარგად. შენი ბასილი.

1926 წელი 13 აპრილი. პრიუტი.

ქვირვასო ქაჯი!

მოვიკითხავ და გკოცნი. მეც არა მიშავს რა. მოვეწვე, როგორც იქნა. მხოლოდ აქ მაინც აღიაქითი ახტვდა, შავ ხიაში არის და როგორ შეიძლება სამსახურიო. იმედი მქონდა მანდუდან მაინც მეშველებოდა და თითქმის ყოველდღე ველოდი შენს წერილს. რას ვიზამ, ალბათ ეს მიწერია. ქუჯი! ამ წერილის მომტანს გამოატანე წერილი. ვეგე გამიფო „ქართული მწერლობა“ დამიბეჭდავს რამეს თუ არა, დატოვებული მქონდა ერთი ფრავმენტი. შესაძლებელია მაინც მიჩხერკედელაონ და არ ვიცი დამიტოვებენ თუ არა ადგილზე. მოკითხვა შენს მშობლებს პატივისცემით. ველი შენს წერილს და დაიმედებული მაინც ვარ. მგონი აქ დარჩენა თვითმკვლელობაც არის და თუ გადაუფრნი, კარგი იქნება. იყავი კარგად. შენი ბასილ მელიქიშვილი.

1928 წელი 14 ოქტომბერი. სოფ. ღრე.

ამ ერთ თვეში ჩამოვალ და შენს წიგნებს ჩამოვიტან.

ბ. ბ.

ქვირვასო ქაჯი!

დაგკოცნი და მოვიკითხავ! ამასწინად ერთი წერილი გამოვიგზავნე და პასუხს ველოდი. არ ვიცი კი მიიღე თუ არა. ამ წერილს კი ჩემს მამიდაშვილს უატან და ეცადე, პასუხი ამასვე გამოატანო.

ქუჯი! ჩემს სოფელში განთავისუფლდა 4-წლიანი შრომის სკოლის გამგ.



ის მოადგილის ადგილი. მინდა რომ იქ გადავიდე, ჩემს სახლში მაინც ვიქნები. ამისათვის კი კვლავ კვირკველია არის საჭირო და შენი იმედი მაქვს, რომ ჰკითხავ და სათანადოთ მოელაპარაკები. აქედან კი თუ რამ არის საჭირო, მე გავაკეთებ, მხოლოდ მანდ კვირკველიას ეგებ ჩემი გადაყვანა მოახერხებინო და გადაყვანის საბუთი გამომიგზავნო ფოსტით. შე დარჩენა მეტად გამოძნეულდება, რადგან მიწურ სახლში ვცხოვრობ და დღეს ავადაც ვარ. თურმე მაგრა გაეცივებულვარ. წერილთან ერთად განცხადებას ვიგზავნი და ჩქარავე მიდი, რომ სხვა არ დანიშნონ. ველი შენს წერილს. შენი ძმა ბასილ მელიქიშვილი.

1928 წელი 18 ოქტომბერი

გამგის მოადგილე ბერს არასა ნიშნავს, მხოლოდ ხუთი მანეთით მეტი უამაგირი შექნება და ჩემს სახლშივე ვიქნები. პირადადაც ეტყვი ვეწლაფერს.

ბ. მ.

ქაპო ქუჯი!

მოვილე შენი წერილი. აღმასკომს მართლაც გამოუგზავნია ცნობა ჩემი მოხხნის შესახებ თუმცა ერთი კვირის წინ (ვიღრე ცნობას გაავზ.) შუამდგომლობაც მომცა. არ ვიცი, კვირკველია რას იზამს. მხოლოდ უკეთესი იყო წირობითშივე გადაეყვანე, რადგანაც იქვე ვიქნები, სადაც აღმასკომია და ნაკლები ხიფათი მელის და არც ვჭვიადა ვქნებათ, თუმცადა საეჭვო აღარა აქეთ რა. ვედლები ამ ერთ კვირაში თემგომიდან რაიმე საბუთი გამოვიგზავნო. დავგვიანდა, რადგან თემგომი მანგლისშია და იქ გადასვლა უნდა და მოლაპარაკება. ვნახოთ რა იქნება. ნუ დამიუწივებ. შენი ძმა ბასილ მელიქიშვილი.

1928 წელი 2 ნოემბერი. დრე.

ქაპო ქუჯი!

წერილში

გვთხრობენ

მოგიკითხავ და გტყუნ. მიხედე შენ წერილი, ჩემ მამიდაშვილს რომ ვა მოატანე. აღმასკომს ერთითაღია ხაწინაღმდეგო ვაუნდა, ვილაცა დაემუქრა და ერთი აღიქათით ასტეხებს, ხოლო ეხლა ჩემი სოფლის შუფი თუსტიციის სამინისტროდან მოელაპარაკა და თანახმა არის ჩემი გადაყვანისა ჩემს სოფელში. ამას ვარდა, „შეფმა“ ვაუგზავნა განთლების განყოფ. შუამდგომლობა ჩემს გამგის მოადგილეთ დანიშნის შესახებ. დიდი რამ არ გვეონოს ოთხწულის გამგის მოადგილე...

აღარ ვიცი ფრაგმენტი დაიბეჭდა თუ არა, მიხოს არაფერი არ მოუწერია, ეგებ სწიყის რამე?! შენ მაინც ნუ დამიუწივებ და ხშირ-ხშირად მომწერე ხოლმე წერილები მე შეიძლება ამ თვეს ხევაარში ჩამოვიდე. გამოვე ფრაგმენტის საქმეც და მომწერე. ჩემი და წამოვა ამ დღეებში ტფილისიდან და გამოატანე, ან ამ წერილის მომტანსვე გამოატან.

ქუჯი! ჩემი აღდგენისთვის ეგებ იზრუნო (უნივერსიტეტში), გოგიას შეუძლიან რამე თუ არა. აბა მოელაპარაკე ვაუხნიშვილს, იმან იცის ჩემი საქმისა ვეწლაფერი. ეხლა შენ იცი, თუ საჭირო იქნება ჩამოვალ.

იყავი კარვად და ვამარჯვებით. მოგიკითხვა ვეწლას. შენი ძმა ბასილი.

1928 წელი 15 ნოემბერი. ს. დრე.

პვირფასო ქუჯი!

მოგიკითხავ და გკოცნი. იმეღია კარვად ხარ. აქამდეც მინდოდა წერილის მოწერა, მაგრამ რატომღაც ვერ დაუჯექ წერად. იმეღია მაპატებ. ჩემი საქმე მინულდა, მაგრამ მოხხნის საკითხი უკრეურობით დიად არის დარჩენილი. ისე რომ შანსები მოხხნისა უფრო არის. ქაცარავასთან დაუტოვე განცხადება და პასუხი არ მომსვლია თუ ძმა ხარ დამა-

ვლიან და გაიგე შედეგი და, რაც შეძლო, სანქაროდ გადმომივზაენე. კვირკველია ვატყვის ველაფერს. იმედია თხოვნას შემისრულებ. მომწერე ტიცთანის მისმართი. თუ იცი რაზე ჩემი ფრაგმენტისა? და სხვა... რაც შეეხება განათ. ვანყოფილებაში შესვლას, შენი ჭირიმე, ნუ აყოვნებ. საჭიროა განცხადების შედეგის გაგება. ეული შენს პასუხს. მომიკითხე და დამიკოცნე ზიკო, მიხო, ლექსო და ქეციანი. წერილი ჩემი დის სახელზე გამოვზაენე, ნაკლებ ხაშიშროებაში იქნება და მალეც მივიღებ: ტფ. მახრა, სოფ. პრიუტი, სონა მელიქიშვილს. დაწერე კონვერტს, რომ ქუჯისაგან-თქო და მიხვდება. იყავი კარგად. მარადის სიყვარულით შენი ძმა ბასილ მელიქიშვილი.

1928 წელი 21 დეკემბერი. სოფ. დრე.

წიგნები გამომზადე. ამ მოკლე ხანში კაცს გამოვზაენი და გამოატანე.

ბ. მ.

მამო შუაში

არა ეხუმრობ, ჩემი საქმე ძალიან ცუდად არის და ყოველს მიზეზს ვარეშე კვირას 28 აპრილს პრიუტში წავალ.

ექიმს თუ მოიყვანო, მაშინ მჭედლიშვილი სჯობია. შაბათს თუ არა მნახეთ, მაშინ ევლარა მნახეთ წყნეთში.

პრიუტში წავალ კვირას.

ბასილი.

კვირვასო მიხო!

მშური სალამიც და უფრო მეტიც. მოკითხვა ფეკლას ხელერთიანად (მთიულური თქმა არის). მე არა მიშავს რა ჯერჯერობით. რაც ამოვსულვარ, სულ ქორწილებში დავალ. ორს გავყავი ჯერ მეჯვარეთ და ვარ გალესილი მთიულური არავით, წმინდა წყალის. მთიულურით. ესეც კარგია. დიდია-კე თავის და-

ვიწყებ! გულანაქარი, ვეფხვი, ქუჩის წერილის და, ახა, მეფისტიქონატი, ორც შენი წერილი და მერე მინდოდა გამომართლებოდა თუ არა ეჭვები (არ დაკბედავენ მეთქი). და ჩემდა ხასიზარულოდ, ერთის მხრივ, დაუნუნია ნუ-შიშვილს, როგორც იდიოლოგიურად ხაწინააღმდეგო და, ჩემდა საშუხაროდ, არ იბეჭდება და გონორარი არ იქნება. რა ვუყო, ესეც ბედისწერა და ვიძახი: „ვაი ველიფარს (თუთიან ნაწერს, რვეულს) დაიფერფლება, როგორც გელიფარის ვრძელი ყანები“. და ღვე დაიფერფლოს ჩემ გულთან ერთად. სულ სედა და სედა, ბიჭო, ვანა პოეტური, თუნდაც უზრალი მომაკვდაურიც. უნივერსიტეტზე ფიქრიც ღარ მინდა — ეს ხასიზრობაა ჩემთვის და გულახდით გუბუნები, რომ ბედნიერი ვიქნები, რომ გამოვივლებდნენ და არ გამოვიდოდე. რაც შეეხება ნაბარებას, ეს სულ უკანასკნელი საკითხია ჩემთვის. თუმცა შენ ხმამაღლა იძახოდი, არ ნავაბარებო და მე დავეთანხმე მამამუნს, მაგრამ არასოდეს არ მიფიქრია, ნაბარება წელს და თუ მიფიქრია ესეც მალევე გამომიფიქრია. მეშინიან, რომ სულთან ერთად სხეულიც არ ამშორდეს უნივერსიტეტში. არ დავამძიმო პავა. უნივერსიტეტი ხომ კოწიების თავშესაფარია. ეხლა, ძმაო, ამ წვტილის დროს მეხიზლება, მეხიზლება უკიდურესობამდე. ნეტავ ჩემ ნათლიმამასთან ერთად წავსულიყავი მწყემსათ მთაში, ფეხებზე რომ ჰკიდია ევლა, ვარდა თავისი ცხორისა და ვწყველი მამამუნს; რათ მასწავლა! ეხლა ორი ბიჭი შეყოლებოდა და კარგა მოეწყობდი ოჯახს. ეხლა მაქვს საუკეთესო შემთხვევა, გადავიშალო ჩემი გული და დავფეკვა ძველი წისქვილივით. შენ შეიძლება აიფხვირე და მენაც შეიძლება ნაწიენი ვიყვე ზოლმე. მაგრამ მე ეხლა ვვრძნობ, რომ „ქალაქ“-ში არავინ არის ახლო ჩემ სულთან, როგორც შენ და თუ რაზე აბრკოლებს საამისოდ, ერთი ის, რომ სხვა პირობებითა ხარ და სხვა ატმოსფერა ვახვევია ვარშემო და ახლო

ზარ იმიტომ, რომ დაუფუჭელი ზარ, როგორც თურმანა და ვერძინა მხოლოდ ეხლა რიგაანათ და სამირკელიანათ. ხედავ რამდენი ჰესიმაზშია, რამდენი ღირსშია. მაგრამ აქვეა დაყინვა, ჩემი თავისა და სხვისა. მე ხომ გესლი ვარ თავიდან ბოლომდე. მ. ჯავახიშვილი თუ სახი, გადაეცა ჩემი მოკითხვა და უდიდესი მადლობა ზრუნვისათვის. მოკითხვებზე პრაქტიკულ თაყისი ოხითი. ძალიან ხშირად შეეცინება. ამ ლეიპცილიზ დოქტორზე... როგორ შორს არის ხოლმე წასული თაყისი ოხითი პინდუსტანში ან ჰერმანეთში. მე დაგიწერე ლექსი სათაურით „თურმანა“, რომ ჩამოვალ, ჩამოვიტან, ან გამოვიგზავნი ფოსტით და ჯავახიშვილმა ეგებ დააბეჭდვისინოს, სადაც უნდა, ფულია საჭირო. აღვიღებს ამოვიწერ:

თელთაგან ცრემლი გადმოქცეულა,
დავით-გარეჯას დაუხვდით ტურებს,
მიხი, რათა ზარ ვგრე შევირალი?
მიხი, თურმანი ავიწვევს ყურებს!

(დანარჩენი შემდეგ). მარადის შენი ბასილი. წერილები მალ-მალე მოიწერე. რა არის რუა კაპეიკი.

1926 წელი 26 ივნისი. პრიუტი.

კვირასო ვიხი!

მოკითხვა და სალამი გადაეცემა ველებს. მოკითხვა შენს მშობლებს, ველოდი შენს წერილს, არ შეღირსა. ველი ეხლაც. თურმანის წერილი მივიღე და შენ ვიგზავნი, შემინახე. რვეულები გამოვუგზავნე ერეკლეს და თუ მიიღო, მომწერე. წერილი უსათუოდ დახდევული იყოს. რა არის, თურამეტი კაპეიკი უნდა. სამინელი მოწყენილი ვარ და დახვედლი უსაზღვროდ. ხახლისა არა ვიცი რა. ერთ თვეში ჩამოვალ მგონი. ჯავახიშვილი ჩამოვა თუ არა, ეძებრე რვეულით. ტიტინ ტაბიძისაგან წერილი მივიღე. აღმანახისთვის რვეულსა

მთხოვს, ნუ დაერიდება, მახალა კარგად იქნება შერჩეული. მე ვინცისთვის ვაუგზავნე ფრაგმენტი დასაბეჭდავ. ვინა ხო! მინდა ერთი ათი თურმანი მაინც გაეკეთო შემოდგომით... რას გამოვირკვევს ერეკლე უნივერსიტეტისას, ისიც მომწერე. იყავი კარგად და უკუნითი უკუნისამდე ამინ. მარადის შენი ბასილი.

კა - 8 კვ წელს. ჯავახეთი, ახალქალაქი, „მწვეში“ (21 - VIII - 26 წ.).

კვირასო ვიხი!

სალამი და მოკითხვა. მოკითხვა შენ მშობლებს და შალვას. აკოცე შენ ტურებს და ქეციანს, ლექსოს, ლადოს, სიკოს. შედარებით კარგათა ვერძინა თავს. მელანქოლია სრულიად მომშორდა - მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ერთი კვირა არის, რაც ხისხლი უკვე ამოსდევს ნახველსა. ან მელანქოლია რას უშველის?! მგონი შეეჩვიე ამ ამბებსაც. მგონი ჩვეულებრივი მოუღუნებია გველაფერი. გული გატვდა და ღვი იყვეს, სანამ სულ არ მოისპობა. უკვე თვე ხდება, რაც ამოვიდი. მარტო ვარ, სრულიად დავიწყებული. არ არის სიტყვა მეგობრული, არ არის სიტყვა მეგობრისა. ხანდახან ჩემებურად მაინცა ვიჭვობ, ეგებ არ არის მეგობრობა. თუნდა იყვეს, თუნდ ნუ იქნება, დღეს ჩემთვის სულ ერთია, მხოლოდ ხანდახან „მოვა ქამი მწუხრისა. დაწყველილი ვარ და მწუხარე“. მაშინ მინდა „სიტყვა“. არ არის, არ არის!! მგონია, რომ ამ ზაფხულის დია წერილია დამნაშავე ან ვანო ტაბიძის ოთახი, რომ ერთი წერილიც არ მადირსეს იმათ მაინც, ვინაც ზოგჯერ მაინც მწერს. ეს არის მიზეზი ჩემი მელანქოლიის ჩამოხსნისა აღბათ?! რა ვუყო! მხოლოდ შენგან უკვე აღარ მოველოდი ამას. რაც შეეხება ხიკოს, იმისათვის მაქვს შესაფერისი ფრაზა, მაგრამ ვიცი საიდუმლოთვე გაიკვებს და რომ ჩამოვალ ისევე მე ვიტყვი. ვწერდი ბინის შესახებ და უკვე სამა

კვირა არის, ველი პასუხს. ფეხებზეც არა ჰკიდია, აღბათა, მაგრამ, წარმოიდგინე, ჩემი წამოსვლა დამოკიდებულია სიკოს პასუხზე. თუ იქ არ ვიშოვნე ბინა, მე შევრჩები პრიუტს ჩემი ამოსაღობათ გამზადებული ფილტვებითა და უკეთესიც არის ჩემთვის. ხოლო ყოყმანია ძნელი. არ ვიცი რა და ვერაფერი გადამიწვევტია და ის დურაკი (სიკო) კი ორი სიტყვის მოწერასაც არა კისრულობს. ჩემთვის ერთი იქნება უარყოფითი თუ დადებითი პასუხი. გოგიახთვის ვითქვია, რომ რათ უნდა შევბუღება, წელიწადს ხომ დაქარგავსო. გულწრფელად გუუბნები, ვითა მეგობარსა, რომ ფეხებზე მკიდია უნივერსიტეტი. ეხლა დამრჩენია ღვინო და აღბათ ამ შემოდგომით „ვირიეთი“ გაუუტვე ქორწილებში მხოლოთ ღვინისათვის ან მერაღა არაყისათვის. ვიცი კაჭკაჭი ხარ, მაგრამ ეს კი მხოლოთ შენს იქით არ შავა. მინდა ძალით ამოვიღო ფილტვები და, რაც შეიძლება ჩქარა, რადგან თავის მოკვლის ნებისყოფა არა მაქვს ან სადა ვარ საამისო ვაკაკი. დარწმუნებული იყავი, რომ აქ შელანქოლია არ არის, ეხლა ამ წერილის წერის დროს მშვენიერ ნახტრაენიაზე ვარ. შეიძლება ეს „მშვენიერი“ ნახტრაენია (ფრიალ დურაკული და ჰეკათხელინა) შემრჩეს საბოლოოთ. ესეც ბედისწერა!

ბუთანიში ვიყავი ღვთიმშობლობასა. მ. ივანემ მითხრა სამშაბათსა ენახე და შეიძლება მოვიდესო (შენი) და ველოდი, გზას გავცქეროდი. შოლოს კარგად შეეკვიციკვით მე და სანდრო, გახსოვს მთიული რომ სწავლობდა ჩემ კლასშივე, ღამე წავედით იმასთა. იქვე ახლო არიან და ცხვარი ააბლაღლეს ზინკლისათვის... იმისმა (სანდროს) ვაჟმა — იოსებმა — თეფშით მომიტანა ზინკალი. აღბათ მამამ დაარიგა... იყავი კარგათ! იყავი კარგად! დეე დამარჩინოს იმან, რამაც გამაჩინა. დეე ჩემმა თვალებმა მხოლოთ ვერის ხევს უმზიროს.

მიხი! ამ ერთ კვირაში ჩამოვალ და ფულსაც მე თვით მოგიტან. იმეღია,

შენცა და შენი მშობლებიც, შაპატიებთ. მოკითხვა და საღამო მერ ირეკლეს მა-
რადის იქითაც შენი მ. მ. მელიქიშვილი.

ნშკ-სა წელსა ღვინობისთვის „დ“-სა დღესა. პრიუტი — ზირბითი. (1927 წ. 4 ოქტ.)

ამ დღეებში დედასთან მივდივარ და იქიდან რომ დავბრუნდები, მხოლოთ ერთი თვით ვწვევი ტფილისს.

ბ. მ.

ქვიზასო ვინო!

მოგიკითხავ დიდი სიყვარულითა. მივიღე შენი წერილი, ფრიალ საინტერესო და სრული. გეტანხმები, რომ: „მთაც მოკვდა ვაჟახთან ერთად, სამშობლო ერეკლემ ჩაიფოლა სამარეს, მტკვარი ზაგესმა გააწუმა... და სხვა და სხვა“, მაგრამ მერ რაო, იმისთვის, ვისაც თავისი მთაც აქვს, ბარიცა, სამშობლოცა... ეს თავი თვისი“ (ხაზგასმა ჩემია — ბ. მ.). მაგარიც ის არის, რომ თუ თავი თვისი აივსო ნეხვითა, თუ თავი თვისი ვაჟსაც ვეღარ იგრძნობს, თუ თავსა თვისსა ერეკლე ფეხებზეც არა ჰკიდია, თუ თავსა თვისში მეგობარი აღარა სჩანს — ჰეკმშარიტად ასეთი თავი თვისი გამოტირების ღირსია.

შენი წერილი ვაეიგე ასე: მიიღე თუ არა ჩემი წერილი, ამოვიკითხე ორიოდ ხიტყვა და იფიქრე: უსათუოდ შელანქოლია, უსათუოდ წვევრასტენია — და, მამასადამე, საჭიროა დარიგება, დარიგება და დარწმუნება. მივიღე შენი ქართული დარბაზისეული დარიგება, მაგრამ უნდა ვითხრა შენივე სიტყვით, რომ აქაც „თავი თვისია“ დამნაშავე რაღა დაარბილებს კლდეს — ამ ჩემს გულსა, ჩემს გულს, ოდასაც იგი უკვე გაქვავდა; რაღამ უნდა გასტეხოს ღვინო, ოდასაც იგი ჩემი გულია, ელახტიური და დავრებილია. ძნელია ობოლ ხის გადატეხა, ობოლი ხისა, რომელიც ბექს ამოხიღულა და ყველა მზრიდან



ქარი უბერავს. მე არ მინდა ამნაირი ზე ვიყუე — მირილი და საცოდავი, მაგრამ ცხოვრება ქარი ყოფილა, ქარი უდაბნოსი, რომელიც სამუშაოც ასტეხავს და შვიდ წელიწადში ერთხელ ნელ წერხულსაც გაატარებს უდაბნოთვე, ვითა ღოცვასა.

მიხი მძალი უნდა ვითხრა, რომ მხოლოდ დარწმუნება მშველის, დარწმუნება თავი თვისისა და მე მშვიდათა ვარ და ჯანსაღათა. მაშინაც და დღესაც (მაშინ ე. ი. წინა წერილის დაწერის დროს) ფრიად მშვიდათა ვარ. მელანქოლია ან იშვიათი წამის საქმეა, ან სულაც აღარ ვიცი რა მიხი, ხოლო „Nevrastence“, ჩემი ოჯახის წყალობით, ბრაქიანად არის. ერთხელ მიიხარი შენა, რომ: „პრიუტში რომ მიხვალ, ნუთუ გინდა რომ დაიხვენი?“ დიახ, მართალი იყავი იმ დროსაც და მართალი ხარ დღესაც. მაგრამ რას ვიზამთ: ცხოვრება ვეღვან ცხოვრებაა, უფრო სწორედ, სინამდვილეა.

იყავი კარგად. მარადის შენი ბ. მელიქიძეილი.

1927 წ. 12 სექტემბერი. პრიუტი.

მივიღე იოჰანე ტაბიძის წერილი, იმერულ ჩოხაში გამოკონიავებულ ასოებით ნაწერი. კვლავ დარიგება და დარიგება, რჩევა, როგორ ფუშვირო თავსა თვისსა. მწერს ასე: საღამო, პატრეცემული მეგობარი ბასილ! თუ მეგობარია, პატრეც რაღა შუაშია, მეგობრობა პატრეცეცემაზე მეტია. იქ სიყვარულია და საქვირფასე მძობაზეც კი მეტი. საწყალი იოჰანე ძალიანა ცდილობს ქართულის სწავლასა. დასტეობა მის წერილს, ნატანჯსიტყვებიანსა, მხოლოდ ქართული სიტყვის ბოლოში ხმოვნის (ა) მამატებით გაუგია. კარგი იქნებოდა, სახარება და ძველი წიგნები წაეკითხა ხანდახან. აქვს მამაპაური სიტყვებიცა „არაფელი“, „კიდო“. ტონი უაღრესად მეგობრულია ჩემ მიმართ რომ სწერს „თანს“, უსათუოდ ატანს „როგორ ხარო“, შემდეგ ფრწხილებში სწერია „გვაკლიხარო“. იქნებ ეს ხმოვანიც ქართული ენის ცოდნა იყვეს,

მაშინ მამატის იოჰანემ გულწრფელობაში (ვანოსი) ევვი არ შემეძინე შევტრამ ზოგი რამ მაინც ვერ გმინგას! სიტყვმა წერილებმა დამარწმუნეს, რომ მარტო მე ვყოფილვარ მოუშალებელი ცხოვრებისათვის და უსუსური, აღვილი შესაძლებელია. იოჰანეს წერილის დასასრული მინდა იცოდე: „აკოცნი იოჰანე ტაბიძე — ტფილისი 7. 10. 27 წ. კალაუზნის ქუჩა № 16. „მიკვირს რა საჭირო იყო მისამართის ყოლიფრით შეშეკობა? რა თქმა უნდა, არ უწყინება ჩემი პასუხით ვანოს, პირიქით, მე ავასრულე მიხი „აღოქმა“: „გაერთე, გვერდი აუარეო“. შეეც მგონი გავერთე კვლევა-ძიებითა და დღეს უფრო მადიანათ ვისადიღებ.

დღე-დღეზე ველი ჩამოსვლას, ველი კი არა, ვაპირებ.

მარადის შენი ბ. მელიქიძეილი.

კვირასო მიხი!

მოვიკითხავ და დაგაკოცნი. მოკითხვა ბატონ ერეკლეს, შენს მშობლებსა და ლექსოს. მე არა მიშავს რა. აღარ ვიცი ვია ამ ზამთარს რა დამეშართება. აღარც ის ვიცი, როდის ჩამოვალ. აქ დარჩენაც ძალიან გამიმძნელდება. მიხი! ერთი საღამო მანუქე და შეიარე გერონტი ქიქოძესთან, თუ მიშა მრეკლიშვილი მანდ არის, გამოვევება, თუ არა და შენ მიდი და უთხარი ჩემი ამბავი, ჩემი მდგომარეობა აუწერე და სთხოვე, ჩემს მაგიერ, ეგებ სადმე მიშოვნოს სამსახური, თორემ ძალზე უკან მიდის ჩემი საქმე. და თუ არ ვიშახურე, არ ჰიცი რა მოელის მთელს ოჯახს კრცლად შემდეგ მოვწერ. ამ წერილს კი ჩქარავე უპასუხე და დამაუღლიანე. ძლივსა ვწერ ამ ორიოდე სიტყვას, ისე ცუდათა ვგრძნობ თავსა და ისე ვირული განწყობილება მაქვს. ეხლა შენ იცი. მარადის შენი ძმა ბას. მელიქიძეილი.

1928 წლას ენკენისთვის 7-სა დღესა. სიფ. პრ.-ზირბითი.

ამასთანავე ვიგზავნი ლექსის წერილს და მალევე გადაეცემა.

მოუთმენლად ველი თქვენს წერილებს. ბ. მ.

კვირფასო კბარ ლეხსო!

საღამო და მოკითხვა. მოკითხვა შენს მშობლებს. დარწმუნებული ვარ შეიწვი ტფილისის სიციხითა. მე ბევრიო უკეთა ვარ, უკეთ, ვიდრე ოდესმე ამ ათ თვეში. ლექსო, ქვეყანი თუ ჩამოვიდა უთხარი, რომ წელს მის ოთახს ვესტუმრები. მიხო და ბ. ერეკლე ჩამოვიდნენ თუ არა? მეც ამ ორ კვირაში ჩამოვალ, იყავი გამარჯვებით. მარადის შენი ბახილ შელიქიშვილი.

1927 წ. 23 აგვისტო. სოფ. ხირბი.

კვირფასო კბარ ლეხსო!

მოკითხვა და გეოცინი. მეც იმედი მაქვს, რომ კარგად იქნები, თუცა ცხვარებით დასიციხული და გაბრუნებული. დღეს მივიღე შენი წერილი, ხოლო გუშინწინ ვლავნის სამფურცლიანი ხელთნაწერი და ქურნალიც. ბევრ რამეს მწერს ღირსშესანიშნავს. ეტყობა დაწყებისას კარგი განწყობილება ჰქონია, მხოლოდ დასასრული სევდიანია და უიმედო მწერს:

„მხოლოდ მე შეხმის ჩემი მოღლილობა, მხოლოდ მე ვგრძნობ მის მძიმე ტვირთსა ვერცერთი/თქვენთაგანი ვერ მიხვდა თურმანას წუხილს, არ ვიცი რა სწადდა შენს თურმანას, მაგრამ მე მოსვენება მინდა და ხსნა არსად არის“. მართალია და მეონი ჩემს თურმანასაც უკანასკნელ თავში სწორედ ეს სურდა. შემდეგ:

„ველოფერი აირია თურმანას თვალებში: სალოთუჯის დუმილი, ბაღლიცა და ჭირისუფალნიცა. დამწუხრებულია თურმანი, დუნედ იქნევს მკლავს. ვერავინ ატყობს და ესე როდემდე? — ეკითხება თავს თურმანი. ეს კე აღზდათ ხალხთუგმაც არ იცი! ო, ქვეყნის რამ არ იცის და მეონი არც თვითონ იცის, თითონ თურმანამ, რომელსაც მხოლოდ მარტო თითონ ესმის თავისი მოღლილობა, მხოლოდ ისა ვგრძნობს „მის მძიმე ტვირთსა“.

რაც დრო გადის, მით უკან მიდის ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობაც. ეს ხუთი დღეა მარჯვენა ბეჭთან მჭვალავს და მელანქოლია მკლავს და ცვილივით მადნობს. დარწმუნებული ვიყავი სოფელი მიშველიდა, მაგრამ წინაუკმი აღმოჩნდა და მით უფრო ძნელია გაძლება და თვალის გადაღლება იმ მანძილისა, წინ რომ უნდა გამეშალოს და თითოეული დღე ჩამიბუნელოს და გამიქროს. კარგია გაქრობა, მაგრამ ბიჭობა გაქრობამდე არის და ეს კი არამც თუ მე, მეონი, ღმერთებსაც არ შეუძლიანთ. ხანდახან ვფიქრობ:

ჩემი სიცოცხლე, ჩემი დღეები ეგებ ხნული იყო, მძიმე გუთნით გავიღლი ხნული, ქარმა რომ გადაუარა და მიღამა და მინამქრა, მიწა მიყარა და გააქრო პირისაგან მიწისად?! ეგებ ნიბლია იყო მთისა, ვინემ ფეხები რომ დააძრა, ხოლო ქარმა კენჭი გაარტყა და მიამკვდარა და ეკლებში ჩააგდო?! ეგებ მინდერის ფეხილი იყო, შუადღისას ველის მოღურებას რომ აპირებდა, მაგრამ ველურმა ფეხი დააგდა და გასრისა!

ეგებ ჭიაც არის, ადამიანის მძორს რომ მიავნო და გამოხრა და მძორის განტყვეებისას ადამიანის ძვალი დაეცა და მოშოო პირისაგან მიწისა?!

ეგებ ნაკვერჩხალიც არის, მინელეხული და მიბუნელი, ზევიდან თეთრი ფერფლი რომ გადაკვრია, წარმართულ მოვეის სამოსისავეთა, ხანდახან ქარი რომ დაუბერავს ხოლმე და აქა-იქ ფერფლს აცელის, ხოლო ნაკვერჩხალი გულსაკლავად აბუტდება ხოლმე და დილის ვარსკვლავით ჩაქრება?!

ეგებ ვეალვის ელვაც არის, ცის ტატნობს რომ კრთის, და თვალს აშინებს და ემუქრება — უშედეგოდ და ტყუილად?!

არ ვიცი, არ ვიცი! რომელიც უნდა იყოს, მე კი სიცოცხლე მინდა და ცხოვრებაც. მინდა ვიცხოვრო ჩვეულებრივი მომავლავით, ვკვებ იქით კარესობა არის და სიმძიმე.

მოგიკითხვს ჩემმა ველურმა დამამ. მოკითხვა თქვენებს ვეწლას. არ ვიცი რა მელის: შემოდგომით ჩამოვალ თუ არა. თუ ძმა ხარ და თუ მოიცალო, შეიარე ტფ. აღმასკომის განათლების განყოფილებაში, იქითხე მიშა ხაყვარელიძე და ჰკითხე ჩემი განცხადების შესახებ. მოაგონე, რომ გერონტი ქიქოძემ რომ ვთხოვა-თქო. ამით დამავალიანე და მომწერე. იმედია მალმალ მომწერ წერილს. თუ მოახერხო როდისმე ამოიარე ერთი ორი დღით. ამის შესახებ წინასწარ მომწერე და დაგელოდები. შენი ძმა ბასილ მელიქიშვილი.

1928 წლის 10 აგვისტო. სოფ. პრ.

- ზირბითი.

კლავნი შენს შესახება მწერს: „ლექსი ვარდისფერმა მელანქოლიამ შეიპყრო. ოცნებობს ქვევლებს, ხად წელის მაგიერ ტბილი ყავის ჩანჩქერები მდინარებს (?), ცხადია ნაღებით აქაფებული, შაქარღამის კედთა შორის, ხად ცათ-ნამცხვრებისა და კულიჩების მთები აღმართულან და მათ თხემით თეთრი თაფლის მაგიერ შოკოლადი გადმოსხმიათ, ხად აღამი ისევ კლავინდებურად, უდარდელად დასეირნობს მამის ბაღში და ნატაშა-უვათა გუნგი (მგონი ხატაშა ხწერია) აღურხისათვის ფულს არ ითხოვს, არც ბევთა-ბევთიან სინსილა ყოფილა იმ მიდამოებში“

ხწორეა - ბ. მ.

ლექსი!

გუშინ მიხოსთან მოვიდა ირაკლი მარკველაშვილი და კლავარაკებოდა უცხო ენათა კურსებზე შესწავლის შესახებ. შევლენ ორნი: ირაკლი და სიკო. საჭირო ყოფილა შენი პროტექცია და

ირაკლის შენი ნახვა უფროდ უნდა და დაეხმარე. მე მინდოდა კარგად ვიყო, რადგან მნახავდი და შინ არ დამახვედი. შენს ურთებთანაც ვიყავი და მითხრეს, დღეს აღარ მოვაო და თუ მოიცალო, მიხოსთან მიდი და უთხარი, როდისა მნახავამას გარდა, მეც მინდა შესვლა, ხო იცი. ამასწინათ ვითხარი კიდელა განცხადებას დაგელოდებ და ვკვებ რამე მოვწყობ.

შენი ბასილ მელიქიშვილი
1928 წ. 19 სექტემბერი

კაპო ლექსი

მოგიკითხავ და გკოცნი. იმედია, კარგათა ხარ. არა მიშავს რა. დაერჩი სოფელში და ბავშვებსაც შევეწვევა, თუ მალე არ ამბარგვს. წერილი მომწერე იყავი კარგად. შენი ძმა ბასილ მელიქიშვილი.

1928 წ. 14 ოქტომბერი.

კაპო ლექსი და პანო

მოგიკითხავთ. იმედია, უძღვებთ ტფილისის სამხინელ ბულს. მეც არა მიშავს რა. ვიბეზარე საშუალოთ. სიცოცხემ ოდნავ დამიკლო. მაქვს: დღით 38-8 ან 5 ხაზი, ხოლო საღამოთი - 38-2. ვნახით! რაჯა ირონიე ბათუმზე და წალვერზე? ნუკრი ვიყვანე თუ არა?! (როგორ არის თურმანა, მიხო კუჭია. ბუჭუკაც (სიკვიდისა და კვიწყებია). ვარ უკავიკოთ. სახლშიც ფული სულ სახლის სახურავის შეღებვას მოანდომეს და ველი პაოლოს 100 მანეთს. წერილი მალე მომწერეთ ვეწლამ. იყავით კარგათ. მარადის თქვენი ბასილი.

1929 წელი 29 აგვისტო. პრიუტი.

კაპო ლექსი!

კარგად იყავი, მოკითხვა თქვენებს. მე არა მიშავს რა. სიარული შემოძლიან და სიცხემ 37 - 0 - 3 ხაზ. დამიკლო და

შეჩერდა. უკეთესად იყო საქმე, აქაური ექიმის აზრით, პროცესი ჩაეკეტებინა მდიოდა, მაგრამ ერთი საზიზღარი ბეზიქელის გამო (ჩემი მღვდელი იყო, ვასო ჩინბაიას და) ხიცებ ამიწია და პროცესს გაუარესება დაეცო. ამ სამი დღის წინათ სისხლი ამოჰყვა ნახველს, მაგრამ ძალიან ცოტა. ის ბეზიქელი დაჰყვა მთელს სოფელს და უსინდისოდ აღაპარაკა, რაც დღესაც მწიფის და წერებს არ მიმწვიდებს. ამ ორი დღის წინათ აქ მიიღეს წერილი ბეზიქელისაგან, სადაც, რა თქმა უნდა, წუხებს ჩემი სიცოცხლე და იწერება, რომ ჩემი ამხანაგი (თუ ამხანაგები) მნახა და ჩემს მაგიერ რევერანსით შეხვდნენ „ვერე იცის, არ გეწინითო.“ შექვეებული ვარ: იქნებ ვასო ჩინბაიამ შეახვედრა-მეთქი და თუ რომელიმე შეახვდით და ესეთნაირად კუდები მომწმინდეთ, ძალიან შემედარხართ. ველა შესწერილს. ბ. მელიქიშვილი.

1929 წელი. 20 აგვისტო. სოფ. პრიუტა.

ქაო ლექსო!

მიიღე შენი წერილი, დამაიმედა და სიცოცხლის ხალისი მომიმატა. სისწორე გიხიბა არაბა ედარდობ და არაფერსა ვეფირობ. აღბად, იმისათვის, რომ დაემსუბუქდი და ყია-ჩინონიკსავეთ კანისთვისა. ვზრუნავ. მაგრამ უცნაური საღამო ხანდახან მოვა, გაივლევს და გაქრება. იმ საღამოთი ცხოველი აღარა ვარ: ფიქრი შემომლიან, ვეფიქრობ: რისთვის დამეცა სამუმი, რომელმაც კინადამ გამოთვლა და რისთვის აღარ გადამივილა, რაღა არის ჩემი სიცოცხლე — მე ხომ აღარც ცოცხლებში ვარ (იხილავით, განდგომით) და აღარც მკვდრებში (ქვეყანა ჯერ არ შემომცლია ხელიდან). უნდა ვიყიადო, ხან კარგად ვიყვე, და ხან ვიტანჯო ტკივილებით. ექ რა მნელია, ლექსო, ყველაფერი, რაც ჩამოეთვალე, მაგრამ მაინც

„ორფები“ ვარ და სიკვდილი არც ვერე ადვილად მიზიდავტრქენსული

ჩემი ცრემლებს მგამჩქინებულს დაიდვარნენ. თქვენ აღრვევ იგრძენით სამუმი მოახლოება და დამიტირეთ, ჩემმა ცრემლმა კი ჩემი თავი გამოიტირა. არ ვიცი, ცხადია, წერილის არსებობა და არაარსებობა, ჩვენ კი ვიტირეთ და არა მგონია, რაღაც ქაღალდის ნაგლეჯს ავტირებინეთ. ეხლა წინ თავის ქალა მიდევს და უფრო მიყვარს, ვიდრე ოდესმე. ჩემს თავზე უნდა ვივლი.

ეხლა ძალიან მშვიდათა ვარ. არ გვიროს ფიქრები მაძიძებდეს, ან დარდი მკლავებს. ვწერ, რაც განვიცდევ, რაც მაფიქრებს და აღბად უფრო მეტად ვიფიქრებ და მგონი დასასრულს ეს ფიქრი მაგნე ვახდებს და შემაცდინის.

მოვითხეა ყველას, არაფერი ვიცი ცაკისა და აღმანახისა. შენ მაინც მომწერე. იყავი გამარჯვებით. შენი ბაილი.

1929 წელი 5 სექტემბერი.

P. S. დღეს ერთი თვეა აბასო. შემდეგ, მოვიმატე 7 ვირეანქა.

სოფს!

მოვიკითხავთ სუველას. რაფორა ხართ? მე არა მიშავს რა. აღბად, ერთ კვირაში ამოვალ. ჩემი მაგიდის შუა უჯრაში არის მოთხრობა „თურმანი“. ძალიან ვრძელ ქაღალდზე რომ სწერია, ძალიან ხაზგადასმულებიცა აქვს. ორაა არის გაღაკეცილი უხაზო ქაღალდზე. ეწერება თავი მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე. იხინი კარგად შეხვიე და გამოვზაგნე. უნდა დავაბეჭდინო. კარგად გაისიგნე და ისე გამოვზაგნე. ზაღლის ამბავი რომ არის, უკან არის უჯრისა. შავ რვეულის გვერდით. რაც შეიძლო, მალე გამოვზაგნე და ხანდო ვიხმებს გამოატანე, რომ არ დიკარგოს. გამოვიზაგნეთ საცეალიც და ფუფიკა, თუ დაკრებული არის. მოთხრობა არ შეგვიცვალის. თუ გამოატან, პავლე

ტყეურის პატარა ბიჭს გამოატანე პანტალიონი, იოსება ქვიან, ნატოს ვეტე და გაღმევა და ისევე ჩამომიტანს. მოწერე, ხომ არას ამბობდა აბელა ჩემი გადასახადისას. იყავით კარგად თქვენი ვასო.

1929 წელი 27 მაისი.

სრება!

მოგიკითხავეთ ველებს. კარგათა ვარ. წინა წერილში გწერდი, ფული სულ აღარა მაქვს და კუჭიანთან ვხადილობ. საჭიროა რამე მომამშველოთ და ძალიან ჩქარა, თორემ ძნელია სხვისი შეწუხება. შენი ჩამოსვლა არის საჭირო და ჩამოდი ჭრა-კერვის სახელოსნოში მოხაწყობად. საჭიროა პნახონ შენი შეკრალი რამ და იქნებ მივიღონ. ამ კვირია უთუოდ ჩამოდი. და თან წამოიღე რამე. უნდა ამოვხუდიყავი, მაგრამ 18-ში ნემსი უნდა მივიღო, სულ შეიდ დღეში და რაღას გააკეთებდი. სოხუმის საქმე ჯერ არ მოხერხდა და იმასაც ვუცი. ქეთო სადა სწავლობს? ველი პასუხს. თუ ჩამოსვლა დაგიგვიანდეს, მაშინ წერილი ჩქარავე მოწერე. იყავი კარგად. ვ. მელიქიშვილი. ამ კვირია გელოდები.

1929 წელი 11 ნოემბერი. ტფილისი.

სრება!

კარგადა ვარ. ვქიშს ვაკეისინჯე. ორჯერ გამოშუქეს ფილტვები. მარცხენა ფილტვი ხალია. მარჯვენას ეხლა შემოკუმშავენ და იმისთვისა ვრჩები. დამე ვასო ტაბიძისთანა მძინავს. არა მაქვს ბაღიში და საბანი, საცელებიც გამოატანე ნინა ელისაშვილს, ან ანიტკას და მე წამოვიღებ ფოფოლიასკან. მამ საბანი, ბაღიში და საცელები. ვიგზავნი ირაკლის ფეხსაცმელებს. ვე-

ლიანები ვეღარ ვიშოვე. ორ-სამ კვირაში ამოვალ. ეცადეთ ძროხებზე დაეფუძნებთ ეალი გაისტუმროთ. მომწერე წყნარად კარგად იყავი. თქვენი ვასო.

1929წ. 20 სექტემბერი.

სრება!

მოგიკითხავეთ ველებს. კარგადა ვარ. არამიანციის საავადმყოფოში ვარ. არ გვეკონოს, რომ დავსუსტიდი და იმიტომ. პირიქით, უფრო კარგადა ვგრძნობ თავსა და სიცხეც მიკლებს. ორი ნემსი გამოკეთეს ჯერჯერობით და საავადმყოფოში იმიტომა ვარ, რომ ნემსის შემდეგ მოვლა დღე წოლა არის საჭირო. სონა არაფერი ფული არ მიწდა. მწერალთა კავშირმა უნდა მომცეს 50 მანეთი და თუ გამოგზავნი, ისევე ერთი ასა კვერცი გამოგზავნე. ეს შეორე წერილია და მალე მიასხუბე. ფეხსაცმელები მიიღე თუ არა? იყავით კარგად. ბასილ მელიქიშვილი.

1929 წელი. 30 სექტემბერი. ტფილისი.

სრება!

ამ დღეებში მიიღებდი წერილს და პასუხი აბასოუმანში არ გაავზავნო, რადგან ეხლა ტფილისში ვარ. დღეს ჩამოვედი, პირველ ავეისტოს. სხვაგან უნდა გაგზავნონ და საცა გამგზავნიან. მოწერე. კარგათა ვარ. ჩემით დავდივარ. ფერი წითელი მომეცა, მხოლოდ ხიცხე არ მიკლებს იმდენს. აბასოუმანი მაღალი გამოდგა ძალიან და გული სუსტი მაქვს. შენი აქ დარჩენა არ შეიძლებაო. ან დიდ ცეშში წავალ, ან ქობულეთში, ზღვის პირას. ხახლი შეაღებინეთ თუ არა, მოწერე. იყავით კარგად თქვენი ვასო.

1 ავეისტო. ტფილისი.

●
ახალი რეზიუმეების ქ. № 28

●
ბილგუნენი: ში. ავტორის — 99-51-61,
ში. ავტორის შიადვილის 99-91-00, კ/შე,
შდენის 99-91-00, და გაყოფილებების —
99-91-00.

გადაეცა ასაწიოდ 19. 05. 95 წ., ხელმოწერი-
ლი დასაბუჯად 15. 06. 95 წ., ასაწიოდის ზომა
71/4 X 12, ჭალდის ფორმატი 70X108. ფი-
ზიკური ნაბეჭდი ფურცელი 11, პირბითი ნა-
ბეჭდი ფურცელი 15,5. სააღრ.-საგამომცემლო
თაბახი 16,8. ტირაჟი 1000. შეკვეთა 640.
ფერნაღ-გაშუთების გამომცემლობა „საშობლო“.
კოსტავას ქ. № 14.

409/1



შპს 1 000 000 ჯშპ.
შპს 1 000 000 ჯშპ.

0600560
76125